

იგ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ონომასტიკის
სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
თსუ სიღნაღის ფილიალი

პ ა ა ტ ა მ ხ ა ლ ა ი ა

ო ნ ო მ ა ს ტ ი კ ი ს
შ მ ს ა ვ ა ლ ი

გამომცემლობა “უნივერსალი”
თბილისი 2005

უაკ (UDC) 801.313.1 (9.463.1)

ც 971

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი ზოგი ფილიალის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე იკითხება „ონომასტიკის“ ერთკრედიტიანი არჩევითი კურსი, სათანადო სახელმძღვანელო კი დღემდე არ მოგვეპოვება. წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ამ ხარვეზის დაძლევის ერთგვარ ცდას. ამის გარდა, „ონომასტიკის შესავალს“ შეუძლია გახდეს გზამკვლევი ყველასათვის, ვისაც სურს, შევიდეს საკუთარ სახელთა სამყაროში, ეზიაროს მის საიდუმლოებას, გადადგას პირველი ნაბიჯები მშობლიური კუთხის ტოპონიმთა და ანთროპონიმთა ოფიციალური თუ არაოფიციალური ფორმების, აგრეთვე ცხოველ-ფრინველთა და სხვა კატეგორიის საკუთარი სახელების შესაკრებად და შესასწავლად.

წინამდებარე „ონომასტიკის შესავალი“ განხილული და რეკომენდებულია სახელმძღვანელოდ იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც გადიან ერთკრედიტიან არჩევით კურსს ონომასტიკაში: ა) თსუ სიღნაღის (კახეთის) ფილიალის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2005 წ. 10 თებერვლის სხდომა, ოქმი № 4); ბ) თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიერ (2005 წ. 8 ივნისის სხდომა, ოქმი № 3).

რედაქტორი უშჰია აფრიღონიძე

სარეცენზიო-სარედაქციო საბჭო:

ავთანდილ არაბული
ბიორბი ბოგოლავილი
თედო უთურბაძე
ფურაბ ტუმბურიძე

© პ. ცხადაია, 2005

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2005

თბილისი, 0128, ი. ანასთასის გამზ. 1, ☎: 29 09 60, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 99940-51-42-3

წინასიტყვაობა

„ონომასტიკის შესავლის“ საბანი

ენა აზრის გამოხატვისა და ადამიანთა შორის ურთიერთგაგებინების საშუალებაა. ენის გარეშე წარმოუდგენელია ადამიანთა საზოგადოების არსებობა. მაგრამ ადამიანთა სრულფასოვანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელია საკუთარი სახელებიც – პირველ რიგში ადამიანის სახელები (ანთროპონიმები) და ადგილის სახელები (ტოპონიმები). ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორი ქაოსი შეიქმნებოდა თანამედროვე მსოფლიოში, ადამიანისა და ადგილის სახელები რომ გაქრნენ: კომუნიკაცია საერთოდ შეუძლებელი გახდებოდა და მოიშლებოდა საზოგადოებრივი ცხოვრება, მასობრივი ურთიერთობის საშუალებებს – რადიოს, ტელევიზიას, პრესას – გაუჭირდებოდა საჭირო ინფორმაციის მიწოდება, ადამიანი ვერ მოუხმობდა ახლობელს, ვერ დაუკავშირდებოდა ტელეფონით, ვერც წერილი მოძებნიდა ადრესატს, დაირღვეოდა პოლიციისა და ფოსტა-ტელეგრაფის მუშაობა...

მოკლედ, მივიღებდით ახალ ბაბილონის გოდოლს.

აღამ და ევას დროიდან მოყოლებული, საკუთარი სახელი ისეთივე აუცილებელი ენობრივი ნიშანია, ოღონდ კონკრეტული საგნისა, როგორცაა ენაში არსებული ყოველი სიტყვა – სრულმნიშვნელოვანი თუ დამხმარე.

ბუნებასა და საზოგადოებაში ყველა საგანი (ობიექტი) – თავისთავად არსებული თუ ადამიანის ხელით შექმნილი, სულიერი თუ უსულო, რეალური თუ მოგონილი – აღინიშნება საგანთა კლასის აღმნიშვნელი სიტყვით, რომელსაც საზოგადო სახელი ეწოდება. ამასთანავე, ყოველ კონკრეტულ ობიექტს (ადამიანს, როგორც წესი, აუცილებლად, ხოლო სხვა სახის ობიექტს – საჭიროების შემთხვევაში) შეიძლება მიემართებოდეს ისეთი სახელი, რომელიც მას გამოყოფს მსგავს საგანთა სიმრავლიდან, ე.ი. ახდენს მის ინდივიდუალიზაციას. ასეთი სახელი კი საკუ-

თარი სახელია. ამის შესაბამისად ენათმეცნიერებაში ენის ლექსიკური ფონდი იყოფა ორ ჯგუფად – საზოგადო სახელებად და საკუთარ სახელებად (საზოგადო სახელებში გამოყოფენ სპეციალურ ლექსიკასაც).

აზროვნებისა და მეტყველების უნარის განვითარების კვალობაზე ადამიანმა დაიწყო მის თვალსაწიერში მოკცეული ობიექტების აღნიშვნა ჯერ საზოგადო, შემდეგ კი საკუთარი სახელების მეშვეობით. მაშასადამე, საკუთარ სახელთა სისტემა (ონიმური სისტემა) ვითარდებოდა და ვითარდება ენასთან ერთად, ოღონდ თავისებური კანონზომიერებებით, რომელთა გამოვლენაც დიდძალი მასალის საგულდაგულოდ დამუშავებას საჭიროებს. საკუთარ სახელთა ენობრივმა და სოციალურმა (ფუნქციურმა) თავისებურებებმა გამოიწვია ენათმეცნიერების ახალი დარგის – ონომასტიკის – ჩამოყალიბება.

ზოგი მკვლევარი ონომასტიკას ინტერდისციპლინარულ მეცნიერებად მიიჩნევს, რამდენადაც საკუთარი სახელის შესწავლით, ლინგვისტიკის გარდა, ზოგი სხვა მეცნიერებაც არის დაინტერესებული: ისტორია, ეთნოლოგია, გეოგრაფია, სოციოლინგვისტიკა. შეიძლება ითქვას, კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ხალხთა მიგრაციების მიმართულების, ქვეყნებისა და ენათა განვითარების გზების დადგენა შეუძლებელი იქნებოდა ონომასტიკური კვლევა-ძიების შედეგების გაუთვალისწინებლად. საკუთარ სახელებში აღბეჭდილია ქვეყნის, ხალხისა და ენის ისტორია. გარდა ამისა, ონომასტიკას მნიშვნელოვანი გამოყენებითი ფუნქცია აქვს: მშობლიური ენის ნორმების შესაბამისად უნდა დაადგინოს თითოეული ტოპონიმისა თუ სახელ-გვარის ორთოგრაფია, რათა საიდენტიფიკაციო დოკუმენტაციასა (დაბადების მოწმობა, მოქალაქის მოწმობა და სხვ.) თუ მედიაში (საინფორმაციო საშუალებებში) არ გაიპაროს საკუთარ სახელთა დამახინჯებული ფორმები.

მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ონომასტიკა, ანუ მოძღვრება საკუთარ სახელთა შესახებ, დამოუკიდებელ საენათმეცნიერო დისციპლინად იქცა. იგი

აუცილებლად უნდა ისწავლებოდეს უმაღლესი სასწავლებლების ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე, საშუალო სკოლების მაღალ კლასებში. ონომასტიკას, როგორც სასწავლო საგანს, ორმაგი დანიშნულება აქვს:

1. ზოგადთეორიულ-საინფორმაციო, რადგანაც ყოველ მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ ადამიანს უნდა ჰქონდეს გარკვეული ცოდნა საკუთარი სახელის რაობასა და ფუნქციაზე, მისი შესწავლის ისტორიაზე, ონომასტიკის ძირითად ცნებებსა და ტერმინებზე, კვლევა-ძიების ხერხებსა და მეთოდებზე.

2. პრაქტიკულ-პატრიოტული, რადგანაც მშობლიური ქვეყნისა და ხალხის წარსულის მრავალი საიდუმლო სწორედ საკუთარ სახელებში, განსაკუთრებით, ტოპონიმებში არის შემონახული და არა მხოლოდ არქეოლოგიურ, არქიტექტურულ, ეპიგრაფიკულ ძეგლებში, საისტორიო-სალიტერატურო წყაროებში. მათი დაცვა და მომავალი თაობებისათვის გადაცემა ყოველი ჩვენგანის წმიდათა წმიდა მოვალეობაა.

ფილოლოგიის, ისტორიის, გეოგრაფიის, ჟურნალისტიკის ფაკულტეტების სტუდენტებს – მომავალ მასწავლებლებს, მკვლევრებს, სახელმწიფო მოღვაწეებს, პრესისა თუ რადიო-ტელევიზიის მუშაკებს – უნდა ჰქონდეთ საჭირო ცოდნა როგორც ზოგად (თეორიულ), ისე ქართველურ ონომასტიკაში.

მართალია, ონომასტიკა ენათმეცნიერების ნაწილია, მაგრამ სპეციფიკური ნაწილი, რამდენადაც ითვალისწინებს გარეენობრივ მონაცემებსაც, ე.ი. ონომასტიკური მასალა შეიძლება ვიკვლიოთ როგორც ენათმეცნიერული, ისე სხვა (არაენათმეცნიერული) მეთოდებითაც.

ამ გარემოებებიდან გამომდინარე, ავტორი მიზნად ისახავს, მიაწოდოს სტუდენტებს, საშუალო სკოლის მასწავლებლებს, საკუთარი სახელით დაინტერესებულ ყველა პირს წიგნი, რომელშიც მოკლედ არის მიმოხილული ონომასტიკის უმთავრესი თეორიული დებულებანი, საკუთარი სახელის რაობის, წარმოშობისა და ფუნქციონირების ძირითადი საკითხები, ონი-მთა (საკუთარ სახელთა) სტრუქტურული და სემანტიკური

მოდლეები, ონომასტიკური კვლევა-ძიების მეთოდები, ონომასტიკური ტერმინოლოგია, ეტიმოლოგიის პრობლემები. წიგნში წარმოდგენილია ონომასტიკის ქვედარგებიც – ანთროპონიმიკა, ტოპონიმიკა, ეთნონიმიკა, ზოონიმიკა და სხვ.

ონომასტიკაში, ისევე როგორც საერთოდ ენათმეცნიერებაში, შეიძლება გამოიყოს ზოგადი (თეორიული) და კონკრეტული (ამა თუ იმ ენის ან ენათა ჯგუფის) ონომასტიკა.

თეორიული ონომასტიკა შეისწავლის იმ საერთო, ზოგად პრობლემებს, რაც თავს იჩენს სხვადასხვა ენათა ონიმიაში. ეს პრობლემებია: საკუთარი სახელის რაობა და სპეციფიკა საზოგადო სახელთან მიმართებაში, მისი წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების თავისებურებანი, სტრუქტურული და სემანტიკური მოდლეები, უნივერსალიები ონიმთა სხვადასხვა კატეგორიებში.

XX ს. მეორე ნახევარში ევროპაში, ამერიკასა თუ საბჭოთა კავშირში ხშირად ტარდებოდა საერთაშორისო კონგრესები, სიმპოზიუმები ონომასტიკის ზოგად პრობლემებზე (ისევე როგორც კონკრეტულ საკითხებზე), მაგრამ მონოგრაფია „თეორიული ონომასტიკა“ ჯერ არ ჩანს. ამ ხარვეზს ერთგვარად ავსებს ავტორთა კოლექტივის „Теория и методика ономастических исследований“ (М., 1986), აგრეთვე: А. В. Суперанская, „Общая теория имени собственного“ (М., 1973), კრებული „Имя нарицательное и собственное“ (М., 1971), В. А. Никонов, Введение в топонимику (М. 1969), В.А. Никонов, Имя и общество (М., 1974), В. А. Жучкевич, „Общая топонимика“ (М., 1980) და ზოგი სხვა.

წინამდებარე „ონომასტიკის შესავალი“ გონებაში წარმოდგენილი „ზოგადი ონომასტიკის“ ელემენტარული კურსია, რომელიც რუსულ და ქართულ ონომასტიკურ ლიტერატურასა და საკუთარი კვლევა-ძიების შედეგებს ემყარება. მისი მოცულობა განსაზღვრულია სასწავლო პროგრამით.

ივ. ჭავჭავიძევილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნი-

ვერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორიამ, რომელსაც მოგვიანებით ეწოდა „ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია“, 1987 წელს შეიმუშავა და ახალი ქართული ენის კათედრამ გამოსცა „ონომასტიკის პროგრამა ჰუმანიტარული ფაკულტეტებისათვის“ (შემდგენელი გ. ხორნაული, რედაქტორი თ. უთურგაიძე). ამ პროგრამით იწავლებოდა ონომასტიკა ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც მას დათმობილი ჰქონდა ორი სემესტრი. ამჟამად კი თსუ ფილოლოგიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტების, აგრეთვე თსუ სიღნაღის ფილიალის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის სასწავლო დისციპლინებში ონომასტიკა არჩევით კურსადაა შეტანილი და მას ეთმობა მხოლოდ ერთი კრედიტი, ე. ი. სასწავლო კურსის მოცულობა შემცირდა ორჯერ.

შესაბამისი სახელმძღვანელო კი დღემდე არ მოგვეპოვება.

ონომასტიკის დარგში სახელმძღვანელოს მსგავსი პატარა წიგნი გამზადებული გვქონდა ჯერ კიდევ ოცი წლის წინ, მაგრამ იმხანად მოვახერხეთ მხოლოდ „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონის“ გამოცემა (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 1988), რომელიც, ფაქტობრივად, დანართად გვქონდა გათვალისწინებული.

წინამდებარე წიგნი გამიზნულია სახელმძღვანელოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და მისი სიღნაღის ფილიალის იმ სტუდენტებისათვის, რომლებიც გადიან „ონომასტიკის“ არჩევით კურსს. ვფიქრობთ, წიგნი გამოადგება ზოგადად საკუთარი სახელის რაობით, კონკრეტულად კი — მშობლიური ქვეყნის ტოპონიმიითა და ანთროპონიმიით დაინტერესებულ ყველა პირს, განსაკუთრებით კი სტუდენტებს, აგრეთვე მოსწავლე ახალგაზრდობასა და საშუალო სკოლის მასწავლებლებს.

ამის გარდა, „ონომასტიკის შესავლის“ მიზანია მკითხველის შეყვანა საკუთარ სახელთა შემსწავლელი მეცნიერების სამყაროში, ონომასტიკის ძირითადი ტერმინებისა და პრობლემების, აგრეთვე მასალის მოპოვებისა და კვლევა-ძიების

მეთოდების გაცნობა, თანამედროვე (მშობლიურ კუთხეში გავრცელებული) თუ ისტორიული საკუთარი სახელების მიმართ ინტერესის გაღვიძება და გაღვივება.

წიგნს ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია, რომელიც, ერთი მხრივ, იძლევა ინფორმაციას წინამდებარე წიგნის ძირითად და დამხმარე წყაროებზე, მეორე მხრივ კი სარეკომენდაციო დანიშნულებისაა იმ პირთათვის, ვინც გადაწყვეტს, უფრო ღრმად, ფართოდ და საფუძვლიანად გაეცნოს საკუთარი სახელის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებულ შრომებს.

ონომასტიკა ენათმეცნიერების შედარებით ახალი დარგია. მისი მეცნიერებად ჩამოყალიბება დასრულდა XX ს. მეორე ნახევარში. „ონომასტიკის შესავალი“, რომელშიც გამარტივებულად და შემოკლებით გვაქვს წარმოდგენილი თანამედროვე ონომასტიკის ძირითადი საკითხები, ქართულ ენაზე ამ დარგის სახელმძღვანელოს შექმნის პირველი ცდაა. მისი მოცულობა, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, წინასწარვე იყო შეზღუდული უმაღლესი სასწავლებლების სასწავლო პროგრამით (ონომასტიკის არჩევით კურსს დათმობილი აქვს ერთი კრედიტი, რაც შეადგენს 13 სალექციო საათს და ორ სემინარს). აქედან გამომდინარე, მას თემატური სისრულისა და ყველა საკითხის სიღრმისეულად განხილვის პრეტენზია არა აქვს.

ავტორი მადლიერებით მიიღებს და გაითვალისწინებს ყველა საქმიან შენიშვნას.

თებერვალი, 2005.

შესავალი

**§ I. ონომასტიკური კვლევა-ძიების ისტორიდან
საქართველოში**

ადამიანი თავისი ბუნებით ცნობისმოყვარე არსებაა. ერთ-ერთი კითხვა, რაც მას ხშირად უჩნდება, ასეთია: რატომ დაერქვა ამ კონკრეტულ ობიექტს (ადგილს, ადამიანს...) მანცდამანც ეს სახელი?

კითხვა ბუნებრივია, მაგრამ არა მარტივი. თითოეულ ენაში მოიპოვება ათასობით და ათი ათასობით ისეთი საკუთარი სახელი - ტოპონიმი თუ ანთროპონიმი, რომლის ეტიმოლოგიზებაც ვერ ხერხდება ონომასტიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზეც კი.

ევროპულმა ონომასტიკამ (შესაბამისად რუსულმაც და ქართულმაც), როგორც ენათმეცნიერების დარგმა, ჩამოყალიბების სამი ეტაპი განვლო: 1. წინარემეცნიერული; 2. ისტორიოგრაფიული; 3. ენათმეცნიერული.

1.1. წინარემეცნიერული ეტაპი გრძელდებოდა XIX ს. დამდეგამდე, კერძოდ, ენათმეცნიერებაში ისტორიულ-შედარებითი მეთოდის შემუშავებამდე. ეს პერიოდი გამოირჩეოდა საკუთარ სახელთა დილექტანტური (სამოყვარულო) ეტიმოლოგიების სიჭარბით, თუმცა არც მეცნიერული თვალსაზრისით მისაღები და დასაბუთებული განმარტებებიც არ არის იშვიათი. ქართულ სინამდვილეში საკუთარი სახელების წარმომავლობასა და მოტივაციაზე მეცნიერულად გამართული მსჯელობანი ჯერ კიდევ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაშია მოცემული. მაგალითად, X ს. I მეოთხედში დაწერილი „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ იმ მონაკვეთში, სადაც აღწერილია სერაპიონისა და ძმათა მისთა მიერ სამონასტრე ადგილის ძებნის ამბავი, ავტორი იძლევა იმ ადგილთა სახელების ახსნა-განმარტებას, რომელთაც გზადაგზა ხვდებიან. ერთგან სერაპიონი იკითხავს: „რად ეწოდების

ადგილსა ამას?“ მასპინძელი (სახელად ია) უპასუხებს: „რამეთუ არს ესე შესაკრებელი ნადირთა ველისათაჲ... ბაკთა ეწოდების“ (ძვ. ქართულში ბაკი საჩხია); მეორეგან განმარტებულია ტბის სახელი: „ესე არს ტბაჲ მღვრიე ყოვლადვე, რომელსა ეწოდების სათახვე, და არს ამას შინა სიმრავლე თახვთა“. შემდგომ სერაპიონი დაინტერესდება მთით, როპელიც მათ წინ აღიმართა. მასპინძელი უხსნის: „მთაჲ ესე მაღალი არს თავი ყოველთა ამათ ქედთაჲ, რომელსა ჰრქვან თავი შეშათაჲ, რამეთუ თავი არს ყოველთა ამათ მაღნართაჲ, ამისათჳს შეშისთაჲ ეწოდების“ (შეშისთაჲ ნიშნავს „ტყისთაჲ“). როგორც ვხედავთ, მწერლისეული ეტიმოლოგიების გარეგნობრივი და ენობრივი საბუთიანობა ყველა შემთხვევაში მეცნიერულია, მოტივაცია - დამაჯერებელი.

ასევე დამაჯერებლადაა ახსნილი ანთროპოტოპონიმ წერტაჲსნი-ს წარმომავლობა 951 წელს დაწერილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „უამსა... ხანძთას ეპიტჲანედს მამობასა იყო ვინმე კაცი მდიდარი ანჳკორას და სახელი მისი წერტაჲ და აწ რომელ წერტაჲსნი ჰქვან, ... თხათა მისთა სადგურ ყოფილ არს“. აქ სადგური ნიშნავს სადგომს. აშკარაა, რომ მიკროტოპონიმი წარმოქმნილია საზღვრული სიტყვის ელიპტირების გზით: ადგილნი წერტაჲსნი → წერტაჲსნი.

ქართველი მემატეიანეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამეფო დინასტიისა და დიდებულთა საგვარეულოების წარმომავლობის საკითხს, ასახელებდნენ ეთნარქებს (რომელთაგან მომდინარეობენ კავკასიის ტომთა სახელები) და ეპონიმებს (რომელთაც სათავე დაუდეს ამა თუ იმ საგვარეულოს). ნიშანდობლივია, რომ ეს ეპონიმები, როგორც წესი, უცხოქვეყნელები იყვნენ. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მწიგნობრებს, სახარების განმარტებათა მთარგმნელებს, საკუთარ სახელთა განმარტებებიც გადმოჰქონდათ, რაც, როგორც გადმოღების მეთოდი, არცაა გამართლებული, მაგრამ მასში ჩანს ონომასტიკური მიდგომის ელემენტებიც.

ცნობილ საისტორიო-საგეოგრაფიო თხზულებაში „აღწერა

სამეფოსა საქართველოსა“ (1745 წ.) ვახუშტი ბატონიშვილი გზადაგზა იჩენს დაინტერესებას ამა თუ იმ ჰიდრონიმის, ორონიმის, ოიკონიმის წარმომავლობით. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილებულია სახელდების მოტივაციაზე, ანუ იმ გარეენობრივ ფაქტორებზე, რომლებიც სახელდების საფუძველი გამხდარა. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს: თრუსოს ხეობის სამი სახელწოდების ტოპონიმამდელი მნიშვნელობა ასეა განმარტებული: „ბრუცსაბძელი ეწოდა, ვინაჲთგან არს მზგავსი საბძლისა და უქმი, ხოლო ზეკარა – კარსავით მყოფისა, სადა გავლის მას შორის გზა, და კედელა – ამართებით ყოფისათვის კედელსავით“ (ვახუშტი, გვ. 633); მდ. წყალწითელაზე ნათქვამია: „მოიგო სახელი წითლის მიწისათვის, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების“ (გვ. 752). თბილისის უბან სეიდაბაღზე კი ნათქვამია: „აქ დასხნა შასეფინ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბაღს“ (გვ. 334), ანუ სეიდების უბანს...

მაგრამ არცთუ იშვიათად ვახუშტისეული განმარტებანი ხალხური ეტიმოლოგიების გამეორებაა. მაგალითად, 307-ე გვერდზე ნათქვამია: „დებედა... ამისთჳს იწოდა, „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“, ხოლო აწ დებედა“ (გულისხმობს, რომ ამ მდინარის წყლით ირწყვება ბაღ-ბოსტნები), ხოლო ჰიდრონიმი მაშავერი თურმე წარმოქმნილა „ქციის რთვისათვის“: „მა, შავერიე ქციასა“ (გვ. 314). „მდინარე ტეხური იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს კიდსა თუ სხუასა რაის“ (გვ. 777). მართალია, ტეხურის სარწმუნო ეტიმოლოგია არ მოგვეპოვება, მაგრამ ცხადია, რომ ქართული „ტეხ“ ფუძე სამეგრელოში მდინარის სახელს ვერ წარმოქმნიდა (მეგრული ფონეტიკურ-სემანტიკური შესატყვისია „ტახ“ (ტახჯნს „ტეხს“). აქედან გამომდინარე, ტეხურთან დაკავშირებული მსჯელობა ცრუ, ხალხურ ეტიმოლოგიას უფრო ჰგავს, ვინემ მეცნიერულს.

1.2. ისტორიოგრაფიული ეტაპი. ონომასტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, განვითარებაში მთელი XIX საუკუნე

და XX საუკუნის დამდეგი ითვლება გარდამავალ ეტაპად. ამ ეტაპისათვის ევროპაშიც, რუსეთშიც და საქართველოშიც (საქართველოში რამდენიმე ათწლეულის დაგვიანებით) დამახასიათებელია განსაკუთრებული გატაცება ცალკეული საკუთარი სახელების (განსაკუთრებით, ტოპონიმების) ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზით და სათანადო შედეგების ჩართვა ქვეყნისა და ხალხის წარსულის, მოსახლეობის მიგრაციისა და სხვ. პრობლემურ საკითხებზე მსჯელობისას. რუსულ ენათმეცნიერებაში XIX ს-ში მნიშვნელოვანი ონომასტიკური შრომები შექმნეს ა. ვოსტოკოვმა, ნ. ნადეჟდინმა, ნ. ბორსოვმა (ტოპონიმიაში), მ. მოროშკინმა (ანთროპონიმიაში) და სხვ. ხოლო XX ს-ში - ა. სობოლევმა, ა. შახმატოვმა, მ. ფასმერმა და სხვ. ამ თვალსაზრისით ჩვენთვის მეტად საყურადღებო მოსაზრებანი აქვთ გამოთქმული მ. ჯანაშიელს, ივ. ჯავახიშვილს, ნ. მარს, ნ. ბერძენიშვილს, ს. ჯანაშიას, უფრო მოგვიანებით გ. მელიქიშვილს და სხვებს.

ივ. ჯავახიშვილმა სწორედ ტოპონიმურ მასალაზე დაკვირვებით დაასკვნა, რომ აქარა, გურია, ქვემო იმერეთი და ქვემო ლეჩხუმი ზანთა უწინდელი სამკვიდრებელი ყოფილა, მაგრამ VI-VII საუკუნეებში ერთ-ერთი ქართული ტომი აღმოსავლეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან ზანურენოვანი ტერიტორიის შუაგულში შეჭრილა და მეგრელები და ლაზები ერთმანეთისათვის დაუშორებია.

ქართველ ენათმეცნიერთა - ი. ყიფშიძის, არნ. ჩიქობავას, ი. მეგრელიძის - მიერ ჩატარებულმა ისტორიულმა და ენათმეცნიერულმა კვლევა-ძიებამაც ცხადყო, რომ გურია, ქვემო იმერეთი და ლეჩხუმის ქვემო ნაწილი მეგრული მეტყველების არეს წარმოადგენდა. ამის დამადასტურებელ მასალას უხვად პოულობენ გურული, იმერული, ნაწილობრივ, ლეჩხუმური დიალექტების ლექსიკასა და გრამატიკაში, განსაკუთრებით კი - ტოპონიმიაში. აღმოჩნდა, რომ ზემოთ აღნიშნული რეგიონების მასალაში დადასტურებული ო- პრეფიქსიანი და -(ი)ში დაბოლოებიანი ტოპონიმები მეგრულის სუბსტრატია. ამჟამად

თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეული ქართული რეგიონების ისტორიული გეოგრაფიისა და ანთროპონიმიის კვლევა-ძიების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ს. ჭიქიას ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც მოიცავს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მასალის ანალიზს.

საერთოდ კი, საქართველოში ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების ფართო მეცნიერული კვლევის დაწყება ივანე ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული.

1.3. ენათმეცნიერული ეტაპი საენათმეცნიერო დარგად ონომასტიკის ჩამოყალიბებისა რუსეთში იწყება XX ს. 20-იან წლებში და გრძელდება საუკუნის დამლევამდე. ამ ეტაპისათვის ნიშანდობლივია ონიმური მასალის გააზრება როგორც ენის თავისებური განსაკუთრებული კატეგორიისაა თავისი ლექსიკით, ფონეტიკითა და მორფოლოგიით - მაშინდამე, იმ აუცილებლობითაც, რომ იგი უნდა შეისწავლოს დამოუკიდებელმა სამეცნიერო დარგმა.

ამ პერიოდში იყო ცდა, ონომასტიკა (განსაკუთრებით ტოპონიმიკა, რომელიც უფრო განვითარებულია, ვინემ ონომასტიკის სხვა დარგები) გამოეცხადებინათ კომპლექსურ, ანუ მეცნიერებათაშორის მეცნიერებად, რომელიც დგას ენათმეცნიერების, ისტორიის, ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის მიჯნაზე. სინამდვილეში ონიმიას, როგორც ენის ლექსიკური ფონდის სპეციფიკურ, თავისებურ ნაწილს, შეისწავლის საენათმეცნიერო დისციპლინა - ონომასტიკა, მაგრამ ამავე დროს, ისტორიკოსსაც, ეთნოგრაფსაც, გეოგრაფსაც აქვს სრული უფლება და სჭირდება კიდევ იკვლიოს იგი თავისი მეცნიერული პრობლემათიკის საჭიროებისათვის. საამისოდ კი იგი აღჭურვილი უნდა იყოს ენათმეცნიერული მეთოდოლოგიით... ენათმეცნიერსაც, რა თქმა უნდა, სჭირდება გეოგრაფიული ცოდნა იმ პუნქტისა, რომლის სახელის ეტიმოლოგიასაც იკვლევს.

რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ონომასტიკის, როგორც ენათმეცნიერების დარგის, ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ო. ბელეცკაიას, ს. ზინინის, ვ.

ბონდალეთოვის, მ. კარპენკოს, ა. მატვევის, ე. მურზაევის, ვ. ნიკონოვის, ნ. პოდოლსკაიას, ა. პოპოვის, ე. პოსპელოვის, ვ. ყუჩკევიჩის, ა. სელიშჩევის, ა. სუპერანსკაიას, ვ. ტოპოროვის, ლ. უსპენსკის და სხვათა თეორიული ხასიათის მონოგრაფიებმა.

1.4. XX ს. 70-იანი წლებიდან საქართველოში ონომასტიკის რიგ თეორიულ საკითხებზე მსჯელობისა და ქართული ტოპონიმიისა და ანთროპონიმიის კონკრეტული საკითხების ღრმა მეცნიერული კვლევის დაწყება დაკავშირებულია სამი ცნობილი ენათმეცნიერის ალ. ლლონტის, ზ. ჭუმბურიძისა და ი. მაისურაძის სახელებთან.

ალექსანდრე ლლონტის „ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლების“ (სახელმძღვანელო პედინსტიტუტის სტუდენტებისათვის, II გამოცემა, თბ., 1971) შესამე თავში „ქართული ონომატოლოგია“, აგრეთვე 10 წიგნად გამოცემული „ტოპონიმიკური ძიებანის“ შესავალ ნაწილებსა და ცალკეულ სტატიებში გარკვეულია ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის ისეთი ზოგადი საკითხები, როგორცაა: ონომატოლოგიის საგანი, საკუთარ სახელთა რაობა, სპეციფიკა, სტრუქტურა და სემანტიკა, ტოპონიმთა კატეგორიები სახელდებული ობიექტის სიდიდე-სიმცირის მიხედვით (მიკრო-, მაკრო- და საკუთრივ ტოპონიმები), ტოპონიმთა აღწერის მეთოდისა და კლასიფიკაციის საკითხები, ტოპონიმური მასალის კვლევა-ძიების მეთოდები და ხერხები, აპელატივის ტოპონიმიზაცია და სხვ. მკვლევარი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სიტყვათწარმოება და ონომატოლოგია სწორედ ლექსიკოლოგიის სფეროში შემოდის და აქ უნდა განიხილებოდეს“.

ზურაბ ჭუმბურიძის „რა გქვია შენ?“ მრავალჯერ გამოიცა და შეივსო, მოყოლებული 1966 წლიდან. მართალია, მკვლევარი აღნიშნავს, რომ წიგნში მოკლედ და პოპულარული ფორმით არის განხილული ქართული სახელებისა და გვარების სტრუქტურა, წარმომავლობა, მნიშვნელობა, მაგრამ იგი ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის კონკრეტულ საკითხებთან ერთად მრავალ ზოგადთეორიულ საკითხსაც შეეხება და

საკმაოდ სრულ წარმოდგენას გვიქმნის ქართული ონომასტიკის თანამედროვე დონის შესახებ.

ქართული ანთროპონიმიკის მეტად საინტერესო შენაძენია ი. მაისურაძის „ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია)“, თბ., 1973. იგი ქართულ სინამდვილეში პირველი სამეცნიერო-მეთოდოლოგიური ხასიათის მონოგრაფიაა, რომელშიც ევროპული და რუსული ანთროპონიმიკული თეორიების ფონზე განხილულია ქართული გვარსახელების ისტორიის, აგებულებისა და სემანტიკის საკითხები, ფონეტიკური პროცესები, გვარსახელთა და შტოგვარის სახელთა გეოგრაფია მათი დაბოლოებების მიხედვით, გვარსახელთა ფუძეების სტრუქტურა და სხვ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ქართული ონომასტიკა გამდიდრდა ბესარიონ ჯორბენაძის „ონომასტიკური გულანით“ (თბ., 1993), რომელშიც მარტივად და, ამავე დროს, მეცნიერული სიღრმითა და სისრულით არის გადმოცემული საკუთარი სახელის შემსწავლელი მეცნიერების ძირითადი დებულებანი. წიგნი ეძღვნება საკუთარი სახელის ადგილისა და დანიშნულების გარკვევას. პირველსავე თავში „საკუთარი სახელის რაობისათვის“ განხილულია საკითხები: საკუთარი სახელის ადგილი ლექსიკურ ფონდში, მისი ფორმა, მნიშვნელობა და დანიშნულება, მოტივაცია და სახელდების პრობლემები და ა.შ. სხვა თავებში მკვლევარი ყურადღებას ამახვილებს ონომასტიკისა და დიალექტოლოგიის ურთიერთმიმართებაზე, ტოპონიმთა კლასიფიკაციის პრინციპებსა და ეტიმოლოგიის მეთოდოლოგიაზე და სხვ.

ორიოდე წლის წინ გამოვიდა გ. ხორნაულის თითქმის 500-გვერდიანი „ქართული ონომასტიკა“ (თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2003). მართალია, ავტორი აღნიშნავს წიგნის შესავალში, რომ მასში „საკუთარი კვლევის შედეგებია წინა პლანზე წამოწეული“, მაგრამ ფაქტია, რომ ყველა შემთხვევაში ქართული ონიმური მასალის ანალიზს წინ უძღვის შესაბამის ზოგად საკითხებზე ვრცელი მსჯელობა. მეორე მხრივ, კონკრეტულ თეორიულ საკითხებზე მსჯელობისას (იხ.

შესავალ ნაწილში წარმოდგენილი პარაგრაფები: ონომასტიკა მეცნიერებათა მიჯნაზე, ონომასტიკა და ენათმეცნიერება, ონომასტიკა და ისტორია, ონომასტიკა და გეოგრაფია, ონომასტიკა და ეთნოგრაფია) უხვადაა ჩართული ქართული მასალა (ჯერო ადრე, კერძოდ, 2000 წელს, გ. ხორნაულმა გამოსცა „ქართული გვარების წარმოშობის შესახებ“).

საკუთარ სახელებს – ტოპონიმებსა და ანთროპონიმებს, რომლებიც შემოუნახავს ქართულ თუ არაქართულ წილობით წყაროებს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის ჩრდილოეთის შესასწავლად. საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემების ფართო მასშტაბით კვლევის დაწყება, იოგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ივ. ჯავახიშვილის ახელთანაა დაკავშირებული. XX ს. 70-იანი წლებიდან კი წარმატებით გრძელდებოდა ისტორიული თუ თანამედროვე ონიმური მასალის ისტორიულ-ეთნოგრაფიული ასპექტით კვლევა. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია დ. მუსხელიშვილის ორტომეული მონოგრაფია „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ (I, 1977 წ., II, 1980 წ.), რომლებშიც გაშუქებულია ფეოდალურ სახელმწიფოდ საქართველოს ჩამოყალიბების ისტორია უძველესი ხანიდან ბაგრატ III-ის ეპოქამდე (XII ს. დამდეგამდე). აქვე უნდა დავასახელოთ თ. ბერაძის, ჯ. გვასალიას, დ. ბერძენიშვილის, გ. გრიგოლიას, კ. ხარაძის და სხვათა მონოგრაფიები. კ. ხარაძეს ეკუთვნის გეოგრაფიის ფაკულტეტის სტუდენტთა სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორიული გეოგრაფია“ (თბ., 2003).

საკუთარი სახელი, განსაკუთრებით ანთროპონიმია, შეისწავლება ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ქართული გვარების თეორიული და მთის რეგიონების გვარსახელთა ისტორიისადმი მიძღვნილი მონოგრაფიები, რომელთა ავტორია რ. თოფჩიშვილი. ესენია: „ღეჩხუმიური გვარსახელები“ (თბ., 1993), „მოხეური გვარსახელები“ (თბ., 1998); „როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები“ (თბ., 1997), „ქართული გვარსახელების ის-

ტორიიდან“, წიგნი I (თბ., 2003), „ეთნოისტორიული ეტიუდები“, წ. I (თბ., 2005) და სხვ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ონომასტიკის ამა თუ იმ საკითხზე სადოქტორო დისერტაციები დაიცვეს (გვარები დასახელებულია ანბანური რიგით): გ. ბედო-შვილმა, მ. ბერიძემ, რ. თოფჩიშვილმა, ფ. მაკალათიამ, ვ. მალრაძემ, მ. ქამადაძემ, პ. ცხადაიამ, კ. ხარაძემ, გ. ხორნაულმა, ხოლო ამავე დარგში XX ს-ის II ნახევარში დაცული საკანდიდატო დისერტაციების რაოდენობა გაცილებით მეტია. თავისთავად ეს ფაქტი აშკარად მეტყველებს, რომ საქართველოში ფართოდ არის გაშლილი ონომასტიკური კვლევა-ძიება, თუმცა გასარკვევი და გასაანალიზებელი კვლავაც აქარბებს ნაკვლევს.

1.5. ყოველგვარი კვლევა საჭირო მასალის მოპოვებით იწყება. ონომასტიკა ონიმურ მასალას იკვლევს. ეს მასალა კი ან წერილობით წყაროებშია დაფიქსირებული, ან ხალხის მემსიერებაშია დაუნჯებული. წერილობითს წყაროებში სქელტანიანი საისტორიო მათიანებიც იგულისხმება და ამა თუ იმ მუზეუმის თაროზე შემოდებული (და ხშირ შემთხვევაში მივიწყებული) ერთგვერდიანი „შეწირულობის წიგნიც“. რაც შეეხება ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებას „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, მისი ძირითადი ნაწილი, ფაქტობრივად, საქართველოს გეოგრაფიაა, რომელშიც ქვეყნის ყველა კუთხის ტოპონიმიც არის წარმოდგენილი (მეტ- ნაკლები სისრულით).

წერილობითი ისტორიული წყაროების საფუძველზე შედგენილი ტოპონიმური თუ ანთროპონიმული ლექსიკონ-ცნობარი მხოლოდ ორიოდ მოგვეპოვება: 1. ზ. ალექსიძე- შ. ბურჯანაძის მიერ მომზადებული „მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I (X-XVII სს-ის ისტორიული დოკუმენტების მიხედვით)“, თბ., 1964; 2. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში მომზადებული „პირთა ანოტირებული ლექსიკონი (XI-XVIII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით)“, რომლის მხოლოდ I-III ტომებია გერჯერობით გამოცემული.

რეგიონული ონიმური მასალის აღწერა-ფიქსაციასა და პუბლიკაციას ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს არა ოდენ საკუთრივ ონომასტიკისათვის, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფიის, გეოგრაფიის, და სხვა მეცნიერების რიგი საკითხების შესწავლისათვის.

ტოპონიმის რეგიონული მასალების აღწერა-პუბლიკაციის პიონერები საქართველოში იყვნენ ისტორიკოსები. კერძოდ, იური სიხარულიძე და ვალერიან ითონიშვილი. პირველი სერიოზული და წარმატებით დაგვირგვინებული ცდა მთელი რეგიონის ტოპონიმის დაწვრილებითი აღწერისა და მოპოვებული მასალის ანალიზისა იყო ი. სიხარულიძის „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია“ ორ წიგნად (1958, 1969 წწ.), რომელშიც დეტალურად, სასოფლო საბჭოებისა და სოფლების მიხედვით, არის აღწერილი ტოპონიმური მასალა. მას ახლავს შენიშვნები, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სახელწოდების ისტორიის, ენობრივი და გარეენობრივი მოტივაციის დასადგენად. საისტორიო გეოგრაფიისათვის მეტად მნიშვნელოვანია ამავე ავტორის „ქანეთი“ (ლაზეთი). საისტორიო გეოგრაფიის მასალები, I, ბათუმი, 1977. ი. სიხარულიძეს სხვა რეგიონების ტოპონიმიაც აქვს გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში (მათ აქ არ ვეხებით).

ვალერიან ითონიშვილის „ხევის ტოპონიმია“ (თბ., 1971) ორი ნაწილისაგან შედგება. პირველი ნაწილი წარმოადგენს ტოპონიმთა სიას (? ათასზე მეტი ერთეული) სოფლების მიხედვით, ხოლო მეორე ნაწილში, როგორც ავტორი შესავალშივე აღნიშნავს, „მოცემულია მათი შინაარსის ახსნა ისტორიული წყაროების, ეთნოგრაფიული მონაცემების, ფოლკლორული მასალებისა და სპეციალური ლიტერატურის დახმარებით. ლინგვისტურ ძიებას შეგნებულად ავარიდეთ თავი, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ამ მასალით ენათმეცნიერებიც დაინტერესდებიან“.

რეგიონული ტოპონიმური მასალების ჩაწერა-პუბლიკაციის საქმეს დიდი გულისყურით მოეკიდა ცნობილი ლექსიკოლოგი და

ონომასტიკა ალ. ლლონტი. იგი თავის დამოკიდებულებას ადგილის სახელებისადმი ასე გამოხატავს: „ტოპონიმია ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ლინგვისტური თვალსაზრისით გვინტერესებს, რადგან ტოპონიმებს ვუცქერით როგორც ენის ლექსიკურ ერთეულებს და მის ცალკე რკალებს ლექსიკოლოგიის თვალთ ვაფასებთ“. ამგვარი დამოკიდებულება ჩანს მკვლევრის „ტოპონიმური ძიებანის“ ათსავე წიგნში (პირველი წიგნი გამოიცა 1971 წ.), რომლებშიც წარმოდგენილია საქართველოს სხვადასხვა კუთხის ტოპონიმთა მოკლე ლექსიკონები.

ტოპონიმთა რეგიონული მასალის აღწერა-პუბლიკაციისა და კვლევისადმი ენათმეცნიერული მიდგომის თვალსაზრისით აღსანიშნავია გ. ბედოშვილის „ერწო-თიანეთის ტოპონიმია“ (თბ., 1980) და გ. ხორნაულის „მთები და სახელები (მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონიმური მასალები და ძიებანი)“ (თბ., 1982). ერწო-თიანეთი და მთიულეთ-გუდამაყარი სწორედ ის რეგიონებია, რომლებიც ტოპონიმისტის თვალთახედვის არეში მანამდე არ იყო მოქცეული.

გ. ბედოშვილის ზემოთ აღნიშნული წიგნი ორი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი კვლევითია და მიზნად ისახავს რეგიონის ტოპონიმთა სტრუქტურის შესწავლას, წარმოქმნის ძირითადი საშუალებების გამოვლენას, გეოგრაფიული სახელების ენათმეცნიერული თვალსაზრისით განხილვას, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს ერწო-თიანეთის ტოპონიმთა მოკლე განმარტებით ლექსიკონს, საერთო ანბანის რიგზე გაწყობილს. წარმოდგენილია 2 ათასამდე სახელწოდება, რომელთაც, დენოტატისა და შესაბამისი სოფლის დასახელების გარდა, უმეტეს შემთხვევაში ახლავს ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური კომენტარები.

გ. ხორნაული „მთები და სახელების“ ანოტაციაშივე აუწყებს მკითხველს: „წიგნში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის ორი კუთხის, მთიულეთისა და გუდამაყრის ტოპონიმია. მოცემულია ავტორის მიერ ადგილზე დეტალურად აღწერილი 7000 ტოპონიმის შინაარსობრივი და ენათმეცნიერული ანალიზი, სემასიოლოგიური კლასიფიკაცია, გამოვლინებულია სახელების პრინციპები; განხილულია მარტივი, რთული და შედგენილი

ტოპონიმების ჯგუფები, გამოყოფილია "შედგენილ ტოპონიმთა მოდელები; ახსნილია ზოგიერთი უცნობი ტოპონიმი". გარდა მიმოხილვითი ნაწილისა, წიგნში წარმოდგენილია ტოპონიმური მასალა (ცხადია, ანბანური რიგით, სათანადო შენიშვნებით).

განვლილი ორი ათეული წლის მანძილზე ქართული ონომასტიკური ლიტერატურა საკმაოდ გამდიდრდა. დავასახელებთ მხოლოდ მონოგრაფიებსა და ლექსიკონებს ტოპონიმიკისა და ანთროპონიმიკის სფეროდან (გარდა ზემოთ დასახელებული ნაშრომებისა): პ. ცხადია, მთიანი სამეგრელოს ტოპონიმი (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985; ალ. ღლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1986 (პირველი ნაწილი წარმოადგენს გამოკვლევას, მეორე – ანთროპონიმთა ლექსიკონს); ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1990; მ. ბერიძე, ჯავახეთი (ტოპონიმიკური ანალიზი), თბ., 1992; უ. სახლთხუციშვილი, ადგილის დედა, ანუ რას მოგვითხრობენ ტოპონიმები, I, თბ., 1997; პ. ცხადია, ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიდან, I, თბ., 1999; პ. ცხადია, გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2000; ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმი, ბათუმი, 2000; დ. შავიანიძე, ოკრიბული გვარსახელები, ქუთაისი, 2002; ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002; ქართული გვარსახელები რაჭაში, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისი, 2002; კ. ხარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბ., 2003; პ. ცხადია, ვ. ჯოჯუა, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003; პ. ცხადია, ვ. ჯოჯუა, რაჭის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003; პ. ცხადია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, წალენჯიხის რაიონი, თბ., 2004; პ. ცხადია, სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმი (ენათმეცნიერული გამოკვლევა), თბ., 2004; ქართული გვარსახელები იმერეთში, შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისი, 2004.

აქვე უნდა დავასახელოთ მარტვილის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის თანამშრომელთა მიერ გამოცემული ტოპონი-

მური მასალები: 1. გ. ელიავა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია, თბ., 1977; 2. მისივე: სენაკის რაიონის ტოპონიმია, თბ., 1989; 3. გ. ელიავა, გ. ფარულავა, გ. შენგელია, ჩხოროწყუს რაიონის ტოპონიმის კატალოგი, თბ., 1983 (შველევარსა თუ რიგითს მკითხველს უნდა ვურჩიოთ, კრიტიკულად მიუღდეს დასახელებულ წიგნებში წარმოდგენილ ეტიმოლოგიებს, რომელთა ძირითადი ნაწილი გადააზრების შედეგად წარმოქმნილი ცრუ ხალხური ეტიმოლოგიების შთაბეჭდილებას ტოვებს).

§ 2. ონომასტიკური კვლევა-ძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

XX საუკუნის შუა წლებისათვის ტოპონიმის აღწერა-პუბლიკაციასა და კვლევას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში. ტოპონიმთა შემსწავლელი ორგანიზაციები შეიქმნა ბელგიაში, ჰოლანდიაში, შვეციაში, ინგლისში, საფრანგეთში, აშშ-ში, მრავალი ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში იკითხებოდა ტოპონიმის სპეციალური კურსები, ზოგან ტოპონიმის კათედრაც კი არსებობდა.

ტოპონიმითა და ტოპონიმით დაინტერესებას მხარი აუბეს საბჭოთა კავშირშიც: იმართებოდა საერთაშორისო კონგრესები, საკავშირო თათბირ-სემინარები და სამეცნიერო სესიები, გამოდიოდა კრებულები. ტოპონიმისტთა ძლიერი კოლექტივები მოღვაწეობდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში, ვილნიუსში, რიგაში, ლვოვში, ტომსკში, სვერდლოვსკში, ზოგ უნივერსიტეტში ტოპონიმია სასწავლო დისციპლინად იქცა.

საქართველოში თავდაპირველად (XIX ს. და XX ს. I ნახევარი) ტოპონიმთა მიმართ ყურადღების გამახვილება ძირითადად ისტორიკოსთა და ეთნოგრაფთა სამეცნიერო ინტერესებით (ქვეყნისა და ხალხის წარსულის შესწავლით) იყო განპირობებული. ცალკეული ტოპონიმებისა თუ ტოპონიმთა ჯგუფის შესახებ მსჯელობებს

ხშირად ვხვდებით მ. ბროსეს, დ. ბაქრაძის, ე. თაყაიშვილის, ა. ხახანაშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, აგრეთვე ენათმეცნიერთა — ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯიქიას, გ. თოფურის, ქ. ლომთათიძის და სხვათა გამოკვლევებში. მაგრამ ტოპონიმია, როგორც ენის ლექსიკური ფონდის განუყრელი ნაწილი და, მაშასადამე, ლექსიკოლოგიის საგანი, არც ენათმეცნიერებს და არც ისტორიკოსებს საგანგებოდ არ უკვლევიათ.

XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან ვითარება საგრძნობლად შეიცვალა. რესპუბლიკის მთავარ გაზეთში გამოქვეყნდა ნ. კეცხოველის, ალ. დლონტის, ლ. მარუაშვილის წერილები, რომელთა ავტორებიც საზოგადოებას უხსნიდნენ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ადგილის სახელებს და რამდენად არის აუცილებელი და დროული მათი აღნუსხვა და კვლევა-ძიება, მით უმეტეს, რომ ამ დროისათვის ქართველ მკითხველს უკვე ხელთ ჰქონდა ი. სიხარულიძის ზემოთ დასახელებული წიგნი.

პირველი პრაქტიკული ნაბიჯი რესპუბლიკაში ტოპონიმური მასალის აღწერის გეგმაზომიერად წარმართვის საქმეში გადადგა მაშინ ჯერ კიდევ დოცენტმა ფარნაოზ ერთელიშვილმა: 1965 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა საუნივერსიტეტო ტოპონიმური საზოგადოება, რომლის გამგეობას თავად ფ. ერთელიშვილი ჩაუდგა სათავეში (გამგეობაში შედიოდნენ: პროფ. არნ. ჩიქობავა, თსუ თანამშრომლები და ასპირანტები — ა. ალექსიძე, რ. გორდენიანი, თ. კვაქანტირაძე, ი. კიკნაძე, სტუდენტი პ. ცხადია). მაგრამ მალევე ცხადი გახდა, რომ ისეთი დიდი საქმის წარმატებით მოგვარება, როგორც საქართველოს მთელი ტერიტორიის ტოპონიმის აღწერა და მოპოვებული მასალის შესწავლა-გამოცემაა, საზოგადოებრივ საწყისებზე ვერ განხორციელდებოდა. „ამიტომ აუცილებელია ჩამოყალიბდეს ტოპონიმის შემსწავლელი რესპუბლიკური ცენტრი, სადაც უნდა დაგროვდეს დღემდე აღნუსხული ტოპონიმური მასალა და გეგმაზომიერი ხასიათი მიეცეს ტოპონიმის აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებულ მთელ საქმიანობას რესპუბლიკაში“, — წერდა ფ.

ერთელიშვილი 1967 წელს მთავრობისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში (ერთელიშვილი, 1998, გვ. 41-42).

მართლაც, ფ. ერთელიშვილისა და კათედრის გამგის, პროფ. შ. ძიძიგურის ძალისხმევამ შედეგი გამოიღო და 1969 წელს თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან დაარსდა ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი - ტოპონიმიკის ლაბორატორია. მისი საქმიანობის ძირითად მიმართულებად განისაზღვრა: 1. საქართველოს რესპუბლიკის მთელი ტერიტორიის დაწვრილებითი ტოპონიმიკური აღწერა; 2. ჩაწერილი მასალის საარქივოდ გამზადება, სისტემატიზაცია და გამოცემა; 3. სამეცნიერო კვლევა-ძიება. 80-იან წლებში ამას დაემატა დასახლებული პუნქტებისათვის ისტორიული სახელების დასაბრუნებლად ან ახალშექმნილი დასახლებისათვის სახელის შესარჩევად მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების შემუშავება. ამასთანავე, ლაბორატორიამ გააფართოვა სამეცნიერო მოღვაწეობის სფერო, დაიწყო ქართულ-ქართველური ანთროპონიმიისა და ზოონიმიის მასალების მოპოვება და ანალიზი. აქედან გამომდინარე, 1992 წ. მას ეწოდა ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია და მიენიჭა პროფ. ფ. ერთელიშვილის სახელი.

ლაბორატორიის თანამშრომლებს იმთავითვე განესაზღვრათ აღსაწერი რეგიონები: უ. სახლთხუციშვილს - კახეთი, მ. ბერიძეს - სამცხე-ჯავახეთი, ს. მელიქიძეს - ქართლი (ქართლის ტოპონიმიის აღწერაში შემდგომ ჩაერთო ქ. გოდერძიშვილიც), მ. კემულარიას - ქვემო ქართლი, ფ. მაკალათიას - ფშავი, გ. ხორნაულს - მთიულეთ-გუდამაყარი, ხევსურეთი, ხევი, შ. აფრიდონიძეს, ი. ბაქრაძეს, ვ. ჯოჯუას - იმერეთი, რ. ძნელაძეს - გურია, ა. კკაღუას - სვანეთი, პ. ცხადაიას - სამეგრელო. 1976-78 წლებში ფ. მაკალათიამ და ვ. ჯოჯუამ დაიარეს რაჭა-ლეჩხუმი, მომდევნო წლებში კი მაშინდელი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რამდენიმე რაიონში ტოპონიმური მასალა ჩაიწერა მ. სანაკოევმა. აჭარის ტერიტორიის აღწერაზე სხვადასხვა დროს მუშაობდნენ ა. ასრათოვი, მ. ბერიძე, მ. კემულარია, რ. ძნელაძე. ა. ასრათოვის ძირითადი სამუშაო ობიექტი იყო საინგილოს ტოპონიმია. მთელ

ამ პერიოდში საქართველოს მთასა და ბარში, დასახლებულ პუნქტებში და დაუსახლებელ ტერიტორიაზე ჩაიწერა 300 ათასამდე დიდი თუ მცირე ობიექტის სახელწოდება, რომლის 80% მაინც შეადგენს მკვლევართათვის მანამდე უცნობ მიკროტოპონიმურ მასალას.

არსებობის 35 წლის მანძილზე ლაბორატორიაში დაცულ იქნა 15-მდე საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია, გამოიცა 7 შრომათა კრებული, საქართველოს ტოპონიმის მასალების 3 ტომი (გათვალისწინებულია ოცტომეულის გამოცემა), ლექსიკონები რეგიონების მიხედვით (იხ. „ლიტერატურა“).

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი – ტოპონიმიკის ლაბორატორია სსრ კავშირში ამ დარგის ერთ-ერთი წამყვანი სამეცნიერო ცენტრი იყო. სწორედ ამიტომაც ერთ-ერთი საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ონომასტიკაში სწორედ საქართველოში გაიმართა. ფუნდამენტურ „ლინგვისტურ-ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ იმ ლინგვისტურ ცენტრებს შორის, რომლებშიც ფართოდაა გაშლილი ტოპონიმიკური კვლევა-ძიება, მოსკოვისა და კიევის ცენტრების შემდეგ დასახელებულია თბილისის უნივერსიტეტის ტოპონიმიკის ლაბორატორია (ЛЭС, М., 1990, გვ. 516).

ვფიქრობთ, კომენტარები ზედმეტია!

თავი პირველი

ონომასტიკური ტერმინოლოგია და
ონომური სახელდების ზოგი საკითხი

§ I. ონიმი, ონიმია, ონომასტიკა

ონიმი, ანუ საკუთარი სახელი, არის სიტყვა, შესიტყვება ან წინადადება (იშვიათად), რომლის საშუალებითაც ხდება ნებისმიერი საგნის (ობიექტის) გამოყოფა-გამოცალკევება მსგავს ობიექტთა სიმრავლიდან, ე.ი. მისი კონკრეტიზაცია, ინდივიდუალიზაცია და იდენტიფიკაცია. ამ საერთაშორისო ონომასტიკურ ტერმინს ქართულ ენაში შეესაბამება „საკუთარი სახელი“, რუსულში *имя собственное*, გერმანულში *Eigenname*, ფრანგულში *nom propre*, ინგლისურში *proper name*. ესენი ლათინური *nomen proprium*-ის კალკებია.

ონიმი და მისი სინონიმი ონომა ძველი ბერძნული ენის ლექსიკური ერთეულებია, მაგრამ, ონომასტიკურ ლიტერატურაში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, სხვადასხვა კლასის საკუთარ სახელთა და ონიმური პროცესების გამომხატველ ტერმინთა ერთ წყებაში გამოიყენება ფუძე „ონიმი“ (მაგ.: ონიმია, ონიმიზაცია, ანთროპონიმი, ტოპონიმი და სხვ.), ხოლო მეორე წყებაში - „ონომა“ (ონომასტიკა, ონომასტიკონი, ონომასტიკური კვლევა, ონომატოლოგი და სხვ.). [ძველი ბერძნული ენის იონიურ დიალექტში სიტყვა ონიმა აღნიშნავდა სახელს, სახელწოდებას, სიტყვას, გამოთქმას, სახელგანთქმულობას, ეოლიურ დიალექტში კი ყველა ამ მნიშვნელობას შეიცავდა სიტყვა ონომა]. ამგვარი ტერმინები ხშირ შემთხვევაში უფრო მოსახერხებელია სიზუსტისა და ლაკონიურობის თვალსაზრისით ან სათანადო ზედსართავი სახელების საწარმოებლად. მაგ., ერთი სიტყვა ონიმიზაცია გამოხატავს პროცესს, რომლის გადმოსაცემდაც ქართულში საჭიროა ხუთსიტყვიანი ფრაზა „საზოგადო სახელის

გადაქცევა საკუთარ სახელად“; ან კიდევ: ონიმური, ანუ „საკუთარი სახელისათვის დამახასიათებელი“, ანთროპონიმი, ანუ „ცხოველ-ფრინველთა სახელი, რომელიც ადამიანის საკუთარი სახელისაგან მომდინარეობს“ და ა. შ.

ზემოთქმულის გარდა, სინონიმია, ისევე როგორც პოლისემია, ძნელი აღმოსაფხვრელია მეცნიერების ნებისმიერი დარგის, მათ შორის ონომასტიკის ტერმინოლოგიაში. მკვლევართა ერთი ნაწილი კიდევ თვლის, რომ, ერთი მხრივ, სინონიმის თავიდან აცილება ვნებს თხრობის მოხდენილობას, გამოთქმის ელემენტურობას, სტილურ მრავალფეროვნებას და იწვევს ლექსიკურ ტაქტოლოგიას, ხოლო მეორე მხრივ, შექცევადი ერთმნიშვნელობა საერთოდ ძნელი მისაღწევია [შექცევადი ერთმნიშვნელობა (რუს. одно-значность) ენობრივი ფორმისა და შინაარსის სრული და ერთმნიშვნელობიანი ურთიერთმიმართებაა. ამ შემთხვევაში ტერმინი *a* გამოხატავს მხოლოდ მნიშვნელობას და პირიქითაჲ, *X* მნიშვნელობა გამოხატება მხოლოდ *a*, და არცერთი სხვა, ტერმინით; ბევრ ევროპულ ენაში, მაგალითად, გერმანულში, ინგლისურში, შვედურში ცნება „მოდღერება საკუთარ სახელთა შესახებ“ გამოხატება სინონიმური ტერმინებით (მაგ., გერმანულში Onomastik, Namenkunde, Namenforschung; ინგლისურში: onomastics, name study და სხვ.)

ტერმინი ონიმი შედის სხვადასხვა სახეობის ობიექტის საკუთარი სახელის აღმნიშვნელ კომპოზიტურ ტერმინებში: ანთროპონიმი, თეონიმი, კოსმონიმი, ტოპონიმი... ონიმთა ერთობლიობას ონიმია ეწოდება. ონიმიაში გამოიყოფა კლასები, ანუ კატეგორიები: ანთროპონიმია, თეონიმია, კოსმონიმია, ტოპონიმია და სხვ. მაშასადამე, შეიძლება გამოვყოთ და ვიკვლიოთ ამა თუ იმ ენის, ტერიტორიის, ისტორიული პერიოდის, მწერლის, მხატვრული ნაწარმოების ონიმია, ანთროპონიმია, ტოპონიმია და ა. შ.

ძველ ბერძნულში ონომასტიკა აღნიშნავდა ყველაფერს, რაც კი საკუთარ სახელთან იყო დაკავშირებული (შდრ.: onomastike tehne „სახელის დარქმევის ხელოვნება“). დროთა განმავლობაში ეს სიტყვა გადაიქცა ენათმეცნიერების იმ დარგის აღმნიშვნელ ტერმინად, რომელიც შეისწავლის ყოვე-

ონომასტიკის შესავალი

ლგვარ საკუთარ სახელს. მაშასადამე, ანთროპონიმია, ტოპონიმია და ა.შ. ონომასტიკის ქვედარგებია

დიდი ხნის განმავლობაში ონომასტიკა აღნიშნავდა (და ზოგ ავტორთან ამჟამადაც აღნიშნავს) ანთროპონიმიასაც, ანთროპონიმიკასაც და ონიმიასაც. ამ ვითარების გამოძახილია ტერმინები, რომელთაც მკითხველი შეხვდება რუსულ და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში: დიალექტური ონომასტიკა, ლიტერატურული ონომასტიკა, რეალური ონომასტიკა, მითოლოგიური ონომასტიკა და მისთ. ეს ტერმინები მოკლებულია სიზუსტეს, რადგანაც მათს შინაარსს განსაზღვრავს არა ონომასტიკა (მეცნიერების დარგი), არამედ ონიმია (ონომასტიკის შესწავლის საგანი). აქედან გამომდინარე, თუ ვგულისხმობთ საკუთარ სახელს, როგორც ობიექტურ რეალობას, უნდა გამოვიყენოთ ტერმინი ონიმია (დიალექტური ონიმია, ე.ი. ამა თუ იმ დიალექტში გავრცელებულ საკუთარ სახელთა ერთობლიობა; ლიტერატურული ონიმია, ე.ი. საკუთარი სახელები, რომლებიც გვხვდება ამა თუ იმ ლიტერატურულ ნაწარმოებში და ა.შ.)

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, წინამდებარე ნაშრომში დაცულია ასეთი ტერმინოლოგიური გამიჯვნა: ონიმია – საკუთარ სახელთა ერთობლიობა; ონომასტიკა – ონიმთა შემსწავლელი მეცნიერება. შესაბამისი ზედსართავი სახელებია: ონიმური – ონიმთან, ე. ი. ონომასტიკის კვლევის საგანთან, დაკავშირებული, ონიმისათვის დამახასიათებელი (იგივეა, რაც პროპრიალური); ონომასტიკური – ონომასტიკასთან, ე.ი. ონიმთა შემსწავლელ მეცნიერებასთან, დაკავშირებული, ონომასტიკისათვის დამახასიათებელი. ამასთანავე, ონომასტიკურ ლიტერატურაში მიღებული და დამკვიდრებულია ტერმინი ონომასტიკონი, რომელიც აღნიშნავს საკუთარ სახელთა სიას ან ლექსიკონს (ზოგ მკვლევართან ონომასტიკონი აღნიშნავს მხოლოდ ანთროპონიმიკონს, რაც აგრეთვე არღვევს ტერმინთა სიზუსტეს).

§2. ტერმინი, ტერმინოლოგია; ნომენი, ნომენკლატურა (ტერმინთა სიზუსტისათვის)

ენის ლექსიკური ფონდის დაყოფას საზოგადო და საკუთარ სახელებად, რაც უძველესი და ტრადიციული კლასიფიკაციაა, დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა. მაგრამ მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების, ვაჭრობის განვითარების კვალდაკვალ XX ს-ის მეორე ნახევარში ევროპულ ენათმეცნიერებაში გაჩნდა ახალი ცნება „სპეციალური ენა“ (ინგლ. LSP – language for special purposes „ენა სპეციალური მიზნებისათვის“). აქედან გამომდინარე, სრული მნიშვნელობის მქონე სიტყვები დაიყო სამ ჯგუფად – საზოგადო სახელთა ლექსიკად, ონიმურ ლექსიკად, სპეციალურ ლექსიკად. საკუთარ სახელთა ცალკე ჯგუფად გამოყოფის საფუძველია მათი ნომინაციური (სახელდებითი) ფუნქცია (ონიმი ხომ კონკრეტული საგნის სახელია).

სპეციალურ ლექსიკაში იგულისხმება ტერმინოლოგია და ნომენკლატურა. ტერმინი (ლათ. terminus) არის სიტყვა ან შესიტყვება, რომელიც მიემართება (აღნიშნავს) ცნებას მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ტექნიკის, ხელოვნების, წარმოების, ვაჭრობის სისტემაში. მაშასადამე, ტერმინი, როგორც „ტერმინი“, რომელიც აღნიშნავს ცნებას, წარმოადგენს გარკვეულ აბსტრაქციას, რომელშიც აქცენტირებულია არსებითი, რელევანტური ნიშნები.

ტერმინი შეიძლება იყოს ნასესხები, კალკირებული ან ემობლიური ენის წიაღში წარმოქმნილი სიტყვა. მაგალითად, ქართულ გრამატიკულ ტერმინთა შორის ნასესხებია „სუბიექტი“, „ობიექტი“, „სუბსტანტივი“ და სხვ., კალკირებულია „ქვემდებარე“, „სახელობითი ბრუნვა“ და სხვ. ხოლო საკუთრივ ქართულია „თურმეობითი“, „ხოლმეობითი“ (საგანგებოდ შექმნილი სათანადო ზმნური ფორმებისათვის), „ბრუნვა“ (უკვე არსებულმა საზოგადო სახელმა მიიღო ტერმინის მნიშვნელობა) და სხვ.

სიტყვა ტერმინოლოგია თვითონ არის ტერმინი და, როგორც ასეთი, აღნიშნავს ტერმინთა ერთობლიობას. ტერმინი კი, ჩვეულებრივ, დარგობრივია. რუსული ონომასტიკური ტერმინების ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ნ. პოდოლსკაიას „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში“ (რუსულ ენაზე. მოსკოვი, 1988). „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“ ქართულადაც მოგვეპოვება.

ნომენი ეწოდებოდა საგვარეულო სახელს, რომელსაც ძველი რომის ანთროპონიმულ ფორმულაში მეორე ადგილი ეკავა. თანამედროვე მეცნიერებაში ნომენი არის იმ კონკრეტული და ტიპური საგნის, ობიექტის სახელი, რომელიც შეისწავლება მეცნიერების ამა თუ იმ დარგში, გამოიყენება ცოდნის ამა თუ იმ სფეროში. მაგალითად, გეოგრაფიის ნომენებია (და არა ტერმინები): კარსტული ქა, მთა, მწვერვალი, ნალისებური დიუნა, შენაკადი, ჩამონაზვავი, ხევი და სხვ. (მდრ. გეოგრაფიის ტერმინები: ამინდის ცვალებადობა, ზედაპირული გადარეცხვა, მემინდვრეობა, სარწყავი მიწათმოქმედება, გეოგრაფიული ფაქტორი, გეომორფოლოგია და სხვ.).

თანამედროვე ენათმეცნიერებაში ტერმინი ნომენკლატურა აღნიშნავს ნომენთა ჩამონათვალს, ერთობლიობას. ქეგლ-ში განმარტებულია: „ნომენკლატურა – სახელწოდებათა სია მეცნიერების, ტექნიკის, წარმოების ამა თუ იმ დარგში, მაგ., სამედიცინო ნომენკლატურა, გეოგრაფიული ნომენკლატურა

[ნომენი nomen ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სახელს, სახელწოდებას“. ამ სიტყვის მონაწილეობითაა წარმოქმნილი ლათინური ონომასტიკური ტერმინები: nomen gentis „ტომის, საგვარეულოს სახელი“; nomen proprium „საკუთარი სახელი“; nomen regionale „გეოგრაფიული (ტერიტორიის, რაიონის, რეგიონის, კვარტალის სახელწოდება“; ლათინური nomenclatura თავდაპირველად აღნიშნავდა რომელი დიდებულის სტუმართა სახელების ნუსხას, ჩამონათვალს. გეოგრაფიულ ნომენკლატურაში ზოგ შემთხვევაში გულისხმობენ გეოგრაფიულ სახელწოდებებსაც, რაც აშკარად ტერმინოლოგიური უზუსტობაა;

ახლო წარსულში ნომენკლატურა მოიცავდა საკუთარ სახელებსაც. ეს უზუსტობა გაპარულია მნიშვნელოვან თეორიულ შრომაში „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ (თბ., 2003, გვ. 308). ნომენი და ნომენკლატურა

შეიძლება იყოს სამეცნიერო, ტექნიკური, კომერციული და სხვ. ენობრივი თვალსაზრისით, ნომენი არის ლიტერატურული (მაგ., მთა, წყარო, ჩანჩქერი და სხვ.) ან დიალექტური (მაგ.: თა „მთა“ ქართული ენის დასავლურ დიალექტებში; ბინული „წყარო მიწიდან ამონახეთქი“ ლეჩხუმურსა და იმერულში; ჩაქუხა „ჩანჩქერი“ თუშურსა და გურულში).

ნომენკლატურა, ისევე როგორც ტერმინოლოგია და ონიმია, შედგება მეორეული ნომინაციის სახელებისაგან, ე. ი. ისეთი სახელებისაგან, რომელთა მნიშვნელობა შეცვლილია ახალი დანიშნულების შესაბამისად. სპეციალური ლექსიკის დაყოფა ტერმინოლოგიად და ნომენკლატურად აუცილებელია, რათა ზუსტად განისაზღვროს სპეციალური სახელის თითოეული ტიპის ადგილი ლექსიკურ სისტემაში.

ნომენი (არსებითი ან გაარსებითებული სახელი) ადვილად იქცევა ონიმად (ონიმიზაციის გზით). ამ შემთხვევაში იგი კარგავს ძირეულ ლექსიკურ (აპელატიურ) სემანტიკას და იძენს საკუთარი სახელის ფუნქციას. ეს განსაკუთრებით შეეხება გეოგრაფიულ, ბოტანიკურ, ზოოლოგიურ ნომენებს.

მაშასადამე, ტერმინსა და ნომენს შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ ტერმინი მიემართება (აღნიშნავს) სპეციალურ ცნებას, ხოლო ნომენი - სპეციალურ საგანს (ობიექტს). ტერმინოლოგია და ნომენკლატურა წარმოადგენენ სპეციალური ლექსიკის დამოუკიდებელ, მაგრამ შინაგანად ერთმანეთთან დაკავშირებულ ტერმინებს (ზოგი მკვლევარი საერთოდ უარყოფს მათი გამიჯვნის აუცილებლობას, ხოლო ზოგიც მათთან ერთად საკუთარ სახელსაც სპეციალური ლექსიკის ნაწილად მიიჩნევს. ნომენკლატურისა და ტერმინოლოგიის ურთიერთმიმართების შესახებ იხ.: ბერეზნიკოვა, 1978).

§ 3. საკუთარი სახელი და მისი ბანსხვაგვება
საზოგადო სახელისაგან

საკუთარი სახელი არის მთელი სამყარო ლინგვისტური, ფსიქოლოგიური, ეთნოგრაფიული, ისტორიული, კულტუროლოგიური, სოციალური, ინდივიდუალური ინფორმაციებისა, რომელთა ცოდნა აუცილებელია, რათა სწორად განესაზღვროთ ნებისმიერი საკუთარი სახელის წყარო და წარმოქმნის მიზეზი.

ყოველგვარი ლექსიკური ერთეული – საზოგადო თუ საკუთარი – ენობრივი ნიშანია და, ამდენად, – რისამე აღმნიშვნელი. მაგრამ რას წარმოადგენს აღსანიშნი თითოეულ ამ შემთხვევაში? ძირითადი განმასხვავებელი ნიშნები ასეთია:

1. საზოგადო სახელი აღნიშნავს მრავალ ერთგვარ საგანს (ობიექტს), ანუ საგანთა (ობიექტთა) სიმრავლეს, კლასს, საკუთარი სახელი კი – ერთეულ, კონკრეტულ საგანს, მაგალითად: ხევი, როგორც „მდინარის ღრმა კალაპოტი მთებში“ მრავალია საქართველოში, მაგრამ ხევი, როგორც „მხარე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში“, ერთადერთია. მაშასადამე, ხევი პირველ შემთხვევაში საზოგადო სახელია, ხოლო მეორე შემთხვევაში – საკუთარი სახელი.

2. საზოგადო სახელი უშუალოდ არის დაკავშირებული ცნებასთან და, აქედან გამომდინარე, აქვს მკაფიოდ გამოხატული ერთი ან რამდენიმე კონოტაცია (დამატებითი ინფორმაცია, მაგ., ლექსება ხევისათვის: ა. „პატარა მდინარე მთებს შუა“; ბ. „ადმინისტრაციული ერთეულის აღმნიშვნელი ტერმინი ძველ საქართველოში“. საკუთარი სახელი კი ცნებასთან არაა დაკავშირებული და, ამდენად, არა აქვს კონოტაცია (გარდა იმ შემთხვევისა, როცა აპელატიურ ფუძესთან ჭერ კიდევ არა აქვს გაწყვეტილი სემანტიკური კავშირი და, მაშასადამე, სახელდების ფუნქციასთან ერთად შეიცავს ობიექტის დახასიათებასაც. ასეთი ვითარება ჩვეულებრივია

მეტსახელებსა და ზოონიმებში). მაშასადამე, საზოგადო სახელი მკაფიოდ კონოტაციურია, ხოლო საკუთარი სახელი - მკაფიოდ დენოტაციური (სახელდებითი, ანუ დენოტატის აღმნიშვნელი).

3. საზოგადო სახელი, ჩვეულებრივ, მოკლებულია ინდივიდუალურ მნიშვნელობას, საკუთარი სახელი კი, როგორც წესი - ზოგად მნიშვნელობას. საკუთარ სახელად გადაქცევასას საზოგადო სახელი კარგავს განზოგადების უნარს და იწყებს ინდივიდუალიზებას, წყდება კავშირი აპელატივთან (ამოსავალ ფუძესთან), ე.ი. ხდება სემანტიკური რედუქცია (დავიწროება). მაგრამ მიკროტოპონიმებში, მეტსახელებში, ზოონიმებში, შეიძლება ითქვას, რედუქციების პროცესი ბოლომდე არ მიდის და ამოსავალი მნიშვნელობა შენარჩუნებულია (მდრ. ფრაზა: „ციცქნა ძალღია და ბომბორა კი დაურქმევიათ“).

4. საკუთარი სახელი მხოლოდ მაშინ ასრულებს თავის ფუნქციას (კომუნიკაციურს, სამისამართოს), როცა დაკავშირებულია დენოტატთან, ანუ სახელდებულ ობიექტთან და ეს ობიექტი ცნობილია სამეტყველო სიტუაციის მონაწილეთათვის. დენოტატის გარეშე ონიმი არ არსებობს. ამაშია საკუთარი სახელის სპეციფიკის არსი და ამაზეა დაფუძნებული მისი განსხვავება ომონიმური აპელატივისაგან.

საკუთარი სახელის უმთავრესი ენობრივი დანიშნულებაა ერთგვაროვან ობიექტთა სიმრავლიდან ერთადერთის, კონკრეტულის გამოყოფა-ინდივიდუალიზება, ხოლო აპელატიური მნიშვნელობისა და მოტივაციის დადგენა-ამოხსნა მხოლოდ ისტორიისა და ეთნოგრაფიისათვის, გეოგრაფიისა და ლექსიკოლოგიისათვის იძენს გარკვეული ღირებულებას.

§ 4. ონიმური სახელდება

აზროვნების განვითარების ადრეულ ეტაპზე სიტყვა, რომელიც აღნიშნავდა ობიექტსა თუ მოვლენას, როგორც ვარაუდობენ, არ იყო დიფერენცირებული და ერთდროულად აღიქმებოდა როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელად. აღნიშვნის ასეთი პრინციპი რელიქტურად არის შემონახული ზღაპრებში, სადაც, ვთქვათ, ხელმწიფე არის არა ნებისმიერი ხელმწიფე, გლაზა – არა ნებისმიერი გლაზა, უმცროსი ძმა – არა ნებისმიერი უმცროსი ძმა, არამედ გარკვეული პერსონაჟები თავიანთი ინდივიდუალური პიროვნული ნიშან-თვისებებითა და ცხოვრების წესით.

თანამედროვე ადამიანი მკვეთრად განასხვავებს საზოგადო სახელს საკუთარი სახელისაგან. როგორც წინა თავში იყო აღნიშნული, მათ შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ საზოგადო სახელი ახდენს იდენტიფიკაციას, ე. ი. საერთო ნიშან-თვისებების მქონე საგნების, ობიექტების, ნივთების გაერთიანებას ერთ კლასში, ხოლო საკუთარი სახელი ახორციელებს ინდივიდუალიზაციას, ე. ი. ერთგვაროვან ობიექტთა კლასიდან ერთი კონკრეტული ობიექტის გამოყოფა-გამოცალკევებას და მის სახელდებას.

ონიმური ნომინაცია (სახელდება) განიმარტება როგორც სახელის მიკუთვნება ამა თუ იმ ობიექტისათვის, სახელის დარქმევა როგორც პროცესი, როგორც სიტყვიერი მიმართების დამყარება კონკრეტულ ობიექტთან. მაშასადამე, საკუთარ სახელს მოეპოვება ნომინაციური, ანუ სახელდებათი, ფუნქცია. საკუთარი სახელის ძირითადი დანიშნულებაა, იყოს კონკრეტული ობიექტის აღმნიშვნელი. საქართველოში 4 ათასამდე ობიექტს მიემართება სიტყვა სოფელი. ეს სიტყვა თითოეული ქართველის (და ქართულის მცოდნე არაქართველის) ცნობიერებაში ნიშნავს: „უპირატესად გლეხებით დასახლებული პუნქტი, რომლის ძირითადი მოსახლეობა

სოფლის მეურნეობას მისდევს“ (ქეგლ). თბილისის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ ისტორიულ სოფელს ეწოდება მარტყოფი. ეს ოიკონიმი ათასობით მსგავსი ობიექტიდან, ე. ი. სოფელთა სიმრავლიდან, გამოარჩევს, გამოაცალკევებს ერთადერთს, ე. ი. ახდენს მის ინდივიდუალიზებას. ესაა მარტყოფის, როგორც სოფლის სახელის, აუცილებელი მინიმალური მნიშვნელობაც და დანიშნულებაც. მაგრამ თითოეულ საკუთარ სახელს, მათ შორის ტოპონიმსაც, აქვს სხვა მრავალი თანამნიშვნელობაც, ანუ დამატებითი ნიუანსები, რომელთაც კონოტაცია ეწოდება (საზოგადო სახელის კონოტაცია მნიშვნელოვნად განსხვავდება საკუთარი სახელის კონოტაციისაგან). კერძოდ, „მარტყოფის“ კონოტაციებია მისი საენციკლოპედიო დახასიათება: მარტყოფი სოფელია გარდაბნის რ-ნში, იალნოს ქედის სამხრეთ კალთაზე, მდინარეების - ალიხევისა და ტევალის - ხეობებში, ზღვის დონიდან 750 მეტრზე, გარდაბნიდან 55 კმ-ზე, ვაზიანიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 12 კმ-ზე; სახელწოდება მიუღია ერთ-ერთი ასურელი მამის - ანტონ მარტომყოფელის - სახელიდან და სხვ. (იხ. ქსე, ტ. VI). ეს ინფორმაცია შეიძლება ცნობილი იყოს იმისთვისაც, ვისაც მარტყოფი არასოდეს უნახავს, მაგრამ ენციკლოპედია წაუკითხავს და დაუმახსოვრებია. იმისთვის კი, ვინც მარტყოფში ცხოვრობს, ამ სოფლის სახელი სხვა მრავალ ინდივიდუალურ ინფორმაციას შეიცავს მარტყოფის უბნებზე, გზებსა და ქუჩებზე, სკოლებსა და ეკლესია-სალოცავებზე, გვარსახელებსა და მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობაზე, ტრადიციებზე და ა. შ. ინდივიდუალურ კონოტაციაში იგულისხმება საკუთარი განცდებიცა და შთაბეჭდილებებიც, საკუთარი ცხოვრების გზაც, რაც ამ ობიექტთანაა დაკავშირებული.

მაშასადამე, მარტყოფი გაიაზრება, ერთი მხრივ, როგორც ზოგადად სოფელი (ესაა მისი იდენტიფიკაცია), ხოლო მეორე მხრივ, როგორც სწორედ ამ ერთი კონკრეტული სოფლის სახელი (ესაა მისი ინდივიდუალიზაცია).

ნებისმიერ ნომინაციაში (სახელდებაში, სახელის დარქმევაში)

მონაწილეობს სამი კომპონენტი: ნომინატორი (სახელმდები, სახელის დამრქმევი), დენოტატი (სახელსადები, აღსანიშნი ობიექტი) და სახელწოდება (აღმნიშვნელი ფონემური გარსი), მაგრამ აპელატიური და ონიმური ნომინაციების პრინციპები და მიზნები განსხვავებულია, ისევე როგორც განსხვავებულია საკუთარი და საზოგადო სახელების რეალური გამოყენება ენაში: აპელატიური სახელდება ძირითადად ამოწურულია (ახალაშენებულ სახლს ასეც ვუწოდებთ: „სახლი“), ხოლო ონიმური ნომინაცია გრძელდება: ახალდაბადებულ ბავშვს, ახალშექმნილ სოფელს, ახალგაქრილ ქუჩას აუცილებლად უნდა დაერქვას ინდივიდუალური სახელი.

ონომასტიკაში განარჩევენ ხანგრძლივ და ხანმოკლე დენოტატებს. ყველაზე ხანგრძლივი დენოტატებია დიდი ბუნებრივ-ფიზიკური ობიექტები (მთები, ზღვები, მდინარეები და სხვ.), ყველაზე ხანმოკლე კი – ცოცხალი არსებები (ადამიანები, ცხოველები), ერთგვარად საშუალო მდგომარეობა უკავიათ ისეთ ხელოვნურ ობიექტებს, როგორცაა ქალაქები და სოფლები. აქედან გამომდინარეობს ნომინაციის აქტში ადამიანის მონაწილეობის სხვადასხვა ხარისხი: ისტორიული ონიმების წარმოქმნაში თანამედროვე მოსახლეობა მონაწილეობას ვერ მიიღებდა, მაგრამ ინახავს და იყენებს მათ. ადამიანთა და ცხოველთა სახელდება კი ჩვენ თვალწინ მიმდინარე პროცესია და თითოეული ჩვენგანი ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად მონაწილეობს პირსახელის, მეტსახელის, ზორონიმის წარმოქმნაში. იშვიათად ასეთი რამ ხდება ტოპონიმიშიც: თსუ ტოპონიმიკის (ამჟამად ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი) ლაბორატორიის რეკომენდაციით გასული საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში მრავალ სოფელს აღუდგა ისტორიული სახელი, სახელი გამოეძებნა რამდენიმე ახალშექმნილ სოფელსაც.

საერთოდ, ტოპონიმური სახელდება არსებითად განსხვავდება ანთროპონიმული სახელდებისაგან. ამ განსხვავებას ძირითადად ინფორმირება-არაინფორ-

მირებულობა ქმნის. ახალდაბადებულისათვის სახელის შერჩევა (და არა შექმნა) ხდება მშობლების სურვილისა და გემოვნების, მოდის, საოჯახო ტრადიციების მიხედვით. ჩვენი ნაცნობ-მეგობრების პიროვნული სახელები მხოლოდღა ფორმალური ნიშნებია, რომლებიც არ შეიცავს რაიმე სახის კონკრეტულ ინფორმაციას თვით ამ ნაცნობ-მეგობრებზე, მათ ბიოლოგიურ თვისებებზე, ქცევა-მანერებზე, ნაკლსა თუ უნარზე, სპეციალობაზე. ტოპონიმი კი, ჩვეულებრივ, წარმოიქმნება როგორც შედეგი გააზრებული აქტისა და, ამდენად, შეიცავს (შეიცავდა) გარკვეულ ინფორმაციას სახელდებული ობიექტის ფიზიკურ-გეოგრაფიულ ნიშან-თვისებებზე, სამეურნეო თუ საკულტო დანიშნულებაზე და ა.შ.

ადამიანი ერთადერთი ობიექტია, რომელსაც აქვს თვითდარკმევის უნარი. მართალია, ადამიანი პირსახელს ან მეტსახელს იღებს ახლობელთაგან, ხოლო გვარსახელი და მამის სახელი (იშვიათად მეტსახელიც) მემკვიდრეობით გადმოეცემა, მაგრამ, თუ დასჭირდა, სახელსაც გამოიცვლის და გვარსახელსაც (იშვიათ შემთხვევაში კი — მამის სახელსაც), ან დაირკმევს ფსევდონიმს (ჩვენ თვალწინ საქართველოში ეს საქმე ძალიან გააღვივდა).

სახელდების თვალსაზრისით, საზოგადოების მიდგომა გეოგრაფიული ობიექტებისა და ადამიანებისადმი ერთგვარი არ არის: თითოეულ ადამიანს, გამონაკლისის გარეშე, აუცილებლად სჭირდება და აქვს კიდევ საიდენტიფიკაციო ნიშანი — ინდივიდუალური სახელი. გარესამყაროს ობიექტს კი საკუთარი სახელი ერკმევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანის განსაკუთრებული ინტერესების ორბიტაში მოექცევა, თუკი ადამიანს ან ადამიანთა კოლექტივს ხშირად უწევს მასთან კონტაქტი, ურთიერთობა: ცაზე უამრავი ვარსკვლავია, მაგრამ თითოეულ ხალხში მხოლოდ ის რამდენიმეა სახელდებული, რომელთა გამოჩენაც ჰორიზონტზე წლის თუ დღის გარკვეულ პერიოდთან არის დაკავშირებული. ფაქტობრივად სახელს ვარკმევთ მხოლოდ იმ საგნებს, ობიექტებს, ინდივიდებს რომლებიც

ონომასტიკის შესავალი

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და, ამდენად, ხშირად გვიწევს მათთან კონტაქტი.

ონიმური ნომინაცია მეორეულია იმ თვალსაზრისით, რომ საკუთარი სახელი ერქმევა ობიექტს, რომელიც უკვე აღნიშნულია საზოგადო სახელით (მაგ.: მდინარე, ხევი, სოფელი, ადამიანი, ცხოველი და ა.შ.), რაც მას მიაკუთვნებს გარკვეულ კლასს. მაგრამ თითოეულ მათგანს, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, საკუთარი სახელი ერქმევა საზოგადოებრივი საჭიროების კვალდაკვალ. ეს სახელები ან უკვე არსებული ტრადიციული ონომასტიკონიდან ამოირჩევა (ადამიანთათვის, ზოგ შემთხვევაში ცხოველთათვისაც), ანდა ნომინაციის აქტით (გეოგრაფიული და სოციალურ-ეკონომიკური ობიექტებისათვის) წარმოიქმნება.

§ 5. ონიმური სახელდების მოტივი და პრინციპები

ონიმური სახელდება (ნომინაცია), როგორც წინა თავში უკვე იყო განმარტებული, ობიექტისათვის საკუთარი სახელის დაერქმევის პროცესია. იგი ემყარება გარკვეულ მოტივაციასა და პრინციპებს.

მოტივი (ფრ. motif) აღნიშნავს: ა. მოქმედების, საქციელის გამომწვევ, წამაქეზებელ მიზეზს; ბ. რაიმეს დამახასიათებელ მოსაზრებას, არგუმენტს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოტივი არის საბაბიც და მიზეზიც. წარმოქმნილი ტერმინები - მოტივაცია და მოტივირება - განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავს. ქეგლ-ის განმარტებით, მოტივაცია არის რაიმეს დასამტკიცებლად მოყვანილი საბუთების სისტემა, დასაბუთება-მტკიცებულებანი, ხოლო მოტივირება დასაბუთების პროცესია, რისამე დასამტკიცებლად საბუთების, არგუმენტების წარმოდგენაა, თუმცა რუს ონომატოლოგთა ერთი ნაწილი მოტივაციასა (мотивация) და მოტივირებას

(მოტივიროვკა) აიგივებს.

ონომასტიკაში მოტივი ეწოდება იმ ფაქტორთა ერთიანობას, რომლებიც განაპირობებს ამა თუ იმ ობიექტისათვის ინდივიდუალური სახელის ამორჩევას ან შექმნას. ონიმის მოტივირების ძირითადი პრინციპი ისეთივეა, როგორიც საზოგადო სახელისა. იგი პასუხს სცემს კითხვას, თუ რატომ დაერქვა ამ ობიექტს მაინცდამაინც ეს სახელი. ამასთანავე, ბ. ფოჩხუას განმარტებით, „მოტივაცია საგნის მხოლოდ თვალში საცემი თვისებაა და არა უთუოდ კონსტიტუციური, არსებითი ნიშან-თვისება“ (ფოჩხუა, 1974, გვ. 121). ნებისმიერი საკუთარი სახელი შეიძლება ვიკვლიოთ სხვადასხვა ასპექტით (ლინგვისტური, ქრონოლოგიური, სოციალური, სტილისტიკურ-ესთეტიკური, ლოგიკურ-ფსიქოლოგიური). გამოყოფენ ონიმური მასალის კლასიფიკაციის ცხრა შესაძლებელ ტიპს (იხ. სუპერანსკაია, 1973, გვ. 159). ერთ-ერთი მათგანია კლასიფიკაცია მოტივირების მიხედვით.

საერთოდ, საკუთარ სახელთა მკაცრი მოტივირებულობის თეორია სათავეს ბერძნული ფილოსოფიიდან იღებს. ონიმური ნომინაცია გამოწვეულია ადამიანთა კოლექტივის საჭიროებით, გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ერთგვარი ობიექტები.

ობიექტის სახელდებაში ერთდროულად მონაწილეობს როგორც გარეენობრივი, ისე შინაენობრივი (ლექსიკურ-სიტყვაწარმოებითი) ფაქტორები: ინდივიდის ცნობიერებაში წარმოიქმნება გარკვეული ასოციაცია, რომელიც რეალიზდება (გამოხატვას პოულობს) ენობრივი საშუალებებით. აქედან გამომდინარე, საკუთარი სახელების კვლევისას, ბუნებრივია, ჩნდება ორი კითხვა: რატომ? და როგორ? აპელატიური ფუძის მიკვლევა აუცილებელია, მაგრამ არაა საკმარისი რომელიმე ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად.

ონიმური სისტემა, როგორც ენობრივი სისტემის სპეციფიკური ნაწილი, ოპტიმალური სისტემაა და იგი ცდილობს, მინიმალური ძალისხმევით მიაღწიოს მაქსიმალურ მიზანს – აღსანიშნისათვის (სახელსადები ობიექტისათვის) აღ-

მნიშვნელის (საკუთარი სახელის) შერჩევას. მას, ისევე როგორც აპელატიურ სისტემას, ენობრივი ასპექტით განსაზღვრავს ბაზისური და სიტყვაწარმოებითი მორფემების ურთიერთდაკავშირება. საკუთარი სახელისა თუ თავდაპირველი (აპელატიური, ონიმადელი) მნიშვნელობის კვლევისათვის, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მოტივაციის დადგენა. მოტივაცია კი ორგვარია: გარენობრივი და შინაენობრივი. გარენობრივი მოტივაცია გულისხმობს ამოსავალი ფუძის სემანტიკას, ხოლო შინაენობრივი – წარმოქმნასა თუ სიტყვათშეერთებას. ბ. ჯორბენაძის ფორმულირებით: „გარენობრივი თვალსაზრისით ერთი და იგივე მოტივაცია აქვს თელ-ავ-ი, თელ-ეთ-ი, თელ-იან-ი, თერნალი (← თელ-ნარ-ი) ტოპონიმებს: ყველა შემთხვევაში შემაპირობებელია მცენარე („თელა“). შინაენობრივი თვალსაზრისით კი მათ შორის სხვაობაა და ეს სხვაობა -ავ-, -ეთ-, -იან-, -ნარ ფორმანტთა ფუნქციებითაა შეპირობებული“ (ჯორბენაძე, 1993, გვ. 68).

საკუთარი სახელის წარმოქმნას, როგორც წესი, სჭირდება მიზეზი (სახელდების აუცილებლობა), საბაზი (სახელდების მიზნით გამოყენებული შემთხვევა) და მოტივი (სახელდებისათვის საჭირო რეალიების ერთობლიობა). ონიმური მოტივირება არის მიზეზ-შედევობრივი კავშირის კომპლექსი, რაც სხვადასხვაგვარად ვლინდება სხვადასხვა კლასის საკუთარ სახელებში. ტოპონიმიაში მოტივირების ასპექტები შეიძლება იყოს:

ისტორიული, ე.ი. გარკვეული ეპოქის მოვლენებისა და ფაქტების ამსახველი (გასული საუკუნის რევოლუციური ბატალიების წარმონაქმნია ანთროპონიმი ოქტიაბრინა, ტოპონიმი ოქტომბერი, ურბანონიმი რევოლუციის ქუჩა და სხვ. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაბრუნების შემდეგ თბილისის ცენტრალურ მოედანს თავისუფლების მოედანი ეწოდა).

სოციალური, მაგ.: ტაბარუკი - სოფელი მცხეთის რაიონში, დიღმისწყლის მარჯვ. მხარეს. სახელი დარქმევია იმის გამო, რომ აქ დასახლდნენ ტაბარუკები - საკუთარი მიწა-წყლიდან აყრილი და

ბატონყმობას გამოქცეული გლეხები; საბარათიანო - ბარათაშვილების საფეოდალო სამფლობელო; ნაძალადევი - თბილისის ერთ-ერთი უბანი (რუსული „ნახალოვკის“ კალკი) და სხვ.

ქრონოლოგიური, მაგ.: ძველი ბურღული - ახალი ბურღული სოფლები დუშეთის რ-ნში; ახალი მარაბდა - ძველი მარაბდა სოფლები თეთრი წყაროს რ-ნში; ახალი ხიბულა (სოფ. ხობის რ-ნში) - ძველი ხიბულა (სოფ. სენაკის რ-ნში), ახალდაბა - დაბაძველი (სოფლები ტყიბულის საქალაქო საკრებულოს ტერიტორიაზე) და სხვ.

ბუნებრივ-გეოგრაფიული: ობიექტის კონფიგურაციის, სიღ-იდე-სიმცირის, ფლორისა და ფაუნის, წყლის ფიზიკური მდგომარეობის (ფერი, სუნი, გემო, ტემპერატურა, დინების ხასიათი) ამსახველი ტოპონიმები.

მაშასადამე, საკუთარი სახელი ასახავს ამა თუ იმ ეპოქის ადამი-ანთა გემოვნებას, მსოფლხედვას, სოციალურ ვითარებას, ფსიქი-კურ თავისებურებებს, იდეოლოგიას, დაბოლოს, საზოგადოებრივ ტრადიციებსაც. ყველა ეს ფაქტორი გარეენობრივია. მაგრამ გარეენობრივი ფაქტორების, მათ შორის მოტივირებისა და წერილობითი წყაროების მონაცემების, ზეპირი გადმოცემის საფუძველზე საკუთარი სახელის ისტორიის დადგენა ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ენათმეცნიერულ კვლევას, თუმცა კი ენათმეც-ნიერისათვის აუცილებელია მათი ცოდნა წმინდა ენობრივი საკითხების საკვლევად, როგორცაა: ონიმური სიტყვაწარმოებითი მოდელები, საზოგადო სახელის საკუთარ სახელად გადაქცევის გზები და მეთოდები, სესხების ფორმები და მიმართულებანი.

საფუძველს, რომელსაც ემყარება საკუთარი სახელის კავშირი დენოტატთან, ეწოდება ნომინაციის პრინციპი, ხოლო სახელდების თანმხლებ და შემაპირობებელ გარემოებათა ერთობლიობას - ნომინაციის სიტუაცია. ნომინაციის მოტივი და სიტუაცია უნივერსალურია, ე. ი. ერთნაირია ყველა ხალხისათვის. მაგალითად, ტოპონიმიაში უნივერსალურია: ა. ობიექტის დახასიათება რაიმე ნიშან-თვისების (სახეობის, ადგილმდე-ბარეობის, საკულტო და სამეურნეო-სოციალური დანიშნულების,

სხვა ობიექტთან სივრცითი მიმართების და სხვა გარემოებათა) მიხედვით; ზ. ობიექტთან დაკავშირებული მოვლენის (შემთხვევის) აღნიშვნა.

მოტივირების უნივერსალური პრინციპები ერთგვარად ახასიათებს ანთროპონიმიასაც. კერძოდ, ზედწოდებებსა და მეტსახელებში უძველესი და ძირითადი პრინციპია პიროვნების დახასიათება: ა. შინაგანი თუ გარეგნული (ფიზიკური, ფსიქიკური, ბიოლოგიური, მორალური, ინტელექტუალური...) ნიშანთვისებების მიხედვით; ბ. სოციალური, ეროვნული, ნათესაობრივი, რეგიონული, წარმომავლობის, თანამდებობა-მოსაქმეობისა და მისთანათა მიხედვით; როგორც ტოპონიმიში, ისე ანთროპონიმიშიც გაჩნდა სიმბოლური ონიმები, რომლებიც ერქმევა იდეის, ისტორიული მოვლენის, ცნობილ პიროვნებათა პატივსაცემად (ცხრა აპრილის ქუჩა ეწოდა თბილისის ერთ-ერთ ქუჩას 1989 წლის სისხლიანი 9 აპრილის მოსაგონრად; საქართველოს დიდი გამაერთიანებლის – დავით აღმაშენებლის – სახელი ეწოდა ქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ გამზირს და სხვ.).

წარმოქმნის პროცესში ყველა საკუთარი სახელი მოტივირებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აქვთ გამჭვირვალე სემანტიკა და მორფოლოგიური სტრუქტურა, რომლებიც დიდი ხნის შემდეგაც შეიძლება იყოს შენარჩუნებული. ამიტომაც, მაგალითად, ქართველისათვის ადვილი მისახვედრია თუ რატომ ეწოდათ ადგილებს ელიაწმინდა, ვაზიანი, საქორია, ფიჩხისბოგირი, ან რა ინფორმაციას შეიცავენ გვარები: მენაბდე, მხატვარი, მხარგრძელი, მწითური, მარაბდელი და სხვ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ცნობილია რამდენიმე საბაზო ფორმულირება: „არ არსებობს საკუთარი სახელი მოტივაციის გარეშე“ (ვ. ნიკონოვი) და „არც ერთი სახელი არ წარმოიქმნება ისე, უბრალოდ“ (ა. სუპერანსკაია), მაგრამ დროთა განმავლობაში აპელატივის ლექსიკური მნიშვნელობა, ბუნებრივია, უჩინარდება, რედუცირდება, ხდება ბუნდოვანი – როგორც საკუთარი სახელის ფუნქციონირებისათვის არააუცილებელი ინფორმაცია. საკუთარი სახელი თავის ძირითად მნიშვნელობასა და

დანიშნულებას, იყოს მადიფერენცირებელი (ერთგვარ ობიექტთა ერთმანეთისაგან განმასხვავებელი) ნიშანი, ასრულებს მხოლოდ და მხოლოდ თავისი ბგერითი გარსით (ე.ი. აღმნიშვნელით) და არა თავდაპირველი სემანტიკით.

მოტივირება, თავის მხრივ, ორგვარია: რეალური (პირველადი) და პირობითი (მეორეული). რეალური მოტივირებისას ონიმი, როგორც აღმნიშვნელი, თავისი შინაარსით შეესაბამება, შეეფერება დენოტატს, ანუ სახელსადებ ობიექტს (აღსანიშნს). ასეთი მოტივირება, ჩვეულებრივ, შემონახულია მიკროტოპონიმებში (შღრ. სოფ. მარტყოფის მიკროტოპონიმები: აბანოები, ასლუანთ ბაღები, ატმიანღელე, ბერიძიანთ უბანი, გრძელტბა, დამპალვედა და სხვ.), მეტსახელებში (მაგ.: ცხვირა, თავკომბალა, კრეჭია, მოჩხუბარა და სხვ.), ზოონიმიში (მაგ.: ჭრელა, გიშერა, უკუდო, რქამოტეხილა). მაგრამ რეალური მოტივირება, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, ხშირად უჩინარდება და საკუთარი სახელის აპელატიური მნიშვნელობა თანამედროვეთათვის უცნობი ხდება, რაც მრავალი, მისაღები თუ მიუღებელი ეტიმოლოგიის წყაროდ იქცევა. მაგალითად, ვინ გვეტყვის დაბეჭითებით, თუ რატომ ეწოდა მტკვარს მტკვარი, მცხეთას – მცხეთა, მარაბდას – მარაბდა და ა.შ.

საერთოდ, ტოპონიმი (თუ მემორიალურ-მიძღვნით სახელწოდებებს არ ჩავთვლით) არის (ან იყო) რეალურად მოტივირებული, რის გამოც იგი თავისი მნიშვნელობით შეესაბამება, შეეფერება (ან შეესაბამებოდა, შეეფერებოდა) აღსანიშნ (სახელსადებ) ობიექტს.

განსხვავებული ვითარებაა ანთროპონიმთა ერთ რიგში – პირსახელებში. პირს, როგორც ცნობილია, ოფიციალურ სახელს რაიმე გარეგანი თუ შინაგანი თავისებურების მიხედვით კი არ არქმევენ, არამედ უკვე არსებულ სახელთა რეესტრიდან შეურჩევენ ერთ-ერთს. აპელატიური მნიშვნელობის გაბუნდოვანება განსაკუთრებით დამახასიათებელია არამშობლიური ენის პირსახელებისათვის, რომელთაც შეიძლება წარმოქმნელ ენაში კიდევაც მოეპოვებოდათ ლექსიკური მნიშვნელობა. მაგალითად:

ნონა ეგვიპტურში ნიშნავდა „ღვთისთვის შეწირულს“, ნანა ბერძნულში - „პაწაწინას“, პავლე ლათინურში - „პატარას, მცირეს“, მურად არაბულში - „სასურველს“. მაგრამ ჩვენთვის, ქართველთათვის, ეს პირსახელები დაცლილია ლექსიკური მნიშვნელობისაგან, ტრადიციულია, შეტანილია საარქეომენდაციო სივრცეში და გამოიყენება როგორც მზამზარეული საკუთარი სახელი - ამა თუ იმ პირის აღმნიშვნელი ენობრივი ნიშანი, მაგრამ ახალშობილისათვის უმოტივაციო, სემანტიკისაგან დაცლილი, ტრადიციული სახელების დარქმევისას მაინც იჩენს თავს ერთგვარი მიზეზი, პირობითი (მეორეული) მოტივაცია, ოღონდ ამგვარად მოტივაციას განსაზღვრავს არა დენოტატის შინაარსი, არამედ, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, სახელის ფორმა (სიმოკლე, სისხარტე, კეთილხმოვანება), მოდა, პოპულარობა, ემოციური იერი, წინაპართა უკვდავყოფისა თუ მეგობრისათვის პატივის მიგების სურვილი და ა. შ.

მაშასადამე, ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ტრადიციული პირსახელებიც კი მოტივირებულია, მაგრამ ამგვარად მოტივირება გულისხმობს აღმნიშვნელის შერჩევას (და არა შექმნას ობიექტის ნიშან-თვისებათა მიხედვით), თუმცა ეს შერჩევაც ხდება არა ბრმად, არამედ გარკვეული მიზეზით, მოსაზრებით. სწორედ ესაა პირობითი მოტივაცია.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას: პირსახელები, როგორც წესი, პირობითად არიან მოტივირებულნი, ტოპონიმები კი - ძირითადად რეალურად (იშვიათად პირობითად. ასეთებია, კერძოდ, მემორატივები). მეტსახელთა მოტივირება მხოლოდ რეალურია, ზოონიმთა კი - მეტწილად რეალური. საკუთარ სახელებს, რომელთა მოტივირებაც გაბუნდოვანებულია, საერთაშორისო ტერმინოლოგიით იმპლიციტური ონიმი ეწოდება. მათ საბოლოოდ აქვთ დამკვიდრებული უძირითადესი და უმთავრესი მნიშვნელობა და დანიშნულება - კონკრეტული ობიექტის დაფიქსირება.

ობიექტისათვის სახელის დარქმევა (შერჩევა) ნაკარნახევია ობიექტური აუცილებლობით, ხოლო მოტივირების საფუძველი

შეიძლება იყოს მრავალგვარი. ასეთია სახელდების ზოგადი კანონზომიერება

[თუმცა არც კუროზული შემთხვევებია გამორიცხული: ამერიკის ერთ-ერთი ქალაქისათვის სახელის დარქმევა გადაწყვიტა პოკერის თამაშმა: 1871 წელს გვერდიგვერდ მცხოვრებმა ოთხმა ამერიკელმა — კოკერმა, ჰაკლმა, რაი-სმა და კმანკამ მიწის ნაკვეთები გააერთიანეს და ქალაქის შენებას შეუდგნენ. როცა სახელის დარქმევა გახდა საჭირო, გადაწყვიტეს ეთამაშათ პოკერი და გამარჯვებულის სახელი ქალაქისათვის ეწოდებინათ. გაიმარჯვა კოკერმა და ქალაქსაც დღემდე ჰქვია კოკერსიტი „კოკერის ქალაქი“; კიდევ ერთი კუროზი: ერთ დანიურ ოჯახში XXI საუკუნეში დაბადებულ სამ შვილს იმ სათავსო ოთახების სახელები დაარქვეს, სადაც ჩაისახნენ: სამზარეულო, მისაღები, საძინებელი. საინტერესოა, რას დაარქმევენ მეოთხე შვილს? — სვამს კითხვას ქართული გაზეთი, რომელმაც ეს ინფორმაცია გაავრცელა; უსახელობაც კი ყოფილა შესაძლებელი: გერმანიის ქალაქ ერფურტში ორი წლის ბავშვს სახელი არააქვს: დედას ძალიან უნდა შვილს დაარქვას იხტიანდრა (რა კი მის ნათესავს ჰქვია ამფიბია), მაგრამ რეგისტრატორი უარზეა, რადგანაც ენის ინსტიტუტის სპეციალური კანონი კრძალავს ბავშვისათვის უცნაური და სასიარცხვილო სახელის დარქმევას].

ზოგ შემთხვევაში ნომინაციის მოტივე შეიძლება ცნობილი გახდეს სპეციალური კვლევა-ძიების შედეგად. აქედან გამომდინარე, ტერმინები — მოტივირებული სახელი, უმოტივაციო სახელი — პირობითია და გულისხმობს ნომინაციის მოტივის დადგენის შესაძლებლობა-შეუძლებლობას.

§ 6. აპელატიური და ონიმური ლექსიკა

ლექსიკოლოგიაში ძველი დროიდანვე ცნობილი და ტრადიციულია ტერმინოლოგიური დაპირისპირება: „საკუთარი სახელი“ ↔ „საზოგადო სახელი“. სახელთა კლასში საკუთარი სახელების ქვეკლასი (ჯგუფი) გამოჰყვეს ჯერ კიდევ სტოელებმა (საბერძნეთი ძვ. წ. III ს.). საზოგადო სახელის ძირითადი დანიშნულებაა, აღნიშნოს განუსაზღვრელი ობიექტი, მოაქციოს იგი საგანთა თუ ცნებათა გარკვეულ კლასში. საკუთარი სახელის ძირითადი დანიშნულება კი არის, სახელი დაარქვას განსაზღვრულ ობიექტს საგანთა გარკვეული კლასის შიგნით. XIX საუკუნის მეორე

ნახევარში დაბეჭდილ ლათინურ გრამატიკაში ხაზგასმითაა აღნიშნული: „სახელი ორსახოვანია: იგი ან საკუთარია, ან საზოგადო“. საზოგადო სახელი კი გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ არსებით ან გაარსებითებულ სახელს. ტოპონიმთა, ანთროპონიმთა, ზოონიმთა დიდზე დიდი ნაწილი მართლაც არსებით სახელთანაა დაკავშირებული. მაგალითად, გორი, როგორც ზოგადად „მთა, დიდი ბორცვი, მრგვლად ამღლებული ადგილი“ (ქეგლ), საზოგადო, კერძოდ, არსებითი სახელია და გვხვდება ტოპონიმადაც (მაგ., ქ. გორი) ან წარმოქმნილი თურთული ტოპონიმის ფუძედ (მაგ.: გორისა, გორისუბანი, გორმალაღი, დიდგორი, თელიანგორი, მსხალგორი, წითელგორი, სამგორი, უკანგორი და სხვ.); შდრ. აგრეთვე: წერო „ჭაობის დიდი ფრინველი“ და წერო – ზოონიმი (წერო უწოდეს ძროხას, რომელსაც ჭაობის კუნძულზე გადაცურვა და ბალახობა სჩვეოდა). მაგრამ, ამასთანავე, საკუთარი სახელის ფუნქციით მრავალ ენაში გვხვდება მეტყველების სხვა ნაწილებიც – ზმნის პირიანი ფორმა, ნაცვალსახელი, ზმნისწინი, არტიკლი, შორისდებული, რიცხვითი სახელი და, საერთოდ, ნებისმიერი სიტყვა. ნათქვამს ცხადყოფს ონომასტიკურ ლიტერატურაში ცნობილი მაგალითები:

- რუსულში: бей „სცემე“! → Бей (გვარი)
 сядь „დაჯექი“! → Сядь (გვარი)
 нам „ჩვენ“ → Нам (გვარი)
 сей „ეს“ → Сей (გვარი)
 ведь „ხომ“ → Ведь (გვარი)
 первой „პირველი“ → Первой (პირსახელი);

ინგლისურში: from „წინ“ → From (როლანდ ამუნდსენის გემის სახელი)

არაარსებითი სახელებისაგან წარმოქმნილი საკუთარი სახელები ქართულ ონომასტიკონშიც მოიპოვება: არ აშენდა (ნაწილაკიანი ზმნური ფორმა) → არაშენდა (საქართველოში ეწოდება ოთხ სოფელს), არ ველოდი (ნაწილაკიანი ზმნური ფორმა) → არველოდი (პირსახელი რომელსაც XX ს. დაძლევეს საქართველოში 700-მდე მამაკაცი ატარებდა), პირველი (რიგობითი რიცხვითი

სახელი) → პირველი (გვარი, რომელსაც XX ს. დამლევს საქართველოში ატარებდა 1300-ზე მეტი ქალი თუ კაცი), „კი, ბატონო“! (მიმართვის ფორმა თანხმობის გამოხატველი ნაწილაკით) → კიბატონო (მეტსახელი ქიზიყში), მეტი ვარ („მეტი არა“ მეგრულად) → მეტვარი (60-ზე მეტი მამაკაცის ოფიციალური საკუთარი სახელი XX ს. დამლევს საქართველოში) და სხვ.

აღრინდელ ონომასტიკურ შრომებში აპელატივი* აღნიშნავდა იმ საზოგადო სახელს, რომელიც დასტურდებოდა საკუთარი სახელის ფუძეში. მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ტერმინმა მნიშვნელობა გაიფართოვა და აღნიშნა საკუთარი სახელის ფუძეში დადასტურებული ყოველგვარი სიტყვა, შესიტყვება, ფრაზა. თუმცა აპელატივთა ძირითადი ნაწილი, ჩვეულებრივ, არსებით სახელს წარმოადგენს (Л"С, 1990, გვ. 273). [ლათინური ორსიტყვიანი გრამატიკული ტერმინი *nomen appellativum* („საზოგადო სახელი“) აქტიურად გამოიყენება ევროპულ ენებში, რომლებშიც ერთი სიტყვა „აპელატივი“ გამოხატავს ლათინური შესიტყვების მნიშვნელობას, მაგ.: გერმ. *Appellativ(um)*, ფრანგ. *appellatif*, რუს. *аппеллятив* და სხვ.].

ყოველივე აქედან გამომდინარე, XX საუკუნის 60-70-იან წლებში, როცა საბოლოოდ ჩამოყალიბდა ონომასტიკა როგორც ენათმეცნიერების დარგი, ცნებითი და ტერმინოლოგიური დაპირისპირება საკუთარი სახელი ↔ საზოგადო სახელი შეიცვალა დაპირისპირებით - ონიმი ↔ აპელატივი, შესაბამისად ონიმური ლექსიკა ↔ აპელატიური ლექსიკა.

აპელატივთა ერთობლიობა ქმნის აპელატიურ ლექსიკას. საკუთარი სახელის იმ მნიშვნელობას, რომელიც მას ჰქონდა თავდაპირველად, ე. ი. ონიმიზაციამდე, ეწოდება აპელატიური მნიშვნელობა. იგი შეიძლება შემონახული იყოს თვალნათლივ (ნახიდი ის ადგილია, სადაც ხიდი იყო გადებული; ნაცარქექია ისაა, ვინც ნაცარს ქექავს, ე. ი. უქნარა) ან დადგინდება კვლევა-ძიებითა თუ ისტორიული წყაროების მონაცემებით (მაგ., გვარ მეხუზლა-სათვის ამოსავალია აპელატივი მეხუთძღე - „ხუთსიმიან საკრავზე დამკვრელი“, თერჯოლა-სათვის (თერჯოლა ქალაქია დას. საქართველოში) კი - „თეთრი ბუოლა“, ხოლო რაც

შეეხება სოფლის სახელწოდება ფარცხანაყანევს, მისი თავდაპირველი ფორმა ფარსმანაყანევი დამოწმებულია XIII საუკუნის მეორე ნახევარში შედგენილ „შეწირულების დაწერილში“ (იხ. ქსდ, III, გვ. 173), ფონეტიკურად სახეცვლილი გარდამავალი ფარცმანაყანევი გვხვდება 1578 წლით დათარიღებულ დავთარში (იქვე, გვ. 279), 1733 წლის „შეწირულების სიგელში“ კი უკვე ფარცხანაყანევი არის დაფიქსირებული.

ონიმთა ერთობლიობა ქმნის ონიმიას, ანუ ონიმურ ლექსიკას. გავიხსენოთ განმარტება: ონიმური ლექსიკა არის ცალკეული სიტყვები და შესიტყვებანი, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ობიექტების სახელდებისათვის. მასში შედის ნებისმიერი მეტყველების ნაწილი, რომელთა გასუბსტანტივება ხდება ონიმიზაციის გზაზე. ონიმური ლექსიკა ენის ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილია, მიუხედავად იმისა, ძველ დროშია იგი წარმოქმნილი, თუ ახალი ეპოქის პროდუქტია. თანამედროვე ონიმიას არის შედეგი ადამიანთა ხანგრძლივი კულტურული და ენობრივი მოღვაწეობისა. დღესაც კი ყოველი ოფიციალური საკუთარი სახელი წარმოიქმნება როგორც ნაყოფი საუკუნეთა მანძილზე ჩამოყალიბებული ონიმური სისტემის მოქმედებისა. თითოეული ონიმი წარმოქმნილია ენობრივი ელემენტებისაგან, რომლებიც ნათელი და გამჭვირვალე იყო წარმოქმნის მომენტში და მიზნად ისახავდა, აღენიშნა კონკრეტული სულიერი თუ უსულო საგანი, რაც აუცილებელია სივრცესა და საზოგადოებაში ორიენტირებისათვის.

ონომასტიკაში ტერმინი ონიმური ლექსემა აღნიშნავს სიტყვას როგორც ენის სტრუქტურულ ელემენტს (კონკრეტული შინაარსის მიუხედავად), რომელიც ასრულებს საკუთარი სახელის ფუნქციას დამოუკიდებლად ან ონიმური მოდელის შემადგენლობაში. ორ- ან მეტშემადგენლიან საკუთარ სახელში ლექსემაა თითოეული სიტყვა, რომელიც ამ საკუთარ სახელს ქმნის. მაგალითად, ანთროპონიმი დავით აღმაშენებელი შედგება ორი ლექსემისაგან (დავითი + აღმაშენებელი), კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი - სამი ლექსემისაგან (კავკასიონი + მთავარი + წყალგამყოფი) და

სხვ. მაშასადამე, ონიმური ლექსემა იგივეა, რაც აპელატივი. ონი-
მურ ლექსემათა ერთობლიობა კმნის ონიმურ ლექსიკას, ხოლო
აპელატივთა ერთობლიობა - აპელატიურ ლექსიკას. აპელა-
ტივი არის სიტყვის ის ფორმა და სემანტიკა, რომელიც ჰქონდა
სიტყვას საკუთარ სახელად გადაქცევამდე, ე. ი. ლექსიკური რანგის
შეცვლამდე.

სახელსადები ობიექტის მიხედვით, ონიმია იყოფა რამდენიმე
კლასად: ანთროპონიმია, ტოპონიმია, ზოონიმია, თეონიმია,
კოსმონიმია... ამის შესაბამისად, ონიმური ლექსიკის ჯგუფებია:
ანთროპონიმული ლექსიკა, ტოპონიმური ლექსიკა, ზოონიმური
ლექსიკა და ა. შ.

საკუთარ სახელთა წარმოქმნის გზები

საკუთარ სახელთა წარმოქმნის რამდენიმე გზაა ცნობილი. მათგან მთავარია ონიმიზაცია და ტრანსონიმიზაცია, ხოლო სესხება და აბრევიაირება ნაკლებ პროდუქტიულია.

§ 1. ონიმიზაცია

აპელატივის, ანუ საზოგადო სახელისა თუ მისი შემცველი შესიტყვების (იშვიათად, ფრაზის, წინადადების) საკუთარ სახელად გადაქცევას ონიმიზაცია (ქართულად - „გასაკუთარსახელება“) ეწოდება, ხოლო ამ გზით მიღებულ საკუთარ სახელს - აპელატივისმიერი საკუთარი სახელი. ონიმიზაციის პოტენციით ყველა ენაში გამოირჩევა არსებითი სახელი, მაგრამ თეორიულად (და ბევრ ენაში პრაქტიკულადაც) საკუთარი სახელის ფუძეში შეიძლება აღმოჩნდეს ნებისმიერი სიტყვა - ზმნის პირიანი ფორმის, ზმნისწინისა თუ არტიკლის ჩათვლით. ისინი ერთდროულად განიცდიან სუბსტანტივიზაციას (გაარსებითება-ონიმიზაციას). ონიმიზაცია შეიძლება იყოს ოდენ სემანტიკური, სემანტიკურ-მორფოლოგიური (თუ სიტყვაწარმოებას მორფოლოგიაში განვიხილავთ) და სემანტიკურ-სინტაქსური. ამის შესაბამისად, აპელატივები სტრუქტურულად წარმოადგენენ მარტივ სახელებს (ორსავე რიცხვში), წარმოქმნილ სახელებს, რთულ სახელებს (კომპოზიტებს), იშვიათად, შესიტყვებებს (სინტაგმებსა და ფრაზა-წინადადებებს). საზოგადო სახელის საკუთარ სახელად გადაქცევას კონვერსიასაც უწოდებენ.

ა) სემანტიკური ონიმიზაცია გულისხმობს აპელატივის გადაქცევას საკუთარ სახელად (ანუ საკუთარ სახელთა რანგში გადასვლას) რაიმე სახის სტრუქტურული ცვლილების გარეშე, რაც ქმნის აპელატივისა და ონიმის ომონიმიას. მაგალითად, წინადადებაში „ჩემმა მეზობელმა ტყეში ცაცხვი მოჭრა და

ფიქრებად დახერხა“ ცაცხვი არის აპელატივი, კერძოდ, საზოგადო სახელი. მაგრამ სხვა წინადადებაში - „ცაცხვიში მდ. ჭუმი გაედინება“ - ცაცხვი სოფლის სახელია (ზუგდიდის რ-ნი). ომონიშია პირველი წინადადების „ცაცხვა“ და მეორე წინადადების „ცაცხვს“ შორის სემანტიკურ ონიმიზაციას ასახიერებს.

სემანტიკური ონიმიზაციის კერძო შემთხვევებია: სემანტიკური ტოპონიმიზაცია, სემანტიკური ანთროპონიმიზაცია, სემანტიკური ზოონიმიზაცია და ა. შ. სემანტიკური ონიმიზაციით საკუთარ სახელთა წარმოქმნა ფართოდაა გავრცელებული მსოფლიოს ყველა ენაში. მოვიხმობთ ქართულ მასალას: 1. სემანტიკური ტოპონიმიზაცია: აგარა „საზაფხულო სამყოფელი“ (აპელატივი) → აგარა (რვა დასახლებული პუნქტისა და სხვა მრავალი მიკროობიექტის სახელწოდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონსა და რაიონში), აბანო „ბუნებრივი სამკურნალო წყალი“ (აპელატივი) → აბანო (სამი სოფლის, უღელტეხილის, მყინვარის და მრავალი მიკროობიექტის სახელწოდება საქართველოში), წნორი „ტირიფის ერთ-ერთი სახეობა“ (აპელატივი) → წნორი (ქალაქი სიღნაღის რ-ნში), ხუნწი (მეგრ.) „მოცხარი“ (აპელატივი) → ხუნწი (სოფელი მარტვილის რ-ნში); 2. სემანტიკური ანთროპონიმიზაცია: მდივანი (მოხელე ფეოდალურ საქართველოში, სასამართლოს საქმეთა გამგებელი) → მდივანი (გვარსახელი, რომელსაც დღევანდელ საქართველოში 900-მდე მოქალაქე ატარებს), კანდელაკი „მნათე; კანდლების მწმენდავი“ → კანდელაკი (გვარსახელი) და სხვ.

ბ) სემანტიკურ-მორფოლოგიური ონიმიზაცია ეწოდება მრ. რიცხვში დასმული ან წარმოქმნილი თუ რთული სახელის გადაქცევას საკუთარ სახელად. მრავლობით რიცხვში საზოგადო სახელის დასმას პლურალიზაცია ეწოდება. პლურალური ტოპონიმი ერთ ობიექტს მიემართება, ხოლო პლურალური ანთროპონიმი - მრავალს. პლურალური ონიმები ფართოდაა ცნობილი სხვადასხვა ქვეყანაში: ალპები - მაღალ მთათა სისტემა ევროპაში, ანდები - მთათა სისტემა სამხრ. ამერიკაში, კოშკები - სოფელი გორის რაიონში ← კოშკები (აპელატივი), მსხლები -

სოფელი სამაჩაბლოში ← მსხლები (აპელატივი); ვეძები – სოფელი კახეთში ← ვეძები (აპელატივი); ბოსლევნი – სოფელი იმერეთში ← ბოსლევნი (აპელატივი) და სხვ.

ანთროპონიმიში პლურალურ ერთეულებად ითვლება დინასტიისა და საგვარეულო სახელები, რომლებიც ისტორიაში, ჩვეულებრივ, მრავლობითი რიცხვის ფორმით მოიხსენიებიან, მაგალითად, ამილახვრები, ბაღვაშები, ბაგრატიონები, დადიანები. ჯგუფური მეტსახელებიც ამ რკალში მოექცევა: უჟმურები, უფეხოები, ტრუნჯიები, ტოტეები, ფშუტუნეები და სხვ. (იმერეთში). მრავლობით რიცხვში შეიძლება იდგეს მხატვრული ნაწარმოების სახელწოდებანი (მაგ., ვ. ჰიუგოს „განკიცხულნი“, ვაჟა-ფშაველას „მთანი მადალნი“ და მისთ.). აგრეთვე დაწესებულებათა და მხატვრულ-შემოქმედებითი ანსამბლების, კინოთეატრების სახელები და სხვ.

წარმოქმნილი სახელის ონიმიზაცია ჩვეულებრივია როგორც ტოპონიმიში, ისე ანთროპონიმიშიც: მონასტერი (საზოგადო სახელი) → ნამონასტრევი „ადგილი სადაც მონასტერი იყო“ (აპელატივი) → ნამონასტრევი (სოფელი ხულოს რ-ნში. პრეფიქს-სუფიქსაცია მოხდა საზოგადო სახელის დონეზე); შევარდენი (საზოგადო სახელი) → საშევარდნე „ადგილი, რომელიც შევარდენებისთვისაა განკუთვნილი, შევარდენისათვის დანიშნული“ (პრეფიქს-სუფიქსაცია მოხდა აპელატივის დონეზე) → საშევარდნე – ორონიმი (კლდის სახელი ქ. ჭიათურის მახლობლად); მუხა → მუხნარი „მუხებიანი ადგილი“ (აპელატივი) → მუხნარი (ტყის სახელი) და ა. შ.

გ) სემანტიკურ-სინტაქსური ონიმიზაცია გულისხმობს სინტაქსური ერთეულების – სინტაგმათა (შესიტყვებათა) ან ფრაზისა თუ მთელი წინადადების – გადაქცევას საკუთარ სახელად. ამ პროცესის შედეგად ვიღებთ სინტაგმურ საკუთარ სახელსა და ფრაზეოლოგიურ საკუთარ სახელს.

სინტაგმური ონიმების ერთი ნაწილი წარმოადგენს რთულ სახელებს, ე. ი. კომპოზიტებს, ერთ ლექსიკურ ერთეულად ქცეულ მსაზღვრელ-საზღვრულიან სინტაქსურ წყვილს, რომე-

ლშიც მსაზღვრელი შეიძლება იყოს პრეპოზიციური ან პოსტპოზიციური, სახელობით ან ნათესაობით ბრუნვაში, მაგ.: ახალი სოფელი (ორი აპელატივი-შესიტყვება: ახალი + სოფელი) → ახალსოფელი (22 სოფლის სახელწოდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში), დაბა ძველი (ორსიტყვიანი აპელატივი) → დაბაძველი (სოფელი იმერეთში), გორი მაღალი → გორმაღალი (მთის სახელი საქართველოს რამდენიმე რეგიონში), მთის უბანი → მთისუბანი (სოფელი აჭარაში), წყაროს მთა → წყაროსმთა (მთის სახელები დუშეთისა და წალკის რაიონებში), ხევსურთ-სოფელი (სოფელი თიანეთის რ-ნში) და სხვ.

რთული სახელების ონიმიზაცია ხდება ანთროპონიმშიც და ზოონიმშიც. მაგალითად: შავი კაცი (აპელატივი) → შავკაცი (გვარ შავკაციშვილის ეპონიმი), ახალი კაცი (აპელატივი) → ახალკაცი (მეტსახელი, რაც შემდეგ იქცა გვარსახელად ტრანსონიმიზაციის გზით), ცერიტოლა (აპელატივი) → ცერიტოლა (მეტსახელი ქიზიყში), პირჩე „პირთეთრი“ (მეგრ.) → პირჩე – ზოონიმი (ძროხის სახელი), რქა ფართო (აპელატივი) → რქაფართო (ძროხის სახელი ქიზიყში) და სხვ.

ტოპონიმებში – წინუბანი, წინსოფელი, წინწყარო, ზესოფელი, ზეუბანი, ზეკარი, უკანახო, უკანგორი, უკანტა და მისთ. – პირველი კომპონენტი არსებით სახელთან შეზრდილ ზმნიზედას კი არ წარმოადგენს, არამედ მსაზღვრელი სიტყვის ბოლომოკვეცილ ფორმას: წინა უბანი → წინუბანი, წინა სოფელი → წინსოფელი, ზედგვე – სათიბი გორაზე (სოფ. კვაშხეთი) და სხვ. (შდრ.: სოფლის სახელწოდებანი: წინარეხი, წინამხარი, ზედა ლელე, ზემო უბანი, უკანაუბანი, უკანამხარი და სხვ).

სინტაგმური ონიმების მეორე ჯგუფს შენარჩუნებული აქვს შესიტყვების ფორმა. მისი კომპონენტები წარმოადგენს ერთმანეთთან სინტაქსურად შეხამებულ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს, მაგალითად: შავი ზღვა, რაჭის ქედი, ზემო უბანი, ენგურის წყალსაცავი, აბანოსღელე და სხვ. (იხ. აფრიდონიძე, 1983).

ფრაზეოლოგიური ონიმი, ფაქტობრივად, წარმოადგენს ფრაზას, გამოთქმას, მოკლე ტექსტს (ჩვეულებრივ, ზმნის შემცველს).

საკუთარ სახელად ქცევის შემდეგ ბევრი მათგანი ერთ სიტყვად გაფორმდა. მაგალითად: ბელტიყლაპია (← ბელტი ყლაპე ან ბელტის მყლაპი), დაგჩხაფისო (მამაკაცის მეტსახელი ქიზიყში. ბავშვობისას სველი კატა გასაშრობად შეაგდო გახურებულ ღუმელში და რამდენიმეჯერ შესძახა: დაგჩხა, ფისო?“), მოიდანახე (ვარაუდობენ: ← „მოდი და ნახე!“), არმეგონა (ეპონიმი გვარისა არმეგონაშვილი. ← არ მეგონა), ღვთისავარი (← ღვთისა ვარ), არენდო (ძაღლის სახელი. ← არ ენდო)... ფრაზეოლოგიურ ონიმებად ითვლება წინადადებები, რომლებიც წარმოადგენს მხატვრული ნაწარმოებებისა და კინოსურათის სახელწოდებებს: „გზაზე ერთი კაცი მოდიოდა“, „იყო შაშვი მგალობელი“, „ვიდრე ჰზვალ“, „ღვინია გადაიჩეხა“ და სხვ. არაარსებითი სახელების გაარსებითება-გაონიშება გამოიხატება მათი ჩართვით ონიმური სიტყვაწარმოებისა და ფორმაცვალების პარადიგმებში: „ეციმ ბავშვი დააფრთხო“ (ეცი ძაღლის სახელია), „არაშენდული ყურძენი საუკეთესოა“ (არაშენდა სოფელია) და სხვ.

სემანტიკურ-სინტაქსურ ონიმს შეიძლება მოეკვეცოს საზღვრული კომპონენტი, ამ პროცესს ელიპტირება ეწოდება. ელიპტირებული ტოპონიმებია: მღვრიე – მდინარე თელავის რაიონში (მღრ. მღვრიე ხევი – მდინარე გურჯაანის რ-ნში), Нижний (ქალაქი რუსეთში) ← Нижний Новгород... საზღვრული კომპონენტის მოკვეცას იწვევს მისწრაფება მეტყველების ეკონომი-ისაყენ, რაც ძირითადად ცოცხალ მეტყველებაშია გავრცელებული.

ონომატოლოგთა შორის გავრცელებული ფრთიანი გამოთქმის თანახმად, აპელატივი ჩრდილივითაა – მუდამ თან სდევს საკუთარ სახელს და წარმოაჩენს მისი მოტივირება-წარმოქმნის მიზეზს. მაგრამ ონიმი, როგორც წესი, ესწრაფვის აპელატიური მნიშვნელობისაგან გამიჯვნა-განთავისუფლებას. ამის შედეგად, რაც უფრო „ასაკოვანია“ საკუთარი სახელი, მისი „ჩრდილი“ მით უფრო მკრთალი და უფერული ხდება და ბოლოს სულაც იკარგება. სწორედ ეს იწვევს მრავალ ცრუ, ზოგ შემთხვევაში კურიოზულ, ეტიმოლოგიებს.

ერთ-ერთი ზოგადონომასტიკური კანონზომიერება ასეთია:

რაც უფრო ნაკლებ გასაგები და გამჭვირვალეა ამოსავალი ფუძე და მისი აპელატიურ-ლექსიკური მნიშვნელობა, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ საკუთარი სახელი აღიქმებოდეს ოდენ საკუთარ სახელად, ე.ი. არ იყოს დამძიმებული კონოტაციით და ჰქონდეს მხოლოდ და მხოლოდ სამისამართო ფუნქცია. და პირიქით: რაც უფრო ცნობილი და შემონახულია ფუძის აპელატიური მნიშვნელობა, მით უფრო ნაკლებია საკუთარი სახელის ონიმურობის ხარისხი. ეს განსაკუთრებით შეეხება გაარსებითებულ და საკუთარ სახელებად ქცეულ მიმღებებსა და ზედსართავებს.

დ) მეტაფორიზაცია. აპელატივის ონიმიზაციის ან ონიმის ტრანსონიმიზაციის თავისებურ ფორმად ითვლება მეტაფორიზაცია, ანუ აპელატივის გადაქცევა საკუთარ სახელად რეალური ან საუარაუდო მსგავსების, შედარების, ანალოგიის საფუძველზე. მეტაფორიზაციის შემთხვევაში შენარჩუნებულია ცნებითი კავშირი აპელატივსა და მისგან წარმოქმნილ საკუთარ სახელს შორის. როგორც ა. რეფორმატსკი აღნიშნავს, „მნიშვნელობის მეტაფორული გადატანისას იცვლება საგანი, მაგრამ ცნება არ იცვლება“ (Реформатский, Введение в языкознание, 1967, გვ. 77).

მეტაფორული შეიძლება იყოს ტოპონიმიც, ანთროპონიმიც, ზოონიმიც და ა.შ. მაგალითად, ტოპონიმები: ნამგალა – ნამგლის მოყვანილობის მქონე სახნავი, გვირგვინა – ბორცვი, რომელიც გვირგვინივით გადმოჰყურებს მიდამოს, ნაბადა – ნაბადივით გაშლილი ადგილი და სხვ. (მიკროტოპონიმები გორის რ-ნში); ანთროპონიმები: ვაშლა – მეტსახელი (ვაშლივით წითელი ლოყები აქვს), ჭიკორტა – მეტსახელი (ტანით დაბალია), კუი – მეტსახელი (ძალიან ნელი სიარული იცის), კალია – მეტსახელი (გრძელი ფეხები აქვს), შაუგლი (მარტოობა უყვარს) და სხვ. (მეტსახელები ქიზიყში); ზოონიმები (ქიზიყში) : ფუტკარა – ძროხა (ყავისფერია და ზურგზე შავი ზოლები აქვს), აფთარა – ძაღლი (აფთარივით ავი და დაუნდობელია), ფოცხვერა – კატა (მუდამ ხეზე ზის და ღამლამობით ფოცხვერივით ჩხავის) და სხვ.

ქართულურ ენებში ონიმური მეტაფორიზაცია სემანტიკურ-

გრამატიკული ხასიათისაა, რადგანაც ხდება როგორც აფიქსაციის გარეშე, ისე აფიქსების (კერძოდ, სუფიქსების) დართვით. გამოყენებულია სუფიქსები: -ა: კვერციხი → კვერცხა - მეტსახელი (თავი აქვს კვერციხით მოგრძო), ირემი → ირემა - ძროხა (ირმის მსგავსია), კალმახი → კალმახა „კალმახის მსგავსი“, ერცქემი „არჩვი“ (მეგრ.) → ერცქემა - თხის სახელი; -ო: ლომი → ლომო - მეტსახელი (ლომივით მაგარი), ჭუპრი → ჭუპრო - მეტსახელი (სულ სახლში ზის, გარეთ არ გამოდის), ნუკრი * → ნუკრო - ძროხა (ნუკრივით ლამაზია); -უნა: ზღარბი → ზღარბუნა - მეტსახელი (თმა აქვს ხვეული და აბურძგნული); -ე: ჭუბური „წაბლი“ (მეგრ.) → ჭუბურე - ძროხა (წაბლის ფერი გადააპკრავს); -იშა: ირემი → ირემიშა - ძროხის სახელი სამეგრელოში (ირემს ჰგავს ფერთა და სიმაღლით) და სხვ.

აპელატივის მეტაფორიზაცია საკუთარი სახელის წარმოქმნის უნივერსალური, გლობალური ონომასტიკური მოვლენაა. ტოპონიმთა მეტაფორული წარმოქმნისას გამოყენებულია სულიერი არსების სხეულის ნაწილების აღმნიშვნელი სახელები, როგორცაა: თავი, თვალი, ცხვირი, ყური, ენა, კისერი, ყელი, ფეხი, ზურგი და სხვ. უღელტეხილის მთავარი ნიშანია ჩადაბლება, ჩაზნექილობა. ამიტომაც მსოფლიოს მრავალ ენაში უღელტეხილთა სახელებში ხშირად გვხვდება ყელ-ლექსემა (Чайко, 1974; Мурзаев, 1974; Никитина, 1978 და სხვ.). ქართულში ყელ-ლექსემა, როგორც მეტაფორული ოროგრაფიული ნომენი, აპელატივს წარმოადგენს და, შესაბამისად, ტოპონიმად იქცევა არა მეტაფორიზაციის (ყელი „გადასასვლელი, უღელტეხილი“. იხ. ქეგლ), არამედ სემანტიკური ონიმიზაციის გზით.

ნომინაციის პროცესში გარკვევას მნიშვნელობა აქვს არა თვით კონკრეტული საკუთარი სახელის არსის უკეთ გასაგებად, არამედ ამ გზით ენის განვითარების, ხალხის ისტორიის, რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, საყოფაცხოვრებო ტრადიციების კვლევისათვის.

აპელატივის ონიმიზაცია უძველესი საშუალებაა ენის ონიმური ფონდის შესავსებად. აპელატივისმიერი, ანუ აპელატივის ონიმი-

ზაციით წარმოქმნილი საკუთარი სახელი, თვით შეიძლება გახდეს ახალი ონიმის ფუძე (იხ. ტრანსონიმიზაცია).

აქვე გავეცნოთ ორ ონომასტიკურ ტერმინს:

აპელატიური ლექსიკა – ამა თუ იმ ენის ონიმიაში დადასტურებულ აპელატივთა ერთობლიობა; **აპელატიური მნიშვნელობა** – ონიმის ის მნიშვნელობა, რომელიც მას ჰქონდა ონიმიზაციამდე. ეს მნიშვნელობა შეიძლება ცხადად იყოს შემონახული (მაგალითად: ბელტიყლაპია „ვინც ბევრს ჰამს“, ნამონასტრევი „სადაც მონასტერი იყო“) ან დადგინდეს კვლევა-ძიებითა თუ ისტორიულ წყაროებში დამოწმებული ფორმების გათვალისწინებით.

§ 2. ტრანსონიმიზაცია

საკუთარი სახელი შეიძლება მომდინარეობდეს არა მხოლოდ აპელატივისაგან, არამედ თავად საკუთარი სახელისაგანაც. ამ შემთხვევაში ხდება სახელის გადასვლა ერთი ონიმური კლასიდან მეორეში, ან თვით ონიმური კლასის შიგნით ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში. ონიმთა ამგვარ წარმოქმნას ტრანსონიმიზაცია ეწოდება. მაგალითები: ვაშინგტონი (ჯორჯ ვაშინგტონი – აშშ პირველი პრეზიდენტი) → ვაშინგტონი (აშშ დედაქალაქი), წერეთელი (ანთროპონიმი, კერძოდ გვარსახელი) → წერეთელი (ოიკონიმი, სოფლის სახელი მარნეულის რ-ნში), გაგარინი (მსოფლიოში პირველი კოსმონავტის გვარსახელი) → გაგარინი (სელენონიმი, ერთ-ერთი მცირე ცთომილისა და მთვარის ერთ-ერთი კრატერის სახელი) და სხვ.

ტრანსონიმიზაცია, ისევე როგორც ონიმიზაცია, ენის ონიმური ფონდის შევსებისა და განახლების უნივერსალური გზაა. იგი მიმდინარეობს განუწყვეტლივ და, როგორც წესი, კონკრეტული ენის ტრადიციების შესაბამისად. ტრანსონიმიზაცია შეიძლება იყოს ნულოვანი, ე. ი. უშუალო, ოდენ „წმინდა“ ფუძის სახით წარმოდგენილი. სათანადო ნიმუშებია ანტიკური (ბერძნული, რომაული) ღვთაებების, გმირების, ტიტანების სახელებისა და მათი ეპითეტების გადაქცევა ანთროპონიმებად, ასტრონიმებად, კოსმონიმებად და

ა. შ. ეს პროცესი ძველ დროშივე დაწყებულია და ახლაც გრძელდება. ტრანსონიმიზაციის გზითაა წარმოქმნილი ქრისტიანულ ქვეყნებში ფართოდ გავრცელებული პირსახელები: აპოლონი (თეონიმი, ერთ-ერთი უმთავრესი მრავალფუნქციიანი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში) → აპოლონი (პირსახელი); მარსი (თეონიმი, რომაელთა უძველესი ღვთაება) → მარსი (ასტრონომი. მზის სისტემის IV პლანეტა), ვენერა (სიყვარულისა და სილამაზის ქალღმერთი რომაულ მითოლოგიაში) → ვენერა (მზის სისტემის მეორე პლანეტა; ქალის სახელი) და სხვ. თანამედროვე ეპოქაშიც თეონიმები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყაროა ხელსაწყო-იარაღებისათვის სახელების დასარქმევად: ნებტუნი (თეონიმი რომაულ მითოლოგიაში) → ნებტუნი (საყვინთი კოსტუმი), იუპიტერი (თეონიმი, უზენაესი ღვთაება რომაულ მითოლოგიაში) → იუპიტერი (სანათი ხელსაწყო) და სხვ.

სხვადასხვა ენებში ტრანსონიმიზაციის მიმართულებებია: თეონიმი → ზოონიმი (მაგალითად, რუსულ ენაში ძროხის სახელი ვენერა, ხარის სახელი მარსი), ტოპონიმი → ანთროპონიმი (რუსულ ენაში: ქალაქი სამარა → გვარსახელი სამარა), ანთროპონიმი → ტოპონიმი (გვარსახელი ჭაფარიძე → სოფელი ჭაფარიძე დედოფლისწყაროს რ-ში), ტოპონიმი → ზოონიმი (ცხოველს ხშირად არქმევენ სახელს დაბადების ან ყიდვის ადგილის მიხედვით) და სხვ.

საქართველოში განსაკუთრებით გავრცელებულია გვარსახელთა მრავლობითი რიცხვის ან კრებითობის გამომხატველი სახელის გადაქცევა ოიკონიმად. როგორც ცნობილია, კონკრეტული საგნის მრავლობითობა ქართულში იწარმოება -ებ და -ნ/-თ სუფიქსებით, ხოლო კრებითობის სახელებს აწარმოებს -ან სუფიქსი. -ებ-იანი მრავლობითობის ფორმები ხშირად გვხვდება აქარის ოიკონიმიში (გვარსახელი გოგაძეები → ოიკონიმი გოგაძეები, გვარსახელი ადაძეები → ოიკონიმი ადაძეები, გვარსახელი ცივაძეები → ოიკონიმი ცივაძეები და სხვ.); ნარიანი ფორმები კი გავრცელებულია აღმ. საქართველოს მთიანეთში (გვარსახელი ვეშაგურნი → ოიკონიმი

ვეშაგურნი, გვარსახელი თოთიაურნი → ოიკონიმი თოთიაურნი) და სხვ.; -ან დაერთვის პირსახელს ან მეტსახელს და გამოხატავს ეპონიმიწმის შთამომავალთა ჯგუფს. ამგვარად წარმოქმნილი სახელი ხშირად იქცევა სოფლის ან უბნის სახელადაც. მაგ., ოქრუაანი („ოქრუას შთამომავლობა“) → ოქრუაანი (სოფელი დუშეთის რაიონში), ყიტაანი (სოფელი გურჯაანის რაიონში „ყიტას შთამომავლობა“) → ყიტაანი (სოფელი) და სხვ.

ტრანსონიმიზაცია, ისევე როგორც ონიმიზაცია, მიმდინარეობს აფიქსაციის ან სიტყვათშეერთების გზითაც. მაგ., კორინთელი (გვარსახელი) → სა-კორინთლ-ო (სოფელი კასპის რ-ნში), ჭარაია (გვარსახელი) → ლეჭარაიე (სოფელი გალის რ-ნში), თხინვალი (სოფელი მცხეთის რ-ნში) → თხინვალელი (გვარსახელი) და სხვ.

ტრანსონიმიზაციის კერძო შემთხვევებია ტრანსტოპონიმიზაცია და ტრანსანთროპონიმიზაცია. ორსავე შემთხვევაში ხდება სახელწოდების გადასვლა ობიექტთა ერთი კლასის შიგნით ერთი სემანტიკური ველიდან მეორეში დერივაციის გარეშე ან დერივაციისა თუ სიტყვათშეერთების გზით. ტრანსანთროპონიმიზაციის გავრცელებული მოდელებია: ა) გვარსახელი → პირსახელი (მარქსი, ტელმანი, ედისონი გვარსახელებია, მაგრამ საბჭოთა კავშირში მათ პირსახელებადაც იყენებდნენ); ბ) მეტსახელი → გვარსახელი: თავდიდი → თავდიდიშვილი, თითილოკა → თითილოკაშვილი, ნოდია „ზარმაცი, ზანტი“ (მეგრ.) → ნოდია გვარსახელი და სხვ. იშვიათად, ერთი და იგივე ონიმური ლექსემა პირსახელადაც გვხვდება და გვარსახელადაც (მაგალითად, შადიმანი, ბუთხუზი, ილარიონი და სხვ.).

ტრანსტოპონიმიზაციის გავრცელებული შემთხვევებია: ჰიდრონიმი → ოიკონიმი, ოიკონიმი → ჰიდრონიმი, დრიმონიმი → ოიკონიმი, ორონიმი → ოიკონიმი და სხვ. მაგრამ ამგვარ ტრანსტოპონიმიზაციას მეტონიმიასაც უწოდებენ.

მეტონიმი. ეს ტერმინი ონომასტიკაში აღნიშნავს სახელწოდების კონტაქტურ გადატანას, ე. ი. მის გადანაცვლებას უშუალოდ მომიჯნავე ობიექტზე (ბერძნ.: metonymia „სახელის

გადარქმევა, შენაცვლება“). მეტონიმია ჩვეულებრივია ტოპონი-
მიაში. სახელწოდების მეტონიმიური გადატანისას იცვლება
დენოტატი – ნომინაციის ობიექტი, ხოლო სახელწოდება, რომე-
ლიც ფორმალურად (ფონემათა თანამიმდევრობით) არ იცვლება,
იძენს ახალ ტოპონიმურ მნიშვნელობას, აღნიშნავს სხვა ობიექტს.
მაგალითები: ხემაღალი, როგორც ფიტონიმი, სახელდების
პროცესში მოტივირებული იყო სემანტიკურად, ხოლო როგორც
საკუთარი სახელი, ერთ-ერთი კონკრეტული ხის აღმნიშვნელი
გახდა (ეს იყო მისი ონიმური მნიშვნელობა). დროთა განმავლობაში
ამ მაღალი ხის მიდამოებში აშენდა სოფელი და სახელწოდებამაც
მასზე გადაინაცვლა (ხემაღალი სოფელია ხარაგაულის რ-ნში).
პარალელურად შეიცვალა დენოტატიც და სახელწოდების
მნიშვნელობაც: იგი უკვე სოფელს აღნიშნავს და ესაა მისი
მნიშვნელობაც და დანიშნულებაც. სხვა მაგალითები: წიფლო-
ვანა, ცხადია, თავდაპირველად იყო დრიმონიმი (ტყის სახელი), მაგ-
რამ თანდათანობით იქცა ამ ტყის ადგილას გაშენებული სოფლის
სახელად (წიფლოვანა სოფელია ქარელის რ-ნში); გიორგიწმინ-
და, რა თქმა უნდა, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიას ერქვა
(ტრანსონიმიზაციის შედეგი: წმინდანის სახელი → ნაგებობის
სახელი), მაგრამ შემდეგ მის გვერდით ან მის გარშემო გაშენებულ
სოფელსაც ეს სახელი ეწოდა (გიორგიწმინდა რამდენიმე სოფ-
ლის სახელია საქართველოში).

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და საქართველოშიც ტოპონი-
მური მეტონიმიის ყველაზე გავრცელებული მოდელია ჰიდრო-
ნიმი → ოიკონიმი: გუბისწყალი (მდინარე. რიონის მარჯვ. შენა-
კადი) → გუბისწყალი (სოფელი ამ მდინარის ნაპირზე); კისისხევი
(მდინარე თელავის რაიონში, ალაზნის მარჯვ. შენაკადი) →
კისისხევი სოფელი ამ მდინარის ნაპირზე; წყალტუბო (მეგრ.
წყარტიბუ „წყალთბილი“. ასე ერქვა ალბათ მცირე ღელეს, ტბას
ან წყაროს) → წყალტუბო (საკურორტო ქალაქი ქვ. იმერეთში)
და სხვ.

ონომასტიკურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ასევე
ჩვეულებრივია: დრიმონიმი → ჰიდრონიმი, ორონიმი → ოიკო-

ნიმი, ჰიდრონიმი → ორონიმი და სხვ. მაგალითები საქართველოს ტოპონიმიდან: მუხიანი (ტყის სახელი) → მუხიანი მდინარე დმანისის რ-ნში (ხრამის მარჯვ. შენაკადი), ბროლისქედი – სერი თერჯოლის რ-ნში → ბროლისქედი (სოფელი ამავე ქედზე), მღვიმევი (სპელეონიმი) → მღვიმევი – ოიკონიმი (სოფელი ჭიათურის მერიის ტერიტორიაზე), ცხრაწყარო (წყარო თრიალეთის ქედზე) → ცხრაწყარო (მთა და უღელტეხილი თრიალეთის ქედზე) და სხვ.

მდინარე სიგრაძივი ობიექტია და ამიტომაც მისი სახელი მეტონიმიურად შეიძლება გადავიდეს რამდენიმე ობიექტზე, რასაც გრადაციას უწოდებენ, მაგ., მდ. კელასურის (აფხაზეთში) ნაპირზე სხვადასხვა ადგილას ოთხ სოფელს ეწოდება კელასური (თვით კელასური ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ზღვის ყურეს).

ტრანსტოპონიმიზაციის შემთხვევაში სახელწოდების პირველადობის (გადატანის მიმართულების) დასადგენად საჭირო ხდება მისი ლექსიკურ-სემანტიკური და სტრუქტურულ-გრამატიკული ანალიზი, ტოპოფუქციებისა და ტოპოფორმანტების გამოვლენა. ამასთანავე, ტოპონიმის მეტონიმია შეიძლება იყოს სამსაფუხურიანიც: ჰიდრონიმი → ორონიმი → ჰიდრონიმი, ორონიმი → ჰიდრონიმი → ოიკონიმი და სხვ.

ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტონიმიად თვლიან აპელატივის ონიმიზაციასაც. მაგრამ საკუთარ სახელთა წარმოქმნის ამ ორ პროცესს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა: აპელატივის ონიმიზაცია – კონვერსიის შემთხვევაში ომონიმიის ერთ-ერთი წევრი საზოგადო სახელია, ხოლო ტრანსონიმიზაციისას ომონიმიის ორივე წევრი საკუთარი სახელია. ამის გარდა, აპელატივის ონიმიზაციისას დენოტატის გამოცვლა არ ხდება, რადგანაც საზოგადო სახელს დენოტატი არ მოეპოვება (ხევი ერქმევა ხევს, გორა – გორას, წიფლნარი – წიფლნარს და სხვ. მაშასადამე, სახელწოდება „შეესაბამება“ სახელდებულ ობიექტს), ხოლო ტრანსონიმიზაციისას დენოტატი იცვლება (ვთქვათ, ტყეს ეწოდება მუხნარი. მუხნარი დრიმონიმი, მისი დენოტატი არის ტყე. მას შემდეგ, რაც ტყე გაქრა და სოფელი გაშენდა, მუხნარი იქცა ოიკონიმად. ამჯერად მისი დენოტატია დასახლებული პუნქტი და

არა ტყე).

მეტონიმის სპეციფიკურ ფორმად შეიძლება განვიხილოთ ოჯახში ტრადიციით დამკვიდრებული გადასვლა ბებია-ბაბუას (დიდედა-პაპის) სახელებისა შვილიშვილებზე. თუმცა აქ ტრანსონიმიზაცია ხდება ერთი სემანტიკური ველის (ანთროპონიმის) ფარგლებში.

იდენტურ ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებში ხშირია ენობრივ-ლექსიკურად იდენტური ტოპონიმები, რომელთაც სეხნია ტოპონიმებს უწოდებენ. მაგალითად, მუხათი ეწოდება სოფელს თეთრიწყაროს რაიონში და მწვერვალს კახეთის ქედზე; ზვარე სოფლებია ხარაგაულისა და ქედის რაიონებში (თითოეული მათგანი, თავის მხრივ, წარმოქმნილია ტრანსონიმიზაციით), ხოლო გომი – კასპის, ოზურგეთის, ონისა და ხაშურის რაიონებში (თითოეული გომი წარმოადგენს დანარჩენი სამის სეხნიას).

მეტონიმია, როგორც გეოგრაფიული სახელწოდების კონტაქტური გადატანა (ისევე როგორც ზოგადად ტრანსონიმიზაცია), უნივერსალური საშუალებაა ახალ-ახალ ტოპონიმთა წარმოსაქმნელად.

ირადიაცია. ტრანსონიმიზაციის ერთ-ერთ კერძო შემთხვევად ითვლება ირადიაციაც. ლათინური სიტყვა ირადიაცია (ლათ. ir-radiare „გამოსხივება“, ფრ. irradiation), როგორც ტერმინი, გამოიყენება ფიზიკაში, ფიზიოლოგიაში, მედიცინაში და ყველა შემთხვევაში მისი ზოგადი მნიშვნელობაა „პროცესის გავრცელება-განვრცობა დაშორებულ ობიექტზე“. რუსულ ონომასტიკურ ტერმინთა ლექსიკონში ირადიაცია განმარტებულია როგორც „გეოგრაფიული სახელწოდების გავრცელება სხვა, ჩვეულებრივ, ახლომდებარე ობიექტზე“. ფაქტობრივად, ტოპონიმიაში ირადიაცია არის გეოგრაფიული სახელწოდების მრავალჯერადი გადატანა ერთი ობიექტიდან სხვა, მასთან ახლოს ან მოშორებით მდებარე ობიექტებზე „წმინდა“ ფუძის სახით ან წარმოქმნა-სიტყვათმეერთების საშუალებით. ირადიაციის კლასიკურ მაგალითად სახელდება: დონი (მდინარე აღმოსავლეთ ევროპაში. ერთვის აზოვის ზღვას) → ჩრდილოეთი

დონეცი (დონის მარჯვ. შენაკადი); დონეცი – ნაქალაქარი ხარკოვის გარეუბანში; დონეცის მალლობი – მალლობი უკრაინისა და რუსეთის საზღვარზე; დონეცკი – ქალაქები უკრაინისა და რუსეთში; დონსკოი – ქალაქი დონის ზემოთში; დონბასი (იგივე დონეცის ქვანახშირის აუზი უკრაინაში) და სხვ.

§ 3. ხელოვნური ნომინაცია

ა) სტიქიური და ბუნებრივი სახელდება

ენა თავისი არსით ბუნებრივი წარმონაქმნია, ადამიანთა საზოგადოების შინაგანი განვითარების შედეგია (იყო ცდა ხელოვნური ენის – ესპერანტოს – შექმნისა). საკუთარ სახელთა სისტემაზე ბუნებრივად ყალიბდებოდა ენის განვითარებისა და საზოგადოებრივი საჭიროების კვალობაზე. როგორც ასკენიან, ობიექტისათვის სახელის დარქმევა ყოველთვის არის ადამიანის გონივრული მოღვაწეობის შედეგი და ამ თვალსაზრისით იგი, როგორც წესი, შეგნებულ ცნობიერი აქტია (იხ. Теория... გვ. 142). ნომინაციის ბუნებრიობა იმით გამოიხატება, რომ ობიექტს სახელი ერქმევა ათასწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული ენობრივი თუ ონომასტიკური კანონებისა და ტრადიციების მიხედვით და სახელმდები კოლექტივის ლოგიკურ-ფსიქოლოგიური თვალთახედვის შესაბამისად. ბუნებრივი ნომინაცია ერთდროულად არის სტიქიურიც და შეგნებულად მიმდინარეც: სტიქიურია იმდენად, რამდენადაც ამ პროცესს არავინ მართავს, იგი მიმდინარეობს თვითდინებით, ბუნებრივად, ხელოვნური ჩარევის გარეშე, ხოლო შეგნებულ და გაცნობიერებულა იმდენად, რამდენადაც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მიმდინარეობს ენაში ჩამოყალიბებული ონომასტიკური სისტემის კანონზომიერებათა გათვალისწინებით. როგორც ყოველ ხალხურ ლექსს აუცილებლად ჰყავს პირველმთქმელი, ასევე თითოეულ საკუთარ სახელს – პირველდამრქმევი, რომელიც მექანიკურად მიჰყვება წინაპართაგან შეთვისებულ ტრადიციას. პირველდა-

მრქმევის მიერ შეთავაზებული საკუთარი სახელი ადგილისა, პირისა თუ სხვა ობიექტისა ენობრივმა კოლექტივმა შეიძლება მიიღოს და გაითავისოს ან ძალზე მოკლე დროში (მაგალითად, პირსახელი), ან დროთა განმავლობაში (მაგალითად, ტოპონიმი, ზოონიმი, მეტსახელი).

ონომასტიკაში ბუნებრივ-სტიქიური ნომინაცია გულისხმობს ამა თუ იმ სახელის დიფერენციაციის, ინდივიდუალიზაციისა და ვარიანტთა წარმოქმნის ბუნებრივად წარმართულ პროცესს, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს ტოპონიმიაში. ხელოვნური ნომინაცია კი ერთგერადი და წინასწარგანზრახული აქტია, რომელიც თანამედროვე ეპოქაში მაშინვე ფორმდება იურიდიული დოკუმენტით.

ხელოვნურ ნომინაციად, უპირველეს ყოვლისა, ითვლება ყოველგვარი გადარქმევა, რომელიც, ჩვეულებრივ, შეიძლება არც არღვევდეს ენის ონიმურ-სახელდებითს სისტემას. სათანადო მაგალითებს ვპოულობთ როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაშიც. გავიხსენოთ: იაკობის ცოლს, რებეკას, შეეძინა ტყუპი. პირველად იშვა ესავი, მას მოჰყვა ისევ ვაჟი, რომელსაც ხელი ესავის ქუსლისათვის ჰქონდა მოჭიდებული. ამის გამო მას დაარქვეს იაკობ, რაც ძველებრაულად ნიშნავს „ქუსლს“. ეს პირსახელი, როგორც ჩანს, უარყოფით სემანტიკას შეიცავდა. აი, როგორ შესჩივის ესავი მამას: „ტყუილად კი არ ჰქვია იაკობ, ორჯერ გამაცურა“. ორთაბრძოლაში გატარებული მთელი ღამის შემდეგ ღმერთი ეუბნება იაკობს: „ამიერიდან აღარ ითქვას შენს სახელად იაკობ, არამედ ისრაელ, რადგან ღმერთს და ადამიანებს შეებრძოლე და სძლიე“. ამ გადარქმევაში ერთგვარი შეფასებითი ფაქტორიცაა — სახელის გაკეთილშობილება. სწორედ ამის შემდეგ იწოდებიან ებრაელები ისრაელის შვილებად. „ახალი აღთქმის მიხედვითაც“ ქრისტეს ზოგ მოციქულს შეეცვალა სახელი: სიმონს ეწოდა პეტრე, სავლეს — პავლე და სხვ.

ხელოვნური იყო სახელთა ცვლა ეგვიპტის ფარაონთა მიერ ტახტის დაკავებისას. ამ სეფესახელებში აისახებოდა ქვეყნის მმართველის რელიგიური განწყობილება და პოლიტიკური

მიმართულება. სახელთა ცვლის პროცესში აქტიურად მონაწილეობდნენ ქურუმები. ძვ. წ. -ის XVI ს. -ში ეგვიპტეს მართავდნენ ფარაონები, რომელთაც ერქვათ ამენხოტები, რაც ნიშნავს: „ამენი კმაყოფილია“. მაგრამ ამენხოტებ IV -ის დროს მზის ღვთაება ამონი შეცვალა მზისავე ღვთაება ატონმა და ფარაონმაც დაირქვა ეხნატონი, „ატონის რჩეული“. ამის მიხედვით შეეცვალათ სახელები ფარაონის ქალიშვილებსაც და ქალაქგარეთა სასახლესაც.

ქართველური, რომანული, გერმანული, სლავური მოდგმის ხალხებში ქრისტიანობის მიღებამდე საკუთარი სახელების დარქმევა სტიქიურად ხდებოდა, თუმცა კი თითოეული ახალშობილისათვის სახელის შერჩევა რეგულირდებოდა სხვადასხვა გზით. სტიქიური იყო თავდაპირველად ქრისტიანულ სახელთა გავრცელებაც, რაც მიმდებ ენაში მიმდინარეობდა გარკვეული ფონეტიკურ-ფორმობრივი ცვლილებებით. მაგალითად, ძველი ებრაული სახელი იოჰანან ინგლისურში ხდება ჯონი, გერმანულში - ჰანს, ფრანგულში - ჟან, პოლონურში - იან, რუსულში - ივან, ქართულში - იოვანე, იოანე, ახალბერძნულში - ივანისი. ზოგი სახელი ხალხურ მეტყველებაში კიდევ უფრო დაშორდა თავდაპირველ ბიზანტიურ კალენდარულ ფორმას ფონეტიკური, შეკვეცილ-შემოკლებული თუ ჰიპოკორისტიკული ვარიანტის სახით. ამან გამოიწვია ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის, პოლონეთის, რუსეთის საეკლესიო ხელისუფალთაგან ხელოვნური ჩარევა - ოფიციალური საეკლესიო (სამოქალაქო) კალენდრებისა და სხვადასხვა სახის ცნობარების შედგენა, რათა ანთროპონიმული დივერგენცია - „მრავალვარიანტულობა“ - შეეცვალა ანთროპონიმულ კონვერგენციას (ერთ ფორმამდე დაყვანას) სახელთა ფორმების კანონიზირების გზით.

ზოგი ანთროპონიმული კატეგორია, მაგალითად, გვარსახელი და მამის სახელი, არც სტიქიურია და არც მიზანმიმართული სახელდების შედეგი: იგი წინასწარაა თავსმოხვეული თითოეული პირისათვის. თუმცა გარკვეულ სიტუაციაში არც გვარსახელისა და არც მამის სახელის გამოცვლაა შეუძლებელი.

ხელოვნურია ზოონიმთა ერთი ნაწილიც, კერძოდ, ჯიშინი ცხენებისა და ძაღლების სახელები. წმინდა სისხლის ინგლისურ და ჩორთით მავალ ცხენებს არქმევენ სახელებს, რომლებიც იწყება დედის სახელის საწყისი ბგერა-ასოთი და აუცილებლად შეიცავს მამის სახელის ერთ ბგერა-ასოს მაინც, მაგრამ ნახევრად წმინდასისხლიანი და სხვა სახის ჯიშინი ცხენების სახელეპი იწყება მამის სახელის პირველი ბგერა-ასოთი და შეიცავს დედის სახელის ერთ ბგერა-ასოს მაინც. ორსავე შემთხვევაში სასურველია, ახლად შექმნილი ხელოვნური სახელი ემთხვეოდეს საზოგადო სახელს. მშობლების სახელთა საწყისი კომპლექსების შეერთებით ახალშობილისათვის სახელის დარქმევა ხშირია ქართულ ან-თროპონიმიაშიც.

კოსმონიმები, განსაკუთრებით ვარსკვლავებისა და თანავარსკვლავედების სახელები, უძველესი დროიდანვე წარმოიქმნებოდა ტრანსონიმიზაციის ბუნებრივ-სტიქიური გზით. მაგრამ მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე ციურ სხეულთა სახელდება ძირითადად ხელოვნურია. ხელოვნურია აგრეთვე დამპყრობთა მიერ დაპყრობილი ტერიტორიების ფიზიკურ-გეოგრაფიული და პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეულებისათვის დარქმეული სახელები. რა თქმა უნდა, ხელოვნური იყო საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურ ქვეყნებში იმ ტოპონიმთა შეცვლაც, რომელთა ფუძეც დაკავშირებული იყო სამეფო დინასტიებთან, თავად-აზნაურობასთან, ეკლესიასთან. ხელოვნურია, როგორც წესი, მიძღვნითი (მემორიალური), ანუ რომელიმე ცნობილი პირის ან მოვლენის ხსოვნის უკვდავსაყოფად დარქმეული სახელწოდებანი, მაგალითად: ვაშინგტონი, ლენინგრადი (დაუბრუნდა ისტორიული სახელი სანკტ-პეტერბურგი), გეგჰქკორი (დაუბრუნდა ისტორიული სახელი მარტვილი), რუსთაველის გამზირი, ცხრა აპრილის ქუჩა და სხვ. ხელოვნური იყო საბჭოთა პერიოდში გავრცელებული პირსახელები: ვლადლენი ← ვლადიმერ ლენინი, ლენმარი ← ლენინი, მარქსი, დაზმირი ← Да здравствует мир და სხვ.

ხელოვნურ ნომინაციაში განიხილავენ ტაბუირებასაც, აბრევირებასაც და ფსევდონიმის დაქმევასაც.

ბ) ტაბუირება. პოლინეზიური სიტყვა ტაბუ აღნიშნავდა პირველყოფილ ხალხებში არსებულ ტრადიციას – რაიმე საგნის, მოქმედების, ან სიტყვის აკრძალვას, რომლის დარღვევაც იწვევდა ზებუნებრივი ძალების რისხვა-სასჯელს (სიტყვა „ტაბუ“ ევროპაში პირველმა ჯ. კუკმა იხმარა 1771 წელს). ტაბუს მოქმედების სფეროა რელიგია, საოჯახო ყოფა და სხვ. ონომასტიკაში ტაბუირება აღნიშნავს გარკვეული კატეგორიის პირისათვის რელიგიურ-მისტიკურ რწმენასა თუ საყოფაცხოვრებო-საოჯახო ტრადიციასთან დაკავშირებით ზოგი ანთროპონიმის, თეონიმის, მითონიმის წარმოქმნის აკრძალვასა და მის შეცვლას ხელოვნური სახელებით. დაახლოებით მსგავსი წესი გავრცელებული იყო საქართველოს ზოგ კუთხეშიც, მაგალითად, ხევსურეთში, სადაც რძალი (ბიცოლა), ჩვეულებრივ, სახელს უცვლიდა მაზლს, მაზლი-შვილს და ამ სახელს მხოლოდ თვითონ იყენებდა, სამეგრელოში კი ოჯახის წევრები სახელს უცვლიდნენ ჩძალს, ცოლი – ქმარს და ა.შ.

გ) აბრევიაცია (ლათ. abbreviatio „შეკვეცა, შემოკლება“) ენათმეცნიერებაში აღნიშნავს: ა) სიტყვების პირობით შემოკლებას წერისას (ე.ი. = ესე იგი, ე.წ = ეგრეთ წოდებული, იხ. = იხილე და სხვ.; ბ) ორი ან რამდენიმე სიტყვის ნაწილებისაგან რთულ-შემოკლებული სიტყვის შედგენას (მაგ. ზაჰესი ← ზემო ავჭალის პიდროელექტროსადგური; ჯანმო ← ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია). ამ გზით წარმოქმნილ სახელებს აბრევიატურა ეწოდება. ეს ტერმინი ძირითადად ასეთივე მნიშვნელობით გამოიყენება ონომასტიკაშიც. მაშასადამე, საკუთარი სახელი შეიძლება წარმოდგენდეს აბრევიატურას, ე. ი. აბრევიაციის გზით წარმოქმნილს (იგივე აბრევირებულ საკუთარ სახელს).

კომპონენტთა შეკვეცა-შემოკლების ფორმის მიხედვით ონიმური აბრევიატურა შეიძლება იყოს:

ა. ინიციალური, თუკი აბრევიატურული (აბრევიირებული) საკუთარი სახელი წარმოქმნილია შესიტყვებაში შემავალი ლე-

ქსიკური ერთეულების საწყისი ასოების შეერთებით. ევროპულ ენებში იკითხება საწყისი ასოების ანბანური სახელწოდების ან შემადგენელი სიტყვების საწყისი ბგერების მიხედვით: აშშ ← ამერიკის შეერთებული შტატები, დსთ ← დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (რუს. СНГ ← Содружество Независимых Государств). ოდენ საწყისი ასოების შეერთებით წარმოქმნილ აბრევიატურებს აკრონიმსაც უწოდებენ. ინიციალური აბრევიატურის წაკითხვა სიძნელეს არ ქმნის, თუკი აბრევიატურაში ერთი ხმოვანი მაინც ურევია: მაგ. ენს-ი - მომღერალთა სამეული (ეკა, ნათია, სოფიო), სდასუ - უმაღლესი სასწავლებელი (← საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი) და სხვ. ქართულ ასოთა სახელები (ან, ბან, გან...) მოუხერხებელია ოდენ ინიციალური აბრევიატურისათვის, რადგანაც ქმნის გარკვეულ სიძნელეს აბრევიატურული ერთეულის წარმოთქმისას, მაგალითად, თსუ (← თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ცსკ (← ცენტრალური საარჩევნო კომისია. ამ შემთხვევაში კომისიამ აბრევიატურის გამოთქმის გასაადვილებლად ასეთი გამოსავალი იპოვა: დაიწერება „ცსკ“, მაგრამ წაიკითხება ცე-სკო) და სხვ.

ბ. რთულ-შემოკლებული, თუკი აბრევიატირებული საკუთარი სახელი წარმოქმნილია აპელატიური თუ ონიმური შესიტყვების ან კიდევ ცალკეულ, ერთმანეთთან სინტაქსურად დაუკავშირებელ სიტყვათა ნებისმიერი საწყისი ნაწილის შეერთებით. შეიძლება ერთ-ერთი კომპონენტი სრული სიტყვაც იყოს: დონბასი ← დონეცის ბასეინი (უკრაინაში); ლეთკანთი ← ლეთოფურე, კანთი (სოფელი წალენჯიხის რ-ნში); მარლენი ← მარქსი, ლენინი; ალმარა ← ალექსანდრე, მარიამი (მშობლების სახელებია); კოლთავრე ← კოლმეურნეობის თავმჯდომარე (კოლთავრე დაარქვეს ახალშობილს დას. საქართველოს ერთ-ერთ სოფელში. დენოტატმა ეს სახელი მხოლოდ მოწიფულობის ასაკში გადაირქვა).

გ. შერეული, თუ კი აბრევიატირებული საკუთარი სახელი ნაწილობრივ ინიციალურია და ნაწილობრივ

რთულშემოკლებული: საცხენჰესი ← საცხენისის ჰიდროელექტროსადგური (საცხენისი – მდინარე გარდაბნის რაიონში, ლოჭინის მარცხ. შენაკადი), გაერო ← გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (შდრ. რუსულში აბრევიატურა ოდენ ინიციალურია: ООН ← Организация Объединенных Наций).

აღსანიშნი ობიექტის სახეობის მიხედვით გამოიყოფა: აბრევიატირებული ანთროპონიმი (გვარსახელი, პირსახელი, ფსევდონიმი), აბრევიატირებული ტოპონიმი, აბრევიატირებული ზონიმი. აბრევიატირება ხშირად გამოყენებული დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, ნაგებობათა სახელების შესამოკლებლად. ზოგი ნიმუშს ზემოთ უკვე გავეცანით. წარმოავადგინოთ დამატებითი მასალა.

აბრევიატირებული გვარსახელი შეიძლება წარმოქმნილი იყოს პირსახელისა და საქმიანობის აღმნიშვნელი სიტყვის, ანდა-ზის, ნებისმიერი შესიტყვებისა თუ წინადადების შემადგენელი სიტყვების თავკიდური ასოებისა თუ ბგერათკომპლექსების შეერთებით. ამგვარი გვარსახელი შეიძლება იყოს ინდივიდუალური, მაგ., მარშაკი (რუსი მწერალი) ← მორენუ რაბი შელომო კლუგერი „ჩვენი მოძვარი მასწავლებელი სოლომონ ბრძენი“ ან ჩგუფური, მაგ., კუკრინიკსები (Жукриниксы - რუსი მხატვრები) ← კუპრიანოვი, კრილოვი, ნიკოლოზ სოკოლოვი). რა თქმა უნდა, ეს ანთროპონიმული ერთეულები (მარშაკი და კუკრინიკსები) თავდაპირველად ფსევდონიმებს წარმოადგენდნენ და გვარსახელის ოფიციალური სტატუსი მოგვიანებით მიიღეს. ქართულში აბრევიატირებული გვარსახელი არ მოგვეპოვება. აბრევიატირებული ჩგუფური ფსევდონიმის ნიმუშად კი შეიძლება დავასახელოთ აკ-სიმ-კოლი (←აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა).

აბრევიატირებული პირსახელი მრავლად მოიპოვება სხვადასხვა ენაში და დასტურდება ქართულშიც. იგი ძირითადად წარმოქმნილია ცნობილ ადამიანთა სახელების, მშობლების სახელების ან ნებისმიერი შესიტყვების საწყისი ბგერების ან ბგერათა კომპლექსების შეერთებით: მელორი ←

მარქსი, ენგელსი, ლენინი, ოქტომბრის რევოლუცია; გრივერი ← გრიგოლი, ვერა (მშობლების სახელები); სტალბერი ← თსტალინი, ბერია და სხვ. იტალიელმა მისიონერმა პიეტრო დელა ვალემ თავის ქალიშვილს, რომელიც დედით იბერიელი იყო, დაარქვა რომიბერა (← რომელი, იბერიელი). „მშობლების“ სახელების ინიციალებისა და მარცვალთკომპლექსების შეერთებით იწარმოება ზოონიმთა ერთი რიგიც.

დ. ტოპონიმთა შემოკლება. ხელოვნურ ნომინაციად ითვლება ტოპონიმთა თავისებური შემოკლებებიც, რაც გავრცელებულია აშშ-ში, მაგალითად: Fla ფლა ← Florida ფლორიდა, Colo კოლო ← Colorado კოლორადო, Ga ჯა ← Georgia ჯორჯია და სხვ.

დავასკვნით: ხელოვნურია ყოველგვარი საკუთარი სახელი, რომელიც წარმოქმნილია არა მეტყველების პროცესში მიმდინარე ბუნებრივი შერჩევის გზით, არამედ სპეციალურად მიზანმიმართული სიტყვათშემოქმედებითი აქტის შედეგად.

§ 4. სპეციფიკური ონიმური აზიქსაცია

ტოპონიმთა წარმოშობის ორ ძირითად გზაზე – ონიმიზაციასა და საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა წარმოებაზე – მინიშნებულია ა. შანიძის „ქართული გრამატიკის საფუძვლებში“, სადაც ვკითხულობთ: 1. „ყოველგვარი წარმოების საზოგადო სახელი შეიძლება მიეკუთვნოს რომელიმე დასახლებულ პუნქტს ან ფიზიკურ-გეოგრაფიულ ობიექტს და იქცეს საკუთრად“; 2. „საკუთრივ გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად მოიპოვება სუფიქსი ეთ, რომლის ვარიანტია ით. ეს ეთ შეიძლება გაძლიერებული იქნეს დანიშნულების პრეფიქსით (სა-ეთ)“. ეს ზოგადი დებულება შეიძლება განვავრცოთ მთლიანად ონიმიზაზე, კერძოდ, ტოპონიმთა და ანთროპონიმთა წარმოებაზე.

საკუთარი სახელის წარმოებას სპეციფიკური (საგანგებოდ ტოპონიმთა საწარმოებლად დანიშნული) ფორმანტების

საშუალებით შეიძლება ვუწოდოთ სპეციფიკური (საგანგებო) ონიმური აფიქსაცია (ონიმიზაციაზე ანუ საზოგადო სახელთა გადასვლაზე საკუთარ სახელთა კლასში, რასაც ონიმურ კონვერსიასაც უწოდებენ, ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

საგანგებო ონიმური აფიქსაციის კერძო შემთხვევაა საგანგებო ტოპონიმური აფიქსაცია, ანუ ტოპონიმთა წარმოება სპეციფიკური, მხოლოდ საამისოდ დანიშნული აფიქსების, ე.ი ტოპოფორმანტების მეშვეობით. ტოპოფორმანტები კი იშვიათია, ქართულში შეგვიძლია დავასახელოთ -ეთ და -ურა// -ულა. პირველი მათგანი ეთნონიმისაგან აწარმოებს ქვეყნის ან კუთხის სახელს (მაგ.: სვანი → სვანეთი, კახი → კახეთი, სომეხი → სომხეთი და სხვ.); ასეთ შემთხვევაში ხშირად გვხვდება პრეფიქსი სა- (მაშა-დამე, -ეთ და სა-ეთ ფორმანტებს სხვა (აპელატიური, საზოგადო სახელის მაწარმოებელი) დანიშნულება თითქმის არა აქვს (სამგლეთი და მზიანეთი ანალოგიის შედეგია) და მხოლოდ იმ ტერიტორიის სახელის საწარმოებლად გამოიყენება, სადაც ფუძეში აღნიშნული ეთნოსი თუ მცირე ეთნიკური ჯგუფი მკვიდრობს.

რაც შეეხება -ურა სუფიქსს, მისი ტოპონიმური ფუნქციაც შეზღუდულია, კერძოდ, -ურა სუფიქსდართული დერივატი მხოლოდ და მხოლოდ მდინარის სახელწოდებაა იმ შემთხვევაში, თუ იგი დაერთვის ტოპონიმს და მიემართება იმ მდინარეს, რომელიც ამ ტოპონიმით აღნიშნულ ობიექტს ჩაუდის ან იქვე იწყება (მაგ.: კაცხი → კაცხ-ურა, ჩარგალი → ჩარგლ-ულა და სხვ.). მეგრულში ამ ფუნქციას ასრულებს -ალა და -ელა სუფიქსები. კერძოდ, მეგრულში ჰიდროფორმანტებითაა წარმოქმნილი: ხუბერ-ალა (მდინარე. ერთვის ენგურს სოფ. ხუბერთან), წყავა-შალა (მდინარე, მაგანის შენაკადი ნასოფლარ წყავაშში), გარამელა (ღელე. სათავეა გარამი, „კარსტული ჭა“) და სხვ.

ტოპოფორმანტები თავდაპირველად არც ერთ ენას არ ჰქონდა, მაგრამ როცა საჭირო გახდა, აპელატიურმა (ანუ საზოგადო სიტყვათწარმოების) აფიქსებმა გეოგრაფიული სახელების გაფორმებაც იკისრეს და, დროთა განმავლობაში, სავსებით ან ნაწილობრივ ტოპოსაწარმოებელ საშუალებებად იქცნენ. ესენია

პრეფიქსები ლე-, სა-, ნა- (თანმხლები სუფიქსებითურთ). ოდენ ტოპოფორმანტია ლე-, რომელიც ანთროპონიმისაგან, ძირითადად, გვარსახელისაგან აწარმოებს ამ გვარით დასახლებული ტერიტორიის საკუთარ სახელს. როგორც არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, გვართაგან ლე- და სა- პრეფიქსებით ნაწარმოები სოფლის სახელებისათვის „ამოსავალია გვარი, რომლითაც დასახლებული იყო სოფელი“ (ჩიქობავა, 1942, გვ. 197). მაგალითად: სამეგრელოში სოფლის სახელებია: ლე-სიჭინ-ე ← სიჭინავა, ლე-დგები-ე ← დგებია, ლე-ქარდ-ე ← ქარდავა, ლე-ძაძამი-ე ← ძაძამია, ლე-ფოჩხუ-ე ← ფოჩხუა და სხვ. სამეგრელოში (განსაკუთრებით მის მთიან ნაწილში) იშვიათია სოფელი, სადაც დასახლებულ უბანს არ ჰქონდეს შერქმეული ლე- პრეფიქსით გვარსახელისაგან წარმოქმნილი სახელწოდება. კერძოდ, მთიანი სამეგრელოს 1500-მდე ანთროპოტოპონიმის თითქმის ნახევარი წარმოქმნილია გვარებისაგან ლე-ე პრეფიქს-სუფიქსით.

მაშასადამე, სვანური წარმომავლობის ლე- პრეფიქსი მეგრულში აწარმოებს მხოლოდ ანთროპოტოპონიმებს, ე. ი. საზოგადო საიტყვათწარმოებაში იგი არ გვხვდება. რაც შეეხება ქართულ სა- და ნა- პრეფიქსებს, ისინი მხოლოდ ნაწილობრივ არიან საგანგებო ტოპოფორმანტები. რადგანაც როგორც წესი, სა + გვარსახელი და ნა + გვარსახელი აუცილებლად წარმოქმნის ადგილის სახელს: ადანაია → საადანაიო, ბოკუჩავა → საბოკუჩავო, ფიფია → საფიფიო და სხვ. (ამ შემთხვევებში დანიშნულების სა- პრეფიქსით ნაწარმოები სახელი წარმოშობისთანავე ადგილის საკუთარ სახელად აღიქმება და აპელატიური შინაარსით არ გამოიყენება).

ასევე ნაწილობრივ საგანგებო ტოპოფორმანტია ნა-: ნა + გვარსახელი წარმოქმნის იმ ადგილის სახელს, სადაც ეს გვარი მკვიდრობდა: ვეკუა → ნავეკ-უ, ზოდელავა → ნაზოდელ-უ, შამუგია → ნაშამგ-უ და სხვ. (მეგრული შესატყვისი ნო- ამ ფუნქციით ძალზე იშვიათია).

საგანგებო ანთროფორმანტებად შეიძლება ჩავთვალოთ მეგრულში გვართა მაწარმოებელი აფიქსები -ია, -ავა, -უა. გვარსახელებში მათ სხვა ფუნქცია არა აქვთ.

§ 5 უცხოურ საკუთარ სახელთა გადმოღების გზები და საშუალებანი

ხალხებს შორის აქტიური კონტაქტები იწვევდა (და დღესაც იწვევს) ენობრივი ერთეულების (განსაკუთრებით – ლექსემების) გადაღება-გადანერგვას ერთი ენიდან მეორეში. როგორც წესი, ყოველი კულტურული ხალხის ენის ლექსიკაში მკვიდრი, ძირძველი ფენის გვერდით მოიპოვება უცხოენოვანი ერთეულებიც (ცნობილია, რომ ინგლისურში მკვიდრი ლექსემები მხოლოდ 25-30 პროცენტს აღწევს). საკუთარი სახელის გადმოღება (რუს.: „персдача имени собственного“) გულისხმობს უცხოენოვანი ონიმური ერთეულის ჩართვას მშობლიურ ენაში, რისთვისაც ენა უძველესი დროიდანვე იყენებს ისეთ გზებსა და საშუალებებს, როგორიცაა სესხება და თარგმნა-კალკირება, აგრეთვე სახელწოდების მიგრაცია-გადატანა.

ა. სესხება-ადაპტაცია. ონომასტიკაში სესხება ეწოდება უცხოენოვანი საკუთარი სახელების გადმონერგვას მშობლიურ ენაში ბგერითი გარსის უცვლელად ან გარკვეული ფონეტიკური ცვლილებებით. სესხება ენის ონიმური ლექსიკის გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების ერთ-ერთი ცნობილი და პროდუქტიული გზაა. საკუთარი სახელები, როგორც წესი, უფრო ადვილად და თავისუფლად გადადიან ერთი ენიდან მეორეში, ვიდრე საზოგადო სახელები. ამის შედეგად ნებისმიერი ხალხისა და ენის ონომასტიკონში მრავლად მოიპოვება ონიმური ერთეულები, რომელთა წარმომავლობაც მხოლოდ მშობლიური თუ მონათესავე ენების მასალაზე დაყრდნობით ვერ აიხსნება და სათანადო ეტიმონი (თავდაპირველი ფორმა) ისტორიის მანძილზე სავარაუდებელი წყარო-ენის ონიმიასია საძიებელი.

ონიმური (ისევე როგორც საზოგადოდ ლექსიკური) სესხების აუცილებელი თანამდევია პროცესია ადაპტაცია (ლათ. adaptatio „მისადაგება“) ანუ ნასესხები საკუთარი სახელის თანდათანობით

(მეტყველების პროცესში) შეგუება მიმღები ენის ფონეტიკური, მორფოლოგიური, და ონიმური სისტემისადმი. მაგალითად: ძველი ებრაული პირსახელი იოხანან (იეჰოხანან) „ღვთისაგან წყალობამიცემული“ სხვადასხვაგვარი სახეცვლილებითაა შესული მსოფლიოს მრავალ ენაში: ქართული ივანე (ძვ. ქართული: იოვანე//იოანე შდრ. მეგრ.: იონა, ივა), რუსული ივან (ИВАН), ინგლისური ჯონ (john), ფრანგული ჟან (Jean) და სხვ.; ძველი ებრაული მიქაელ „ღვთის სწორი“ ბერძნულში შევიდა როგორც მიხაილ და გავრცელდა მთელს მსოფლიოში ფონეტიკური სახეცვლილებებით: რუსული მიხაილ, უკრაინული მიხაილო, რუმინული მიხაი, ინგლისური მაიკლ და სხვ. ქართულში თავდაპირველად გავრცელებული იყო უშუალოდ ძველი ებრაულიდან შეთვისებული მიქელ, მიქელა (მეგრ. ვარიანტი: მიქა), მაგრამ სალიტერატურო ქართულში საბოლოოდ დამკვიდრდა ბერძნული ვარიანტი მიხეილ ფორმით (კნინობით-მოფერებითი ვარიანტები: მიხა, მიხო, მიხაკო); ბერძნული ნიკოლაფოს „ხალხის გამარჯვება“ ქართულში გავრცელებულია ნიკოლოზ (ისტ. წყაროებში დასტურდება: ნიკოლოზ, ნიკოლაოზ, ნიკოლას), რუსულში – ნიკოლაი, ბელორუსულში – ნიკოლა, უკრაინულში – მიკოლა ფორმებით; შდრ. აგრეთვე: ირანული რუდჰრასპ „წაბლა ცხენი“ → სპარსული ლუჰრასპ (შაჰ-ნამეს პერსონაჟი) → ქართული ლუარსაბი; ფრანგული პარის → ქართული პარიზი, რუსული – პარიჟ *Париж*; სირიის დედაქალაქის სახელი არაბულად ჟღერს როგორც დიმაშხ, ხოლო ქართულში ადაპტირებულ იქნა დიმაშკ ფორმით, მაგრამ რუსული დამასკ ვარიანტის გავლენით ქართულში საბოლოოდ დამკვიდრდა ფორმა დამასკო.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია და ზემოთაც არის აღნიშნული, ნასესხები საკუთარი სახელი (ისევე როგორც ნებისმიერი ენობრივი ერთეული) ექვემდებარება ადაპტაციას, ანუ მსესხებელი ენის ფონეტიკური, გრამატიკული და ონიმური სისტემებისადმი შეგუება-მისადაგებას. ამათგან მთავარი მაინც ფონეტიკური მისადაგებაა. ფონეტიკური ადაპტაციის რამდენიმე მაგალითი ზემოთაა დასახელებული. მორფოლოგიური ათვისების

თუნდაც ერთ მაგალითს მოვიყვანთ: სპარსული ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი ანთროპონიმი გიე ქართულშიც ამ ფორმით შემოვიდა (გვიანი შუა საუკუნეების წერილობით წყაროში დასახელებულია მოთხრობითი ბრუნვის ფორმა გიემან), მაგრამ რადგანაც ქართული ონიმური სისტემისათვის ერთმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი პირსახელი არ არის დამახასიათებელი, სახელობითი ბრუნვის ნიშანი — ფუძეს შეეზარდა და წარმოიქმნა ორმარცვლიანი ხმოვანფუძიანი სახელი გივი. ასევე შემოვიდა სპარსული ერთმარცვლიანი ვის, ტუს და იქცნენ ორმარცვლიანებად, ხოლო ორმარცვლიანი და თანხმოვანფუძიანი უშან, ვახტანგ, ვახუშტ... დიალექტებში ი ხმოვანფუძიან სახელებად (შანიძე მ., 1969).

ბ. თარგმნა-კალკირება. ონომასტიკაში თარგმნა ეწოდება უცხოური საკუთარი სახელის შეცვლას მისი ლექსიკური ეკვივალენტით, ოღონდ ამ შემთხვევაში ითარგმნება არა თვით საკუთარ სახელი, არამედ მისი წარმომქმნელი აპელატივი. ასეთი ეკვივალენტი, ჩვეულებრივ, შეიძლება თანაარსებობდეს ნასესხებ სახელთან ერთად. რამდენიმე მაგალითი: რუსულ ენაზე ბერძნ. პისტი („რწმენა“, „ერთგულება“) ითარგმნა და გავრცელდა როგორც Вера, აგათი (ბერძნ. „სიყვარული“) როგორც Любовь, ხოლო ელპიდე (ბერძნ. „იმედი“, „სასოება“) — როგორც Надежда (რუსულიდან ეს ქალის სახელები გავრცელდა საქართველოშიც, სადაც გასული საუკუნის დამლევს ლუბა ერჭვა 9795 ქალს, ხოლო ნადეჟდა — 7214-ს. ასევე ფართოდაა ჩვენში გავრცელებული ვერა და მისი როფერებითი ვარიანტი ვერიკო). ქართულში ასეთი ნათარგმნი პირსახელები ძალზე იშვიათია. შეიძლება დავასახელოთ აღდგომელა, რომელიც მამაკაცის ბერძნული სახელის — ანასტასის — ეკვივალენტი ჩანს (შემონახულია გვარსახელებში — აღდგომელაშვილი, აღდგომელაძე). არაა გამორიცხული ქალისა თუ მამაკაცის სახელები — იმედა, იმედი, იმედო ბერძნული ელპიდეს თარგმანი იყოს. ასევე ბერძნული Theodoros თეოდოროს („ღვთის წყალობა“) რუსულში გავრცელებულია როგორც ადაპტირებული (Федор, Федор), ისე მისი თარგმნილი ფორმით: ბოგოდარ

Богодар, ბოგდან БОГДАН. ქართულშიც ასეთივე ვითარებაა, ოღონდ კომპოზიტიური პირსახელის ორივე კომპონენტი დამოუკიდებლად ითარგმნა და დამკვიდრდა როგორც ღვთისა და წყალობა. ამასთანავე ქართულშივე ფართოდაა გავრცელებული ადაპტირებული ფორმებიც: თეოდორე, თევდორე, თედორე, თედო (შდრ. მეგრ. თოდორე, რომლისგანაც წარმოიშვა გვარი თოდრია → თორდია). შეიძლება ენაში ერთმანეთის გვერდით არსებობდეს ნათარგმნ-კალკირებული საკუთარი სახელი და მისი ორიგინალი (ნასესხებ-ადაპტირებული). რუსული კალენდარული სახელების ნუსხიდან მსგავსი კალკები ოფიციალურად იქნა ამოღებული.

კალკირება. ლექსიკოლოგიაში თარგმნა ეწოდება ტექსტის გადაღებას ერთი ენიდან მეორეზე. ხოლო შესაბამისად თარგმანი – ერთი ენიდან მეორეზე გადაღებულ-გადატანილ ტექსტს. ონომასტიკაში კი თარგმნა ეწოდება უცხოენოვანი საკუთარი სახელის შეცვლას შესაბამისი ეკვივალენტით.

მაშ რა არის კალკი? კალკირება? კალკირებული საკუთარი სახელი?

ფუნდამენტურ კოლექტიურ მონოგრაფიაში „თეორიული ენათმეცნიერების კურსი“ (თბ., 2003) განმარტებულია: კალკი „უცხოური ყალიბით (ნიმუშით) და საკუთარი მასალით შედგენილი ენობრივი ერთეულია. მას მხოლოდ სტრუქტურა აქვს ნასესხები“ (გვ. 392); „კალკირება (ფრ. calque „ასლი“) – ახალი ფრაზემის ან ლექსემის გაჩენა შესატყვისი უცხოური ენობრივი ერთეულის ზედმიწევნით, ზოგჯერ ნაწილ-ნაწილ თარგმნის გზით“ (იქვე). მაგ.: სრული ფრაზეოლოგიური კალკია რუს. порочный круг → ქართ. „მანკიერი წრე“; ან კიდევ: რუს. самолёт → ქართ. თვითმფრინავი“, ხოლო ნახევარკალკია: ფრ. anticorp → რუს. антитело → ქართ. „ანტისხეული“, ან კიდევ: ინგლ. uncle Sam → რუს. дядя Сэм → ქართ. „ბიძია სემი“...

როგორც ვხედავთ, ლექსიკოლოგიაში კალკირება, ფაქტობრივად, სინტაქსური წყვილის ან ფრაზის (ორ- და მეტფუძიანი სინტაგმის) თარგმნა-გადმოღების კერძო შემთხვევა

ჩანს. ასეთად შეიძლება მივიჩნიოთ კალკირება ონომასტიკაშიც. [„რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონში“ переводის განმარტებისას დასახელებულია: ბერძნ. პისტი → რუს. Вера, ფინ. კოივისაარი → რუს. სანაპირო კუნძული... მსგავსივე (ერთ სიტყვიანი და ორსიტყვიანი) მაგალითები გვხვდება онимическая капыла-ს განმარტებისას: ბერძნული ელპის → რუს. Надежда ბერძნ. თეოდოროს → რუს. Богодар...].

ქვემოთ წარმოვადგენთ სხვადასხვა ონიმური კატეგორიის კალკირებულ სახელებს ანთროპონიმისა და ტოპონიმიაში.

ანთროპონიმიაში:

გვარსახელი არის სიტყვა (ძირითადად არსებითი სახელი), რომელსაც მინიჭებული აქვს განსაკუთრებული იურიდიული ნიშნადობა (значимость) და ემსახურება ამა თუ იმ პირის იდენტიფიკაციასა და ინდივიდუალიზაციას. იდენტიფიკაცია ხდება ბგერათა გარკვეული თანამიმდევრობით. სწორედ ესაა გვარსახელისათვის რელევანტური და ამის გამო მისი თარგმნა თუ კალკირება გამორიცხულია, მით უმეტეს, რომ დაბადებისა თუ მოქალაქეობის მოწმობაში შეცდომით ჩაწერილი ნებისმიერი ფორმაც კი ლინგვისტური და იურიდიული სტატუსის მქონე ხდება. ნასესხები საკუთარი სახელები უფრო ინარჩუნებენ ფონემატურსა და მორფოლოგიურ სტრუქტურას მიმღებ ენაში, ვინემ საზოგადო სახელები. მაგრამ, ვინაიდან ნასესხებ საკუთარ სახელს ახასიათებს ფონემათა სხვა შეხამებადობა და განაწილება, ე. ი. სხვა ფონოტაქტიკა, პრობლემები იქმნება ტრანსკრიფციისას. მაგალითად, გერმანული *o* ქართულად ზოგ შემთხვევაში გადმოიცემა როგორც *ე* (ქალაქი *Ko!n* → კელნი), ზოგში კი – როგორც *ოე* (გვარსახელი *Boder* → ბოდერი).

მეტსახელს იურიდიული სტატუსი არა აქვს. იგი გამოიყენება არაოფიციალურ სიტუაციაში და, როგორც წესი, გამოირჩევა გამჭვირვალე სემანტიკით. აპელატივთან მჭიდრო კავშირისა და დაბალი ონიმური რანგის (ონიმურობის დაბალი ხარისხის) გამო მეტსახელებს ძირითადად თარგმნიან, მაგალითად, რუსულენოვანი მხატვრული ნაწარმოების სათაური „*Три толстяка*“ ქართულად ითარგმნა როგორც „სამი ბლენძია“ (მაგრამ გვარი

ონომასტიკის შესავალი

Толстой, როგორც წესი, უთარგმნელად გავრცელდა). ამასთანავე, მხატვრულ ლიტერატურაში ზოგ მეტსახელს ისეთი ფორმა და დანიშნულება აქვს, ან სიტყვათა ისეთ თამაშს წარმოადგენს, რომლის ზუსტად გადმოცემა მიმღებ ენაში შეუძლებელია.

ონიმური კალკის სახეობას წარმოადგენს სხვა ენიდან სრულად ან ნაწილობრივ ნათარგმნი ანთროპონიმი. ანთროპონიმული კალკის მაგალითებია: სოლომონ ბრძენი, იოანე ნათლისმცემელი, პეტრე დიდი, რიჩარდ ლომგული, პიპინ მოკლე... იშვიათად კალენდარულ სახელსაც თარგმნიდნენ. ასეთი კალკი ერთგვარ საშინაო სახელად გამოიყენებოდა. მაგ.: ბერძ. ანასტასი → ქართ. აღდგომელა, ბერძ. კვირიკე → ქართ. უფლისა, ბერძ. ზენონი → ქართ. ღვთისია (კუმბურიძე, 2003).

როგორაა ამ მხრივ საქმე ტოპონიმიაში?

ერთსიტყვიანი ტოპონიმები არ ითარგმნება, მაგალითად: უკრაინა (რუს. Украина „განაპირა მხარე“), დაღესტანი („მთიანი მხარე“), კოსტარიკა („მდიდარი სანაპირო“), ალმა-ათა („ვაშლოვანი“) და სხვ.

სრულად ან ნაწილობრივ ითარგმნება ორ- თუ სამსიტყვიანი ტოპონიმი, კერძოდ, დიდი ფიზიკურ-გეოგრაფიული ობიექტის სახელები და წარმოიქმნება სრული ტოპონიმური კალკები. მაგ., ინგლ. Care of Good Hope → რუს. мыс Доброй Надежды → ქართ. კეთილი იმედის კონცხი (კლდოვანი კონცხი აფრიკის სამხრეთ ნაწილში. სახელი უწოდა პორტუგალიის მეფემ XV ს. დამღევს). სხვა მაგალითები: ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე (ყველაზე პატარა ოკეანე ევრაზიასა და ჩრდ. ამერიკას შუა. სახელი უწოდა ლონდონის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ 1848 წელს. რუსულად: Северный Ледовитый океан), Great Lakes → დიდი ტბები (ტბათა ჯგუფი ჩრდ. ამერიკაში), Great Barrier Reef → დიდი ბარიერული რიფი (კუნძულების მწყკრივი მარჯნის ზღვაში, ავსტრალიის ჩრდ.-აღმ. სანაპიროზე), ახალი მიწა (არქიპელაგი ჩრდილოეთის ყინულოვან ოკეანეში), Крепостной Саd (ასე ითარგმნა რუსულად ქართული „ციხის ბაღი“, დღევანდელი ბოტანიკური ბაღი. შდრ. სრულიად უაზრო უკუთარგმანი

„ბატონყმობის ციხე“).

ორ- და მეტსიტყვიან გეოგრაფიულ სახელწოდებაში შემავალი საკუთარი სახელი არ ითარგმნება. მაგალითად, ბარენცის ზღვა (ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის განაპირა ზღვა), ფრანც იოსების მიწა (არქიპელაგი ამავე ოკეანეში), არარატის ვაკე (სომხეთი), აფშერონის ნახევარკუნძული (აზერბაიჯანი, კასპიის ზღვა), Колхидская низменность (← „კოლხეთის დაბლობი“) და სხვ. იგივე წესი ვრცელდება ქორონიმებზეც, ანუ მხარეთა სახელებზე (მაგალითად, კრასნოდარის მხარე, როსტოვის ოლქი რუსეთის ფედერაციაში და სხვ.). იშვიათ შემთხვევაში ნომენიც არ ითარგმნება, მაგალითად, რუსული ოკრუგი (ნენთა ავტონომიური ოკრუგი რუსეთის ფედერაციაში), თურქული ვილაიეთი და სხვ.

ჩვეულებრივ, ითარგმნება მიკროტოპონიმები (რომლებიც ინარჩუნებენ კავშირს აპელატივთან) და ურბონიმები (ქალაქის ობიექტების სახელები, რომლებიც ამავე დროს ხშირად მიკროტოპონიმებია). მაგალითად: წითელი მოედანი (მოსკოვში), თეთრი სახლი (ვაშინგტონში. შდრ.: არ ითარგმნა პენტაგონი, რაც „ხუთკუთხედს“ ნიშნავს) და აგიონიმების (წმინდანთა სახელების) თანმხლები ეპითეტები და ზედწოდებანი (მაგ.: ილია წინასწარმეტყველი, მარიამ ღვთისმშობელი, წმინდა გიორგი და სხვ.).

განსაკუთრებით ხშირია კალკირება ტოპონიმიაში, თუმცა ითვლება, რომ იგი ტოპონიმს უკარგავს ეროვნულ ელფერს და რამდენადმე ასუსტებს მის სამოქმედო ფუნქციას. კალკირების ნიმუშად გამოდგება ქვემო ქართლის ზოგი სოფლის მიკროტოპონიმური მასალა. მაგ., სოფ. აკაურთაში, სადაც ნარევი (აზერბაიჯანულ-ქართული) მოსახლეობა ცხოვრობს, აზერბაიჯანულადაა კალკირებული ქართული სახელწოდებანი: დათანინ ღერლი (← ქართ. დათას მიწები), საჭკალი ვანანინ ღერლი (← ქართ. წვერიან ვანას მიწები), კუფ ბულაღინ ღერლი (ქართ. კუს წყაროს ქედები) და სხვ. (იხ. კემულარია, 1980). ქართულ ტოპონიმთა კალკირებას მიმართავს ჯავახეთის

სომხურენოვანი მოსახლეობაც (ბერიძე, 1980).

შედგენილ ტოპონიმთა ონიმური კომპონენტის ფონეტიკური ადაპტაცია და ობიექტის სახეობის აღმნიშვნელი ნომენების (მდინარე, მთა, მხარე და სხვ.) თარგმნა ერთ-ერთი უნივერსალური ონიმური კანონზომიერებაა.

მიმღებ ენაში უცხოენოვან საკუთარ სახელთა ორი ჯგუფი გამოიყოფა იმის მიხედვით, მოეპოვებათ მათ ამ ენაში დენოტატი თუ არა. ეს შეეხება ონიმთა ყველა კლასს, მაგრამ აქ მხოლოდ ტოპონიმისა და ანთროპონიმის შევსებით.

დენოტატიანი და უდენოტატო საკუთარი სახელები ენაში. ტოპონიმაში დენოტატების მქონე უცხოენოვანი გეოგრაფიული სახელწოდებების რამდენიმე ფენას გამოყოფენ, კერძოდ, სუბსტრატული, სუპერსტრატული, მიგრირებული. სუბსტრატულია, მაგალითად, საინგილოს ქართულენოვანი ტოპონიმები აზერბაიჯანული ენისათვის, ტაო-კლარჯეთის ქართულენოვანი ტოპონიმები თურქული ენისათვის, აგრეთვე აბუჯა-სამურზაყანოს ქართველური ტოპონიმები აფხაზური ენის ონიმურ სისტემაში. მაგრამ სამურზაყანოს აფხაზურენოვანი ტოპონიმები (ძირითადად მიკროტოპონიმები) ქართული ენისათვის წარმოადგენენ სუპერსტრატს, ისევე როგორც აჭარაში დარჩენილი თურქულენოვანი ტოპონიმები. საქართველოში დენოტატები მოეპოვება აღმოსავლეთიდან მიგრირებულ ტოპონიმებს, რომლებიც ქრისტეს ცხოვრებასთანაა დაკავშირებული. ამგვარ ტოპონიმებს შეიძლება გათავისებული ტოპონიმები ვუწოდოთ.

უცხოენოვან პირსახელთა ერთი ნაწილიც გათავისებულია მიმღები ენის მიერ იმ თვალსაზრისით, რომ გამოიყენება სახელდებისათვის, ე. ი. მოეპოვებოდათ ან მოეპოვებათ დენოტატი ქართულ სინამდვილეში. ქართველურ ენებში ტრადიციულია და სახელდებისას ხშირად გამოიყენება აღმოსავლური თუ დასავლური სამყაროდან შემოსული პირსახელები: ძველებრაული ანა („საამო, მადლიანი“), თამარი („ფინიკის პალმა“), ბერძნული ბარბარე („უცხოელი“), თეო

(„ღმერთი, ღვთაება“) და სხვ. ამავე ჯგუფში შემოვა ზოგი უცხოური გვარსახელი, რომელთა მატარებელნი საქართველოში ჩამოვიდნენ, გაქართველდნენ და აქვე ცხოვრობენ. მაგალითად: გოგოლები (უკრაინიდან გადმოვიდნენ დას. საქართველოში XVII ს-ში), მატუშევესკები (XIX ს-ში პოლონეთიდან გადმოსახლდნენ საქართველოში), ტრიპოლსკები და სხვ.

ნასესხებ უცხოენოვან ონიმთა დიდი ნაწილი მიმღებ ენაში არსებობს როგორც მხოლოდ საკუთარი სახელი, ე.ი. დენოტატის გარეშე. ასეთებია, მაგალითად, ტოპონიმები: ათენი, ვოლგა, ეგვიპტე, ევფრათი, ტაშკენტი და სხვ.; ანთროპონიმები — ცნობილ თუ უცნობ ადამიანთა სახელ-გვარები, მეტსახელები; ფსევდონიმები — ალექსანდრე მაკედონელი, ავიცენა, ერნესტ ჰემინგუეი, ჯორჯ ბუში, ვინფრიდ ბოედერი, ჯულია რობერტსი, და სხვ. უწინ ამგვარი სახელები ვრცელდებოდა სალიტერატურო-სამეცნიერო, პოლიტიკურ-ეკონომიკური, ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების, მოგზაურობებისა და თვით ომების შედეგადაც კი, ხოლო ამჟამად ვრცელდება როგორც პირადი კონტაქტებით, ისე მასობრივი საშუალებების — პრესის, რადიო-ტელევიზიის, ინტერნეტის საშუალებითაც. ამგვარი სახელები კულტურულ და პოლიტიკურ ნასესხობებს წარმოადგენს და გამოიყენება იმ რეალიების აღსანიშნავად, რომლებიც მათთან არის დაკავშირებული. ქართულში დენოტატის არმქონე უცხოური ონიმები, ჩვეულებრივ, ლიტერატურულ-მწიგნობრული მეტყველების სფეროში რჩებიან, რაკი ისინი კულტურულ ნასესხობებს წარმოადგენენ.

უცხოურ ანთროპონიმებს მიმღები ენა ითვისებს პრაქტიკული ტრანსლიტერაციის გზით (თარგმნა ძალზე იშვიათია), ხოლო გეოგრაფიულ სახელთა ერთ ნაწილს თარგმნის (იხ. ზემოთ.).

გ. მიგრაცია. გადატანა. ლათინური სიტყვა მიგრაცია (migratio) ზოგადად აღნიშნავს მასობრივ გადაადგილებას, გადასახლებას. მეცნიერების სხვადასხვა დარგში

გავრცელებულია ტერმინები: მოსახლეობის მიგრაცია, ცხოველთა და ფრინველთა მიგრაცია, კაპიტალის მიგრაცია, ქიმიური ელემენტების მიგრაცია, ფოლკლორული სიუჟეტის მიგრაცია და სხვ.

ონომასტიკაში მიგრაცია ეწოდება საკუთარ სახელთა მნიშვნელოვანი გზუფის გადანაცვლებას ქვეყნის შიგნით, ერთი რეგიონიდან მეორეში (შინამიგრაცია) ან ერთი ქვეყნიდან (თუ კონტინენტიდან) – მეორეში (გარემიგრაცია). მიგრირებული შეიძლება იყოს ცალკეული ტოპონიმიც. ჩვეულებრივია მიგრირებული მოსახლეობის მიერ მშობლიურ ადგილთა სახელწოდებების გადატანა და დარქმევა ახალი დასახლებებისათვის. აფხაზთა მოწოლის შედეგად სამი საუკუნის წინათ სოფ. რეკიდან (რეკა დღესაც სოფელია დალიძის მარცხ. მხარეს, ოჩამჩირის რ-ნში) ლტოლვილი ფაჩულიები დამკვიდრდნენ მცირე ბორცვზე, მდ. ცივის მარჯვ. ნაპირზე და, ამ დასახლებასაც რეკა უწოდეს (დღეს იგი სოფელია სენაკის რ-ნში). ბალტიისპირეთიდან მიგრირებულმა ესტონელებმა შავიზღვისპირეთში, გაგრის მახლობლად, იპოვეს საცხოვრებლად კარგი ადგილი, იქ დააარსეს ახალშენი და უწოდეს მშობლიური სოფლის სახელი სალმე. XIX ს-ში რუსეთიდან და თურქეთიდან აღმ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მასობრივად გადმოსახლებულმა რუსებმა, ბერძნებმა და სომხებმა მრავლად ჩამოიტანეს მშობლიური ოიკონიმები, რომლებიც გარკვეულ სუბერსტრატულ ფენას ქმნიან ქართულ ოიკონიმიში.

მიგრაციად ითვლება რელიგიის გავრცელებასთან დაკავშირებით გეოგრაფიულ სახელწოდებათა და ანთროპონიმთა გადმონერგვა. ქართველთა შორის ქრისტიანობის დამკვიდრების პარალელურად და შემდგომაც აღმ. და დას. საქართველოში გადმოტანილ იქნა ქრისტეს დაბადებასთან, მოღვაწეობასა და წამებასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელები, მაგ.: ბეთლემი (ებრ. ბეთ ლეხემ „სახლი პურისა“ იმ ადგილის სახელია პალესტინაში, სადაც ქრისტე იშვა) ეწოდება ქვაბსა და მონასტერს მყინვარის კალთებზე, მღვიმეს მცხეთაში

(მტკვრის მარცხ. ნაპირზე), სოფელს სენაკის რაიონში (ტეხურის მარცხ. მხარეს, მაღლობზე); თაბორი მთაა პალესტინაში. ქრისტიანული ანდრეზის თანახმად, ამ მთაზე მოხდა მაცხოვრის ფერისცვალება. ამ თაბორთან გაიგივების შედეგად საქართველოში რამდენიმე ობიექტს დაერქვა თაბორი: მთას მცხეთის სამხრეთით, მტკვრის მარჯვ. მხარეს; ციხე-სიმაგრეს თბილისის სამხრეთით, ბოტანიკური ბაღის თავზე (აქ იწყება თაბორის ქედი); სოფელს ცაგერის რაიონში, ლაჯანურის მარცხ. მხარეს. ასევეა გადმოტანილ-გადმონერგილი ბეთანია, გეთსამანია, გოლგოთა და სხვ. (იხ. კიკნაძე, 1987).

გეოგრაფიული სახელწოდების დისტანციური გადატანა ხდება ასოციაციის ან მიბაძვა-სიმპათიის საფუძველზედაც. რუსეთსა და მის ფარგლებს გარეთაც რამდენიმე დასახლებულ პუნქტს ეწოდება მოსკოვი (რუსეთის დედაქალაქის გარდა), თუმცა ეს პუნქტი მოსკოველებს არ დაუარსებიათ და არც ნოსტალგიითაა გამოწვეული. ციმბირში შეხვდებით ევროპის დიდი ქალაქების სახელებს, როგორცაა: ვარშავა, ბერლინი, ბრანდენბურგი, ხოლო აშშ-ში – ათენი, ვარშავა, მოსკოვი... დიდი ბრიტანეთიდან არის გადატანილი ავსტრალიასა და კანადაში მდინარის სახელი ტემზა. XVI ს-ში თემურლენგმა გააერთიანა შუა აზია, დაიპყრო ინდოეთი, ჩინეთი, კავკასია, მაგრამ ვერ დალაშქრა ევროპა და მისი განუხორციელებელი ოცნების სიმბოლოდ თემურიდებმა სამარყანდის (თემურლენგის იმპერიის დედაქალაქის) გარშემო მდებარე სოფლებს უწოდეს ევროპის სახელმწიფოთა დედაქალაქების სახელები – ვენა, პარიზი და სხვ. ახალაღმოჩენილი, ახალდაარსებული და ახალდაპყრობილი ობიექტებისათვის ცნობილი გეოგრაფიული სახელების დარქმევა ხელოვნური და მიზანმიმართული ნომინაციის შედეგია. ამგვარადვე გადააქვთ დედამიწის გეოგრაფიული სახელები ციურ სხეულებზედაც: გარკვეულ ობიექტებს მთვარეზე ეწოდებათ ალპები, კორდილიერები... ტოპონიმთა ამგვარ გადატანას „ტოპონიმის ტრანსპლანტაციასაც“ უწოდებენ, ხოლო გადატანით წარმოქმნილ სახელწოდებებს –

განმეორებით ტოპონიმებს (Мурзаев, 1982, გვ. 45) ან დუბლეტებს.

მაშასადამე, მეტონიმია სახელწოდების კონტაქტური გადატანაა, ხოლო მიგრაცია – დისტანციური გადატანა.

§ 6. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია

გაეროს მეორე საერთაშორისო კონფერენციამ, რომელიც შედგა 1972 წელს ლონდონში, განიხილა გეოგრაფიულ სახელთა სტანდარტიზაციის საკითხები და მიიღო ტოპონიმებისა და ტოპონიმებისაგან წარმოშობილ სახელწოდებათა თარგმნა-გადაღების კანონი. ამ კანონის თანახმად, თარგმნადი ტოპონიმები უნდა შეიცვალოს ტრანსკრიფციით ან ტრანსლიტერაციით მიმღები ენის ანბანის შესაბამისად, თუმცა ამა თუ იმ ენაში ტრადიციით უკვე დამკვიდრებული ფორმები არ უნდა შეიცვალოს.

სიტყვათა, მათ შორის საკუთარი სახელების, სესხებისას მიმღები ენა მიმართავს ტრანსკრიფციას ან ტრანსლიტერაციას. ტრანსკრიფცია (ლათ. transcriptio „გადაწერა“), ანუ სიტყვის გადატანა ერთი ენიდან მეორეში შეიძლება იყოს ფონეტიკურ-ფონემატური (ამ მიზნით სიზუსტისათვის შემუშავებულია სპეციალური საერთაშორისო სატრანსკრიფციო ნიშნები) და პრაქტიკული. ონიმიაში უპირატესად გამოიყენება პრაქტიკული ტრანსკრიფცია, ე. ი. უცხოური საკუთარი სახელის ბგერათა (ფონემათა) გადმოცემა მიმღები ენის ასოებით (გრაფემებით). მაგ.: ფრანგულში *ou* წარმოითქმება როგორც რუსული ან ქართული უ ფონემა, ამიტომაც გვარი Bourbons რუსულში შევიდა როგორც Бурбоны, ქართულში კი – როგორც ბურბონები; ინგლისურში *ew* გარკვეულ პოზიციაში წარმოითქმის როგორც რუსული ю. ამიტომაც New York → რუს. Нью-Йорк (ქართ. ნიუ-იორკი); ქართული ჩ ბგერა გერმანულში გადმოიცემა ts გრაფემით, ამიტომაც: ქართ. ყანჩაველი → გერმ. Kantsaveli; შდრ., ძებისაშვილი → რუს. Дзедисашвили. სხვა მაგალითები: ქართ. ცხრაწყარო –

(რუსული პრაქტიკული ტრანსკრიფცია) - Цхрацкаро (ფონეტიკური ტრანსკრიფცია) - схрацгаго. ასევე: ჭუბურხინჯი - Чубурхинджи - čuburxinžī, ჭალაგანიძე - Чалаганидзе - čalaganize და სხვ. სპეციალური საერთაშორისო სატრანსკრიფციო ნიშნები შემუშავდა საერთაშორისო ფონეტიკური ასოციაციის მიერ 1908 წელს და შემდეგ ივსებოდა და ზუსტდებოდა. მიმღებ ენაში უცხოური საკუთარი სახელის სხვადასხვაგვარად გადმოცემა წარმოქმნის ტრანსკრიფციულ ვარიანტებს. მაგ.: გეტე, გოტე, გოეთე. ქართული გეოგრაფიული სახელწოდებებისა და ანთროპონიმების რუსულად გადმოცემის საკითხთან დაკავშირებით იხ.: 1. Инструкция по русской передаче географических названий Грузинской ССР, М., 1979; 2. შ. აფრიდონიძე, ზოგი ქართული გვარის რუსულად გადმოცემის შესახებ: „სკოლა და ცხოვრება“, № 11, 1983.

ტრანსლიტერაცია (ლათ. trans „გავლით“, littera „ასო, გრაფემა“) ონიმიაში ეწოდება უცხოური საკუთარი სახელის ასოების (გრაფემების) გადმოცემას მიმღები ენის გრაფემებით. იგი ემყარება ოპტიკურ აღქმას და გამიზნულია მხოლოდ წერისათვის (და არა წარმოსათქმელად), მაგ.: რუსულ გვარსახელ Боярский-ში o დასუსტებულია, მაგრამ ქართულად მაინც გადმოდის ბოიარსკი. ასევე Ростов на Дону რუსულად დაახლოებით ასე გამოითქმის: რასტოვ ნა დანუ, მაგრამ ქართულში გავრცელებულია ფორმა დონის როსტოვი...

მაშასადამე, როგორც პრაქტიკული ტრანსკრიფციისას, ისე ტრანსლიტერაციისას მიმღები ენა იყენებს თავის გრაფემებს, მაგრამ პირველ შემთხვევაში ეს გრაფემები მიემართება ბგერებს (ფონემებს), ხოლო მეორე შემთხვევაში – ასოებს (გრაფემებს).

საკუთარ სახელთა კლასიფიკაცია

§ 1. ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები

კლასიფიკაცია ეწოდება საგანთა, მოვლენათა, ცნებათა ერთობლიობის, სიმრავლის დაყოფა-დაჯგუფებას ამა თუ იმ ნიშან-თვისების მიხედვით. კლასიფიკაცია სწორი და ბუნებრივია, თუკი მისი საფუძველია დასაჯგუფებელი საგნების, მოვლენების არსებითი ნიშან-თვისებანი.

ონიშიაც საგანთა, კერძოდ, საკუთარი სახელების, სიმრავლეა. მისი კლასიფიკაცია შეიძლება ენებისა თუ ტერიტორიებისადმი მიკუთვნებულობის მიხედვით, ქრონოლოგიური მონაკვეთებისა და სოციალური ფორმაციების გათვალისწინებით და ა.შ. არჩევანი დამოკიდებულია მკვლევრის მიზანზე, მეთოდებსა და ცოდნა-ერუდიციაზე.

საკუთარ სახელთა ენობრივი და გარეენობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით გამოყოფენ ონიმიის ყველა კატეგორიისათვის უნივერსალურ საკლასიფიკაციო საფუძვლებს:

1. სახელდებული ობიექტის მიხედვით;
2. წარმოქმნის ბუნებრიობისა თუ ხელოვნურობის მიხედვით;
3. ოფიციალური და არაოფიციალური სტატუსის მიხედვით;
4. ქრონოლოგიური ნიშნით;
5. სტრუქტურის მიხედვით;
6. მოტივირების მიხედვით;
7. აპელატიური თუ ეპონიმური წარმომავლობის მიხედვით;
8. სახელწოდების პირველადობა-მეორადობის მიხედვით და სხვ.

ონიმური კლასიფიკაციის საფუძველი სხვადასხვაგვარია: ენათმეცნიერული, ლოგიკურ-ფსიქოლოგიური, ისტორიული, სოციალური... არჩევანი, როგორც უკვე აღინიშნა, დამოკიდებულია მკვლევრის მიზანსა და ცოდნა-ერუდიციაზე. ენათა მცოდნე აუცილებლად დაინტერესდება, ვთქვათ, ეროვნულ ანთროპონიმიაში უცხოენოვანი და მშობლიური ენის ფენებით; ერთი ენის მასალაზე მომუშავე ენათმეცნიერი წინა პლანზე დააყენებს მთელი ლექსიკური მასალის დაყოფას აპელატიურ და ონიმურ ლექსიკად, საკუთარ სახელთა სტრუქტურულ კვლევას, რეგიონების მიხედვით სემანტიკური თუ ენობრივი მოდელების გამოვლენას და ა. შ.

მართალია, საკუთარი სახელიც ენობრივი ნიშანია, მაგრამ თავისებური: იგი მიემართება (აღნიშნავს) ერთ კონკრეტულ საგანს, რომელსაც დენოტატს უწოდებენ. დენოტატი სხვადასხვაგვარია: გიორგი ადამიანის სახელია, მთაწმინდა – ადგილისა, ბუცეფალი – ცხენისა, კერკეტა კაკალი – კაკლის ხისა (მეტონიმის წესით დაერქვა სანახშოსაც სოფ. ქვემო ბარში) და სხვ.

დენოტატი, როგორც წესი, განსაზღვრავს საკუთარი სახელის „სახეს“ და მის სხვა მახასიათებლებს. აქედან გამომდინარე, ონომატოლოგები წინა პლანზე სწორედ საგნობრივ-სახელდებით კლასიფიკაციას აყენებენ, რაც გულისხმობს მთელი ონიმური მასალის დაყოფა-დაჯგუფებას დენოტატების, ე.ი. სახელდებული ობიექტების მიხედვით. ამგვარ მიდგომას პირველმა თურმე გერმანელმა მეცნიერმა ა. ბახჰა მიმართა 1952 წელს გამოცემულ „გერმანულ საკუთარ სახელებში“. ტრადიციულად, ცოცხალ არსებათა საკუთარ სახელებში გამოიყოფა შემდეგი კატეგორიები: ანთროპონიმია, ზოონიმია, მითონიმია, ხოლო არაცოცხალ საგანთა სახელებში – ტოპონიმია, კოსმონიმია და ასტრონიმია, ფიტონიმია, ქრემატონიმია (ქტემატონიმია), ქრონონიმია, ფალერონიმია, დოკუმენტონიმია, ანემონიმია (სტიქიურ უბედურებათა სახელები), ლიტერატურული და ხელოვნების ნაწარმოებთა დასახელებანი, დღესასწაულთა,

იუბილეებისა და ზეიმთა სახელები, კომპლექსურ ობიექტთა, მიმოსვლის საშუალებათა, ჯიშებისა და ფირმების სახელები და სხვ. (იხ. ონიმური კლასიფიკაციების ისტორიასა და მრავალფეროვნებაზე: Суперанская, 1973, გვ. 148-213).

თავდაპირველად შევხებით (რაც შეიძლება მოკლედ) ისტორიული, სოციალური და რაოდენობრივი თვალსაზრისით უფრო მნიშვნელოვან კატეგორიებს. ეს პირველ რიგში შეეხება ანთროპონიმას.

§2. ანთროპონიმია და ანთროპონიმია

ა. ტერმინოლოგია

აზროვნების განვითარებისა და მეტყველების დაუფლების კვალდაკვალ ადამიანს დასჭირდა გარემომცველი სამყაროს საგნების არა მხოლოდ ზოგადი, არამედ კონკრეტული აღნიშვნაც. ამგვარი ფუნქცია თავდაპირველად ისევ და ისევ საზოგადო სახელს ან კიდევ ადგილისა თუ ადამიანის აღწერა-დახასიათების შემცველ ენობრივ კონსტრუქციებს ენიჭებოდა. ასე გაჩნდა პირველად ტოპონიმი და ანთროპონიმი.

თავდაპირველ პირსახელებში, როგორც ვარაუდობენ, ქარბობდა ნათესაობრივი კავშირის გამომხატველი სიტყვები. შეიძლება ითქვას, ორიოდ შემთხვევაში ასეთი ფაქტები დღესაც დასტურდება: ქართულში მამა, დედა, ბებია, პაპა გარკვეულ კონტექსტში, როცა ამ სიტყვების წარმომთქმელი საკუთარ დედ-მამასა და პაპა-ბებიას გულისხმობს, აღიჭურვება პირსახელის ფუნქციით (ე. ი. აქვს ონიმური ფუნქცია), რაც ბრუნების პარადიგმაშიც აისახა და, კერძოდ, გამოიხატა მათს უკვეელობაში. არნ. ჩიქობავა წერს: „სახელის ფუძე არ იკვეცება... როცა საზოგადო სახელი მამა; დედა, ბებია, პაპა საკუთარი სახელის ნაცვლად იხმარება: შდრ. დედას თავშალი (შვილი ამბობს თავის დედაზე!), მაგრამ დედის დარიგება (საერთოდ, დედის, მშობლის დარიგება)... მამას ჩიბუხი, მაგრამ მამის მოვალეობა შვილების წინაშე“ (ჩიქობავა,

1950, გვ. 037-038). „ამ თვალსაზრისით დედა, მამა, ბებია, პაპა და „მშობელთა ჯგუფის“ სხვა სახელები შეიძლება მივიჩნიოთ პოლისემიურ სიტყვებად თავისი საზოგადო და საკუთარი მნიშვნელობებით“ (აფრიდონიძე, 2003, გვ. 14).

საერთოდ, ადამიანის სახელდების სისტემა მჭიდროდაა დაკავშირებული კულტურის ისტორიასთან, ეთნოგრაფიასთან, ხალხის ფსიქოლოგიურ თავისებურებებთან, რელიგიასთან, ტრადიციასთან და სხვა მრავალ გარემოებასთან.

1. ანთროპონიმი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის საკუთარი სახელია (ბერძნ. ანთროპოს „ადამიანი“ + ონიმი) და გულისხმობს პირსახელსაც, გვარსახელსაც, მამისახელობასაც, ფსევდონიმსაც და ა. შ. შესაბამისად, ანთროპონიმთა ერთობლიობას ანთროპონიმია ეწოდება, მაგ.: ქართველური ანთროპონიმია, ძველი ქართული ლიტერატურული ძეგლების ანთროპონიმია, კახეთის ანთროპონიმია და სხვ. შესაბამისად, ანთროპონიმია არის ონომასტიკის დარგი, რომელიც შეისწავლის ანთროპონიმებს, მათი წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს. იყო ცდა, ქართულში ამ საერთაშორისო ტერმინის ნაცვლად „სახელთმცოდნეობის“ დამკვიდრებისა.

ანთროპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი გზაა აპელატივის¹ გადაქცევა ადამიანის საკუთარ სახელად, რასაც ანთროპონიმიზაცია ეწოდება. ეს შეეხება პირსახელსაც, მეტსახელსაც და გვარსახელსაც. ქართულში ანთროპონიმიზებული საზოგადო სახელებია: ნუკრი* (პირსახელი) ← ნუკრი „ირმის, შელის, ქურციკის შვილი“; მაჩაბელი (გვარსახელი) ← მაჩაბელი (სადაურობის სახელი) ← აჩაბეთი (ადგილის სახელი); მენაბდე (გვარსახელი) ← მენაბდე (მოსაქმეობის სახელი, რომელიც, შესაძლოა, თავდაპირველად შერქმეულ სახელად იქცა) და სხვ. მაგრამ ცნობილია პირუკუ პროცესიც – ანთროპონიმის გადაქცევა საზოგადო სახელად დერივაციის გარეშე. ამას კი აპელატივიზაცია (ზოგ მკვლევართან – დეანთროპონიმიზაცია) ეწოდება. მაგ.: ლუარსაბ თათქარიძე (ილია ჭავჭავაძის „კა-

ცია-ადამიანის?!“ პერსონაჟი) → ლუარსაბი „უქნარა და მცონარა“, ჭაყო ჭივაშვილის (მ. ჭავჭავაძის „ჭაყოს ხიზნების“ პერსონაჟი) → ჭაყო „მოდალადე, უხეში“, იუდა (ქრისტეს გამცემის სახელი) → იუდა „მოლაღატე, გამცემი“, დონ ეჟანი (ესპანური თქმულებებისა და რამდენიმე მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟი) → დონ ეჟანი „მოარშიყე მამაკაცი“, მაკინტოში (შოტლანდიელი ქიმიკოსი) → მაკინტოში (წყალშეუვალი ქსოვილის საწვინარი) და სხვ.

ანთროპონიმისაგან შეიძლება წარმოქმნილი იყოს დასახლებული პუნქტის სახელიც, ადგილის სახელიც და სხვ. ამის მიხედვით გამოიყოფა:

ანთროპოლოკონიმი – ადამიანის სახელ-გვარისაგან წარმოქმნილი ოიკონიმი, მაგ.: თოთიაურნი, იაკობიძეები, საგურამო, ლესიჭინე, ველთაურთკარი და სხვ.

ანთროპოტოპონიმი – ადამიანთა სახელ-გვარისაგან მომდინარე ტოპონიმი. მაგალითები რაქის მიკროტოპონიმიდან: ბაქრაული – სათიბი ბაქრადის ნაქონ მიწაზე (სოფ. ფსორი), აბაშიანკარი – სახნავი, სადაც უწინ ესახლნენ აბაშიანთები, ანუ აბაშიძეები (სოფ. ნაკიეთი), ლალაკუნას მინდორი – მინდორი ვათათნასთან. ეკუთვნოდა ლალაკუნა გამყრელიძეს (სოფ. ღარი) და სხვ. ასევე წარმატებით შეიძლება მოვიძიოთ ყველა რეგიონში ანთროპოპიდრონიმი, ანთროპოაგრონიმი და ა.შ.

ადამიანთა საზოგადოება, მიუხედავად რასისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა თუ ცივილიზაციის დონისა, არ არსებობს ანთროპონიმთა გარეშე. ამა თუ იმ ეთნოსის ანთროპონიმთა გარკვეულ დროში გარკვეული წესით ორგანიზებულ ერთობლიობას ანთროპონიმული სისტემა ეწოდება. მისი ჩამოყალიბება მსოფლიოს სხვადასხვა ხალხში მიმდინარეობდა სხვადასხვა პირობებში, განსხვავებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ყოფისა, რელიგიურ-სარწმუნოებრივი შეხედულებებისა თუ ტრადიციების ფონზე.

ანთროპონიმული სისტემა ცვალებადია და ეს ცვალებადობა ძირითადად შეპირობებულია სოციალურ-ეკონომიკური სი-

სტემის ცვლით. საგულისხმო მაგალითი: ყოფილი საბჭოთა კავშირის იმ ხალხებსაც კი, რომელთაც არც გვარი ჰქონდათ და არც მამისახელობა, თავს მოახვიეს რუსეთის იმპერიაში ოფიციალურად დაკანონებული სამწევროვანი ფორმულა სახელდებისა.

ანთროპონიმული სისტემა მოიცავს პირთა სახელდების ყველა მომენტს. ყველა ტრადიციას, როგორც ენობრივ, ისე გარეენობრივ ასპექტს (გარეენობრივში ძირითადად ეთნოგრაფიული წეს-ჩვეულებანი და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივი პოლიტიკა იგულისხმება), მათ შორის ანთროპონიმულ მოდელსა და ანთროპონიმულ ფორმულას.

ანთროპონიმული ფორმულა არის ანთროპონიმთა და აპელატივთა სხვადასხვა სახეობის გარკვეული თანამიმდევრობა პიროვნების ოფიციალურ სახელდებაში. იგი, როგორც წესი, განსხვავებულია ხალხების, რელიგიებისა და ეთნოსის კულტურულ-ეკონომიკური განვითარების დონის მიხედვით. ანთროპონიმული ფორმულა იცვლება დროთა განმავლობაში. ზემოთ მოცემულ განმარტებაში დასმული საკითხი ანთროპონიმთა და აპელატივთა მონაცვლეობის შესახებ მიემართება დღევანდელ ვითარებას, მსოფლიო ცივილიზაციის თანამედროვე ეტაპს. თავდაპირველად კი პირის სახელდება ერთწევროვანი იყო, ე. ი. ადამიანებს თითო-თითო სახელი ერქვათ [ხევსურთა მრავალსახელიანობა, მართალია, ისეთ უძველეს მოვლენას ეყრდნობა, როგორცაა ტაბუ, მაგრამ მაინც მეორეული ჩანს], რაც დიდხანს შემორჩათ ძველ პერძებს, კელტებს, გერმანელებს, სლავებს, თურქებს და, რა თქმა უნდა, ქართველებსაც. იშვიათ შემთხვევაში პირსახელს ემატებოდა მეორე სახელიც, რაც საქმიანობას ან სადაურობას გამოხატავდა.

ყველაზე დამუშავებული ანთროპონიმული სისტემა გვიან შუა საუკუნეებში ჰქონდათ არაბებს. იგი მოიცავდა მრავალ კომპონენტს და თითოეული კომპონენტი თავისი სახელით აღინიშნებოდა (იხ. ნიკონოვი, 1974, გვ. 35). ინდური ანთროპონიმული ფორმულა სამწევროვანია, მაგრამ არც მამისახელობა

აღინიშნება და არც გვარსახელი აქვთ: პირველი სახელი შერჩეული იყო ასტროლოგის მიერ, მეორე სახელი გამოხატავდა სქესსა და რელიგიურ ჯგუფს, მესამე კი - კასტისადმი მიკუთვნებას. სამწვევროვანი ანთროპონიმული ფორმულა ჰქონდათ ძველ რომში და დღეს აქვთ ჩინელებსაც, ვიეტნამელებსაც, მაგრამ იგი არაფრით ჰგავს რუსეთსა და მისი მიბაძვით საქართველოში დაკანონებულ სამწვევროვან სახელდებას. ამ გარემოებაზე ხშირად მიუთითებენ, როცა იწყებენ გარეგნული ნიშნის, კერძოდ, შემადგენელ კომპონენტთა რაოდენობის მიხედვით, ანთროპონიმული სისტემების კლასიფიკაციას ერთწვევროვან, ორწვევროვან და სამწვევროვან სისტემებად.

ქართველთა ანთროპონიმული ფორმულა შუა საუკუნეებში ძირითადად ორწვევროვანი იყო (ვანტანგ გორგასალი, გიორგი მერჩულე, ლეონტი მროველი, დავით აღმაშენებელი, ვახუშტი ბატონიშვილი), რაც შემორჩენილია ფოლკლორსა (მაგ.: ამირან დარეჯანის ძე) და ეთნოგრაფიულ ყოფაში (მაგალითად, სოფ. ღებში „ივანე ლობჯანიძის“ ნაცვლად უნდა იკითხოთ „ივანე ზვიადენთი“ ან „ზვიადენთ ივანე“). ამასთანავე, წერილობით წყაროებში სამწვევროვან სახელდებასაც ხშირად შევხვდებით. როგორი იყო ქართული ანთროპონიმული ფორმულა? როგორაა ფიქსირებული პირი ქართულ საისტორიო წყაროებში? ამ საკითხს განიხილავს რ. თოფჩიშვილი შრომაში „ქართული ანთროპონიმული მოდელი წარსულში, აწმყოსა და მომავალში“ და დაასკვნის: „პიროვნებანი ქართულ საისტორიო საბუთებში, ძეგლებში ჩაწერილი არიან როგორც სახელითა და გვარით, ისე სახელით, მამის სახელითა და გვარსახელით. ამ მხრივ საქართველოში არავითარი დადგენილი წესი არ ყოფილა, პიროვნებათა მოხსენიება არავითარ იურიდიულ აქტს არ ეყრდნობოდა“ (თოფჩიშვილი, 2005, გვ. 317). შემდეგ გაბატონდა რუსეთში დაკანონებული სამწვევროვანი ფორმულა, რომელიც ბოლოს საბჭოთა კავშირის ყველა ხალხისათვის აუცილებელი და ერთერთ ოფიციალურ ანთროპონიმულ ფორმულად იქცა:

გვარსახელი + პირსახელი + მამისახელობა (ან: პირსახელი + მამისახელობა + გვარსახელი). მაგ.: ნამგალაძე დიმიტრი ბაგრატიის ძე, ანატოლი პეტრეს ძე ნოვოსელცევი და სხვ.

საერთოდ, ჩვენში მიღებულია, რომ თანამედროვე ორწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა აუცილებლად შეიცავს პირსახელსა და გვარსახელს, როგორც ეს მიღებულია ევროპის მრავალ ქვეყანაში (მაგალითად, ბულგარეთში), მაგრამ ისლანდიაში, სადაც გვარსახელი აკრძალულიც კია, ორწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა გულისხმობს პირის სახელისა და მამის სახელის ერთობლიობას (ამგვარი ორწევროვანი ფორმულა ბოლო დრომდე იყო გავრცელებული აღმოსავლეთის ქვეყნებში – არაბეთში, სპარსეთში და სხვ.). განსხვავებას ქმნის სამწევროვანი ანთროპონიმული ფორმულაც: საბერძნეთში, ისევე როგორც ჩვენში, იგი გულისხმობს პირსახელის, მამის სახელისა და გვარსახელის ერთობლიობას, მაგრამ დას. ევროპის მრავალ ქვეყანაში, სადაც მამისახელობა არც აღინიშნება, სამწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა შედგება ორი ოფიციალური პირსახელისა და გვარსახელისაგან.

ჩვენგან საკმაოდ შორს მდებარე აღმოსავლეთის ქვეყნებში, მაგალითად, იაპონიაში, ანთროპონიმული ფორმულა იყო და არის ორწევრიანი, თანაც თანამიმდევრობა – გვარი + პირსახელი – უცვლელია. იაპონელები ერთმანეთს მიმართავენ, ჩვეულებრივ, გვარსახელით. პირსახელით მიმართვა უზრდელობად და უხამსობად ითვლება. ანთროპონიმი წარმოადგენს საზოგადო არსებით სახელს (იშვიათად ზმნასა თუ ზედსართავს) ან სახელებს (ორთუსაშუქიანს). ქალთა სახელები რაოდენობრივად ბევრად მცირეა და, ისევე როგორც მამაკაცთა სახელები, აპელატიური წარმომავლობისაა. სახელებს აქვთ გამჭვირვალე ეტიმოლოგია. მაგალითად, ცნობილი მწერლის პირსახელი აკუტაგავა შედგება ორი კომპონენტისაგან: აკუტა „ნაგავი“ + გავა „მდინარე“. მარტივი გვარები ერთფუძიანია (მაგ., ხაიასი „ტყერი“, გორი „ტყე“, ხოსი „ვარსკვლავი“, ხარა „ველი“, „ყანა“) ან ორფუძიანი (ტაკა „ბრინჯის ყანა“, კობაიასი „პატარა ტყე“, ოკამურა „ბორცვი-სოფელი“ და სხვ.). ტრადიციულია ახალშობილისათვის სახელის დარქმევა დაბადების რიგის მიხედვით: იტირო „პირველი“, ძირო „მეორე“, საბურო „მესამე“ და ა.შ.

ვიეტნამელთა ანთროპონიმული ფორმულა არის ორწევროვანი (გვარსახელი + პირსახელი, მაგ., მაკ დიონში) ან სამწევრიანი, რომელშიც გვარსახელსა და პირსახელს შუა თავსდება ე.წ. დამხმარე შუალედური

ონომასტიკის შესავალი

სახელი (მაგ., ლე ვან ხაო). ვიეტნამელებს 300-მდე გვარსახელი აქვთ. ყველაზე გავრცელებულია ნგუენ, რომელსაც ოჯახების 50 პროცენტი ატარებს, მეორე ადგილზეა ლე, ხოლო მესამეზე – ჩან, ფაბ, ნგო, დაო და სხვ. როგორც ვხედავთ მაჰიშვილობა არც ვიეტნამში აღინიშნება.

პირსახელები მეტად მრავალფეროვანია. ქალებს, ჩვეულებრივ, პქვიათ ყვავილების, ქსოვილების, ძვირფასი ქვების, აგრეთვე ფრინველთა და ცხოველთა სახელები. მამაკაცთა სახელები კი უმეტესად გამონათავენ განყენებულ ცნებებს, დადებით ადამიანურ თვისებებს, აღნიშნავენ კონტინენტებისა და წლის დროთა სახელებს, მაგ., დიკ „კეთილმოქმედი“, სუან „გაზაფხული“... დაბადების რიგის მიხედვით სახელის დარქმევა ვიეტნამელთა შორისაც არის ტრადიციული. ბავშვი ატარებს საოჯახო სახელს და სრულწლოვანობის მიღწევის შემდეგ ვერქმევა პირის სახელი, რასაც მისი გარდაცვალების შემდეგ ცვლიან.

ზოგ ქვეყანაში ანთროპონიმული ფორმულა იმდენად გრძელია, რომ ასეულობით და იშვიათად ათასეულობით ბგერასაც შეიცავს. მაგალითად, ერთი ინდოელი ბრაჰმატრას სახელი 1478 ბგერისაგან შედგება. ეს არის ყველაზე გრძელი ანთროპონიმი მსოფლიოში. მეორე ადგილზე გასული ანთროპონიმი 598 ასო-ბგერისაგან შედგება, ხოლო ქ. ჰონოლულუში (ჰავაიზე) ერთი გოგონას გვარ-სახელი 102 ასოს შეიცავს და ამიტომ სასკოლო ეურნალში ვერ შექპონდათ.

ანთროპონიმული მოდელი არის ანთროპონიმის ამა თუ იმ სახეობის სქემა, კერძოდ, მის შიგნით ძირეულ თუ წარმოქმნელ მორფემათა გარკვეული განლაგება, მისი მორფოლოგიური სტრუქტურის ტიპი, მოტივირების სპეციფიკა. მაგალითად, გვარსახელის ერთ-ერთ ანთროპონიმულ მოდელს ქართულში ქმნის ტოპონიმისათვის -ელ სუფიქსის დართვა: თხინვალი → თხინვალელი, მაჩხაანი → მაჩხანელი, მეტრევი (ნასოფლარი სოფ. უწერის ტერიტორიაზე) → მეტრეველი და სხვ. (შევნიშნავთ რომ მკათიოდ უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან ტერმინები ანთროპონიმული ფორმულა და ანთროპონიმული მოდელი).

ნებისმიერ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც იმეორებს ანთროპონიმი ან რომელიც შედის ორ- თუ სამსიტყვიან ანთროპონიმულ ფორმულაში, ეწოდება ანთროპონიმული ლექსემა (ანთროპოლექსემა). მაგ.: შესიტყვება „სულხან-საბა ორბელიანი“ შედგება სამი ანთროპოლექსემისაგან. სამლექსემიანია „გიორგი ნიკოლოზის ძე ლეონიძე“, ხოლო „გიორგი

ბრწყინვალე“ და „ვახუშტი ბატონიშვილი“ – ორლექსემიანი ანთროპონიმებია.

ანთროპონიმული ლექსემა შედგება ანთროპონიმული ძირისა (ანთროპოძირისა) და ანთროპონიმული ფორმანტისაგან (ანთროპოფორმანტისაგან). რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ასეთი შეჩედვლებაა გაბატონებული: ანთროპოფუქცია ანთროპონიმული ლექსემის ის ნაწილი, რომელიც რჩება ანთროპოფორმანტის ჩამოცილების შემდეგ, ხოლო ანთროპოფორმანტი არის აფიქსი, რომელიც ერთვის ანთროპოფუქსს. შდრ. რუსულში: Нева → Невский, Иван → Иванов, Ольга → Ольгович... ქართულში: გიორგი → გიორგელა, მთვარე → მთვარ-ისა, მამა → მამ-უკა, ბარათა → ბარათა-შვილი, გუგუ → გუგ-უნა → გუგ-უნა-ვა...

ლექსემის ანალიზისას გასათვალისწინებელია ერთი გარემოება: რა დონეზე ვახდენთ მორფემიზაციას – ლექსიკურ თუ ონიმურ დონეზე? ანთროპონიმთა წარმოქმნის ერთ-ერთი პროდუქტიული გზაა აპელატივის ანთროპონიმიზაცია: ზმნური თუ სახელური წარმომავლობის ლექსემა იძენს ანთროპონიმის მნიშვნელობას. ზემოთ დასახელებულ თხინვალელში – ელ არ წარმოადგენს გვარსახელის წარმომქმნელ სუფიქსს, იგი მხოლოდ და მხოლოდ ტოპონიმისმიერი ელემენტი იყო, რომელიც სადაურობას აღნიშნავდა (შდრ.: „გუშინ თხინვალელი მეზობელი ჩამომივიდა“). მან დროთა განმავლობაში შეიძინა პირსახელის ფუნქცია და იქცა ეპონიმად, შემდეგ კი – მის შთამომავალთა გვარსახელად. ამასთან დაკავშირებით გამართლებული იქნება, თუ შემოვიღებთ ტერმინს „სპეციფიკური ანთროპონიმული სუფიქსი“ (იხ. IV თავში „სპეციფიკური ონიმური წარმოება“).

ონომასტიკაში გავრცელებული ერთ-ერთი ტერმინი ანთროპონიმიკონი ასეა დეფინიცირებული: 1. ანთროპონიმთა სია ან ლექსიკონი. მას, ჩვეულებრივ, ადგენენ ცალ-ცალკე – პირსახელებისას, მეტსახელებისას, გვარსახელებისას, ფსევდონიმებისას; 2. ამა თუ იმ ხალხის ან სოციუმის

ონომასტიკის შესავალი

პირსახელთა ნუსხა, რეპერტუარი გარკვეული პერიოდისათვის. ქართულ სინამდვილეში ცნობილია ანთროპონიმიკონები: ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბ., 1967; ი. მაისურაძე, ქართული გვარსახელები (სალექსიკონო-ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981; ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997 და სხვ. (შენიშვნა: „ანთროპონიმიკონის“ მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება „ონომასტიკონიც“).

აუცილებელია, მკაცრად განვასხვაოთ ტერმინები „ანთროპონიმული“ და „ანთროპონიმიკული“: მსაზღვრელი სიტყვა „ანთროპონიმული“ აღნიშნავს „ანთროპონიმთან დაკავშირებულს“, „ანთროპონიმისათვის დამახასიათებელს“ (მიემართება საგანს), ხოლო „ანთროპონიმიკული“ გულისხმობს „ანთროპონიმიკასთან დაკავშირებულს“, „ანთროპონიმიკისათვის ნიშანდობლივს“ (ე. ი. მიემართება პროცესს და არა საგანს), მაგალითად:

ანთროპონიმიკული ანკეტა არის კითხვარი წერილობითი ან ზეპირი გზით შემონახული ანთროპონიმების ჩასაწერად. კერძოდ, საქართველოს რეგიონებში პირსახელთა ჩაწერა-აღნუსხვისათვის თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან არსებული ტოპონიმიკის ლაბორატორია – ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი (ამჟამად „ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია“) სარგებლობდა ასეთი კითხვარით (შეადგინეს ს. მელიქიძემ და პ. ცხადაიამ):

1. ძირითადი (საპასპორტო) სახელი;
2. ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (კონტექსტში);
3. დენოტატის ეროვნება, სქესი, დაბადების წელი და ადგილი;
4. დამრქმევი, მოტივაცია;
5. დამატებითი ცნობები და შენიშვნები;
6. სად ცხოვრობს სახელდებული პირი (რაიონი, ქალაქი, სოფელი);
7. ინფორმატორი;

მ. ჩამწერი, ჩაწერის თარიღი.

ანთროპონიმიკული კვლევა ონომასტიკური კვლევის კერძო შემთხვევაა, ანთროპონიმთა მეცნიერული ანალიზია.

ანთროპონიმიკული ტერმინი ანთროპონიმიკაში (ამა თუ იმ ანთროპონიმული კატეგორიის, პროცესის, მოვლენის აღსანიშნავად) გამოყენებული ტერმინია, მაგ.: ანთროპონიმი, ანთროპონიმიკა, ანთროპონიმიკა, ანთროპონიმიზაცია, გვარსახელი, მეტსახელი, ანთროპოლექსემა და სხვ.

ლათინური სიტყვა არეალი აღნიშნავს დედამიწის ზედაპირის გარკვეულ არეს, სადაც გავრცელებულია ესა თუ ის მოვლენა, ან არსებობს ესა თუ ის საგანი. ონიმური ფაქტებიც არეალურია. კერძოდ, ენის მოქმედების მთელ სივრცეს ან გარკვეულ ტერიტორიას, სადაც გავრცელებულია ანთროპონიმული ელემენტები, ანუ მოვლენები, ეწოდება ანთროპონიმული არეალი. მაგ.: -ურ სუფიქსიანი გვარსახელების არეალია აღმ. საქართველოს მთიანეთი, -ან სუფიქსიანისა -სვანეთი და ლეჩხუმი, -(ა)ვა, -ია, -უა სუფიქსიანებისა - სამეგრელო, ან კიდეც: -შვილი მორფემოიდის წინ -აი კომპლექსი მიუთითებს, რომ გვარსახელი გავრცელებულია გურიაში, ხოლო -ეი კომპლექსი იმის ნიშანია, რომ გვარსახელი გვხვდება ქვემო იმერეთში (კერძოდ, სამტრედიის რაიონში). ამასთანავე, ამა თუ იმ რეგიონისათვის ნიშანდობლივი ნებისმიერი ანთროპონიმული მოვლენა ან ელემენტი შეიძლება გადატანილ იქნეს გეოგრაფიულ რუკებზე. ამგვარ რუკებს ანთროპონიმული ატლასი ეწოდება (შდრ. ეთნოგრაფიული ატლასი).

როგორც ცნობილია, საკუთარი სახელი არ ითარგმნება. მაგრამ ამ წესს მაინც აქვს გარკვეული გამონაკლისი: ანთროპონიმიკაშიც გვხვდება სხვა ენიდან ზუსტად ან ნაწილობრივ ნათარგმნი სახელი, რასაც ანთროპონიმული კალკი ეწოდება. მაგ.: სოლომონ ბრძენი, იოანე ნათლისმცემელი, პეტრე დიდი... იშვიათად კალენდარულ პირსახელსაც თარგმნიდნენ, მაგრამ იგი უფრო მეტად საშინაო სახელად გამოიყენებოდა, მაგ.: ბერძნ. ანასტასი → ქართ. აღდგომელია, ბერძნ. კვირიკე → ქართ.

უფლისა, ბერძნ. ზენონი → ქართ. ღეთისია (კუმბურიძე, 2003).

დენოტატის რაოდენობის მიხედვით ანთროპონიმი ორგვარია: ინდივიდუალური და ჯგუფური.

ინდივიდუალური ანთროპონიმი ერთი პირის სახელია, რომელიც გამოყოფს, გამოაცალკევებს მას ადამიანთა კოლექტივიდან. იგი შეიძლება იყოს პირსახელი, მეტსახელი, ზედწოდება, ფსევდონიმი. ჩვენში ინდივიდუალური ანთროპონიმი შეიძლება იყოს ერთსიტყვიანი (ოდენ პირსახელი ან მეტსახელი), ორსიტყვიანი (პირსახელი + გვარსახელი, პირსახელი + ზედწოდება, პირსახელი + წარმომავლობის სახელი და სხვ.) ან სამსიტყვიანი და ა. შ. ამასთანავე, პირის არაოფიციალური სახელდება, ჩვეულებრივ, განსხვავდება მისი ოფიციალური (საპასპორტო) სახელდებისაგან.

შუა საუკუნეების საისტორიო თუ ლიტერატურული წყაროების მიხედვით, ქართველთა ინდივიდუალური სახელდება ორწევროვანი იყო: (გაბრიელ დაფანჩული, თამარ მეფე, ვახუშტი ბატონიშვილი, ანტონ კათალიკოსი). დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებიც, მაგალითად, ეკლესიის მებეგრეები აგრეთვე ორწევროვანი ანთროპონიმული ფორმულით აღინიშნებოდნენ (ძალზე იშვიათად - ერთი სიტყვითაც), მაგალითად, 1578 წელს შედგენილი საეკლესიო გადასახადის გადამხდელთა სიაში სოფ. ფერსათიდან (ამჟამად ბაღდათის რ-ნი) დასახელებულნი არიან: რაზმაძე სიხარულა, დოლაბარჯიძე ოქროპირა, კუმბურიძე გვიტია, ცხოვრებაძე მახარებელი, დემეტრიძე ვანია და ა. შ. მაგრამ რამდენიმე შემთხვევაში პირის სახელდება წარმოდგენილი აღმოჩნდა ოდენ სახელით ან გვარით (მაგ.: „მართებს კაკალასა“, „მართებს კახაბერაშვილსა“).

ჯგუფური ანთროპონიმი არის რაიმე ნიშნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის აღმნიშვნელი საკუთარი სახელი, როგორცაა: გვაროვნული სახელი, საგვარეულოს სახელი, სამეფო დინასტიის სახელი, ჯგუფური მეტსახელი, ჯგუფური ფსევდონიმი, შტოგვარსახელი. ჩამოთვლილ ჯგუფურ

სახელთაგან უძველესია გვაროვნული სახელი. ამ ტერმინით დღეს აღვნიშნავთ პირველყოფილი გვარის სახელს, რომლის მიზანიც იყო გვარის, როგორც ტომის ნაწილის, შიგნით ქორწინების აკრძალვა. გვარის ღვთაებას წარმოადგენდა ტოტემური ცხოველი, რომელიც ამავე დროს გვარის წინაპრად ითვლებოდა, მაგ.: მგელი, მელა, ყვავი და სხვ. (ამგვარ სახელებს, ე.ი. სახელებს, რომელთაც ფორმა მხოლოდობითი რიცხვისა აქვთ, მაგრამ ადამიანთა სიმრავლეს აღნიშნავენ, ეწოდება *Singularia tantum*).

გვაროვნული სახელი შემორჩა აზიის, აფრიკის, ავსტრალიის, ამერიკის ზოგ ხალხს. მკვლევრები აღნიშნავენ, რომ თურქულმა და მონღოლურმა გვაროვნულმა სახელებმა დღემდე მოაღწიეს ახალი ერის პირველი საუკუნეების ჩინური წყაროების წყალობით. როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიც გვაროვნული სახელის ბაზაზე და ტრადიციებზე აღმოცენდა გვარსახელი, როგორც მემკვიდრეობითი ანთროპონიმული კატეგორია.

საგვარეულოს სახელი ცნობილი მთავრების ერისმთავრების, თავადების, საერთოდ, წარჩინებულთა საოჯახო სახელებია, რომლებიც თაობიდან თაობას გადაეცემოდა ზეპირი გზით და წერილობითი წყაროებითაც დასტურდება. იგი, ჩვეულებრივ, მრავლობით რიცხვში დგას, მაგ.: ბაღვაშები (მსხვილ ფეოდალთა საგვარეულო IX-XIII სს. საქართველოში, არგვეთის ძველი მფლობელები. იხ. ქსე), კახაბერისძენი (რაჭის ერისთავები), გურიელები (გურიის მთავრები), დადიანები (ოდიშის მთავრები), ვარდანისძენი (დიდ ფეოდალთა საგვარეულო XI-XV სს. საქართველოში, სვანეთის ერისთავები. იხ. ქსე), მუხრან-ბატონები (ბაგრატიონთა შტო. საფუძველი ჩაეყარა XV საუკუნეში). ამგვარ ჭგუფურ საკუთარ სახელებს, როგორც ზემოთაც აღვნიშნა, *pluralia tantum*-ს უწოდებენ. საჭირო შემთხვევაში, როცა საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენელზეა საუბარი, იხმარება მხ. რიცხვის ფორმაც: ლიპარიტ ბაღვაში (იგივე ლიპარიტ I), კახაბერ ვარდანისძე და სხვ.

სამეფო დინასტიის სახელიც ჭგუფურ ანთროპონიმად

ითვლება. საქართველოში ასეთი სახელია ბაგრატიონები. მათ მეფობას საფუძველი ჩაეყარა IX ს-ში და რუსეთის იმპერიის ძალდატანებით გაუქმდა 1810 წ. ბაგრატიონი მხოლოდ მეფის მემკვიდრეობითი გვარი იყო. სამეფო ოჯახის სხვა შთამომავლები იწოდებოდნენ უფლისწულებად, ანუ ბატონიშვილებად (აქვე უნდა აღინიშნოს: XIX ს-ში ბატონიშვილებად იწოდებოდნენ საერთოდ ფეოდალების – თავადების და ზოგჯერ აზნაურების – შვილებიც).

რაც შეეხება გვუფურ მეტსახელებს, შტოგვარსახელებსა და ფსევდონიმებს, მათზე მსჯელობა ქვემოთ გვექნება.

ბ. პირსახელი

პირსახელი (პირის სახელი, პიროვნული სახელი) ინდივიდის აღმნიშვნელი საკუთარი სახელია. დღევანდელ ცივილიზებულ სამყაროში იგი შეიძლება იყოს ოფიციალურიც და არაოფიციალურიც. განმარტებებიც, შესაბამისად, ასეთია:

ოფიციალური პირსახელი არის ადამიანის დაბადებისას მისთვის შერჩეული (ან მოწიფულობისას თვითდარქმეული, რაც იშვიათად ხდება) და პირადობის მოწმობითა თუ პასპორტით დაკანონებული, მაშასადამე, იურიდიული სტატუსის მქონე ინდივიდუალური სახელი. იგი ემსახურება ერთი კონკრეტული პირის ინდივიდუალიზაციასა (გამოყოფა-დაკონკრეტებას) და იდენტიფიკაციას (მაგ.: ვახტანგი, გიორგი, თამარ(ი), ივანე, ელენე და სხვ.).

არაოფიციალური პირსახელიც ინდივიდუალური, პერსონალური პირსახელია, ოღონდ არასადოკუმენტაციო და, მაშასადამე, იურიდიულ სტატუსს მოკლებული. მაგალითად, ვთქვათ პირს ოჯახში, მეგობართა წრეში, სამსახურში იცნობენ როგორც ბენია-ს და არც იციან, რომ პასპორტში უწერია სახელი ბენიამინი. ასეთი შემთხვევა ხშირია. საერთოდ არაოფიციალურია: ოფიციალური პირსახელის ნებისმიერი ვარიანტი, მეტსახელი, ე. წ. სულისა და ხატის სახელები, მეორე

(მესამე, მეოთხე) სახელი (ხშირად ოჯახში ვერ თანხმდებიან, თუ რა დაარქვან ახალშობილს და მთელი ცხოვრება ბებია ერთი სახელით მიმართავს შვილიშვილს, მშობლებს კი დაბადების საბუთში სხვა სახელი აქვთ შეტანილი).

ოფიციალური პირსახელების არაოფიციალური ვარიანტები სხვადასხვაგვარია წარმოქმნის გზების, მათში ნაგულისხმევი სუბიექტური შეფასებისა და სუფიქსაციის თვალსაზრისით. მათგან ერთ-ერთ მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან დემინუტივები. დემინუტივი (ლათ. *deminuo* „შემცირება, დაკნინება, დაპატარავება“), ანუ დემინუტიური პირსახელი, ოფიციალური პირსახელის კნინობით-მოფერებითი (რუს. „уменьшительное-ласкательное личное имя“) ვარიანტია, წარმოქმნილი დემინუტიური (კნინობითობის) სუფიქსებით. ქართულში კნინობით სახელებს, როგორც საზოგადოს, ისე საკუთარს, აწარმოებენ სუფიქსები: -ა, -აკ(ო), იკ(ო), -ან(ა), -ინ(ა), -უნ(ა), -ატ(ა), -იტ(-ა), -უტ-ა, -ალ(ა), -ილ(ა), -ულ(ა), -ელ(ა) და სხვ. ოფიციალურ პირსახელთა ვარიანტების მეორე ჯგუფს ევროპულ და რუსულ ონომასტიკაში უწოდებენ ჰიპოკორისტიკულ სახელებს (ბერძ. ჰიპოკორისტიკა „კნინობითობა ან მოფერებითობა“) და ამ ტერმინს სათანადო ლექსიკონებში ასე განმარტავენ: ჰიპოკორისტიკული პირსახელი არის პიროვნული სახელი, წარმოქმნილი ანთროპონიმის სრული ფუძის შემოკლებით ან ორფუძიანი სახელის ერთი ფუძის მოკვეციტ. შეიძლება ახლდეს ნეიტრალური სუფიქსი ან სულაც უსუფიქსოდ იყოს წარმოდგენილი. მაგ.: ვალენტინა → ვალია; ნიკოლოზი → ნიკო, კოლია; ალექსანდრე → ალე, სანდრო, სანდრიკა; ავთანდილი → ავთო, თანდილა; ანდრონიკე → ანდრო, ნიკე; ივანე → ვანო, ვანა; ბეჟანი → ჟანი (ზოგი ეს ფორმა დადასტურებულია ისტორიულ საბუთებში, კერძოდ: ივანე - X ს-ში, ვანო, ვანა - 1568 წ. იხ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 166). ჰიპოკორისტულია აგრეთვე ფუძის შეკუმშვით წარმოქმნილი პირსახელებიც, როგორცაა: როსტან ← როსტე-ვან, კოტე ← კონსტანტინე და სხვ. ამგვარ შეკუმშვას კონ-

ტრაქციას, ხოლო კონტრაქციით წარმოქმნილ ფორმას კონტრაპირებულ პირსახელსაც უწოდებენ. ქართულსამეცნიერო ლიტერატურაში არის ცდა, ტერმინ „ჰიპოკორისტიკის“ მნიშვნელობის გაფართოებისა და ზოგადად ყოველგვარი კნინობით-მოფერებითი პირსახელის აღმნიშვნელ ტერმინად მისი გამოყენებისა (იხ. ამასთან დაკავშირებით: გოდერძიშვილი, 1998).

შეკუმშვით ან შეკვეცით წარმოქმნილ სახელებს ხშირად ახლავს -ა და -ო სუფიქსები, რომლებიც კნინობითობა-მოფერებითობის გამომხატველ -იკო, -უნა და სხვა მსგავს სუფიქსებთან შედარებით ერთგვარად ნეიტრალურია, მაგრამ მაინც კნინობით-მოფერებით სახელთა ჯგუფში განიხილება (ისევე როგორც ზემოთ დასახელებული შეკუმშული და შეკვეცილი ვარიანტები). შ. აფრიდონიძე წერს: „ქართულში კნინობით-მოფერებითი ეროვნული ფორმები წარმოადგენენ ან გრძელ ოფიციალურ სახელთა თავისებურად შემოკლებულ (მოკვეცილ, შეკუმშულ) ფორმებს (მაგ., ნიკო ← ნიკოლოზ, ფარნა ← ფარნაოზ), ან პირუკუ -სხვადასხვა სუფიქსის მეშვეობით მოკლე ოფიციალური სახელით დაგრძელებულ ფორმებს (ანიკო//ანუკა ← ანა, ნინიკო//ნინუცა ← ნინო, ვაჟიკა//ვაჟიკო ← ვაჟა). შედარებით იშვიათია თანაბარი სიგრძის ოფიციალური და კნინობით-მოფერებითი ფორმები: დათია//დათუა ← დავით, გოგიტა ← გიორგი, გიგოლა ← გრიგოლ“ (აფრიდონიძე, 1981, გვ. 56. აქვეა წარმოდგენილი კნინობით-მოფერებითი ფორმების წარმოების წესები).

ქართულ ენასა და დიალექტებში სუბიექტური შეფასების შემცველი ვარიანტები ოფიციალური პირსახელებისა კნინობით-მოფერებითი ხასიათისაა, მაგრამ შეფასების სუბიექტურობა ვლინდება კონტექსტის მიხედვით და არ არის დამოკიდებული სუფიქსზე. მაგალითად, მავანისათვის ვერიკო, სოფიკო შეიძლება იყოს ოფიციალური ვერა, სოფიო პირსახელების ვარიანტი, მაგრამ ისინი ოფიციალურია ვერიკო ანჯაფარიძისა და სოფიკო ჭიაურელისათვის.

ამ საკითხთან დაკავშირებით რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ზოგი ისეთი ტერმინი, რომელიც განმარტებას

საკუროებს. ესენია: კვალიტატივი (კვალიტატიური პირსახელი) - სუბიექტური შეფასების შემცველი პირსახელის სრული ან შემოკლებული ფორმა, როგორცაა: აუგმენტატივი (შეიცავს შიშის, ზარის, შეძრწუნების მნიშვნელობას მაგ.: *Иванище, Варварища*); პეიორატივი (დამცირებითი, შეურაცხმყოფელი ფორმა პირსახელისა, მაგ.: *ულიაშკა, ღუნიაშკა, ღუსკა*); დემინუტივი (რომელსაც ქართველებიც კნინობით-მოფერებით ფორმად ვთვლით.

გარემომცველი სამყაროს კონკრეტული ობიექტებისათვის საკუთარი სახელების დარქმევის ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა უძველეს დროშივე, როგორც კი ჰომო საპიენსმა თავისი თავი და ადგილი გაიაზრა და განსაზღვრა გარემომცველ სამყაროსა და ადამიანთა საზოგადოებაში. როგორც ვარაუდობენ, საკუთარი სახელები წარმოიქმნა საზოგადო სახელებისაგან, რომლებიც წარმოადგენდა დენოტატის მოკლე აღწერებს, რამლებშიც აღინიშნებოდა სახელსადები ობიექტის ყველაზე თვალში საცემი ნიშან-თვისებები. ეს მოკლე აღწერები დროთა განმავლობაში იქცა საკუთარ სახელებად დღევანდელი გაგებით, რასაც ხელი შეუწყო თავდაპირველი სემანტიკის დაკარგვამ, მათში შემავალი სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობისა და ფონეტიკური გარსის ცვლამ, აგრეთვე სხვა ენებში გადასვლამ.

ანთროპონიმები, რომლებიც წერილობითმა ძეგლებმა შემოინახეს, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ანთროპონიმის ისტორიის შესასწავლად, არამედ იმიტომაც, რომ აფართოებს ჩვენს ცოდნას აპელატიურ ლექსიკაზე. განსაკუთრებით ფართოა მათში არეკლილი ადამიანის გარეგნული ნიშნები, ასახულია მისი ყოველდღიური ყოფა და საქმიანობა, მატერიალური და სულიერი კულტურა. განსაკუთრებით ფასეულია ის შემთხვევები, როცა ანთროპონიმი ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში უფრო ადრეა დადასტურებული, ვინემ მისი ომონიმური აპელატივი. მაგალითად, 951 წელს დაწერილ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ დასახელებულია გაბრიელ დაფანჩული. დაფანჩული ნიშნავს „ბალნიანს“. ეს სიტყვა ფორმით წარსული დროის მიმღეობაა, თუმცა სათან-

ადო ფორმა ქართულ ენასა და დიალექტებში არ ჩანს (შდრ. გვარი ფანჭულიძე).

ანთროპონიმს აქვს გრამატიკული, სიგნიფიკაციური და კონოტაციური მნიშვნელობანი: გრამატიკული მნიშვნელობა მჟღავნდება წერილობითსა თუ სამეტყველო ტექსტში ჩართვისას. სიგნიფიკაციური მნიშვნელობა გულისხმობს, რომ ანთროპონიმში, მაქსიმალურად არის გამოხატული ნიშნადობა და არ მოეპოვება აპელატიური ომონიმი (ბერძ. სიგნუმ „ნიშანი“). სიგნიფიკაციურობა (ე.ი. მხოლოდ დენოტატის აღნიშვნა), საერთოდ ყოველგვარი საკუთარი სახელის უმთავრესი და უძირითადესი ფუნქციაა (ამავე მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ტერმინი დენოტაცია).

კონოტაცია, როგორც ცნობილია, არის საზოგადო სახელის თვისება, ობიექტის აღნიშვნასთან ერთად გადმოსცეს დამატებითი ინფორმაცია ამ ობიექტზე, რაიმე კუთხით დაახასიათოს იგი. ონომატოლოგთა საერთო დასკვნით, საზოგადო სახელი, ჩვეულებრივ, კონოტაციურია, განსხვავებით საზოგადო სახელისაგან, რომელიც, როგორც წესი, დენოტაციურია (Суперанская, 1973, გვ. 56-58).

მაგრამ უფრო მართებული იქნება მთელი ონიმური ფონდის, მათ შორის ანთროპონიმთა, დაყოფა ორ ჯგუფად: კონოტაციური (დამატებითი ინფორმაციის შემცველი) ანთროპონიმი და ოდენ დენოტაციური (სიგნიფიკაციური) ანთროპონიმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონოტაციურობა, როგორც წესი, ახასიათებთ მეტსახელებს და იდეოლოგიური თვალსაზრისით მარკირებულ პირსახელებს. იგი დიდად არ ამცირებს პირსახელის ონიმურობის ხარისხს, მაგრამ არც არაფერს ჰმატებს მის ფუნქციონირებას.

ანთროპონიმი ენობრივი ნიშანია, ისევე როგორც ნებისმიერი საზოგადო სახელი. მაგრამ საზოგადო სახელი მიემართება საგანთა კლასს და, ამდენად, ერთგვარად ცნებასაც გამოხატავს, ანთროპონიმი კი მიემართება კონკრეტულ საგანს – ადამიანს. მიუხედავად ამისა, ონომატოლოგთა ერთი

ნაწილი თვლის, რომ ნებისმიერი ანთროპონიმი გარკვეული აზრით, გვარეობით ცნებასაც გამოხატავს, რადგანაც მიუთითებს სახელდებულის სქესზე. რუსულ ენაში ეს ხერხდება სათანადო დაბოლოებების საშუალებით (ალექსანდრ მამაკაცის სახელია, ალექსანდრა – ქალისა, სუპერანსკი მამაკაცის გვარია, სუპერანსკაია – ქალისა, პავლოვიჩ მამაკაცზე ითქმის, პავლოვნა – ქალზე და ა. შ.). ქართულ ენაში გვარსახელი ქალისა თუ მამაკაცისა ერთნაირია, მამისახელობის მიხედვით ვერ გავარჩევთ სქესს, მაგრამ პირსახელთა ფონდი საკმაოდ მკაცრად არის გადანაწილებული: მანანა, ციალა, თეკლა, თამუნა... მხოლოდ და მხოლოდ ქალის სახელებია, ხოლო ზურაბი, მირიანი, ონისე, პეტრე – მხოლოდ მამაკაცებისა (გამონაკლისია რამდენიმე ფართოდ გავრცელებული პირსახელი. მათ შორისაა გულიკო და სულიკო. 1996 წელს საქართველოში გულიკო ერქვა 3949 ქალსა თუ კაცს, ხოლო სულიკო – 8483-ს).

მსოფლიო ფრიად ჭრელია ეთნიკური ერთეულებით, რელიგიური წარმოდგენებითა და კულტურული განვითარების დონით. ამდენადვე იყო და არის დღესაც „ჭრელი“ პიროვნების სახელდების სისტემა, რომელიც სათავეს იღებს პირველყოფილი გვარიდან. ცნობილი ამერიკელი ეთნოგრაფი და არქეოლოგი, პირველყოფილი საზოგადოების მკვლევარი ლუის ჰენრი მორგანი შრომაში „ძველი საზოგადოება“ ასაბუთებს, რომ პირველყოფილი საზოგადოების ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური უჯრედი იყო გვარი. ავტორი აქვე მსჯელობს გვარში პირის სახელდებისა თუ სახელის გადარქმევის გარკვეული სისტემის არსებობის შესახებ: თითოეულ პირველყოფილ გვარს (როგორც ადამიანთა სოციალურ-ეკონომიკურ და ნათესაურ ჯგუფს) მოეპოვებოდა პირსახელთა ფონდი, რომელიც გვარისავე კუთვნილებად ითვლებოდა. ინდიელთა ტომში ახალშობილისათვის სხვა გვარის პირსახელის დარქმევა იმას ნიშნავდა, რომ ეს ბავშვი უკვე იმ გვარს (ტომს) ეკუთვნოდა. პირსახელის დარქმევა საზოგადოებრივ მოვლენად ითვლებოდა.

მართალია, სახელს დედა არქმევდა, მაგრამ ამ სახელის დაკანონება ხდებოდა ტომის საბჭოზე.

ამის გარდა, პირველყოფილ ტომებში, როგორც წესი, შემუშავებული იყო სახელთა გადარქმევის გარკვეული ტრადიცია: მამაკაცი სახელს იცვლიდა გარკვეული ასაკის (16 ან 18 წ.) მიღწევის შემდეგ ან მნიშვნელოვან მოვლენასთან (დაქორწინება, მტრის პირველად მოკვლა, გარეული ფრინველის დაჭერა და სხვ.) დაკავშირებით.

თითოეულ ტომს პირის სახელდების თავისი ტრადიცია ჰქონდა შემუშავებული: ავსტრალიელ ტომებს, აგრეთვე ესკიმოსებს, იროკეზებს სწამდათ, რომ ახალ თაობაში გადმოდის რომელიმე გარდაცვლილის სული და ამიტომაც ახალშობილს არქმევდნენ იმ წინაპრის სახელს, რომელსაც მიაგზავსებდნენ. აფრიკის ზოგ ტომში კი ქურუმი კითხულობდა წინაპართა სახელების სიას და იმ სახელზე აკეთებდნენ არჩევანს, რომლის მოსმენისას ბავშვი დააცემინებდა. ზოგ ხალხში ქურუმი წყლით სავსე ქურქელში ყრიდა ბრინჯის მარცვალს და წყლის მოძრაობასა და ბავშვის მიმიკაზე დაყრდნობით არქმევდა იმ გარდაცვლილი წინაპრის სახელს, რომლის სულიც ამ ბავშვში იყო გადმოსული.

პირველყოფილ საზოგადოებაში, განვითარების დაბალ საფეხურზე, პირსახელი მისტიკურ-მაგიურ მოვლენად მოიაზრებოდა. ამიტომაც პირველყოფილ ტომებში ახალშობილს არქმევდნენ ცხოველ-ფრინველთა, მცენარეთა, ბუნებრივი მოვლენების სახელებს (მგელი, ყვავი, ენძელა, ელვა...), მაგრამ სახელთა მაგიური ძალის რწმენა საზოგადოებრივი განვითარების უფრო მაღალ საფეხურზედაც იყო გავრცელებული.

სახელისა და სულის გაიგივება განსაკუთრებით გავრცელებული იყო არაბებში, სპარსელებში, ტაჯიკებში, თურქებში: ახდენს თუ არა სახელი გავლენას ადამიანის ბედ-იღბალზე, მის მომავალზე? თუკი სული და სახელი უერთმანეთოდ არ არსებობენ, მაშასადამე, სახელისათვის ზიანის

მიყენება ავნებს სულსაც. ამიტომაც ადამიანს ისეთი სახელი უნდა ერქვას, რომელსაც ავი სულები, ბოროტი ძალები ახლოს არ გაეკარებიან. სწორედ ასეთ სახელებს არქმევდნენ ბავშვებს არაბები, სპარსელები, ტაჯიკები, თურქები (Гафуров, 1987, გვ. 10-29).

თანამედროვე მსოფლიოში კი ახალშობილისათვის სახელის დარქმევის მოტივი მრავალნაირია, კერძოდ, გათვალისწინებულია:

ა. დაბადების დღე ან თვე (საქართველოში: შაბათა, კვირია... ობიშხია (მეგრ. პარასკევა)... იანვარა, მარტია, მაისა);

ბ. დღესასწაული, რომელსაც დაემთხვა ბავშვის დაბადება (მაჰმადიანურ სამყაროში ნავრუზობას, ე. ი. ახალ წელს, დაბადებულს არქმევენ ნავრუზს, რაც „ახალ დღეს“ ნიშნავს, ხოლო რამაზანობას, ე. ი. მარხვის პერიოდში, დაბადებულს – რამაზანს...);

გ. დაბადების რიგი (მაგ.: ირანში პირველ შვილს ერქმევა ანდრანიკ „პირმო“, არაბეთში მეოთხე შვილს – რაბია „მეოთხე“, რუსეთში მესამე შვილს ტრეტიაკ ...);

დ. დაბადების ადგილი (ძველ საქართველოში: თორელი ← თორი, ბირთველი ← ბირთვისი);

ე. ეპონიმის სახელი (ალექსი ალექსიშვილი, რატი რატიანი...);

ვ. წინაპართა პატივისცემა-მემკვიდრეობითობა (საქართველოში ხშირია ბაბუა-ბებუის, იშვიათად დედ-მამის სახელის დარქმევა ახალშობილისათვის);

ზ. მოდა, გემოვნება, უცხოური სახელით: გატაცება, იდეოლოგია, ელერალობა...

თ. შემთხვევითობა (ბილ კლინტონმა სტუდენტობის წლებში ქ. ჩელსიში მოისმინა მისი საყვარელი მომღერლის მიერ შესრულებული სიმღერა „ჩელსის დილა“ და გადაწყვიტა, თუ ოდესმე ქალიშვილი შეეძინებოდა, მისთვის ჩელსი დაერქმია. დაარქვა კიდევ; ინდოელმა მეთევზემ, სახელად სტალინმა, ცუნამით გამოწვეულ პანიკაში ჩვილი დაკარგა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ იპოვა და ცუნამი დაარქვა).

ონოპასტიკის შესავალი

იმ საკითხზე, ახდენს თუ არა პირსახელი გავლენას ადამიანის ბედ-იღბალზე, მის წარმატება-წარუმატებლობაზე, ყურადღებას თანამედროვე ქართული პრესაც ამახვილებს. სანიმუშოდ მოგვეყვას გაზეთ „ალიაში“ დაბეჭდილ ინფორმაცია:

„ამერიკელმა მეკლევრებმა 16 მილიონ ბავშვთან დაკავშირებით სიტუაცია გააანალიზეს. კვლევაში 1961 წლის შემდეგ კალიფორნიაში დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ. ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი დასკვნა საკმაოდ სახალისო აღმოჩნდა: ბავშვის სახელი მშობლების კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. თურმე მდიდარი მშობლები არჩევენ, რომ თავიანთ ვაჟებს ბენჯამინი, სემუელი, ჯონათანი, ალექსანდრე და ენდრიუ დაარქვან. ლარებიები კი კოდოს, ბრენდონს, ენტონის, ჯასტინს და რობერტს არქმევენ. „მდიდარი“ გოგონების სახელებია: ალექსანდრა, ლორენი, კეტრინი, მედისონი, რეიჩელი, მათ „ლარიბ“ მეგობრებს კი ამბერი, ჰიზერი, კეილა, სტეფანი და ელისა ჰქვიათ. ასევე, არსებობს კავშირი დედის განათლებასა და ბავშვის სახელს შორის. რაც უფრო განათლებულია ქალი, მით მეტია შანსი, რომ მის ქალიშვილს ლუსიენი, ვაესი კი - დოვი ერქვას. ნაკლებად განათლებული მშობლები გოგონებს ბრენდას, ბიქებს კი ბილის არქმევენ.

რაც შეეხება სამსახურის მიღებას, რჩეული სახელები ამ სფეროშიც არსებობს. ჩიკაგოს უნივერსიტეტისა და მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერებმა უნიკალური ექსპერიმენტი ჩაატარეს. მათ შოაზ-ადეს რეზიუმეების სერია, სადაც მოათავსეს თეთრკანიანთა და აფროამერიკელთა ყველაზე გავრცელებული სახელები. ამ რეზიუმეებს წლის განმავლობაში გზავნიდნენ სხვადასხვა კომპანიებში ვაკანსიების დასაკავებლად. როგორც გამოირკვა, თანაბარ პირობებში (განათლება, კვალიფიკაცია, გამოცდილება, რეკომენდაციები და ა.შ.), აფროამერიკული სახელის მფლობელს ორჯერ ნაკლები შანსი ჰქონდა, რომ სამსახურის მისაღებად გასაუბრებლად მოხვედრილიყო. აღმოჩნდა, რომ აშშ-ში სამსახურის მიღება ყველაზე მეტად უადვილდებოდა მამაკაცებს, რომლებსაც ჰქვიათ ბრედი, მეთიუ და ჯეი - სწორედ ამ სახელებს ერგო ყველაზე მეტი დადებითი გამოხმაურება. ქალებს შორის წარმატებას კი კრისტინი, კერი და ლორი უნდა ელოდონ. სამსახურში მოწყობის ყველაზე ნაკლები შანსები, მამაკაცებში რაშიდს, ტრიმინს და კარიმს აქვთ. ქალებში ნაკლები მოთხოვნით აიშა, კეიშა და ტამიკა სარგებლობს. აღსანიშნავია, რომ ეს უიღბლო სახელები აშშ-ში შავკანიანებს ჰქვიათ“ („ალია“, 2005 წ. 2-3 ივნისი).

პოლიონიმიამ, ანუ მრავალსახელიანობა, დასტურდება ან-თროპონიმიამშიც და ტოპონიმიამშიც. ერთი და იმავე პირის აღნიშვნა სხვადასხვა ლექსემებისაგან მომდინარე ონიმებით ქმნის ონიმურ სინონიმიას, ანუ პარალელურ სახელებს.

ახალშობილისათვის მრავალი სახელის დარქმევა ხდებოდა ეშმაკის დასაბნევად, ავი სულისათვის თვალის ასახვევად. ეს ტრადიცია განსაკუთრებით ძლიერი იყო ევროპის ხალხებში – ესპანელებში, პორტუგალიელებში, ფრანგებში, იტალიელებში. მათ მტკიცედ სწამდათ, რომ 5-6 სახელი ბოროტ ძალას თავგზას აუბნევდა და იგი ვერ შესძლებდა ადამიანის მოტყუებას, ცდუნებას, დაღუპვას. პოლიონიმი ჩვეულებრივია კათოლიკეთა შორის. ოღონდ კათოლიკეთათვის ყველა სახელი ოფიციალურია. სხვათა შორის 2004 წლის 1 იანვრიდან უკრაინელებს ოფიციალურად დაერთოთ ნება, შვილებს დაარქვან იმდენი სახელი, რამდენიც სურთ.

ქართულ სინამდვილეში პოლიონიმიას სპორადული ხასიათი აქვს და გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის ცრურწმენითაც. ანთროპონიმული პოლიონიმიის კლასიკურ მაგალითებს ავლენს ხევსურული ანთროპონიმი: ვინმე ბაღიაურს ხუთი სახელი ერქვა: კალენდრისა (ე.ი. ნათლობის) – პეტრე, სულისა – დავითი, ხატისა – გიორგი, რძლისა – ხირჩლა, ბიცოლასი – ბეწიკუა (მაკალათია, 1935, გვ. 193); ვ. ბარდაველიძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ჩვენს წინაპრებს ხშირად მრავალი სახელი ერქვათ, კერძოდ: 1. ჭვარისა (სალოცავისა, რომელსაც დედა არქმევდა შვილს); 2. სულისა (წინაპრის ან გარდაცვლილი ნათესავის სახელი ერქმეოდა ბავშვს დაბადებიდან რამდენიმე თვის შემდეგ); 3. თიკუნნი, ანუ მეტსახელი; 4. ნათლობის სახელი (ბარდაველიძე, 1949).

პირსახელს, რომლის მიზანია, დაიცვას ადამიანი დაღუპვისაგან, ავადმყოფობისაგან, მონუსხვისაგან, მოატყუოს ავი სულები, ონომასტიკურ ლიტერატურაში ეწოდება აპოტროპეული, ანუ სატყუარი, დამცავი სახელი (ბერძ. აპოტროპეა „ხიფათის ამრიდებელი, უბედურების ამცილებელი“). ამგვარი სახელები ქართველურ ანთროპონიმიშიც დასტურდება, მაგ.: გლაზა, გლახუკა, ღარიბა, საძაგელა, საგინა, ნასყიდა, ღვთისა-ვარი, წყალობა... აპოტროპეულია ხევსურებისათვის დამახასიათებელი ე. წ. სულისა და ხატის სახელები.

სულის სახელი საქართველოში მხოლოდ ხევსურთათვის არის დამახასიათებელი. ესაა მიცვალებული წინაპრის სახელი, რომელსაც ბავშვს არქმევენ გარკვეული რელიგიური მოსაზრებით. მაშასადამე, სულის სახელი უკავშირდება ანიმი-სტურ რწმენას, რომლის მიხედვითაც მიცვალებულის სული მოითხოვს, რომ ახალშობილს რომელიმე მიცვალებულის სახელი დაერქვას. სულის სახელს მესულთანე ან მკითხავი არჩევდა. ამ სახელით ადამიანს შინაურებაში მიმართავდნენ, ოფიციალურად კი მას სხვა სახელით იცნობდნენ.

ხატის სახელიც აპოტროპეული სახელის სახეობაა, კერძოდ, ამა თუ იმ ხატის სახელია, რომელსაც ბავშვს შეარქმევდნენ, ისევე როგორც სულის სახელს, გარკვეული რელიგიური მოსაზრებით. ფშავ-ხევსურეთში ყველაზე გავრცელებული ხატის სახელებია: აშექალი, მზექალი, სამძივარი, გიორგი და სხვ.

ქრისტიანული სამყაროს ანთროპონიმიკონისა და ანთროპონიმული სისტემის განვითარებაში მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მონოთეიზმზე (ერთღმერთიანობაზე) გადასვლა-ქრისტიანული რელიგიის ჩამოყალიბება და გავრცელება. ახალი რელიგია ებრძოდა ყოველივეს, რაც ადამიანის სულში მანამდე არსებობდა, კერძოდ: ღვთაებებს, კულტებს, პირსახელებსა და სახელდების ტრადიციასაც. ამის მიხედვით, ონომასტიკა გამოყოფს ანთროპონიმთა ორ ჯგუფს – წარმართული (წინარექრისტიანული, ქრისტიანობამდელი) და ქრისტიანული (კალენდარული) სახელი.

წარმართობა, როგორც ტერმინი, ქრისტიანის თვალთახედვით, აღნიშნავს წინარექრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებსაც და ქრისტიანობის პარალელურად არსებულ ყველა არაქრისტიანულ სარწმუნოებასაც. მიუხედავად ამისა, ჩვენში წარმართული ანთროპონიმია ძირითადად მაინც ქრისტიანობამდელ პიროვნულ სახელებს გულისხმობს, რომლებიც ზოგ შემთხვევაში დღემდეც კი შემორჩა ხალხის მეხსიერებასა და ტრადიციას და სახელდებისთვისაც გამოიყენება.

ამასთან დაკავშირებით ქვემოთ წარმოვადგენთ რამდენიმე ტერმინის სალექსიკონო თუ საენციკლოპედიო განმარტებას:

წარმართული პირსახელი – არაკანონიკური სახელი, რომელიც სხვადასხვა ხალხში წარმოიქმნა პირველყოფილი რელიგიური წარმოდგენებისა და კულტურის პერიოდში, მაგრამ, ჩვეულებრივ, განაგრძობდა არსებობას მონოთეისტური რელიგიების შემოსვლის შემდეგაც კანონიკური სახელების გვერდით. ერთ-ერთი უძველესი წარმართული ქართული სახელია მახარე, რომელიც დამოწმებულია ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის I საუკუნის ბერძნულ წყაროში, კერძოდ, მახარე ერქვა პონტოს ხელმწიფის – მითრიდატე ევპატოსის (კეთმილშობილის) – შვილს, რომელიც პომპეუსის მხარეს გადავიდა... ზოგი ქართველი მკვლევარი მიიჩნევს, რომ, არაა გამორიცხული მითრიდატეს მრავალრიცხოვანი ცოლებიდან ერთ-ერთი ქართველი ყოფილიყო და შვილისთვისაც მას შეერჩია სახელი (საქმე ისაა, რომ შესაძლოა მახარე ბერძნული მახაირა „ხმალი“, „დანა“, „ხანჯალი“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს).

ქრისტიანულ ხალხებში წარმართულია ყველა ქრისტიანობამდელი, ანუ წინარექრისტიანული სახელი. ქართველებსაც, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ხალხს, ოდითგანვე ჰქონდათ შემუშავებული სახელდების თავისებური წესი, ანთროპონიმთა საკუთარი ფონდი, რომელიც ნელ-ნელა ივსებოდა უცხო ხალხების სახელებით ომებისა თუ ისტორიულ-კულტურული ურთიერთობების გაფართოების შედეგად. ხომ ფაქტია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლება, ხოლო კოლხეთის ზღვისპირეთში ბერძნულმა კოლონიზაციამ მრავალი ახალი პირსახელი შესძინა ქართველურ ანთროპონიმთა.

კანონიკური სახელი – პიროვნული სახელი, რომელიც მსოფლიო რელიგიების ტრადიციებით არის შემუშავებული და დაკანონებული როგორც ნამდვილი, ქეშმარიტი, მისაღები. მაშასადავე, მაჰმადიანისათვის კანონიკურია მაჰმადიანური

სახელები, ბუდისტისათვის - ბუდისტური, ქრისტიანისათვის, შესაბამისად, - ქრისტიანული.

ქრისტიანობამ შეიმუშავა საკუთარი ანთროპონიმიკონი და თავისებური ანთროპონიმული სისტემა, რომელიც განსხვავდებოდა როგორც წარმართული, ისე კანონიკურის გვერდით არსებული ეროვნული ანთროპონიმიისა და ანთროპონიმული სისტემისაგან. ქრისტიანთა კანონიკურ სახელებს ქრისტიანული სახელებიც ეწოდება.

კათოლიკურმა ეკლესიამ V ს. დაძლევეს დააკანონა, რომ ახალშობილ ქრისტიანს უნდა დარქმეოდა ბიბლიური, კერძოდ, ევანგელური (ახალადთქმისეული) და ქრისტეს სჯულისათვის წამებულის სახელი. რუსულში არასაეკლესიო, ე. ი. არაქრისტიანული, სახელის დარქმევა XVII საუკუნეში იიკრძალა. ამასთანავე, თითქმის ყველა ხალხშია გავრცელებული არაკანონიკური სახელებიც, ე.ი. სახელები, რომლებიც არ არის დაკავშირებული რელიგიურ ტრადიციებთან. ასეთია, ბავშვის ხასიათის, ქცევა-გარეგნობის, მშობელთა სამომავლო სურვილის გამოძახატველი, ავსულთაგან დაცვისა თუ სხვა მოტივებით მოაზრებული და დარქმეული ნებისმიერი სახელი. არაკანონიკურად ითვლება კანონიკური სახელების არაოფიციალური ვარიანტებიც, მაგალითად: ვანო (← ივანე), გერა (← გერასიმე), გიგა, გიგო, გიო, გიორგელა, გიორგანა (← გიორგი) და სხვ.

კალენდარული სახელების დარქმევის ტრადიციას იცავდა ქართული მართლმადიდებლური ეკლესიაც, თუმცა, როგორც ჩანს, მკაცრი კანონები გვიან შუა საუკუნეებშიც კი არ არსებობდა და საეკლესიო გლეხთა სიებშიც კი, რომელთაც საეკლესიო პირი ადგენდა, ბევრზე ბევრია არაკალენდარული სახელი.

რუსულ და ქართულ ქრისტიანულ სამყაროში ხშირად გამოიყენება ტერმინები: კალენდარული სახელი, არაკალენდარული სახელი.

კალენდარული (პაგიოგრაფიული) სახელი არის კანონიკური პიროვნული სახელი, ამოღებული საეკლესიო კალენდარ-

იდან. XVII ს-ში რუსეთში წმინდა სინოდის დადგენილებით აიკრძალა არასაეკლესიო სახელის დარქმევა და დადგინდა მართლმადიდებლური სახელების სარეკომენდაციო სია, რომელმაც 2 ათასამდე ერთეული შეადგინა (ზოგი მათგანი არც არასოდეს გამოუყენებიათ). ამასთან ერთად, ახალშობილს ერქმეოდა იმ წმინდანის სახელი, რომლის ხსენების დღეც ბავშვის დაბადების დღეს ემთხვეოდა. ყოველივე აქედან გამომდინარე, კალენდარულია ყველა პირსახელი, შეტანილი საეკლესიო კალენდარში, რომელშიც აღნიშნულია კანონიზებული წმინდანების ხსენების დღეები. მაშასადამე, პიროვნული სახელი, რომელიც არ არის შეტანილი საეკლესიო კალენდარში და ამიტომაც არ შეიძლება დარქმეოდა ნათლობისას, არაკალენდარულია: მათ შორის იგულისხმება: ქრისტიანობამდელი სახელი, საშინაო სახელი, მეტსახელი, „ახალი სახელი“ და სხვ. საშინაო სახელად ითვლება არაოფიციალური, დამატებითი სახელი, რომლითაც პიროვნება ცნობილია ოჯახში, თავისიანთა ვიწრო წრეში. როგორც წესი, ესენი, უპირველეს ყოვლისა, ოფიციალური კანონიკური სახელების ვარიანტებია, როგორიცაა: ლადო, კაკო, კატო, დათიკო და სხვ. ახალი სახელი კი არის არაკანონიკური, კერძოდ, ხელოვნური, გამოგონილი, ნასესხები სახელი, შეკუმშული ან შემოკლებული ვარიანტები, იშვიათი და მივიწყებული კანონიკური სახელები, რომელთაც ოფიციალურად არქმევდნენ ჩვენში XX ს-ის 20-იანი წლებიდან, ე. ი. მას შემდეგ, რაც რელიგია კანონის გარეშე გამოცხადდა და კალენდარული სახელების დარქმევის აუცილებლობა გაუქმდა. ასეთი სახელებია: ერა, იდეა, ოქტიაბრინა, რენატი და სხვ., ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა ისეთი ოფიციალური პირსახელები, როგორიცაა: დისომი (← დიდი სამამულო ომი), ომფაშგემო (← ომი ფაშისტურ გერმანიას მოვუგეთ) და სხვ.

კალენდარულ და არაკალენდარულ სახელთა ასეთი დაყოფა დანერგულია ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიაშიც, თუმცა, როგორც ჩანს, მკაცრი კანონები გვიან შუა

საუკუნეებშიც კი არ არსებობდა და საეკლესიო გლეხთა სიებშიც კი, რომელთაც საეკლესიო პირი ადგენდა, მრავლად გვხვდება არაკალენდარული სახელი. აქ მხოლოდ ერთი საბუთის ანალიზით დავკმაყოფილდებით: 1621 წელს შედგენილი „აფხაზეთის საკათალიკოსო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარში“ (იხ. „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, თბ., 1970) დასახელებულია 460 პირსახელი, მათგან: რაჭის რეგიონიდან – 28, იმერეთის რეგიონიდან – 155, ოდიშიდან (სამეგრელო, სამურზაყანო, აბჟუა) – 277. აღნიშნულ საეკლესიო დავთარში ანთროპონიმთა მხოლოდ 22%-მდეა კალენდარული, და ისიც ძირითადად კნინობით-მოფერებით ვარიანტებს წარმოადგენს. კერძოდ, დასახელებული რეგიონების მიხედვით ასეთი ვითარება გამოიკვეთა:

რაჭაში არაკალენდარულია 70% (ნასყიდა, მამუკა, ნავროზა, ბეეიტა, გოჩა, მგელია, მამაგულა, ნინიკა და სხვ.), ხოლო კალენდარულია, ისიც ძირითადად კნინობით-მოფერებითი ფორმით წარმოდგენილი – 30% (გიორგი, გრიგოლი, მიქელი, მიქელა, ნიკოლოზი და სხვ.);

იმერეთში არაკალენდარულია პირსახელთა 72% (კეთილა, ნასყიდა, შოშია, ვაჟობა, გოჩა, დათვია, ჟოჟა, წყალობა, მახუა, ბიბია, გვიტია, უმცროსა, ყატია და სხვ.), ხოლო კალენდარულია (კნინობით-მოფერებითი ვარიანტის ჩათვლით) – 28% (ნიმუშები: გიორგი, გიორგა, ივანა, ათანასე, გაბრიელა, ზაქარია, იოვანე, თევდორა, დემეტრე, დემეტრა, მიქელა, დათიკა და სხვ.).

ოდიშიში არაკალენდარულია „დავთარში“ წარმოდგენილ პირსახელთა 93% (ქაქალია, ბოჯოჯია, ნაცვალი, ციბუკუა, ნანარტია, სამართალა, წიწილა, ქუჭუტია, უჩარდია, უჩაკოჩი, მახოლა, მიჰამია, თოსკვამია, უკულია და სხვ.), ხოლო კალენდარული ან მისი ვარიანტია მხოლოდ 7% (მათე, ივანე, ივანა, მიქა, გიორგი, ივანება, სერგია და სხვ.).

სწორედ ამგვარმა ფაქტებმა მისცეს საბაზი მაკარი ანტიოქიელს, 1665 წელს წალენჯიხის მონასტერში დაწერილ

მემუარებში განეცხადებინა: „ქართველთა უმეტესობა შვილებს წმინდანთა სახელებს არ არქმევს“ და „ქართველთა უმრავლესობას წმინდანთა (კაცთა და ქალთა) სახელი როდი ჰქვია, არამედ ნაირ-ნაირ უმაქნის სახელებს ირქმევს“. ზ. ჭუმბურიძეც აღნიშნავს; „ხშირად მშობლები არ ემორჩილებოდნენ ეკლესიის მოთხოვნებს და სურდათ შვილისათვის დაერქმიათ თავიანთი შერჩეული, მათთვის ახლობელი და ნაცნობი სახელი. ამ უთანხმოებას ხშირად ის შედეგი მოჰყვებოდა, რომ ახლობლები ბავშვს ეძახდნენ არაკალენდარულ სახელს, საეკლესიო წიგნსა და საბუთებში კი ის გატარებული იყო სულ სხვა სახელით“ (ჭუმბურიძე, 2003, გვ. 24). ქართული კულტურისა და ხელოვნების ბევრ მოღვაწეს, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ როგორც კოტეს, ვანოს, სანდროს, ლადოს... სინამდვილეში საბუთებში უწერიათ კონსტანტინე, ივანე, ალექსანდრე, ვლადიმერი.

მსოფლიოს ხალხთა ანთროპონიმულ სისტემებში გვხვდება დინასტიური, გადაბმული და საოჯახო პირსახელები. ამ თვალსაზრისით არც ქართველი ხალხია გამონაკლისი.

დინასტიური პიროვნული სახელი იგივე საოჯახო სახელია, ოღონდ ამა თუ იმ დინასტიის მეფეთათვის დამკვიდრებული, ტრადიციული, ხშირად განმეორებული. მაგ., ბაგრატიონთა დინასტიის ერთ-ერთი ტრადიციული სახელია გიორგი. ეს სახელი ერქვა საქართველოს 7 და ქართლის, კახეთის, იმერეთის რამდენიმე მეფეს. შეიძლებოდა დაგვესახელებინა აგრეთვე დავითი, ბაგრატი.

საოჯახოა პირსახელი, რომელიც ხშირად მეორდება ოჯახის სხვადასხვა თაობაში. საქართველოში პირველ ვაჟს, ჩვეულებრივ, მამის ან პაპის, ხოლო პირველ ასულს – ბების ან დიდი ბების სახელს არქმევდნენ. არც ისაა გამონაკლისი, როცა მშობლებსა და შვილებს ერთი დაიგივე სახელი ან მისი ვარიანტი ჰქვიათ. ზოგჯერ საოჯახო სახელი, როგორც ზ. ჭუმბურიძე აღნიშნავს, მხოლოდ ერთი რომელიმე საგვარეულოს საკუთრება იყო. მაგალითად, მამია საქართველოში წინათ ერქვათ მხოლოდ

გურიის სამთავროს მფლობელებს (გურიელებს), შალვა იყო თორელთა გვარის მეთაურის (თორელის) სახელი და სხვ.

გადაბმული სახელები ეწოდებათ ფორმობრივი ან აზრობრივი ნიშნით ერთმანეთთან დაკავშირებულ ორ ან მეტ პირსახელს ერთ ოჯახში. მიზანია გენეალოგიური კავშირის გამოხატვა, მაგ.: ერთნაირი ფუძეები დების სახელებში (თყა, თეო), ერთმანეთთან დაკავშირებული პოპულარულ პირთა ან ლიტერატურულ ნაწარმოებთა პერსონაჟების სახელები (ძმები: ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი). რომის პაპის - იოანე-პავლე მეორის - გარდაცვალებიდან რამდენიმე დღის შემდეგ პოლონეთში დაბადებულ სამ ტყუპ ვაჟს დაარქვეს იოანე, პავლე, კაროლი (კაროლი ამ პაპის საერო სახელი იყო).

ისტორიული საბუთების მიხედვით იკვეთება საქართველოში სახელის რქმევის ასეთი ტრადიციებიც: ა. ეპონიმის სახელის დარქმევა (იხ. მაგალითები ზემოთ); ბ. ადრინდელი გვარის დარქმევა (მაგ., სისაურ-დორეული: სისაური დორეულთა უწინდელი გვარია; გაბიდაური-თინიკაშვილი: გაბიდაური თინიკაშვილთა ადრინდელი გვარია); გ. საკუთარი გვარსახელის დარქმევა პირსახელად (მაგ.: პატაშურ პატაშური, მცხეთელიძე მცხეთელიძე) და სხვ. (იხ.: თოფჩიშვილი, 2005, გვ. 292-298).

გადაბმულ სახელთა ნაირსახეობაა ე. წ. თანაბგერადი, ანუ ევფონიური (ბერძნ. ეუფონია „კეთილხმოვანება“) პირსახელები. ევფონიურობა ვლინდება როგორც ეოკალიზმში, ისე კონსონანტიზმში, როგორც პორიზონტალურ (და-ძმები), ისე ვერტიკალურ (თაობათა შორის) კრილში. თანაბგერადობა გვხვდება როგორც პრეპოზიციურ (უფრო ხშირად), ისე პოსტპოზიციურ ბგერებსა და ბგერათკომპლექსებში. მაგ.: ასმათი, ანზორი, აბელი (და-ძმები), მამუკა, მერაბი (ძმები), ეკა, მაკა (დები) და სხვ. როგორც მიუთითებენ, ევფონიურობა უკავშირდება გარკვეულ სიმბოლიკას, ხალხის საზოგადოებრივ ცნობიერებასა და ფსიქოლოგიას, ტრადიციებს. „გადაბმული პიროვნული სახელების“ მნიშვნელობით რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურ-

რაში ხშირად შეხედებით ტერმინს „ანთროპონიმული სერია“.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ გასული საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ერთგვარად შეიცვალა დამოკიდებულება სახელებისადმი და სახელდებისადმი, კერძოდ, გახშირდა შინაურული ფორმები, რაც გამოიხატება როგორც მოკლე, ლაკონიური სახელებისადმი ლტოლვაში, ისე გრძელ სახელთა გამარტივების ტენდენციაში, ამ ტრადიციის გამოვლენაა მიდრეკილება მარტივი (ძირითადად ორმარცვლიანი) აღმოსავლური სახელებისადმი, რომელთაც მსუბუქი და ადვილად გამოსათქმელი მელერი აუსლაუტი აქვთ, მაგ.; ოთარ, ომარ, ნოდარ, თამაზ, რამაზ, თემურ, თენგიზ და სხვ.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში კი, ეროვნული მოძრაობის ახალ აღმავლობასთან დაკავშირებით გავრცელდა ისტორიული სახელები, რომელთაც კნინობით-მოფერებითი ფორმები არ (ან ნაკლებად) უკეთდებოდა: კახა, ბექა, ლაშა, რატი, ცოტნე, თორნიკე... თვით ის სახელებიც კი, რომლებსაც შინაური ფორმები მოეპოვება, ამ პერიოდიდან სრული სახით იხმარება: გიორგი, ერეკლე, ალექსანდრე, მარიამი, თამარი, პაატა... მათგან თითო-ოროლას თუ აქვს მოფერებით-კნინობითი ფორმა (მაგ., ლაშიკო, პატიკო), ზოგი კი სტილისტურად ნეიტრალურია, მაგ., მამუკა (აფრიდონიძე, 1981, გვ. 55-60). ზოგ ქართველს კი არ მოსწონს მოკლე სახელები. პარლამენტარ გურამ შარაძესა და მწერალ რევაზ შიშველაძისადმი გაგზავნილ ღია წერილში ერთ-ერთი თბილისელი ითხოვს: აიკრძალოს ისეთი სახელები, როგორიცაა: ზუკა, გაგა, კიკა, კუკა, გუგა, ნიკი, კიკი, თაკო, ქეთა და ა. შ. („ახალი ვერსია“. 23-29 სექტ., 2002 წ.).

გავცნოთ ანთროპონიმიაში განმეორებად ზოგ ტერმინს: ინდიგენური სახელი იგივეა, რაც ოდინდელი, მკვიდრი, ძველისძველი საკუთარი სახელი, რომელიც შემორჩენილია ამა თუ იმ ენის ტოპონიმიაში (მაგ., ქართულში: მცხეთა, ქართლი, არაგვი), ანთროპონიმიაში (მაგ., ქართულში: ფარნაოზი, ქუჭი, მირიანი, ნინო), თეონიმიაში, კოსმონიმიაში და სხვ. ქართველთა ოდინდელი ანთროპონიმული ლექსიკა დღემდე ძირითადად

მთის რეგიონებშია შემონახული თავდაპირველი ფორმით, ან შეცვლილი სტრუქტურით, რაც აძნელებს მისი სიძველის დასაბუთებას (იხ. ვრცლად: გოდერძიშვილი, 1998, გვ. 88-92).

პატრონიმი (პატრონიმული სახელი) – მამის (ან მამის ხაზით წინაპრის) სახელისა თუ მეტსახელისაგან მომდინარე ზედწოდება, მეტსახელი, შტოგვარის სახელი, მამისახელობა ან გვარსახელი. ამ თვალსაზრისით პატრონიმულია ქართული (-ძე, -შვილ-ი, -იან, -ია, -უა, -ურ და სხვ. სუფიქსებზე დამთავრებული) და მრავალი სხვა ენის გვარსახელთა დიდი ნაწილი.

ანდრონიმიც ანთროპონიმის სახეობაა. კერძოდ, ესაა ქალის სახელი, გვარი ან მეტსახელი, შერქმეული ქმრის სახელის, გვარსახელის ან მეტსახელის მიხედვით (ბერძნ. ანდროს „მამაკაცი“) გავრცელებულია რუსულ ენაში, მაგ.: ბუდარიხა (ბუდარას ცოლი), გრიგორუჟკა (გრიგორის ცოლი), ანა ტიხონოვნა (ანა, ტიხონის ცოლი), ანა ფანკოვა (ანა, ფანკოს ცოლი) და სხვ.

აფერეზა, აპოკოპე და სინკოპე ფონეტიკური ტერმინებია, მაგრამ სათანადო ფონეტიკური პროცესები ხშირად ონიმიაშიც იჩენს თავს. კერძოდ, ანთროპონიმიაში აფერეზა (აფერეზისი) აღნიშნავს სრული პირსახელისათვის ანლაუტის (საწყისი ბგერის, ან კომპლექსის) მოკვეცას (მაგ., ლენა ← ელენე, ლექსო ← ალექსი, დორა ← მინადორა); სინკოპე ეწოდება პირსახელის შიგნით ბგერის ან ბგერათა ჯგუფის ამოვარდნას (სახელთა ამგვარი შეკუმშვის მაგალითებია: როსტან ← როსტევან, კოტე ← კონსტანტინე), ხოლო აპოკოპე – პირსახელის ბოლო ბგერის ან მთელი კომპლექსის (ე. ი. აუსლაუტის) მოკვეცას (მაგ.: ნიკო ← ნიკოლოზ, ეკა ← ეკატერინე, თინა ← თინათინი).

ქრისტიანობამ შექმნა თავისებური ანთროპონიმული სისტემა, რომელსაც მკაცრად რეგლამენტირებული (კანონიზებული) ანთროპონიმიკონი და სახელდების წეს-კანონები განსაზღვრავს. საფუძველთა საფუძველია ნათლობა, რაც წარმოადგენს გაქრისტიანების, ქრისტესთან მიახლოების რიტუალს (შდრ. საბასთან: „ნათლის-ღება - უნათლავეთაგან

ნათლის მიღება“). ამ დროს ადამიანს გადაეცემა ღვთის მაღლი ცოდვებისაგან სულის სახსნელად, ავადმყოფობისაგან განსაკურნავად და სხვ. ნათლობა, ნათვლა ერთ-ერთია შვიდი მთავარი საიდუმლოდან. ნათლობისას დარქმეულ სახელს ნათლობის (ანუ საეკლესიო) სახელი ეწოდება. იგი აუცილებლად კალენდარული, ე. ი. ქრისტიან წამებულთა ხსოვნის დღეების წლიურ ცნობარში შესული, ან ძველი თუ ახალი აღთქმის პერსონაჟის სახელი უნდა იყოს. მღვდელი, რიტუალის მთავარი შემსრულებელი, მოსანათლავს არქმევს იმ წმინდანის სახელს, რომლის ხსენების დღეც ბავშვის დაბადების ან ნათლობის დღეს ემთხვევა. მღვდელი იშვიათად მშობლის ან ნათლიის სურვილსაც ითვალისწინებს, ოღონდ ყველა შემთხვევაში სახელი კალენდარული უნდა იყოს.

ტრადიციულად, ნათლობის სახელი საერო პირებისათვის მუდმივა, მაგრამ სამღვდლო წოდებაში გადასვლისას იგი იცვლება. აქედან გამომდინარე, მართლმადიდებლურ ანთროპონიმულ სისტემაში ცნობილია: საერო სახელი, საბერო სახელი, სასქიმო სახელი.

საერო სახელი ნათლობის სახელია, რომელსაც ატარებდა პირი ბერად შედგომამდე. ეს სახელი ზოგ შემთხვევაში შემდეგაც შედიოდა ანთროპონიმულ ფორმულაში, მაგ.: იოანე-ზოსიმე, სულხან-საბა (ორბელიანი) და სხვ. („საერო სახელი“ აღნიშნავს არაკანონიკურ სახელსაც, რომელსაც ატარებდნენ ნათლობის სახელთან ერთად).

საბერო სახელიც კალენდარული სახელია, ოღონდ იგი ერქმევა საერო პირს ბერად აღკვეცისას და ხშირად იმავე ბგერით იწყება, რითაც საერო სახელი. ზოგ ხალხში ნათლობის სახელი საბერო სახელადაც გამოიყენება. მიღებულია რარიტული (ე. ი. იშვიათი, ნაკლებად ცნობილი) სახელის გამოძენაც (კათოლიკურ და პროტესტანტულ ეკლესიებში არსებობს გარკვეული რიტუალი – კონფირმაცია, რომლის შემდეგაც გარკვეული ასაკის ახალგაზრდები მიიღებიან საეკლესიო მრევლში. ამ დროსაც იცვლება სახელი. ახალმიღებულ სახელს

კონფირმაციული სახელი ეწოდება). ე.წ. „მესამე ნათლობის“ რიტუალზე, დიდი სქიმის მიღებისას, ბერი საბერო სახელის ნაცვლად იღებს ახალ სახელს, რომელსაც სასქიმო სახელი ეწოდება. საილუსტრაციოდ მოგვყავს 2005 წელს გაზეთ „ქრონიკაში“ დაბეჭდილი ორი ინფორმაცია: 1. „დიდ სქიმში აღკვეცა. 28 მარტს თბილისის ფერისცვალების მამათა მონასტერში ილუმენმა ბართლომემ (ფირცხალაიშვილმა) დიდ სქემაში ბერად აღკვეცა არქიმანდრიტი დიმიტრი (ტელიანიდი) და სახელად საბა უწოდა“; 2. „მონაზვნად აღკვეცა. 23 აპრილს, ლაზარეს შაბათს, სტეფანწმინდისა და ხევის ეპისკოპოსმა პეტრემ (ცაავა) სწოს წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში მონაზვნად აღკვეცა მორჩილი ხათუნა გამყრელიძე, რომელსაც დედა თამარი ეწოდა და ლია კუპრეიშვილი, რომელსაც დედა ნინო ეწოდა“.

სახელთა ცვლის მრავალი მაგალითი გვხვდება ძველ და ახალ აღთქმაში: ზეთისხილის მთაზე მოწაფეებთან შეხვედრისას მაცხოვარმა სიმონს უწოდა პეტრე „სალი კლდე“, ხოლო სავლეს ასე მიმართა: ამიერიდან შენ ხარ პავლე და არა სავლე, რადგან ირწმუნე ჩემი და ქეშმარიტება მიიღე“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში სახელის ცვლა დაშვებულია სხვა მრავალ შემთხვევაშიც, მაგალითად სხვა რელიგიაზე გადასვლისას. მოგვყავს ამონაწერი „კვირის პალიტრიდან“ (31.01-6.02. 2005): „ამერიკელმა მომღერალმა მადონამ 2004 წელს გულმოდგინედ დაიწყო კაბალას (იუდეველთა მოძღვრება) შესწავლა. მან სახელიც კი შეიცვალა: მომღერალმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ამიერიდან ესთერი (ძველდაბეჭდილი სახელი) დაირქვა“. სახელის (იშვითად გვარისაც) შეცვლა ჩვენს თანამედროვე ყოფაშიც არ არის უცხო. გაზეთ „ალიაში“ დაბეჭდილი პუბლიკაციიდან „რომელმა პოლიტიკოსებმა გამოიცვალეს სახელები?“ (ავტორი ეკა ასათიანი) ვეცნობით საინტერესო მასალას: კოტე კემულარიას დაბადების მოწმობისა და პასპორტის მიხედვით ერქვა ველუარდი, მაგრამ ეს მისმა უახლოესმა მეგობრებმაც კი არ იცოდნენ. იგი ყველასთვის კოტე იყო. ამიტომაც 1976 წელს ველუარდი ოფიციალურად შეცვალა კონსტანტინეთი; მსახიობ დიმა ჭაიანს ოფიციალურად ერქვა ვლემი. მაგრამ ეს სახელი არ მოსწონდა და დიმა დაირქვა; ხათუნა ხოფერიას ყველა ხათუნათი იცნობს, მაგრამ დაბადების მოწმობაში უწერია ნინო...“

საკუთარი სახელის რამდენიმე კატეგორიას გამოყოფენ აღსანიშნი ობიექტის რეალურობა-არარეალურობისა თუ

ლიტერატურულობის მიხედვით. ესენია:

რეალიონიმი ნებისმიერ ონიმურ სივრცეში რეალურად არსებული ობიექტის საკუთარი სახელია, კერძოდ: ტოპონიმი, ანთროპონიმი, ზოონიმი და ა. შ. მაგ.: მცხეთა, ალგეთი, ვახტანგ გორგასალი, სიმონ ჩიქვანი, პლანეტა მარსი, ცხენი ბუცეფალი და ა. შ.

მითონიმი (მითოლოგიური ონიმი) ეწოდება მოგონილი, არარეალური, სულიერი თუ უსულო ობიექტის საკუთარ სახელს. გვხვდება მითებში, თქმულება-გადმოცემებში, ზღაპრებში. მათ შორის: თეონიმი, მითოანთროპონიმი, მითოზოონიმი, მითოტოპონიმი, მითოფიტონიმი, მითოპერსონიმი და სხვ. მაგ.: ზევსი, ჰერმესი, აფროდიტე, აპოლონი, არმაზი, ბოჩი, კობალა, იახსარი, ან კიდევ: ამირანი, ბადრი, უსუპი, ყამარი, ბაყბაყდევნი, დალი, დარეჯანი, ყურშა („ამირანდარეჯანიანში“), აბესალომი, ეთერი, მურმანი („ეთერიანში“), ასფურცელა, ნაცარქექია, ხუთკუნჭულა, სიზმარა, ცისკარა, მუქანახევარა (ქართულ ხალხურ ზღაპრებში) და სხვ.

პოეტონიმი (პოეტიკური ონიმი) მხატვრულ ლიტერატურაში დადასტურებული საკუთარი სახელია, რომელსაც, გარდა ნომინაციურისა (სახელდებითისა), აქვს აგრეთვე სტილისტიკური, სოციალური და იდეოლოგიური ფუნქცია. უპირატესად მოგონილია, მაგრამ გამოიყენება რეალურ ცხოვრებაში არსებულაც, ან ორივეს კომბინაცია. როგორც ცნობილია, „მხატვრულ ტიპს მწერალმა კი არ უნდა დაარქვას, არამედ უნდა მოარგოს ესა თუ ის ონიმი – საკუთრივ ანთროპონიმი, ეპითეტიანი სახელი, კვაზიონიმი თუ მეტსახელი. ეს კი... შემოქმედებითს პროცესთან არის დაკავშირებული“ (გოდერძიშვილი, 1995, გვ. 34).

ანთროპონიმი შეიძლება იყოს რეალური ან პოეტიკური.

რეალური ანთროპონიმი არის ყოფაში, ცხოვრებაში რეალურად არსებული ადამიანის პიროვნული სახელი, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ლიტერატურული ან დიალექტური: გრიგოლ ორბელიანი, ნიკო ნიკოლაძე, ქაქუცა

ჩოლოყაშვილი, მელიტონ ქანთარია, კოტე მახარაძე ...

პოეტიკური ანთროპონიმი არის მხატვრულ ნაწარმოებში დადასტურებული ნებისმიერი პირსახელი, შერქმეული სახელი, ზედწოდება, ანთროპონიმული ფორმულა. იგი, ჩვეულებრივ, გამიზნულია პერსონაჟის დასახასიათებლად. ხშირად დატვირთულია სოციალური და იდეოლოგიური შინაარსით. მაგ.: ჭაყო, კვაჭი კვაჭანტირაძე, სპირიდონ მკირიშვილი და სხვ. პერსონაჟის საკუთარ სახელს პერსონიმსაც უწოდებენ.

ფოლკლორული ნაწარმოების (მაგალითად, ზღაპრის) პერსონაჟი ხშირად უსახელოა, უფრო ზუსტად, სახელდებულია საზოგადო სახელით, რომელსაც საკუთარი სახელის ფუნქცია აქვს. ამგვარი ვითარება უცხო არ არის მხატვრულ ლიტერატურაშიც: გ. დოჩანაშვილის მოთხრობის - „ყველაზე კარგი პაპა“ - პერსონაჟებია: მეფე, გამრჯე კაცი, დიდი ვეზირი, სიტყვის პაპა, ზღვათა ხელმწიფე და სხვ. ტერმინ „პოეტიკური ანთროპონიმის“ მნიშვნელობით ხშირად გამოიყენება აღწერითი შესიტყვებები: „მხატვრული ნაწარმოების ანთროპონიმი“, „საკუთარი სახელები მხატვრულ ნაწარმოებში“, „ლიტერატურული ანთროპონიმი“.

ანთროპონიმიკის ნაწილს, რომელიც შეისწავლის პოეტიკურ ანთროპონიმიებს და მათს გამოყენებას ლიტერატურაში, ეწოდება პოეტიკური ანთროპონიმიკა (ზოგჯერ ამავდენიშვნელობითაა გამოყენებული ტერმინები: „ლიტერატურული ანთროპონიმიკა“, „სტილისტიკური ანთროპონიმიკა“).

მხატვრულ ლიტერატურაში პოეტონიმები მჭიდროდაა დაკავშირებული ეპოქასთან, ლიტერატურულ მიმდინარეობასთან, ავტორის სტილთან. იგი ამოირჩევა ეროვნული ანთროპონიმიკონიდან ან მსოფლიოს ონიმური ფონდიდან. ამორი წყაროს გარდა, ავტორი თვითონ ქმნის პერსონიმს. მხატვრული ლიტერატურის საკუთარი სახელი, როგორც წესი, არაა მხოლოდ ეტიკეტი (ნიშანი, იარლიყი), ე. ი. არაა დაცლილი სემანტიკური შინაარსისაგან. მეტიც: მას აქვს სხვადასხვაგვარი სემანტიკური დატვირთვა, რაც ემსახურება პერსონაჟის უფრო სრულად და ფართოდ დახასიათებას. ასეთ

შემთხვევაში პერსონაჟის სახელის (და მხატვრული სახის) სწორად გააზრება და მასში ჩაწვდომა მკითხველისაგან საჭიროებს ეროვნულ და მსოფლიო კულტურის, ეროვნული ენისა და მწერლის სტილის ცოდნას. უაღრესად ეროვნული კოლორიტის გამომხატველი („მეტყველი“) პერსონაჟის თარგმნა ქმნის გარკვეულ სიძნელეს და საჭიროებს კომენტარებს.

ჯერ კიდევ ვ. ბელინსკი აღნიშნავდა (1835 წელს), რომ რეალისტურ ნაწარმოებში პირსახელები უნდა შეესაბამებოდნენ სინამდვილეს. სინამდვილეში იგულისხმება პერსონაჟთა მოქმედების დრო და სივრცე. მაშასადამე, ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟთა სახელებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ პერსონაჟთა დასახასიათებლად. ამასთანავე, ყოველი პერსონაჟი ტიპური უნდა იყოს სათანადო ეპოქისა და სოციალური წოდებისათვის. ამის კლასიკური მაგალითია კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, „მთვარის მოტაცება“ და სხვ. იუმორისტულ ნაწარმოებებში განსაკუთრებით ჭარბობს ე.წ. „მოლაპარაკე“ პირსახელები და გვარები. ამგვარი პერსონაჟები ჩვეულებრივი იყო XIX ს. ხალხოსან მწერალთა ნაწარმოებებში. რომანტიკოსების პერსონაჟები რამდენადმე თავისებურია. ასევე თავისებურია რეალისტური მიმდინარეობის პერსონაჟებიც. აქედან გამომდინარე, აღნიშნავენ, რომ პერსონაჟთა სახელების არჩევა თუ გამოგონება დაკავშირებულია ჟანრთან. ამასთანავე, პერსონაჟის სახელი და გვარი შეიძლება შეიცავდეს პერსონაჟის დახასიათებას, სწორედ ამგვარ პერსონაჟს, როგორც უკვე ითქვა, ეწოდება „მოლაპარაკე“, ანუ „მეტყველი“ ანთროპონიმი. საერთოდ, პერსონაჟის სახე და სახელი ერთდროულად იქმნება მწერლის შემოქმედებითს ქურაში. მართალია, პერსონაჟი გამოგონილია ავტორის მიერ, მაგრამ მისი სახელი აღინიშნება როგორც პოეტონიმი და არა როგორც „მოგონილი სახელი“ (შედარებისათვის : ონიმური სივრცე პირობით იყოფა სამ თანრიგად: 1. რეალონიმებად, ანუ რეალური საგნების სახელებად; 2. მოგონილი საგნების სახელებად; 3. ჰიპოთეზური საგნების

სახელებად).

„მოლაპარაკე“ ანთროპონიმი პოეტიკური ონიმის (პოეტონიმის) სახეობაა, კერძოდ, სემანტიკურად გამჭვირვალე სახელი ან გვარსახელია, რომელთაც ავტორი სპეციალურად ქმნის სახელსადები ობიექტის დასახასიათებლად... „მოლაპარაკე“ გვარების მქონენი არიან ე. ნინოშვილის მოთხრობათა პერსონაჟები: მუნჯაძე, უიშვილი, დროიძე, ძალაძე, მცირიშვილი, მკლავაძე და სხვ. (ისინი გამოხატავენ პერსონაჟთა ძირითად ნიშან-თვისებებს).

სახალხო ონიმია და პოეტიკური ონიმია ემყარება ზოგად ონიმურ კანონზომიერებებს, რაც გამოიხატება საკუთარი სახელის მადიფერენცირებელ ფუნქციაში, ენობრივი და საზოგადოებრივი კანონების გათვალისწინებაში, ენის ლექსიკური და სიტყვაწარმოებითი შესაძლებლობების გამოყენებაში და სხვ. მაგრამ მათ შორის მაინც არის მნიშვნელოვანი განსხვავება და ამ განსხვავებებს ქმნის ონიმთა ფუნქციონირება: სახალხო ანთროპონიმი მხოლოდ სახელს სდებს დენოტატს და გამოაცალკეებს მას მსგავს საგანთა სიმრავლიდან, მაგრამ არ შეიცავს ინფორმაციას დენოტატზე (ერთგვარი გამონაკლისია ე.წ. შერქმეული სახელები), მაშინ როცა პოეტიკური ონიმი, კერძოდ ანთროპონიმი, როგორც წესი, დახასიათების ფუნქციასაც ასრულებს. ნებისმიერ მხატვრულ ტექსტში დომინირებს ონიმის ექსპრესიული შესაძლებლობები. საზოგადოებაში ანთროპონიმის გამოყენება განსაზღვრულია მყარი ტრადიციებით, მხატვრულ ნაწარმოებში კი იგი იქმნება მწერლის ნებით, თუმცა კი ეს ნება შეფარდებითია, რადგან სახელის არჩევანი დამოკიდებულია პოეტური შემოქმედების კანონებზე. მხატვრული ლიტერატურის ონომასტიკონი უფრო აქტიურად ივსება მოგონილი სახელებით, ვინემ რეალური ონიმია.

ანთროპონიმიკაში მიღებულია პირსახელთა დაყოფა რარიტეტულ (ამ ენობრივ სამყაროში იშვიათ) და ხშირ (ფართოდ გავრცელებულ, გარკვეულ დროსა და სივრცეში მრავალგზის განმეორებად) პირსახელებად. ამასთანავე, ერთი და

იმავე პიროვნული სახელის სიხშირე შეიძლება განსხვავებული იყოს ეპოქებისა და სოციალურ გარემოებათა მიხედვით (იხ. ნიკონოვი, 1974, გვ. 12-27).

ონიმური ლექსიკის აქტიური, ანუ იმ საკუთარი სახელების რაოდენობა, რომლებიც ცნობილია ენობრივი კოლექტივის უმრავლესობისათვის, პროცენტულად ძალზე დაბალია. შესაბამისად მაღალია პასიურ სახელთა პროცენტულობა, ხოლო ზოგი საკუთარი სახელი მხოლოდ ერთეულთათვის არის ცნობილი.

XX ს. დამლევს საქართველოში ყველაზე გავრცელებული ოცი სახელი სულადობის თვალსაზრისით ასე გამოიყურება: 1. გიორგი - 147454; 2. თამარი - 100658; 3. ნინო - 92937; 4. დავითი - 76051; 5. ზურაბი - 49789; 6. მაია - 49131; 7. ნანა - 45008; 8. მარიამი - 43698; 9. ნათელა - 43070; 10. ალექსანდრე - 42715; 11. ლევანი - 41851; 12. ეთერი - 41197; 13. მანანა - 38421; 14. მარინა - 37782; 15. ქეთევანი - 37558; 16. ანა - 37180; 17. მიხეილი - 35681; 18. ნათია - 33595; 19. თამაზი - 31825; 20. ირაკლი - 30881 (იხ. ა. სილაგაძე, ა. თოთაძე, გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997).

ონომასტიკური ლიტერატურიდან ცნობილია, რომ, ჩვეულებრივ, ნებისმიერ ენაში ყველაზე გავრცელებულ ქალთა და ვაჟთა სახელები რამდენიმე ათეულია. მართლაც, ზემოთ დასახელებული მონაცემების მიხედვით, საქართველოში ყველაზე გავრცელებული 20 სახელიდან ვაჟის სახელია 8 (456 247 სული), ხოლო ქალისა - 12 (600 235 სული). ამის გარდა, ზემოთ ჩამოთვლილი ოცი სახელი მილიონზე მეტი ადამიანს ჰქვია (ხოლო მათი შემოკლებული თუ კნინობით-მოფერებითი ვარიანტები კიდევ რამდენიმე ასეულ ათასს). კიდევ ერთი: საქართველოში ყველაზე გავრცელებული 20 სახელიდან (იხ. ჩამონათვალი ზემოთ) მხოლოდ ნათელა და მისი ვარიანტი ნათია არის ქართული, თანაც - წარმართობისდროინდელი.

ზემოთ დასახელებული ცნობარის („გვარ-სახელები საქართველოში“) დანართში - „საქართველოში ყველაზე

ონოპასტიძის შესავალი

გავრცელებული სამასი სახელი“ - მოხვდა მხოლოდ ის პირსახელები, რომელთა სიხშირეა 50 და მეტი (რა თქმა უნდა, ნაკლები სიხშირის სახელიც არა ერთი და ორი ათეული იქნება ჩვენს ქვეყანაში). დავასახელებთ რამდენიმე პირსახელს, რომელთაც 50-50 კაცი თუ ქალი ატარებს: აგული (სამეგრელო, იმერეთი), გაგაზა (თბილისი), ვილი (თბილისი, ქვ. ქართლი), ინგუშა (თბილისი, დას. საქართველო), ლამარი (ქართლი), ზეინალი (ქართლი, კახეთი), სელემია (ჯავახეთი), ცაციკო (სამეგრელო), ხუხა (სამეგრელო), ყუდრეთი (აჭარა), რუქიე (აჭარა) და სხვ.

პირსახელებზე საუბრისას აუცილებელია, შევხვით თანასახელიანობას, ანუ სეხნასახელიანობას. ორი ან მეტი ადამიანი ზუსტად ერთნაირ სახელს თუ ატარებს, ისინი ერთმანეთის მიმართ სეხნიები, ანუ თანამოსახელები (სახელის მოზიარენი) არიან. თანასახელიანობის შემთხვევაში პირის იდენტიფიკაციისათვის, ჩვეულებრივ, საჭიროა განმასხვავებელი ნიშნის გამოძებნა მართული ან შეთანხმებული მსაზღვრელის სახით. მაგ.: ორი სეხნია სასულიერო მოღვაწე ერთმანეთისაგან გამორჩეულია ეპითეტებით დიდი და მცირე (ეფრემ დიდი, ეფრემ მცირე). ერთი საინტერესო ინფორმაცია: ოთხი ათეული წლის წინათ მოსკოვში ცხოვრობდა რამდენიმე ათასი სამმაგი სეხნია - Иван Иванович Иванов. კიდევ ერთი გარემოება: სახელის და გვარის დამთხვევის გამო სრულიად უდანაშაულო ადამიანი ძალზე უხერხულ მდგომარეობაშიც ჩავარდნილა - დაუპატიმრებიათ და თვეობით მჯდარა ციხეში თანამოსახელე დამნაშავის გამო.

დაბოლოს, პირსახელთა გრამატიკულ კატეგორიებთან დაკავშირებით: როგორც ცნობილია, ქართულში პირსახელებს არ მოეპოვებათ მრავლობითი რიცხვის ფორმა და წოდებით ბრუნვაში წარმოდგენილი არიან სახელობითი ბრუნვის ფორმით. მაგრამ ძველ ქართულში დასტურდება იოანენი, სვიმეონნი, მარიამნი... გრიგოლო, ბასილო, ასმათო... (სარჯველაძე, 1987, გვ. 299-303).

ა. შანიძის ფორმულირებაში - „პირის სახელებს (ანდრო, თეკლე) გარკვეულ შემთხვევებში შეიძლება მრავლობითიც ჰქონდეს“, დასახელებულია მაგალითები: აკაკიები, ბაკაკიები, ასმათები, ლუარსაბები, დარეჯანები, დავითები... (იხ. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, 1973, გვ. 78-79). ცხადია, იგულისხმება დეანთროპონიმიზებული (საზოგადო სახელის ფუნქციამიღებული) პირსახელები. გ. ლეონიძის ფრაზაში „ჩალა-გდნენ ყველა ჩინგისხანები“. ჩინგისხანი ისეთივე გააპელატივებული საკუთარი სახელია, როგორც ტარიელი, ლუარსაბი... და ამიტომაც დგას მრავლობით რიცხვში. მაგრამ თანამედროვე მედიაში არაიშვიათად გვხვდება პირსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმები (დეეტიმოლოგიზაციის გარეშე). გაზეთ „ქრონიკის“ კორესპონდენტი თ. მ. წერდა, რომ XX ს. შუა წლებში საქართველოში „ღებდემონები, ოფელიები, ოტელოები და ფაუსტები მომრავლდნენ“. ამგვარ სახელებს მართლაც არქმევდნენ ახალშობილებს უცხოური ლიტერატურითა და უცნაური სახელებით გატაცებული ჩვენი მამა-პაპანი.

ბ. გვარსახელი

დღევანდელი კაცობრიობისათვის გვარი, როგორც სოციალურ-სამართლებრივი კატეგორია, იმდენად ბუნებრივი და აუცილებელი მოთხოვნაა, რომ საკვირველიცაა, როგორ ცხოვრობდნენ ჩვენი წინაპრები მის გარეშე*. პირველყოფილი ტომის პრიმიტიული ცხოვრების წესისა და კარჩაკეტილი სამეურნეო საქმიანობისათვის ოდენ პირსახელიც საკმარისი იყო. მით უმეტეს, როცა მას მისტიკურ-საკრალური დატვირთვაც ჰქონდა: საკუთარ სახელს მიაწერდნენ მაგიურ ძალას, ადამიანის ბედისა და სიცოცხლის წარმართვის უნარს.

თავდაპირველად პიროვნული სახელი საკმარისი იყო პიროვნების სახელდებისა და სხვათაგან გამორჩევისა და იდენტიფიკაციისათვის. ძველი საბერძნეთის მრავალი გამოჩენილი ადამიანი მხოლოდ ერთი სახელით არის ცნობილი, მაგ.: ჰომეროსი - პოეტი, არისტოტელე - ფილოსოფოსი, სოფოკლე - დრამატურგი („ანტიგონესა“ და „ოიდიპოს მეფის“ ავტორი), აგამემნონი - ტროას ომის გმირი და სხვ., მაგრამ სახელდების სისტემის გართულების ტენდენცია უკვე იმ დროიდანვე იჩენს თავს და ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა, სენია

სახელების მქონე პირთა ერთმანეთისაგან გარჩევის მიზნით, მაგ.: პითაგორა რეგიელი – მოქანდაკე და პითაგორა სამოსელი – მათემატიკოსი, ალექსანდრე მაკედონელი – მაკედონიის მეფე, ცნობილი მხედარმთავარი და ალექსანდრე აფროდისიელი – არისტოტელეს კომენტატორი და სხვ.

გვარსახელი დღევანდელი გაგებით (როგორც იურიდიული მემკვიდრეობითი სახელი) გვიანდელი წარმონაქმნია. მისი ჩამოყალიბებისა და საყოველთაოდ გავრცელება-დაკანონების პროცესი მეტად ხანგრძლივი და თანდათანობითი იყო. როგორც ცნობილია, ადამიანთა საზოგადოებაში არაფერი იქმნება ისეთი, რაც არ არის შეპირობებული სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების აუცილებლობით. სახელმწიფოს შექმნა მისთვის აუცილებელი საპოლიციო, საგადასახადო, სამხედრო, ადმინისტრაციული სტრუქტურებით, ვაჭრობის განვითარება, მოსახლეობის ზრდა მოითხოვდა სათანადო დოკუმენტირებას, რისთვისაც საჭირო იყო პირის სახელდება ორ- ან სამწევროვანი ანთროპონიმული მოდელით. მოგვყავს ვრცელი ამონარიდი ზ. ჭუმბურიძის მსჯელობიდან: „შრომის განაწილება, მოსახლეობის ზრდა, ტომებს შორის ურთიერთობის გაცხოველება და ხალხის უფრო მრავალრიცხოვან კოლექტივად ჩამოყალიბება აუცილებელს ხდიდა არა მარტო იმის ცოდნას, თუ რა ჰქვია ამა და ამ პირს, არამედ რა ხელობის კაცია იგი, ვისი შთამომავალია, სადაურია და ა. შ.

ამრიგად, სახელის გვერდით გაჩნდა კიდევ მეორე, დამატებითი სახელი, რომელიც აზუსტებდა პიროვნების ვინაობას, მეტ ცნობებს იძლეოდა მასზე და თანაც აადვილებდა ერთი სახელის მქონე პირების – სეხნიების გარჩევას. ამ დამატებითი სახელისაგან დროთა განმავლობაში წარმოიშვა გვარი, როგორც პიროვნული სახელის თანმხლები განუყრელი ნაწილი“ (ზ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 68-69).

ანტიკურ რომში, ისევე როგორც ძველ საბერძნეთში, პირი შეიძლებოდა სახელდებული ყოფილიყო ერთი სახელით, მაგ.:

სპარტაკი – მონათა აჯანყების მეთაური, გაიუსი – იურისტი, ჰანიბალი – კართაგენის მხედარმთავარი და სხვ. თუმცა ჩვეულებრივი იყო ორსახელიანობა, მაგ.: გაიუს გრაკქუსი – სახალხო ტრიბუნი, ტრიფონ სალვიუსი – მონათა აჯანყების მეთაური, შესაღინა ვალერია – ერთ-ერთი იმპერატორის ცოლი და სხვ. ამგვარი ორკომპონენტური ანთროპონიმული ფორმულა მრავლად გვხვდება ძველი და ახალი აღთქმის წიგნებში.

პირის ვინაობის დაკონკრეტების მიზნით მეორე სახელის (ანთროპონიმული მოდელის მეორე წევრის) გამოყენების ტრადიციის თანდათანობით ჩაეყარა საფუძველი. პირსახელს ემატებოდა მამიშვილობის ან პაპიშვილიშვილობის აღნიშვნა, საერო, სასულიერო თუ სამხედრო თანამდებობის, ან მოხელეობა-მოსაქმეობის აღმნიშვნელი ტერმინი, ზედწოდება, ძეტსახელი და ა.შ. (იხ. მაგალითები ზემოთ). მაგრამ ეს მეორე სახელი არ იყო მემკვიდრეობითი, არ გადადიოდა მომდევნო თაობებზე. დროთა განმავლობაში მრავალ ხალხში წარმოიქმნა საოჯახო სახელებიც, რომლებსაც გარდამავალ ფორმებად თვლიან: გვარსახელები სწორედ მათგან წარმოიშვა

მიუხედავად ამისა, რომაელები ბერძნებზე ბევრად წინ წავიდნენ ანთროპონიმული სისტემის სრულყოფის საქმეში. ანტიკური რომის ანთროპონიმული ფორმულა მინიმუმ სამწევროვანი მაინც იყო და ზოგიერთ შემთხვევაში ოთხ და ხუთ კომპონენტამდეც კი აღწევდა. ეს კომპონენტებია: პრენომენი, ნომენი, კოგნომენი და (იშვიათ შემთხვევაში) აგნომენი.

განვმარტოთ ეს ტერმინები:

პრენომენი (ლათ. praenomen „წინასახელი“) პიროვნული, ინდივიდუალური სახელია, რომელსაც რომის ანთროპონიმული ფორმულაში პირველი ადგილი ეკავა. პრენომენი ცოტა იყო და ამიტომ ხშირად მეორდებოდა. იგი, ჩვეულებრივ, ტრადიციული იყო ამა თუ იმ ოჯახისათვის და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. წერისას პრენომენი აღინიშნებოდა ინიციალით, მაგ.: ლ (= ლუციუსი), გ (= გაიუსი) და სხვ.

ნომენი (ლათ. nomen „სახელი, სახელწოდება, დასახელება“) არის ძირითადი (საგვარეულო) სახელი, რომელიც ანტიკური

რომის ანთროპონიმულ ფორმულაში მეორე ადგილზე იდგა (პრენომენის შემდეგ) და ისეთივე ფუნქცია ჰქონდა, როგორც დღევანდელ გვარსახელს. იგი შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო ორი, სამი ან მეტი სახელით, მაგ.: ფაბრიუს კვინტუს პიქტორი – ისტორიკოსი (სამივე ერთეული ნომენია).

კოგნომენი (ლათ. cognomen „თანასახელი“, „სახელის თანმხლები“) აღნიშნავს საოჯახო შერქმეულ სახელს, ზედწოდებას, რომელსაც ანტიკური რომის ანთროპონიმულ ფორმულაში ეკავა მესამე ადგილი და, ჩვეულებრივ, საოჯახო მეტსახელს წარმოადგენდა. იგი მოგვიანებით დამოუკიდებლად ან აგნომენტან ერთად იქცა გვარსახელად. მაგ.: სამწევროვან სახელს ატარებდა მარკუს ტულიუს ციცერონი – მწერალი და ორატორი. მარკუსი არის პირსახელი (ე. ი. პრენომენი), ტულიუსი – საგვარეულო სახელი (ნომენი), ხოლო ციცერონი, რაც „მეცერცვეს“ ნიშნავს (წინაპრებს ცერცი მოჰყავდათ) კოგნომენი, ანუ საოჯახო მეტსახელია. ასევე: პუბლიუს ოვიდიუს ნასო – ში პირველი კომპონენტი არის პრენომენი (პირის სახელი), მეორე კომპონენტი – ნომენი (ძირითადი სახელი), ხოლო მესამე კომპონენტი – კოგნომენი (საოჯახო მეტსახელი).

აგნომენი (ლათ. agnomen „სახელთანა“, „სახელის შემდგომი“) არის ინდივიდუალური მეტსახელი, ზედწოდება, რომელიც ფაქულტატიურად ემატებოდა ანთროპონიმულ ფორმულას და ეკავა ბოლო ადგილი. სამწევროვანია რომის იმპერატორის – გაიუს იულიუს კეისარის – სახელდებაც. იგი იულიუსების წარჩინებული გვარის შთამომავალი იყო (ე.ი. იულიუსი ნომენია), გაიუს პირსახელია (ე.ი. პრენომენი), ხოლო კეისარი – თანამდებობის გამომხატველი ზედწოდება (აგნომენი). კოგნომენისა და აგნომენის გაერთიანებამ შემდგომში მოგვცა გვარსახელი თანამედროვე გაგებით.

მაშასადამე, რომაელებს ორი მემკვიდრეობითი სახელი ჰქონდათ – ნომენი და კოგნომენი. ამიტომაც ბევრი მკვლევარი თვლის, რომ გვარსახელი წარმოიქმნა ახალ ერამდე რამდენიმე საუკუნით ადრე რომის იმპერიაში. მაგრამ საქმე ის არის, რომ,

როგორც მიუთითებენ, „გვარები ჩინეთში პირველად 4000 წლის წინ, სიას დინასტიის დროს მოიხსენიება“ (იხ.: „3a pyხeжoм“, № 31, 1997).

მაინც როდის და სად წარმოიშვა გვარსახელი დღევანდელი გაგებით? (ე.ი. როგორც მემკვიდრეობითი იურიდიული ან-თროპონიმიული კატეგორია?).

ევროპულ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში გაბატონებულია აზრი, რომ გვართა წარმოქმნის ბუმი იტალიაში დაიწყო XI ს-ში და ერთი ასწლეულის მანძილზე ფართოდ მოიცვა ევროპის განვითარებული ქვეყნები – საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი. გვარსახელები აუცილებლად სჭირდებოდათ საზოგადოების დაწინაურებულ ფენებს: ფეოდალებს – მიწაზე შთამომავლობითი უფლების დოკუმენტური დადასტურებისათვის, ბურჟუაზიას – ფირმების მემკვიდრეობის შენარჩუნებისა და კლიენტურის გაფართოებისათვის, ვაჭართა კლასს – როგორც ერთგვარი სავაჭრო ნიშანი, ნდობისა და ავტორიტეტის ფაქტორი, მოქალაქეებს – როგორც იურიდიული საბუთი. XIII ს. დამლევს გერმანიის ქალაქებში მცხოვრებთ უკლებლივ ყველას ჰქონდა გვარსახელი, თუმცა გლეხებში მისი დამკვიდრება ერთი საუკუნის შემდეგაც არ იყო დასრულებული.

მაგრამ, როგორც რ. თოფჩიშვილი აღნიშნავს, მოიპოვება ფაქტები იმის დასასაბუთებლად, რომ ქართველებს იტალიელებზე სამი საუკუნით ადრე მაინც მოეპოვებოდათ გვარი, როგორც საოჯახო მემკვიდრეობითი სახელი, ხოლო IX-X საუკუნეების საეკლესიო ჩანაწერებში უკვე „ამწვევროვანი ან-თროპონიმიული ფორმულაა დაფიქსირებული (მაგ.: „ერისთავთ ერისთავი იოანე, ძე ბაკურ ყანჩაველისა“).

გვარსახელის კატეგორიამ ევროპული ცივილიზაციის გავლენით განვითარებისა და დამკვიდრების თავისებური გზა განვლო რუსეთში. იქ прозвище-ს (მეტსახელი და ზედწოდება) გაგვარსახელება დაიწყო XIV ს-ში: კერძოდ, თავადთა გვარები რუსეთში წარმოიშვა XV ს-ში, აზნაურთა გვარები – XV-XVII სს-ებში, ვაჭართა უმეტესობამ გვარსახელი დაიმკვიდრა XVIII

ს-ში (1703 წელს პეტრე დიდის დეკრეტით ბოიარები და დიდვაჭრები ვალდებული გახდნენ, მიეღოთ გვარსახელი), ხოლო გლეხობისათვის იგი აუცილებელი გახდა ბატონყმობის გადავარდნის (1861 წ.) შემდეგ. ეს იყო ოფიციალური, საპასპორტო გვარსახელი, რომელმაც შეცვალა მანამდე არსებული არაოფიციალური, ე. წ. „ქუჩური“ გვარსახელი. რუსეთის იმპერიის ბევრ ხალხში, ისევე როგორც ჩრდ. აფრიკასა და წინა აზიაში, გვარსახელი შემოღებულ იქნა საკანონმდებლო აქტებით XIX ს. II ნახევარსა და XX ს. I ნახევარში (ნიკონოვი, 1989, გვ. 9).

მაინც რა არის გვარი?

ენციკლოპედიებსა და დარგობრივ ლექსიკონებში ანთროპონიმიული ტერმინი გვარი фамилия (ლათ. familia, ინგლ. family) განმარტებულია ოჯახის ცნებასთან დაკავშირებით, მაგ., „Фамилия – вид антропонима. Наследуемое официальное именование, указываемое на принадлежность человека к определенной семье“ (პოდოლსკაია, 1988, გვ. 140). ქართულად გამოცემულ „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონშიც“ (ცხადაია, 1988) გვარის განმარტება ორიენტირებულია ოჯახზე: „გვარის ოფიციალური და მემკვიდრეობითი საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის პიროვნულ სახელს“. ამგვარი განმარტება სრული და ამომწურავია, ვთქვათ, ევროპის ხალხებისათვის, მაგრამ არა ქართველთათვის. საქმე ისაა, რომ „გვარსახელი ქართული სინამდვილისათვის მხოლოდ ოჯახის – ამ პირველადი სოციალური უჯრედის დამახასიათებელი მოვლენა არ არის... ის ოჯახზე უფრო მსხვილი ნათესაური გაერთიანების მემკვიდრეობითი სახელწოდებაა“ (თოფჩიშვილი, 1977, გვ. 4).

მართლაც, გვარსახელს საქართველოში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური, ზნეობრივი და საადათწესო დატვირთვა აქვს. იგი სისხლის აღრევის პროფილაქტიკური საშუალებაა: გვარის შიგნით მტკიცედაა დაცული ეგზოგამია – ქორწინების აკრძალვა. ქართველი სირცხვილად და დანაშაულადაც კი თვლიდა თანამოგვარეზე დაქორწინებას მაშინაც კი, როცა ეს

თანამოგვარე, ფაქტობრივად, სხვატომელი - სხვაგვარელი (ნაშვილები, შენაკედლები, სამოსახლომიცემული) იყო. ამის გარდა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია ცნობილი გვარის განაყოფის (შტოგვარის, ქვეგვარის) სახელები, რომლებიც გვარის ალტერნატივას წარმოადგენს, ოღონდ არა-ოფიციალურ სიტუაციაში. ხშირად გვარისა და შტოგვარის სახელები ერთი და იმავე ეპონიმისაგან მომდინარეობს, მაგრამ სხვადასხვა სტატუსისაა. ნადირას შთამომავალნი არიან ნადირაშვილებიც და ნადირაანიც. ყოველდღიურ არაოფიციალურ ურთიერთობაში, განსაკუთრებით, სოფლებში, ეს უკანასკნელი ვარიანტი (ნადირაანი) უფროა გავრცელებული, მაგრამ ოფიციალურ სიტუაციაში მას არ მიმართავენ, მხოლოდ „ნადირაშვილს“ აქვს სადოკუმენტაციო, საპასპორტო, სამართლებრივი ფუნქცია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ქართული სინამდვილისათვის (დღევანდელობის გათვალისწინებით) მიღებული და გავრცელებულია გვარსახელის ასეთი დეფინიცია: „დაბადებით ან ქორწინებით მიღებული და შთამომავლობით გადამავალი გვარეობითი სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს“ (ქეგლ, ტ. 3). მიუხედავად ამისა, ჩვენ ვთავაზობთ ასეთ განმარტებას: გვარსახელი არის ერთი წინაპრის შთამომავალთა გამაერთიანებელი ან ქორწინებით მიღებული მემკვიდრეობითი სახელი, რომელსაც ოფიციალურ-სამართლებრივი სტატუსი აქვს მინიჭებული.

თვით ტერმინი „გვარი“ გვარსახელის დღევანდელი გაგებით უკვე გვხვდება XII ს. დამლევის ერთ საბუთში, რომლითაც „მღვიმის კრებული“ მიმართავს იოვანე, ნიკოლოზ და ნინია ტოხაისძეებს, თქვენი გვარის („თქუენისა გუარისა“) კაცი ბასილ ტოხაისძე კვირიკე კახთა მეფის მოძღვარი ყოფილიყო... 1200 წელს ხარაისძეთა მიერ დაწერილი „პირობის წიგნში“ გვხვდება ფრაზები „ჩუენისა გვარისა“, „გუარმან ჩუენმან“ და სხვ.

ქართველებს გვარსახელი, როგორც ენობრივი და

სოციალური ფენომენი, უკვე 3ქონიათ 12-13 საუკუნის წინათ. ზ. ჭუმბურიძის დასკვნით, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ IX ს. დამდეგის ეპიზოდში მოხსენიებული გაბრიელ დაფანჩულის მეორე სახელი „დაფანჩული“ საუკუნე-ნახევრის შემდეგ ჩანს როგორც მემკვადრეობითი სახელი: „ერქვა მას სახელი გაბრიელ დაფანჩული, და აწ ნათესავთა მისთან ჰრქვან დაფანჩულნი“. აქ „ნათესავთა მისთა“ ნიშნავს „მის მოდგმა-შთამომავლობას“. აღ. ღლონტის აზრით, გვაროვნული სახელი ქართველ ტომებში ადრინდელი ფეოდალიზმის ეპოქაში ჩასახულა და მისი ჩამოყალიბების პროცესი VII-VIII სს-ში თითქმის დასრულებული ჩანს (ღლონტი, 1986, გვ. 48). არსებულ სამეცნიერო ლიტერატურასა და საისტორიო საბუთების ჩვენებაზე დაყრდნობით რ. თოფჩიშვილიც ასკვნის: „საქართველოში გვარსახელს დიდი ხნის, საუკუნეების ისტორია აქვს. ქართული გვარსახელების არსებობა დოკუმენტურად დასტურდება VIII-IX სს-დან, თუმცა, რა თქმა უნდა, ის ამ დროს არ წარმოქმნილა. გვარსახელი ჩვენში უფრო ადრეა წარმოშობილი“ (თოფჩიშვილი, 1997, გვ. 100). მკვლევარი, კერძოდ, მიიჩნევს, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ (VII ს. ძეგლი) დასახელებული ანთროპონიმი ბაპლაუნდი, რომელიც შემოსულია სპარსულიდან (შდრ. ქართ. ფალავანი), არის გვარსახელი. აი, ეს ადგილი თხზულებიდან: „ხოლო აწ კვალად დაე გიორგისი, რომელი იყო ცოლი დიდისა მთავრისა მირიანისა, ძისა ბეშქენ ბაპლაუნდისაჲ ძისა იოანესი“. ბეშქენი მირიანის მამაა, იოანე პაპაა, ხოლო ბაპლაუნდი გვარსახელია. ასე მიაჩნია ირანისტ მ. ანდრონიკაშვილსაც (თოფჩიშვილი, 2003, გვ. 316). მაგრამ უფრო ადრინდელ პერიოდში ქართველურ ტომებში გვარსახელის არსებობის დამამტკიცებელი დოკუმენტური მასალა არ მოგვეპოვება.

ადრინდელ შუა საუკუნეებში ქართველთა ანთროპონიმული ფორმულა ძირითადად ორწევროვანია. ეს ვითარება ზოგიერთ (განსაკუთრებით მთის) რეგიონებში ახალ საუკუნეებშიც იჩენს თავს. ივ. ჯავახიშვილს „საქართველოს ეკონომიკური ისტორი-

ის ძეგლებში“ XVIII ს. დავთრებიდან მრავალი ორწევროვანი სახელდება აქვს დასახელებული (მაგ.: ბერუა მქედელი, ბოგანო შერმადინი, მეშვეარდნე როსტევან, ქართლელი პაპუა, ღვთისავარის შვილი მახარებელი, წითური პაპია, ხიზანი გოგია და სხვ.). ადამიანის რქმევის ორწევროვანი ფორმულის მეორე კომპონენტი მამიშვილობის აღნიშვნაა საფალავნო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოებში „ამირანდარეჯანიანი“, რომელიც შექმნილი უნდა იყოს XI-XII სს. მიჯნაზე. ამ თხზულებაში გვხვდება მამიშვილობის მაჩვენებელი სინტაგმები, მაგ.: ამირანდარეჯანის ძე, ბადრი იამანის ძე, სეფედავლე დარისპანის ძე... აბულასან აბულყასუმის ძე თავადვე მიუთითებს: „მამამან ჩემმან აბულყასუმ ვაჟარნი გაგზავნა ბალდადს“.

გ. ხორნაულის მტკიცებით „გვარი XVI საუკუნიდან იკიდებს ფეხს საქართველოში და მას პირველ რიგში საზოგადოების ზედა ფენა, თავადაზნაურობა იღებდა, დაბალი ფენა კი, ჩანს, ვერავითარ საჭიროებას ვერ ხედავდა გვარის მიღებისას – თავთავის სოფლებს, თავთავის ოჯახებს იყვნენ მიჯაჭვულნი და ოჯახის სახელებიც ყოფნიდათ“ (ხორნაული, 2000, გვ. 25-26). ს. მაკალათიაც აღნიშნავდა, რომ მთაში მეკომურთა დაშლად აყოფა და ახალი გვარების წარმოქმნა XIX ს. 30-იან წლებშიც გრძელდებოდა. გ. ხორნაულიც აღნიშნავს: ფაქტობრივად, „გვართაქმნალობა“ მთაში XX ს-შიც გრძელდებოდა (ხორნაული, 2000, გვ. 39). მაგრამ ერთია გვარსახელის, როგორც მემკვიდრეობითი ანთროპონიმული კატეგორიის ჩამოყალიბება საერთოდ და მეორე – მისი საყოველთაოდ დანერგვა-გავრცელება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XII ს-ში გვარსახელი ჭერ კიდევ არ იყო ტრადიციით საბოლოოდ დამკვიდრებული და ამიტომაც გვარის მქონე პირიც შეიძლება ოდენ მამისახელობით ყოფილიყო მოხსენიებული: „სალირ ჰერეთის ერისთავი ისტორიულ წყაროებში ზოგჯერ მოიხსენიება როგორც კოლონკელიძე (გვარის მიხედვით), ხოლო ზოგჯერ სალირ დასახელებულია როგორც მახატელის-

ძე (მამის სახელის მიხედვით)“. (ინგოროყვა, 1954, გვ. 168, სქო-ლიო). აღინიშნულ შემთხვევაში კოლონკელიძე სტაბილური გვარსახელია, ხოლო მახატელის-ძე მამის სახელზე მიუთითებს. ეს საღირ თამარ მეფის თანამედროვეა. პავლე ინგოროყვას დადგენილი აქვს ვარდან კოლონკელიძის (მოიხსენიება 1162 წ.) შთამომავალთა გენეალოგიური შტო.

რ. თოფჩიშვილის მიერ მოძიებული და გაანალიზებული მასალები კი ცხადყოფს, რომ შუა საუკუნეებში ხშირია სამწე-ვროვანი სახელდებაც. თუმცა კომპონენტთა თანამიმდევრობა არ არის ერთნაირი და საბოლოოდ შემუშავებული. 1114-1118 წწ. დაწერილ დავით მეფის სიგელში აღნიშნულია: „გაუშვით ნიანია ნიანიას ძე, გრიგოლ მარხრებლისა შვილი მისითა მამულითა ვეძის ხევითა“. ცხადია, აქ ნიანია პირსახელია, გრიგოლ მარხრებელი მამაა, ხოლო ნიანიასძე გვარსახელია. ამავე საუკუნის სხვა საბუთში დასახელებულნი არიან „მიხითარაისძენი დავითის შვილნი ოქრაი და მახარაი, ბრაჟი და იოვანე“, რაც ამას ნიშნავს: ოქრაი, მახარაი, ბრაჟი და იოვანე ძმები არიან, დავითი მათი მამაა, ხოლო მიხითარაისძე მამა-შვილთა გამაერთიანებელი გვარსახელია.

როგორც უკვე აღინიშნა, ამ პერიოდის სამწევროვანი სახელდებითი ფორმულის კომპონენტების თანამიმდევრობა ჭერ კიდევ არაა საბოლოოდ დადგენილ-დაკანონებული. გვხვდება რამდენიმე ვარიანტი: გვარსახელი + მამიშვილობა + პირსახელი (თოთაძე გიორგის შვილი გაბრიელი), მამიშვილობა + გვარსახელი + პირსახელი (ზაქარიას შვილი კილაძე ბესო), გვარსახელი + პირსახელი + მამიშვილობა (აბულეთისძე ძაგან, ძე ერისთავთ ერისთავისა იოვანესი) და სხვ. XIII ს. დამლევის ერთ საბუთში ერთი და იგივე პირი – გრიგოლ ჭაჭნიას ძე ჭარმაული – ერთგან დასახელებულია როგორც ჭარმაული ჭაჭნიაშვილი გრიგოლ, ხოლო მეორეგან – როგორც ჭაჭნიაშვილი გრიგოლ ჭარმაული (შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებში მრავალი ასეთი მაგალითი დასტურდება. იხ. თოფჩიშვილი, 1997).

საერთოდ, ანთროპონიმული სისტემისა და, განსაკუთრებით,

ანთროპონიმული ფორმულის განვითარების თვალსაზრისით რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვანაირი პერიოდოზაცია არსებობს (ვ. ბონდალეტოვისა, ვ. ნიკონოვისა, ა. სუპერანსკაიასი). კერძოდ, ცალკე გამოყოფენ დექრისტიანიზაციის (საბჭოთა) პერიოდს, როცა კალენდარული სახელების დარქმევის აუცილებლობა, ცხადია, არ იყო და სამკომპონენტო ანთროპონიმული ფორმულა საყოველთაო და აუცილებელი გახდა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გ. ხორნაული ქართული ანთროპონიმის განვითარების სამ პერიოდს გამოყოფს: 1. ქრისტიანობამდელი – ერთკომპონენტო; 2. ქრისტიანული პერიოდი – ორკომპონენტო და 3. სამკომპონენტო ფორმულის დამკვიდრება, რაც XVI ს-დან იწყება (ხორნაული, 2000, გვ. 53-62). ანთროპონიმული სახელების პერიოდოზაცია სამ ეტაპად ანთროპონიმული ფორმულის წევრთა რაოდენობის მიხედვით (კერძოდ, ძირითადად ერთსიტყვიანი ეტაპი, ძირითადად ორსიტყვიანი ეტაპი და ძირითადად სამკომპონენტო ეტაპი) მისაღები ჩანს, მაგრამ დასაზუსტებელია პერიოდოზაციის ჩარჩოები და სათანადო პერიოდის სახელდება.

როგორც უკვე მივანიშნეთ, გვარსახელებზე საუბრისას აუცილებლად გასათვალისწინებელია, რას ვიკვლევთ: გვარსახელის, როგორც ოფიციალური, სადოკუმენტაციო კატეგორიის, წარმოქმნის ფაქტს, მისი საყოველთაოდ დამკვიდრების პროცესს თუ მემკვიდრეობით სახელს, რომელიც თავის დროზე ერთადერთი იყო, საქართველოს მთის რეგიონებში XX ს-ის პირველ მეოთხედშიც კი უპირატესობდა და სოფლებში დღესაცაა შემორჩენილი ოფიციალური გვარსახელის არაოფიციალურ ალტერნატივად (მაგ.: -ან, -ანებ, -ანთ, -ანთებ დაბოლოების მქონენი).

გვარსახელი როგორც ლინგვისტური, ისე ექსტრალინგვისტური ფაქტია. იგი შეისწავლება სამი ასპექტით: ენათმეცნიერული, ისტორიული, ეთნოგრაფიული. ენათმეცნიერს აინტერესებს გვარსახელთა სემანტიკა და სტრუქტურა,

ძირეული და საწარმოქმნო მორფემები, სინქრონიული და დიაქრონიული შრეები, ონიმიზაციისა და ტრანსონიმიზაციის მექანიზმის მოქმედება და ა. შ.

ევროპულ და რუსულ ანთროპონიმიკაში ცნობილია მრავალგვარი კლასიფიკაცია გვარსახელებისა, ზოგ შემთხვევაში სრულიად გაუაზრებელიც კი. საქმე იქამდეც კი მისულა, რომ, ვთქვათ, გვარი Захарев (ქართ. კურდღელაშვილი, კურდღელია) შეუტანიათ „ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე გვარსახელთა“ სემანტიკურ ჯგუფში. ცხადზე უცხადესია, რომ აღნიშნული გვარისათვის ამოსავალია არა საზოგადო სახელი „заяц“ (კურდღელი), არამედ პირსახელი Заяц ქართულ სინამდვილეში მრავალია ამგვარ ეპონიმთაგან (და არა საზოგადო სახელთაგან) წარმოქმნილი გვარსახელი, მაგ.: ბალამწარაშვილი, ბალაძე, ბალახაძე, ბალიშვილი, ბარძიმაშვილი, ბზიკაძე, ბოლოკაძე, ბუზიაშვილი, ბულბულაშვილი და სხვ. რა თქმა უნდა, თუ -ძე-სა და -შვილ-ს ჩამოვაშორებთ, მივიღებთ მეტსახელებს, რომლებიც წარმოქმნილია მსგავსება-მეტაფორიზაციის (ან სხვა) გზით.

ი. მაისურაძეც ქართულ გვარსახელების ხუთ სემანტიკურ ჯგუფს გამოყოფს: 1. ეპონიმური გვარსახელები (ივანიძე, მელიქიშვილი, რატიანი, მაკალათია, გიგაური...); 2. „ეთნონიმური“, ანუ ეთნონიმთა შემცველი გვარსახელები (აფხაზი, ბერძენი, გურული, მესხიძე, ლაზიშვილი...); 3. „გეოგრაფიულნი“, ანუ სადაურობის აღმნიშვნელი გვარსახელები (ასპინძელაშვილი, ბეთანელი, იშხნელი, ოდიშელიძე...); 4. „პროფესიულნი“, ანუ ხელობა-მოსაქმეობისა და წოდება-თანამდებობის აღმნიშვნელი გვარსახელები; 5. შერქმეული გვარსახელები (მდივანი, ხარატი, მებუკე, მკერვალიშვილი, მჭედლიშვილი და სხვ.). (იხ. მაისურაძე, 1979, გვ. 24-53). რა თქმა უნდა, აქაც გარკვეული უზუსტობაა დაშვებული. ყველა აღნიშნული გვარსახელი ეპონიმურია, ე.ი. ერთი წინაპრის სახელისაგან მომდინარეობს. ის სახელი კი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი წარმომავლობისა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ზოგი სხვა ქართველი ონომა-

ტოლოგის ნააზრევშიც შევხვდებით მსჯელობას „თანამდებობისა და ხელობის აღმნიშვნელ გვარებზე“, „გეოგრაფიული და ეთნოგრაფიული სახელებისაგან წარმოქმნილ გვარებზე“ და სხვ.

როგორც ზ. ქუმბურიძე წერს: „ქართული გვარები, ისევე როგორც სხვადასხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინაპართა სახელებისა და მეტსახელებისაგან (ეპონიმებისაგან). ხშირად გვხვდება აგრეთვე გვარები, რომლებიც მიგვითითებენ სადაურობა-წარმომავლობაზე, ხელობასა თუ თანამდებობაზე. ზოგჯერ გვარი შეიცავს პიროვნების შეფასება-დახასიათებას რაიმე ნიშნის მიხედვით. დასასრულ, გვარები წარმომდგარია მცენარეების, ცხოველების, ფრინველების, სხვადასხვა საგნის სახელებისაგან. ასეთ შემთხვევაში სავარაუდებელია, რომ ისინი მეტწილად ადამიანის საკუთარ სახელად ან მეტსახელად უნდა ყოფილიყვნენ უწინ გამოყენებული და ამ გზით იქცნენ გვარის შემადგენელ ნაწილად“ (ქუმბურიძე, 2003, გვ. 76). ქართული გვარების ამოსავალი ფუძეების ანალიზის შემდეგ მკვლევარი ისევ აზუსტებს: „ვიმეორებთ, ბევრი იმ სიტყვათაგანი, რომელიც გვარის შემადგენლობაში გვხვდება, ჯერ საკუთარ სახელად (ან მეტსახელად) ყოფილა გამოყენებული და შემდეგ ამ სახელისგან წარმოიქმნა გვარი... ყველა გვარის წარმოშობა ამ გზით ვერ აიხსნება“ (იქვე, გვ. 98).

არაეპონიმური წარმომავლობის გვარსახელები, სავარაუდოდ, ძალზე ცოტაა. სავარაუდოდ, - ვამბობთ იმიტომ, რომ ყველა გვარის წარმოქმნის ისტორია არ ვიცით (და ხშირად შეუძლებელიცაა ვიცოდეთ), მაგრამ ზოგი გადმოცემა და ზოგიც ჩვენ თვალწინ მომხდარი ფაქტი ამგვარი დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: 1. ენგურისპირას მცხოვრებმა ახალგაზრდა კაცმა თავისი გვარი ოფიციალურად შეიცვალა „ენგურელით“ და ცოლ-შვილიც ამ გვარით ჩააწერინა საბუთებში. რა თქმა უნდა, ენგურელი არაა ეპონიმური გვარი (ეპონიმური იქნებოდა ენგურელიშვილი მისი შვილებისათვის);

2. სამურზაყანოში გასული საუკუნის შუა წლებამდე არსებობდა გვარი „უგვარო“. როგორც გადმოსცემენ, გვართა აღწერისას, რაც საუკუნის წინათ მოხდა, ერთმა გლეხმა გვარი ვერ თქვა (არ ჰქონდა, თუ ვერ გაიხსენა) და გვარის ჩამწერებმა გვარად „უგვარო“ ჩაუწერეს. ეს გვარი, რა თქმა უნდა ხელოვნურია და არა-ეპონიმური; 3. მრავალი ფსევდონიმი ან ფსევდონიმისებური სახელდება გვარად ქცეულა მისი შემთხვევლისთვისაც და შემდეგ მისი შთამომავლებისთვისაც. დღეს ერთი ასეთი გვარია რონდელი. ეპონიმების, სემანტიკური ჯგუფები, თავის მხრივ, ძალზე მრავალფეროვანია:

1. სრული კალენდარული სახელი: გიორგი → გიორგიშვილი, გიორგიძე; ვახტანგ-ი → ვახტანგიძე, ვახტანგიშვილი და სხვ.

2. კალენდარული სახელების საშინაო (კნინობით-მოფერებითი) ვარიანტები: გიორგანა → გიორგანაშვილი; გიორგა → გიორგაშვილი, გიორგაძე; გიორგელა → გიორგელაშვილი, გიო → გიოშვილი და სხვ.

3. არაკალენდარული სახელები: მზექალა → მზექალაშვილი; ბექა → ბექაძე, ბექაია; ჯაბა → ჯაბაშვილი და სხვ.

4. მეტსახელები: ბუთხუზი (მეტსახელი) → ბუთხუზი (გვარსახელი), ცერა → ცერაძე; ცეცხლა → ცეცხლაძე; წითური → წითურიძე; ცხვირა → ცხვირაშვილი; ძირტკბილა → ძირტკბილაშვილი და სხვ.

5. ხელობა-საქმიანობის სახელები: მდივანი, მეზადური, მებუკე, მედოლიშვილი, მემარნე, მემარნიშვილი, მაქაცარია (მეგრ. მაქაცარი „მეთიკნე“) და სხვ.;

6. სოციალური მდგომარეობის გამომხატველი: მღვდელი → მღვდლიშვილი, მღვდელიძე; ვაჭარი → ვაჭარია, ვაჭარიძე; ტაბარუკი (ს. -საბა: „გლეხი ახალმოსული“) → ტაბარუკიშვილი და სხვ.

7. უკანონო შვილობის გამომხატველი: აფაქელავა (აფაქელა სამეგრელოში აღნიშნავდა თავად აფაქიძის უკანონო შვილს).

ერთი მხრივ, ეპონიმთა ამგვარი სემანტიკური დაჯგუფება (და უფრო მრავალფეროვანიც) მისაღებია მსოფლიოს მრავალი

ხალხის გვარსახელებისათვის. მეორე მხრივ, ბოლო სამი ჯგუფი შეიძლება შეგვეტანა სემანტიკურ ჯგუფში „მეტსახელები“. ერთი საკითხიც: ცალკეა შესასწავლი გვართა იძულებითი ცვლაც, რაც აუცილებლად სჭირდებოდათ ბატონყმობას გამოქცეულ და საქართველოს სხვა რეგიონში (ან იმავე რეგიონის სხვა საფეოდალოში), თავშეფარებულ გლეხებს. ამგვარი ფაქტები საისტორიო წყაროებში მრავლადაა აღწერილი, მათ შორის ზ. კიკინაძის „საქართველოს ბატონყმობის ფაქტიურ მასალებში“ (თბ., 1964).

ქართულ (ქართველურ) გვარსახელთა დიდზე დიდი ნაწილი მამაკაცის საკუთარი სახელისაგან ან მეტსახელისაგან მომდინარეობს. ქალთა სახელები და მეტსახელები კი ეპონიმების რანგში იშვიათია (მაგ.: გვხვდება ელისაბედაშვილი, თინიკაშვილი, მარიამიძე და სხვ.). [იშვიათია ისეთი შემთხვევა, როცა ფსევდონიმს გვარსახელის ფუნქცია მინიჭებია, ე. ი. ოჯახის მემკვიდრეობის სახელად ქცეულა. ნიმუშისათვის მოგვყავს ცნობილი პოლიტოლოგის – ალექსანდრე რონდელის მოგონება: „მამაჩემის ნამდვილი გვარი ცაგარეიშვილია. 20-იან წლებში, როცა ახალგაზრდობა ეგრეთ წოდებული ახალი ინტელიგენცია, თბილისში ჩამოვიდა და ზოგმა პოეტობას, ზოგმა კი კრიტიკოსობას მიჰყო ხელი, ყველამ ფსევდონიმით დაიწყო წერა. ასე გახდა მამაჩემი დავით ცაგარეიშვილი რონდელი და ასე გადმომცა მეც ეს გვარი (გაზეთი „24 საათი“, 31 ივლისი, 2002 წ.). დავამატებთ, რომ რონდის სოფელია ხონის რაიონში, ცხენისწყლის მარჯვ. მხარეს]. ადრინდელ ქართულ საისტორიო წყაროებში დასახელებული გვარსახელები უმაღლეს ფეოდალურ წოდებას ეკუთვნის. ასეც იყო მოსალოდნელი: მემკვიდრეობითი სახელების ოფიციალური დადასტურება მხოლოდ პრივილეგირებულ ფენას სჭირდებოდა და ამგვარი სახელები მხოლოდ დიდი ხნის შემდეგ იქცა საერთო-სახალხო ანთროპონიმულ კატეგორიად. ვახუშტი ბატონიშვილი თავისი საიტორიო-საგეოგრაფიო ნაშრომის თავში „მთავართა გუართათვის“ შესაშური მეცნიერული ალღოთი განარჩევს გვარსახელებს არაგვარსახელებისაგან (თანამდებობის სახელებისაგან). კერძოდ, ერისთავი და დადიანი არაა გვარი. „დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ჴელობისა“, ხოლო

ცოტნე დადიანზე აღნიშნავს: „არა გუარი მისი საჩინო არს“. მაშ, რომელია გვარები? ისტორიკოსი ჩამოთვლის: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბალუში... მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მხარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, ძაგანისძე და სხვ. როგორც მიუთითებენ, კახეთში უძველესია დონაურების ფეოდალური საგვარეულო (839-861 წლებში კახეთის ქორეპისკოპოსი იყო სამოელ დონაური, ხოლო 861 წელს იგი შეცვალა მისმა ძმამ გაბრიელ დონაურმა), არგვეთში მისი მფლობელი ბაღვაშების საგვარეულო (IX ს.), დას. საქართველოში (X-XI სს.) - მარუშიანების ფეოდალური საგვარეულო... გვარი გრძელიძე მოხსენიებულია 1028 წელს, ყანჩაველი - 1030 წ. ხოლო რაც შეეხება XI-XVII სს. გვარებს ისტორიული საბუთების მიხედვით, მსურველი მათ იხილავს „პირთა ანოტირებული ლექსიკონის“ ტომეულებში.

რომელი გვარებია საქართველოში ყველაზე მრავალრიცხოვანი ან ყველაზე მცირერიცხოვანი? ვაუჩერების მიმღებთა (1995 წ.) სიების მიხედვით შედგენილი ცნობარი „გვარ-სახელები საქართველოში“ (თბ., 1997) ნათელ წარმოდგენას გვაძლევს გვარის მატარებელთა რაოდენობაზე. ყველაზე გავრცელებული 10 გვარი ასეა წარმოდგენილი:

ბერიძე	-	24797	სული
კაპანაძე	-	18550	სული
გელაშვილი	-	17995	სული
მაისურაძე	-	16516	სული
გიორგაძე	-	14582	სული
კვარაცხელია	-	13618	სული
ლომიძე	-	12949	სული
შენგელია	-	12764	სული
წიკლაური	-	12499	სული
ხუციშვილი	-	11062	სული

სამწუხაროდ, ზემოთ დასახელებულ წყაროზე დაყრდნობით ვერ გაირკვევა ყველაზე მცირერიცხოვანი გვარები, რადგანაც

ცნობარში არაა შეტანილი ის გვარსახელები, რომელთა მატარებელნი რაოდენობრივად 20 სულზე ნაკლებნი არიან. არადა ამგვარი მონაცემები არანაკლებ ფასეული იქნებოდა მკვლევართათვის.

საქართველოში გვარსახელთა ყველაზე გავრცელებული დაბოლოებაა (როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში) სუფიქსოიდები -ძე (1649222 სული) და -შვილ-ი (1303723 სული). დანარჩენი დაბოლოებანი ძირითადად რეგიონულია, მაგ.: -ია, -ავა და -უა გავრცელებულია სამეგრელოში, -იან -სვანეთსა და ლეჩხუმში, -ურ აღმ. საქართველოს მთიანეთში. ზოგ შემთხვევაში გვარის „სამშობლო“ შეიძლება გამოიცნოს დიალექტისა თუ კილოკავისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური პროცესების გათვალისწინებით, მაგ.: ნიკოლაიშვილი და ჩხაიძე გურული გვარებია, ხოლო ნიკოლეიშვილი და ჩხეიძე - ქვემოიმერული. დიხაშხოელი რაფიელ სოხანეიშვილის (მორის ფოცხიშვილის ერთ-ერთი ლექსის ადრესატის) გადმოცემით, (რომელიც მოგვაწოდა მისმა ქალიშვილმა იზა სოხანეიშვილმა) მის წინაპრებში ყოფილა სამი ძმა - სოხანა, ერემა და გოგორა. მათგან მომდინარეობენ ქვემო იმერეთში გავრცელებული გვარები: ერემეიშვილი, გოგორეიშვილი, სოხანეიშვილი). სხვა შემთხვევაში ეპონიმის ფორმა ან სემანტიკა შეიძლება სპეციფიკური იყოს ამა თუ იმ დიალექტისათვის.

საქართველოში 20 000-ზე მეტი გვარსახელია. მათი სიგრძე-სიმოკლე დამოკიდებულია ფუძისა და სუფიქსის (სუფიქსოიდის) სიგრძე-სიმოკლეზე. ყველაზე მოკლე, ოთხბგერიანი გვარი იაძე შედგება ყველაზე მოკლე პირსახელისა და ერთ-ერთი მოკლე სუფიქსოიდისაგან: ია+ძე. ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის თანხმობითი ნაწილი ს დაკარგულია (მარტვილის რაიონში გავრცელებული გვარი რევი, აშქარაა, რევიან-ს ბოლოკიდურმოკვეცილი ვარიანტია). თანამედროვე ქართული გვარების დიდი ნაწილი 9-11-ბგერიანია, ხოლო ყველაზე გრძელი -16-ბგერიანი (მაგ., ოქროკვერცხიშვილი), ხოლო 15-ბგერიანი ათეულზე მეტია (გამსახურდაშვილი, გრძელივანიშვილი, თვალმხილაშვილი, კბილცეცხლაშვილი, მამამთავარიშვილი, მამისიმედიშვილი, მდივანთუხუცესი ფეხმოჭრილაშვილი და

სხვ.). თავად-აზნაურთა გვარებში კი გვხვდება 17-ბგერიანი გვარებიც, როგორიცაა: მელვინეთხუციშვილი, ჯამბაკურ-ორბელიანი, ბაგრატიონ-მუხრანელი (იხ. ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 2005). მაგრამ უფრო ადრინდელ წყაროში 20 ბგერისგან შედგენილი გვირახელიც გვხვდება. ესაა მელვინეთხუციშვილის შვილი ცნობილი მწიგნობრის – იოანე ბაგრატიონის „შემოკლებით აღწერაში“ (გვ. 319). აქვეა დასახელებული 18 მარცვლიანი ვარიანტი მელვინეთ-ხუცის შვილი (გვ. 143). ავტორს რომ გვარზე, როგორც მემკვიდრეობით სახელზე, სწორი წარმოდგენა აქვს, ამაზე ნათლად მეტყველებს ამავე წიგნში მოცემული ასეთი განმარტება: „თავადი გურჯი რევაზის შვილი. ესენი არიან ბარათაანთ გვარისანი, გარნა გაუგვარდათ სახელი სიმხნის გამო, რომელ გურჯი რევაზად სახელდევს თათართა, ოდეს ბრძოდენ მით და რომელიც ითარგმანების (გურჯი რევაზ) ქართველი რევაზ და ესე გვარი მიიღო რევაზმან დროსა მეფისა ვახტანგისასა წელსა 1703-სა და მუნიდგან იწოდებიან გურჯი რევაზის შვილებათ მისნი შთამომავლობანი და არიან რაოდენსამე სახლად სომხითსა შინა“ (იოანე ბაგრატიონი, 1997, გვ. 36).

როგორც ვხედავთ, ზემოთ დასახელებულ გრძელ გვართა ამოსავალი ფუძეები უმეტეს შემთხვევაში ორფუძიანი ეპონიმებია. რუსულსა და ბევრ ევროპულ ენაში სამბგერიანი გვარებიც დასტურდება, მაგ. რუსულში: Бѣжк, Сам და სხვ. მაგრამ გვართა სიმციროსა და სიმოკლის მიხედვით ჩემპიონები არიან ჩინელები. ჩინეთის 1,2 მილიარდ მოსახლეობაზე XX ს. დამლევს მხოლოდ 3100-მდე გვარი მოდიოდა. მათგან ყველაზე მოკლეა ლი, რომელიც V საუკუნიდან მოდის და რომელსაც ატარებს 87 მილიონი ჩინელი, მეორე ადგილზეა გვარი ვან (80 მილიონი სული) და ჩჟან (78 მილიონი სული)... საერთოდ, ჩინელების 90% მხოლოდ 100 გვარს ატარებს (სხვათა შორის, მიაჩნიათ, რომ ჩინელებს გვარის კატეგორია შემუშავებული ჰქონდათ ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინ.

არქეოლოგების დასკვნით, ქართველთა წინაპრებში გორებზე დასახლების ტრადიცია არსებობდა. გორა დასახლებული იყო მონათესავე ადამიანებით ან მათი ჯგუფების გაერთიანებით. სწორედ ეს იყო „გორული“, ანუ, დღევანდელი გაგებით, „გვაროვნული“ დასახლება. აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში გორი აღნიშნავს გორასაც (ე. ი. ბორცვს, მრგვლად ამალღებულ ადგილს) და გვარსაც (ანუ ერთი წინაპრის შთამომავლობას). მაშასადამე, ფიზიკურ-გეოგრაფიული ნომენი „გორი“ და სოციალური ტერმინი „გვარი“ სემანტიკურად ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

არსებობს სხვა შეხედულება: ლექსემა გვარი მომდინარეობს სპარსული სიტყვისაგან „გოვარ“, რაც ნათესაურად ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა ჯგუფს აღნიშნავს.

ტერმინოლოგიური საკითხი:

ტერმინის ფუნქცია, უპირველეს ყოვლისა, სათანადო დარგის სპეციალისტთა შორის ოპტიმალური ურთიერთგაგების მიღწევაა. საამისოდ ტერმინს უნდა ახასიათებდეს: სიზუსტე, შექცევადი ერთმნიშვნელობა (ანუ ცალსახობა), (როცა ერთ ცნებას მხოლოდ ერთი ლექსემა შეესაბამება და პირუკუ. შდრ. რუს.: „одно-однозначность“), ლაკონიურობა.

გვარი პოლისემიური სიტყვაა. ქეგლ-ში მისი 7 მნიშვნელობაა აღნიშნული. კერძოდ: 1. საოჯახო სახელწოდება, რომელიც ერთვის ადამიანის საკუთარ სახელს და გადაეცემა შვილს მამისგან (ან დედისგან) ან ცოლს ქმრისგან. ჩამომავლობა, ეროი წინაპრის შთამომავალი, ერთი და იმავე გვარის მატარებელ ადამიანთა ჯგუფი; 2. საუბ. ჯიში, მოდგმა (ადამიანისა, ცოცხალი არსებისა); 3. პირველყოფილ თემურ წყობილებაში - ძირითადი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, კავშირი დიდი ოჯახებისა, რომლებიც საერთო მეურნეობას ეწევიან და ერთმანეთთან ნათესაურ კავშირში იმყოფებიან... გვარ სიტყვას განსხვავებული მნიშვნელობა აქვს ბიოლოგიაში, ლოგიკაში, გრამატიკაში და სხვ.

ამ პოლისემიურობიდან გამომდინარე, უფრო ზუსტი და

მოსახერხებელი ჩანს ტერმინი „გვარსახელი“. მას უპირატესობას ანიჭებს ძველი თაობის ბევრი მკვლევარი, მაგალითად; ს. ჯანაშია („გვარის სახელი“), მ. ქალდანი („გვარსახელი“), ი. მაისურაძე (გვარსახელი) და სხვ. ტერმინი „გვარსახელი“ ფართოდ იკაფავს გზას ქართულ ონომასტიკაში, თუმცა არც „გვარი“ აუკრძალავს ვინმეს.

ზემოთ არაერთგზის აღინიშნა, რომ გვარსახელი საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებში, თავდაპირველად პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელთა შორის ჩაისახა და გავრცელდა. დაბალი ფენების წარმომადგენლები ამის შემდეგაც საუკუნეების მანძილზე „უგვარონი“ იყვნენ. თამარ მეფის კარზე უგვარო მოხელეთა აღზევებით განაწყენებული „გუარიანნი“ აჯანყდნენ. მათი საჩივარი ასეთი იყო: „გუარიანნი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგუაროთა და უჭმართაგან“ (რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში „გუარიანნი“ პრივილეგირებულ წოდებასაც აღნიშნავდა და არა ოდენ ანტიროპონიმულ კატეგორიას).

როგორც ჩანს, საქართველოს სხვადასხვა კუთხის გლეხობაში გვარსახელთა გავრცელება და დამკვიდრება ერთნაირად ინტენსიური არ იყო. „ქართული სამართლის ძეგლების“ III ტომში შესული XVI ს. საეკლესიო საბუთების მიხედვით, საეკლესიო გლეხების ორ მესამედზე მეტს გვარსახელი აქვს, მაშინ როცა აღმ. საქართველოს ზოგ რეგიონში XVIII საუკუნეში შედგენილ საბუთებში მეორე, დამაკონკრეტებელი, სახელი არის მამის სახელი (მაგ. გიორგი კარიჭას შვილი, მანგუას შვილი ქიტესა და სხვ.); სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა (მაგ.: გოგია ფიტარელი, ქართლელი პაპუა და სხვ.); საქმიანობათანამდებობის აღმნიშვნელი სახელი (მაგ.: პეტრე მღებარი, გოგია ხაბაზი და სხვ.); სოციალურ-საოჯახო მდგომარეობის აღმნიშვნელი სიტყვა (მაგ.: ბოგანო შერმადინი, ხიზანი გიორგი და სხვ.); დამახასიათებელი ნიშან-თვისებების გამომხატველი სიტყვა (მაგ.: დათო ქურდი, თავსუბუქი ბერუა, გიორგი ნაბიჭვარი და სხვ.).

V-XI სს. ქართულ მატრიანეებში, ლაპიდარულ წარწერებსა თუ პაგიოგრაფიულ თხზულებებში გვხვდება მხოლოდ ერთ-ან ორწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა, რომელიც უკვე გაბატონებული იყო აღმოსავლეთის ხალხებში, აგრეთვე ძველ თუ ახალ აღთქმაში. ერთწევროვანი ანთროპონიმული ფორმულა გულისხმობს ადამიანის სახელდებას მხოლოდ პირსახელით, ორწევროვან ფორმულაში კი მას ემატება დამაკონკრეტებელ-განმასხვავებელი ლექსიკური ერთეული, კერძოდ, ეპითეტი. იგი წარმოადგენს განმადიდებელ ზედწოდებას (მოწამე, მეფე, ერისთავი), ან აღნიშნავს საერო თუ საეკლესიო თანამდებობა-მოსაქმეობას, წარმომავლობას, მამიშვილობას, დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს:

პალესტინის V ს. პირველი ნახევრის ერთ მოზაიკურ წარწერაში მოიხსენიება წმიდა თეოდორე, ხოლო მეორეში - ბაკური; ბოლნისის წარწერებში (IV ს. 90-იანი წლები) გვხვდება: დავით ეპისკოპოსი, პეროზ მეფე და მათ გვერდით - ფარნ(ევან), აზარუხტ.

V-XI საუკუნეთა მატრიანეებში (იხ. „ქართლის ცხოვრება“, I, თბ., 1955) მეფეები, ერისთავები, დედოფლები, ეპისკოპოსები და სხვ. დასახელებულნი არიან როგორც ოდენ პირსახელით (ვარსკენი, დაჩი, გრიგოლი, ბორენა, გუარანდუხტი), ისე, უფრო ხშირად, ორწევროვანი სახელდებით (გიორგიწმინდა, დავით მამფალი, გურგენ ერისთავი, აშოტ კუხი, ბეშქენ ჭაყელი, სუმბატ კლარჯი, სულა კალმანელი...). განსაკუთრებით შევჩერდებით მამიშვილობის აღნიშვნის საკითხზე. V-XI სს ძეგლებში პიროვნების დასაკონკრეტებლად ხშირად არის გამოყენებული მამიშვილობის აღნიშვნა - ძე ლექსებით. იგი მხოლოდ მამიშვილობას გამოხატავს და ჯერ კიდევ არა აქვს მორფემოდის ფუნქცია. „ჰაბოს წამების“ (VIII ს. 80-იანი წლების ძეგლი) დასაწყისში სამოელ ქართლის ეპისკოპოსი მიმართავს „უფა-ლსა იოვანეს საბანის ძესა“ და სთხოვს მას: „აღწერე მარტვილობაჲ წმიდისა მოწამისა ჰაბოგსა...“ მრავალი ასეთი ანთროპონიმული ფორმულაა „ქართლის ცხოვრების“

მატიანეებშიც: არშის ძე ივანე, არშის ძე ხახუა, არჯევან პოლოლას ძე, ივანე მარუშის ძე (მაშასადამე, მამის სახელი შეიძლება მოსდევდეს ან წინ უსწრებდეს პირსახელს).

შუა საუკუნეების საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში მრავლად გვხვდება ორწევროვანი ან-თროპონიმიული ფორმულა, მაგრამ დამატებითი არგუმენტების მოძიების გარეშე ძნელი სათქმელია, მამისახელობის აღნიშვნასთან გვაქვს საქმე თუ გვარსახელთან, ანუ იმ ანთროპონიმულ კატეგორიასთან, რომელიც გადადის მეორე თაობაზე მაინც (ე. ი. გამოიყენება როგორც მამის, ისე შვილის სახელდებისათვის). ამგვარი დასაბუთების ნიმუშად მოგვყავს ელ. მეტრეველის მსჯელობა ჯვრის მონასტრის XIV ს. აღაპებში მოხსენიებულ გარეყანიძეთა სამ თაობასთან დაკავშირებით: „გარეყანი გვარის ფუძემდებელი ჩანს. მისი შვილები არიან მაკარი და ფურთუხი, ხოლო შვილიშვილი - ფოთოხი...“ აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის „გარეყანიძე აქ უკვე გვარად არის ქცეული“ (მეტრეველი, 1962, გვ. 135-136).

ფეოდალურ საქართველოში ამილახორი, ბარათაშვილი, მუხრან-ბატონი, ერისთავი, ყაფლანიშვილი, ციციშვილი და სხვ. ცნობილ თავადთა გვარებია, მაგრამ ეს საცნაური ხდება მხოლოდ ისტორიულად, ამ გვარის წარმომადგენელთა წოდებრივი უპირატესობით. ქართულ ენას არ მოეპოვება რაიმე სახის ლექსიკური ან გრამატიკული საშუალება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამა თუ იმ გვარის წარმომადგენელთა მაღალი სოციალურა წარმოშობის განსაზღვრა (შდრ.: გერმანულ გვარებს წინ ერთოდა ნაწილაკი von ფონ, რომელიც მიუთითებდა თავად-აზნაურულ წარმომავლობაზე). არც ისეთი შემთხვევაა იშვიათი, როცა აზნაურსა და გლეხს ერთი და იგივე გვარი ჰქონია.

ამა თუ იმ გვარისაგან სხვა გვარების წარმოქმნის შესახებ მრავალი ცნობა მოიპოვება ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“. მაგალითად, „აწინდელთა მთავართა გუარებში“ მითითებულია: როჭიკაშვილი („არს

შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ“); ამილახორი („არა არს გუარი, გარნა წესი მეჭინიბეთხუცობისა... ხოლო გუარნი ზედგინიძე არს“); შაჩაბელი („იტყვს ანჩაფიძეობას, აფხაზეთიდამ მოსვლას“); ფავლენისშვილი („იტყვს მხარგრძელობასა“); ჩოლოყაშვილი, მაყაშვილი („იტყვან ირუფაქიძობას“)... ან კიდევ: „მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარა სამნი ძმანი - აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისგან აბაშიშვილნი, გუგუნასგან ბარათიანნი, დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან“.

ქართულ გვარებს აქვთ დაბოლოებანი: -ძე, -შვილ-ი, -ია, -უა, -ავა, -იან, -ურ.... მაგრამ ამ დაბოლოებებს შეიცავენ არაქართველთა, მაგალითად, ებრაელთა, აფხაზთა, რსთა გვარებიც. კერძოდ: ქართველ ებრაელთა დიდი ნაწილის გვარი -შვილზე, იშვიათად -ძე-ზე ბოლოვდება. მათ შორის ბევრია საზიარო ქართველთა გვარებთან, მაგ., ბათიაშვილი, დავითაშვილი, ელიაშვილი, ბერიძე... სხვათა შორის ქართველ ებრაელთა გვარებში -ელ სუფიქსიც გვხვდება (კრიხელი, ხოტეველი) და სხვ. (იხ. ჭუმბურიძე, 2003, გვ. 111-116).

დ. ფსევდონიმი

ფსევდონიმი ანთროპონიმის სახეობაა. იგი მოგონილი სახელია, რომლითაც პიროვნება ცვლის თავის საკუთარ სახელს, გვარსახელს ან მთელ ანთროპონიმულ ფორმულას. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გავრცელებულია მწერლებში, მსახიობებში, მომღერლებში, ჟურნალისტებში, პოლიტიკურ მოღვაწეებში, მაგ.: ლუკა რაზიკაშვილი ჩვენთვის ცნობილია როგორც ვაჟა-ფშაველა, ხოლო მწერალი ქალი მარიამ ალექსიძე - როგორც მარიჯანი. დიდი ქართველი მწერალი მიხეილ ჭავჭავაძის ახალგაზრდობაში მოთხრობებს წერდა და აქვეყნებდა ადამაშვილის ფსევდონიმით (ადამა პაპის სახელი იყო), მაგრამ ჰქონდა სხვა მოკლე ფსევდონიმებიც: „ალი“, „მალი“, „მადლი“ და სხვ. უფრო ზუსტად ადამაშვილი მათი

საოჯახო გვარიც იყრ. ადამაშვილობამდე ატარებდნენ გვარ ტოკლიკიშვილს, ხოლო წინაპრები ყოფილან ჭავახიშვილები, ქართლიდან ქიზიყში გადასულნი. ეს ის შემთხვევაა, როცა ესა თუ ის პირი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცნობილია ნამდვილი გვარ-სახელითაც და ფსევდონიმითაც. ფსევდონიმით გატაცება შეიმჩნევა ჩვენი თანამედროვე შემოქმედთა შორისაც: აკა მორჩილაძე (სინამდვილეში გიორგი ახვლედიანი), მეფე (სინამდვილეში მომღერალი ირაკლი ჩარკვიანი. იგი თვითონვე განმარტავს: „მეფე ვარ მხოლოდ მუსიკალურ სამყაროში“), უცნობი (მომღერალი გია გაჩეჩილაძე), კნიაზი (პარლამენტარი ირაკლი იაშვილი), დოი (რეჟისტორი დათო დოიაშვილი) და სხვ. გავრცელებულია აბრევიატურული ფსევდონიმებიც. მაგ.: კაბუ (რეპერი კახა აბუაშვილი), ზუმბა (იგივე ზაზა კორინთელი. იგი ასე განმარტავს თავის ფსევდონიმს: „ზოგჯერ უბრალოდ მოინდომე, ბოლოს აგისრულდება“).

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როცა ქალი ფსევდონიმად იღებს მამაკაცის სახელს. ამგვარ ფსევდონიმს ფსევდოანდრონიმი („ვითომ მამაკაცის სახელი“) ეწოდება, მაგ.: ეორჟ სანდი (სინამდვილეში ავრორა დიუპენი. ქმრის გვარი დიუდევანი), ჯორჯ ელიოტი (სინამდვილეში მერიენ ევანსი); ხდება პირიქითაც: მამაკაცი ფსევდონიმად ირჩევს ქალის სახელს, ამგვარ სახელს ფსევდოგინიმს („ვითომ ქალის სახელი“) უწოდებენ, მაგ., ელენე დარიანი (სინამდვილეში პაოლო იაშვილი), თამარ ჩქარეული (სინამდვილეში კონსტანტინე ლორთქიფანიძე).

ფსევდონიმი შეიძლება იყოს მუდმივი ან დროებითი, მაგ.: ალიო მირცხულავამ ლექსების პირველი კრებული „მერჩეხი“ 1923 წელს გამოსცა ბუმერანგის ფსევდონიმით, შემდეგ კი დედის სახელის მიხედვით დაირქვა მაშაშვილი, მაგრამ ბოლოს ისევ დაუბრუნდა თავის სამემკვიდრეო გვარს — მირცხულავას.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში ცნობილია შემთხვევა, როცა რამდენიმე ავტორი ერთად მოღვაწეობს და აქვს საერთო მოგონილი სახელი. ასეთ ფსევდონიმს ჯგუფურ (კოლექ-

ტიურ) ფსევდონიმს უწოდებენ. ქართულ სინამდვილეში ამისი მაგალითია სამეული – სამი მხატვრის (ა. სლოვინსკის, ო. ქოჩაკიძის, ი. ჩიკვაიძის) შემოქმედებითი კოლექტივი (შდრ. გვარსახელთა ჯგუფური აბრევიაცია აკ-სიმ-კოლი ← აკაკი ბელიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, კოლია ჩაჩავა. რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში ჯგუფური ფსევდონიმის კლასიკურ ნიმუშად ხშირად სახელდება **Жукриниксы**, რაც ქართულად გადმოაქვთ როგორც კუკრინიკსები).

ფსევდონიმად უნდა ჩავთვალოთ ე.წ. ანაგრამები, ანუ ანთროპონიმის ბგერათა ან მარცვალთა გადასმით (ზოგ შემთხვევაში უკუწაკითხვით) წარმოქმნილი საკუთარი სახელი, მაგ.: ეძიოთ (=ა. თოიძე), ნილომ (=ნიკო მერაბის ძე ლორთქიფანიძე) და სხვ. (ამგვარი და სხვა ტიპის ფსევდონიმები იხ. წიგნში: მიქაძე გ., ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1984).

ფსევდონიმი ანთროპონიმული კატეგორიაა, რადგანაც მისი დენოტატები ადამიანები არიან. მაგრამ ე. წ. „საიდუმლო ენაში“ გამოიყენება ქალაქის, ობიექტის, ნივთის სახელის დაშიფვრის, გამოგონილი სახელით შეცვლის მეთოდი მისი გასაიდუმლოების მიზნით. ამგვარ სახელებს კრიპტონიმებს (ბერძნ. კრიპტოს „საიდუმლო, დაფარული“), ანუ საიდუმლო სახელებს უწოდებენ. მაგ., XIX ს. მოხეტიალე მეწვრილმანეთა ენაში მოსკოვს ეწოდებოდა ბატუსი, ბატუსია [რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურაში ზოგი მკვლევრის მიერ შემოთავაზებულმა ტერმინმა „ფიქტონიმი“ (ფიქტიური, მოგონილი სახელის მნიშვნელობით) ვერ პოვა გავრცელება. 2. ფსევდონიმისა და კრიპტონიმის საკითხთან დაკავშირებით იხ.: გოდერძიშვილი, 2000; გოდერძიშვილი, 2003].

II. შერჩეული სახელი და მმტსახელი

დამატებით არაოფიციალურ სახელს, რომელსაც არქმევენ ადამიანს დამახასიათებელი ნიშან-თვისების, ქცევა-მანერის, მისწრაფების, საქმიანობის, გარეგნობის, ანალოგიის, წარმომავლობის ან თავს გადამხდარი შემთხვევის მიხედვით, ეწოდება მმტსახელი (რუს. прозвище, ლათ. cognomen, ინგლ.

nickname).

ეს განმარტება სრული და მისაღებია ცივილიზაციის განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის, როცა ადამიანს აუცილებლად აქვს ოფიციალური, სადოკუმენტაციო-საპასპორტო სახელი, ხოლო მეტსახელი მართლაც მეტი, ანუ ზედმეტი, სახელია (სხვათა შორის, საქართველოში მეტსახელის მნიშვნელობით „ზედმეტ სახელსაც“ შეხვდებით). მაგრამ თუ ადამიანს არ მოეპოვება ძირითადი, ოფიციალური სახელი?

გავიხსენოთ ესავისა და იაკობის ეპიზოდი ბიბლიიდან. ესავი ჩივის: „ტყუილად კი არ ჰქვია იაკობ. ორჯერ გამაცურა: ჯერ პირმშოება წამართვა, ახლა კურთხევაც წაურთმევია“ (დაბადება, თავი 27-ე, 35). პირმშოება ნიშნავს პირველდაბადებულობას. რატომ ამბობს ძმა ძმაზე, „ტყუილად კი არ ჰქვია იაკობ“? საქმე ისაა, რომ „იაკობ“ გარკვეული სემანტიკის შემცველია. როგორც ბიბლია მოგვითხრობს, ისაკის ცოლმა რებეკამ შვა ტყუპი ვაჟი. პირველი დაიბადა მწითური ბავშვი და უწოდეს ესავი. „მერე გამოვიდა მისი ძმა, ხელი ესავის ქუსლზე ჰქონდა მოჭიდებული; და დაარქვეს მას სახელად იაკობ“. იაკობ ძველ ებრაულ ენაზე ნიშნავს „მიმყოლს“, „მიმდევარს“, რაც აღიქმება როგორც გვიანშობილი, დაგვიანებული (მაშასადამე, ესავის აზრით, იაკობ ერთგვარად შეურაცხყოფელი სახელია).

არის კი ამ შემთხვევაში „იაკობი“ მეტსახელი? მას ხომ სხვა სახელი არ მოეპოვება?

ამ გარემოებიდან გამომდინარე, სემანტიკურად გამკვირვალე სახელს, ე. წ. „მოლაპარაკე სახელს“, რომელიც თვითონვე ცხადყოფს სახელდების მოტივს, ზოგადად უნდა ვუწოდოთ შერკმეული (ნართაული) სახელი, ხოლო ტერმინი „მეტსახელი“ მივუსადაგოთ მხოლოდ იმ შერკმეულ სახელს, რომლის დენოტატს სხვა (ოფიციალური, ძირითადი) სახელიც მოეპოვება.

მაშასადამე, შერკმეული სახელი შედარებით ზოგადი ტერმინია, ხოლო მეტსახელი – მისი თანამედროვე სახეობა.

ქართულ საისტორიო წყაროებში დასტურდება მრავალი შემთხვევა, როცა, მეტსახელი ენაცვლება სამწევროვან ან-თროპონიმულ ფორმულას, მაგ., 1729 წლის „დასტურლ-ამალში“ ასეთი მინაწერია: „გიორგი მალრაძის ძე იოანე, რომელსა ჰქვიაან ქუმსი... „გიორგი მალრაძის ასული მარია, რომელსა ჰქვიაან კეკელა...“. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შუა საუკუნეების ქართულ მწერლობაში მოგვეპოვება მეტსახელის მოტივაციის განმარტების დიდებული მაგალითი, ვგულისხმობ „რუსუდანიანის“ ამ ადგილს: „ესოდენ განმრავლებულა მათი ყბედობის ანბავი, რომ უსეინის ცოლს იტიტინეს უხმობდნენ და ომარის ცოლს – ილაპარაკეს“. ეს პერსონაჟები ჩვენთვის მხოლოდ მეტსახელებითაა ცნობილი. ზმნური შერქმეული სახელები არაა უცხო ჩვენი თანამედროვე მწერლობისთვისაც. საკმარისია დავასახელოთ მ. ჯავახიშვილის „დამპატიყ“, „ატყაპუნე“ და სხვ. საერთოდ არის ცდა მ. ჯავახიშვილის თხზულებათა მიხედვით შერქმეული სახელების სამი ჯგუფის გამოყოფისა: მოფერებითი (ჩიორა, ანგელოზი), გამახელებელი (აფთარი, მგელკაცი), დამამცირებელი (ჭიაყელა, ჩანჩურა, ბრინკა)). საერთოდ, „მწერლის მიერ პერსონაჟთა სახელდება შემთხვევითი მოვლენა არ არის. სახელდებით იგი გმირის შინაგან ბუნებასა და ხასიათს წარმოაჩენს (მელიქიძე, 1999, გვ. 27).

„შერქმეული სახელის“ მნიშვნელობითაა ძველ ქართულში დადასტურებული სიტყვა ნართაული. ძველი ქართული ენის ლექსიკონებში იგი განიმარტებულია როგორც „დამატებითი, ზედმეტი“. მაგრამ X ს. ცნობილი კალიგრაფის – იოანე ბერაის – მიერ გადაწერილი პარხლის ოთხთავის ანდერძ-მინაწერში იგი „შერქმეულ სახელს“ ნიშნავს. აი, ეს მინაწერი: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი ივანე, ნართაულად ბერაი, აღსრულებად წმიდას ამას სახარებასა“. ეს მოღვაწე ჩვენი კულტურის ისტორიაში ცნობილია როგორც იოანე ბერაი და ქსე-შიც ასევეა შეტანილი.

მეტსახელების სისტემა ფართოდაა გავრცელებული საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. შერქმეულ სახელს ზოგან „თიკუნნი“ ეწოდება, ზოგან კიდევ – „კილი“, „სახინჯარი“,

„მირქმეული სახელი“, „ბუნი“, „სახელებელი“ და სხვ. დავასახელებთ მაგალითებს ორი კუთხიდან: ავაზა, ბანჩუკა, ბეკეკა, გარინჩა, გიჟუა, ზღარბუნა, თათლანა, თეთრო, ირბინე, კაწრე, კიჭა და სხვ. (კახეთი); გაძვერია, გახარა, კრაზანა, კაუჭა, კერკეტა, კვერნა („ქალებს კვერნა აქვთ კისერზე. იმას ქალები უყვარდა ძალიან და კვერნა შეარქვეს“), ნაჭახა, კოთხოჯი, კოტ-რილა („დამფრთხალიყო კაცი, გაკოტრიალეზულიყო... და კოტრილა დოუძახეს მას უკანა“), პაპასალი („პატარა ბიჭს ეკითხა: „პაპა სა მივეყვარო“), ჩიქორთული, ჩურჩა და სხვ. (იმერეთი).

მეტსახელი შეიძლება იყოს ორსიტყვიანიც. მაგალითები კახეთის სინამდვილიდან: ჯუნგლის პაპა (მოტივი: „ჯუნგლების ბინადარს ჰგავს, პირმოუპარსავეია, გრძელი თმა აქვს, ზამთარშიც მოკლე მაისურით დადის“), ნუციკო ბიძია („კაცისთვის შეურქმევიათ, რადგანაც ქალივით ლამაზია, მანერებიც ქალისა აქვს და გაპრანქვეაც უყვარს“), თხიკუჭა („მინდორში თხა დაეკლათ და ექეიფათ. შაიშმელაშვილების პაპას ეთქვა, თხის კუჭი არ გადააგდოთ, მაგას მე შევქამო. თიკუნის მიზეზიც ეს ფრაზა გამხდარა“).

მეტსახელი ლექსიკურ-გრამატიკული თვალსაზრისით შეიძლება იყოს ნებისმიერი მეტყველების ნაწილი, მაგრამ უფრო ხშირად ამ ფუნქციით გვხვდება არსებითი სახელი, ზმნური ფუძე, მთელი ფრაზაც კი. დაინტერესებული მკითხველისათვის წარმოვადგენთ ჰოლივუდელთა მეტსახელებს: ჯულია რობერტს ბავშვობაში ყანჩას ეძახდნენ, ნიკოლ კიდ-მანს კლასელებმა ყარყატი შეარქვეს, კამერონ დიასის მეტსახელია ჩონჩხი, ხოლო რობერტ დე ნიროსი - ბობი რძე („სიფერმკრთალის გამო“). კარინ ჭონსონს ფუმფულა ფორმების გამო შეარქვეს ვუპი გოლდბერგი „ბალიში ვუპი“, რაც წლების შემდეგ მისი ფსევდონიმი გახდა. ჩვენს დღევანდელ სინამდვილეშიც მრავალ მწერალს მსახიობს, ტელეწამყვანს ოფიციალურ სახელ-გვართან ერთად მეტსახელებითაც ეიცნობი. ეს მეტსახელები შერქმეულია სხვადასხვა მიზეზით. იგი შეიძლება წარმოადგენდეს ჩვილის მიერ ნამდვილი სახელის დამახინჯებით წარმოთქმის შედეგს. მაგალითად, მსახიობ დუტა სხირტლადის ნამდვილი სახელია დემეტრე. დუტა კი არის მეტსახელი, რომლის წარმოქმნის მიზეზი გამხდარა უმცროსი ძმის მიერ წარმოთქმული დამახინჯებული ფორმა ნამდვილი სახელისა; დიზაინერმა ბიჭოლა თეთრადემ თავისი ნამუშევრების გამოფენაზე ჟურნალისტებს განუცხადა: „ბავშვობაში

ჩემი და ჩემს ნამდვილ სახელს – ანზორს – ვერ გამოთქვამდა და ბიჭოლა დამარქვა. ამის შედეგად ნათესაულებმა და კლასელებმაც არ იციან, რომ ანზორი მქვია“; სხვა შემთხვევაში მეტსახელების ავტორები არიან ოჯახის წევრები ან მეგობრები: ტელეგადაცემა „იმერე რამეს“ წამყვან გიორგი გიორგანაშვილის მეტსახელია ბახალა. ბაბუაშისს საიდანდაც ბახალა ჩამოუყვანია, იგი გიორგისთან ერთად იზრდებოდა. ამიტომაც ბახალა მის მეტსახელადაც იქცა; მხატვარ თენგიზ შირაშვილს კი ჩუბჩიკა თანაკურსელმა ქალმა შეარქვა თავისებური ქოჩრის გამო; პირს შეიძლება შეარქვან სიტყვა, რომელსაც ხშირად წარმოთქვამს. მაგ., მწერალ გიორგი გიგაურის მეტსახელია ჭიუხა (იგი ამ სიტყვას ხშირად წარმოთქვამს თურმე). მეტსახელად გვხვდება გვარის ებონიმი უცვლელად ან გარკვეული სუფიქსების დართვით, მაგ., კახი მამულაშვილის მეტსახელია მამულიჩა...

არსებითი სახელი და ზმნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფორმაუცვლელად, მაგ.: მაჩვი („შეუხედავი, დაგვალული კაცია“), კაჩალინი („მოსწავლეთა ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი იყო“), ჩიკორა („სწრაფი და მოძრავი კაცია, ჩიკორივით ბზრიალებს“), კმარა (უწოდეს მშობლებმა მეექვსე ქალიშვილს); მეწყინა (უწოდა ერთმა ქუთაისურმა ოჯახმა მეხუთე ქალიშვილს) და სხვ.

მეტსახელთა ერთი ნაწილი წარმოქმნილია სუფიქსაციის გზით. კერძოდ, გვხვდება -ა, -ო, -ანა, -უნა სუფიქსები, რომლებიც გამოხატავენ მსგავსებას, რაიმე თვისების მქონებლობას, მოფერებას. მაგ.: ვაშლა („ვაშლივით წითელი ლოყები აქვს“), თაფლანა („ფუტკარი ჰყავს, თაფლით ამარაგებს მთელ სოფელს“), თეთრო („ძალიან თეთრია: წარბები, თმა, წვერი, წამწამებიც კი თეთრი აქვს“), კვერცხა („თავი აქვს მოგრძო, კვერცხის მოყვანილობისა“) და სხვ. (იხ. ბეგაშვილი, 2004). შემოკლებულ მეტსახელებს ქართულში ხშირად ახლავს -ო სუფიქსი. მაგ.: მუხო ← მუხრან, მახო ← მალხაზ, ვატო, ვახტო ← ვახტანგ, უშო ← უშანგ...

ა. შანიძის აზრით, „ჭამია და მისთანანი“ შინაარსით მოქმედებითი გვარის მიმღეობებს უახლოვდება, თუმცა კი მიმღეობის ფორმა არ არის. „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონში“ (ბ. ჯორბენაძე და სხვ.) აღნიშნულია: -ია აწარმოებს ერთი ტიპის სასუბიექტო

მიმღებებს, სახელთა კნინობით-საალერსო ფორმებს, თამაშობათა სახელებს. აღმოჩნდა, რომ -ია ხშირად გვხვდება მეტსახელებშიც, მაგ.: კაციჭამია („ჩხუბისთავი და დაუნდობელი იყო“), რწყილიტყავია („ძუნწია“), ჯიბია („რასაც მოიხელთებდა, იპარავდა და ჯიბეში იღებდა“) და სხვ. (იხ. ლომაშვილი, 2003; -ია სუფიქსის ფუნქციებთან დაკავშირებით იხ. გოდერძიშვილი, 1998; ჭიჭია, 1998).

მეტსახელი შეიძლება წარმოადგენდეს ზმნის პირიან ფორმას ან მთელ ფრაზას. აქაც ორიოდ მაგალითის დასახელებით დავკმაყოფილდებით: დაგჩხაფისო (ბავშვობისას, ზამთარში, სველი კატა ღუმელში შესვა, ვითომდა გაშრება და გათბებაო. კატამ რომ კნავილი დაიწყო, შესძახა: „დაგჩხა, ფისო?“), დაბრძანდი („ძალიან ზრდილობიანი კაცი ყოფილა, ყოველთვის „დაბრძანდი- მობრძანდობით“ ლაპარაკობდა“), აჭამე (უსინათლო მამას დაატარებდა სოფელში და იხვეწებოდა, აჭამეთ რამეო. შვილს აჭამე შეარქვეს, მამას კი, კარგი მადის გამო - რკინაჭამია (კოშორიძე, 2004).

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი გარემოებაც: მეტსახელებს ძირითადად მამაკაცებს არქმევენ, ქალებში კი იშვიათია.

ქართულში მეტსახელი დენოტატის მიმართ შეიძლება იყოს ნეიტრალური ან გამოხატავდეს ირონიასა და დაცინვასაც კი. იშვიათ შემთხვევაში მეტსახელი შეიცავს გაკიცხვა-შეურაცხყოფის სემანტიკას, მით უმეტეს, თუკი იგი გამოიყენება არა პიროვნებისადმი მიმართვისას, არამედ - მის ზურგს უკან.

მეტსახელი საქართველოს ყველა კუთხეშია გავრცელებული, მაგრამ განსაკუთრებით ხშირია იგი კახეთში, სადაც მეტსახელის შერქმევის შიში ერთგვარ აღმზრდელობით მომენტსაც შეიცავს. „მეტსახელი ქ. სიღნაღში თითქმის ყველას ჰქონდა ან აქვს. მისი, ე. ი. მეტსახელის, შიში ადამიანს აიძულებს, საზოგადოებაში თავი არ შეირცხვინოს, რაიმე უკადრისი არ მოიმოქმედოს, ცუდი სიტყვა არ წამოსცდეს, თორემ ხელათ მოუძებნიან დამამცირებელ ეპითეტს, რასაც ვერც თვითონ მოიცილებს და ვერც მისი შთამომავლობა“ (გოდერძიშვილი,

1998). მეტსახელი, როგორც ცნობილია, ორგვარია: ერთი, რომლითაც პირს იცნობენ და მიმართავენ საზოგადოებაში (ასეთი მეტსახელი, ჩვეულებრივ, ერთსიტყვიანია), მეორე, რომლითაც იცნობენ და აღნიშნავენ გარშემომყოფნი, მაგრამ მიმართვისათვის არ იყენებენ (ასეთი მეტსახელები, ჩვეულებრივ, ორსიტყვიანია, ეპითეტურიანია).

მეტსახელი, ერთ- თუ მეტსიტყვიანი, წარმოადგენს სრულ ანთროპონიმულ ერთეულს, რომელიც მთლიანად ცვლის პირის ოფიციალურ სახელდებას. არცთუ იშვიათად ადამიანს, განსაკუთრებით, სოფლებში, მეზობელთა და ნათესავთა წრეში, მხოლოდ მეტსახელით იცნობენ, ხოლო მისი ოფიციალური სახელი ისეა მივიწყებული, რომ საჭიროების შემთხვევაში ვერც იხსენებენ. ზოგ ქვეყანაში, მაგ., აშშ-ში, ხშირია ტაპონიმი-მეტსახელი, ე.ი. გეოგრაფიულ სახელთა დამატებითი სახელი, რომელიც გამოიყენება არაოფიციალურ სიტუაციაში, მაგრამ გვხვდება პრესაშიც, ტელევიზიაშიც, შესულია სპეციალურ ლექსიკონებში, მაგ.: „უკანასკნელი საზღვარი“ (იგივე ალასკა), „ოქროს შტატი“ (იგივე კალიფორნია) და სხვ. საბჭოთა კავშირში ბაშკირეთის ნავთობის საბადოებს უწოდებდნენ მეორე ბაქოს.

ეპითეტურიანი მეტსახელები

ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაში მეტსახელად განიხილავენ ორკომპონენტიან ანთროპონიმულ ფორმულასაც (მაგ., რუსულში: Елена Рыжая, Шурка Сапожник, Алёшка Цыган და სხვ.), რომელშიც ერთ-ერთი კომპონენტი სახელსადგები პიროვნების საკუთარი სახელია, ხოლო მეორე გრამატიკულად წარმოადგენს მსაზღვრელ სიტყვას, ეპითეტს, რომელიც შეიცავს ამ პიროვნების „დახასიათებას“ რაიმე ნიშნით და, მაშასადამე, წარმოაჩენს დენოტატის მიმართ სახელმდების ნეიტრალურ პოზიციასაც და ემოციურ-შეფასებით დამოკიდებულებასაც, კერძოდ, მოწიწება-პატივისცემას (იშვიათად), ირონიას – მსუბუქ გაკენწვლას, დაცინვა-გაკიცხვასაც და სიძულვილსაც კი. რა თქმა უნდა, დამცინავი და დამამცირებელ-შეურაცხმყოფელი ეპითეტურიანი სახელებით ადამიანს მხოლოდ ზურგსუკან მოიხსენიებენ. რუსი მკვლევრები

უარყოფითი შინაარსის შემცველ მეტსახელებს აჯგუფებენ: унижительное „შეურაცხყოფელ-დამამცირებელი“ (მაგ., Сашка Фашист) და насмешливое „კინობით-დამცინავი“ (მაგ., Лончик Трелло).

ზუსტი ტერმინის უქონლობის გამო ორკომპონენტიან სახელდებასაც შეიძლება მეტსახელი, ოღონდ ეპითეტიანი მეტსახელი, ვუწოდოთ (თუმცა, ვიმეორებთ, მეტსახელურ შინაარსს შეიცავს მხოლოდ მსაზღვრელი კომპონენტი, ძირითადი კომპონენტი კი პირსახელია).

ეპითეტის ერთ-ერთი დანიშნულებაა ერთნაირი სახელების მქონე პირთა, ანუ სეხნიების, ერთმანეთისაგან გარჩევა. „სოფელში ერთი გვარის ოთხი ივანე ცხოვრობდა, მეზობლებმა ერთს შეარქვეს ივანე მაღალი, მეორეს – ივანე დაბალი, მესამეს – ივანე მოკლე, მეოთხეს – ივანე სქელი. მაღალი, დაბალი, მოკლე, სქელი ეპითეტი-მეტსახელებია“ (აღ. ღლონტი).

ეპითეტები შეიძლება გამოხატავდნენ:

1. ხელობას: მკვედელმიხო, მღებარსაქულა, დალაღმაშო, მესტვირე ვანო, მეგარმონე ნიკო, მეპურე ლევანა და სხვ.

2. გარეგნობას: კრუხიპალო სანდრო, პუჭურკოსტა (ორივეს პატარა ტანის გამო შეერქვა), ლაფიანი მიხა (მესაფლავე იყო და სულ ლაფიანი დადიოდა), ლაშიანი გარეგინა (სქელი ტუჩების გამო), ექვსთითა ვალიკო (ერთ ხელზე ექვსი თითი ჰქონდა) და სხვ.

3. ხასიათის თავისებურებას, მანერას: პიწი-პიწი არშაკა (ენაბლუობის გამო), ტრაბახა ზაური (ტრაბახი უყვარდა), ნაგაო აღექსანდრე (უხასიათობის გამო), ფულის ყუთი გეურქა (უყვარდა ფულის შენახვა) და სხვ.

4. მიმსგავსებას: პუშკინა ნუნუ (ხუჭუჭა თმა ჰქონდა), მოლოტოვი ლექსო (მოლოტოვს ჰგავდა), ჩიტა გოგია (ისეთივე შეუხედავი იყო, როგორიც მაიმუნნი ჩიტა კ/ფ „ტარზანში“) და სხვ.

5. წარმომავლობას: კოლაგელი არტო, ბოდბელი გივი, ბახალიჩა კახა (პაპას ერქვა ბახალიჩა, რადგან ბახალა უქამია) და სხვ.

6. შებრალებას, შეწყალებას, თანაგრძნობას: ბედნი იოსკა, საწყალი იოსკა.

ი. გოდერძიშვილი (რომელმაც შეისწავლა ქალაქ სიღნაღის ეპითეტიანი მეტსახელები) აღნიშნავს: გამოხატული ემოციის მიხედვით სიღნაღში გავრცელებული ეპითეტიანი მეტსახელები მრავალფეროვანია: ხელობის გამომხატველი მეტსახელები შედარებით ნეიტრალური ხასიათისაა. იგივე ითქმის წარმომავლობის სახელებსა და მსგავსების გამომხატველ მეტსახელთა ძირითად ფონდზე, ხოლო რაც შეეხება გარეგნობისა და ხასიათის თავისებურების ამსახველ მეტსახელებს, მათი მცირე ნაწილი დადებით ემოციებსა და განწყობილებას გამოხატავს (ტარზანა ვალიკო, კუკლა მარო...), მაგრამ უმეტესობა არის გამკენწლავი, კნინობითი შინაარსის გამომხატველი, უარყოფითი ემოციის გამომწვევი (დამპალვანო, გიჟი ლენა, მურტალვანუშა, ჩმახო ავთო, მაიმუნი არშაკა, ყვინტლიანი გველო...). ამგვარი მეტსახელების დარქმევაში არის თავისებური სითამამე, მოურიდებლობა, ზოგჯერ უხეშობაც კი. ქიზიყელი კაცი, უბატონო ქვეყნის შვილი, თავის შეხედულებას მეზობელზე, მეგობარზე, უბრალოდ, თანამემამულეზე, გამოხატავდა მოურიდებლად, თავისუფლად, მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, რაშიც აშკარად ჩანს მისი ხასიათი (გოდერძიშვილი, 1998)

მაშასადამე, ეპითეტიანი მეტსახელი (ანუ „ეპითეტ-მეტსახელი“), შედგება ეპითეტისა და პირსახელისაგან, მაგრამ ხშირად საზღვრული სიტყვა, ე. ი. პირსახელი, მოეკვეცება სინტაგმას და ოდენ ეპითეტი რჩება მეტსახელის ფუნქციით. მეტსახელებში განიხილავენ ე. წ. კონსპირაციულ (საიდუმლო) სახელებსაც, რომელთაც იყენებდნენ არალეგალური მოღვაწეობისას. რევოლუციების ეპოქაში პარტიული მოღვაწეების ამგვარ მეტსახელებს პარტიულ ფსევდონიმს (რუს. Кличка) უწოდებდნენ.

3. ზედწოდება

ზედწოდება არის ეპითეტი, რომელიც იხმარება ძირითად სახელთან ერთად, ჩვეულებრივ, მოსდევს მას და ქმნის ცნობილი ადამიანის ოფიციალურ ორწევროვან ფორმულას. მაგ.: სოლომონ ბრძენი, ალექსანდრე მაკედონელი, თემურ ლენგი („კოკლი თემური“), გრიგოლ ხანძთელი, ანტონ კათალიკოსი, ვახუშტი ბატონიშვილი... ძველ ქართულში ამგვარ ეპითეტს „ნართაული“ ეწოდებოდა.

თავისი სემანტიკითა და ფუნქციით ზედწოდება ახლოს დგას ეპითეტ-მეტსახელთან. ამისი გამოძახილია ქეგლ-ისეული განმარტება: „ზედწოდება – მეტსახელი, შერქმეული სახელი“. მაგრამ, ამასთანავე, მათ შორის არსებითი განსხვავებაა: ეპითეტ-მეტსახელი, როგორც ტერმინი, მიესადაგება მხოლოდ ჩვენს დღევანდელობას, რადგან არაოფიციალურ სიტუაციაში ცვლის გვარსახელს, სახელდების აუცილებელ კომპონენტს, ხოლო ზედწოდება (იგივე ნართაული), მართალია, ახლდა პირსახელს როგორც მეორე დამატებითი სახელი და შეიცავდა მასზე გარკვეულ ინფორმაციას, მაგრამ არაფერს ენაცვლებოდა, პირიქით, რადგანაც გვარი ჯერ კიდევ არ არსებობდა (დღევანდელი გაგებით), ცვლიდა მას, სრულყოფილს ხდიდა ისტორიაში, ლიტერატურაში, პოლიტიკაში ცნობილი პირების ანთროპონიმულ ფორმულას პიროვნების დამსახურების, წარმომავლობის, პროფესია-საქმიანობის, განსაკუთრებულ ნიშან-თვისებათა წარმოჩენით (ამის გარდა, ზედწოდება, ისევე როგორც ეპითეტი, გამოიყენებოდა სეხნიათა ერთმანეთისაგან გამოსარჩევად).

ზედწოდებას, რომელიც მოტივირებულია პირის განსაკუთრებული დამსახურებით საზოგადოების წინაშე ან მაღალი კეთილშობილური წარმომავლობით, ეწოდება საპატიო ზედწოდება (ანუ დიგნიტონიმი). მაგ.: დავით აღმაშენებელი (ქვეყნის გაერთიანებისა და განახლების გამო), გიორგი V ბრწყინვალე (საქართველოს სამეფოს გაძლიერებისა და ქვეყნის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის),

ალექსანდრე ნეველი (მდ. ნევაზე გამარჯვების აღსანიშნავად), პეტრე დიდი და სხვ. საპატიო ზედწოდებისაგან, ფაქტობრივად, არ განსხვავდება ე. წ. მელიორატივი, ანუ განმადიდებელი ზედწოდება, რომელიც გამოხატავს ნომინატორის სურვილს, აღნიშნოს პიროვნების განსაკუთრებული ღირსება და დამსახურება. რუსულში საამისო ნიმუშად დასახელებულია: Иоанн Златост იოანე ოქროპირი, Ярослав Мудрый იაროსლავ ბრძენი და სხვ. (იხ. ჰოდოლსკაია, 1988, გვ. 111).

ზ. ჯგუფური ანთროპონიმი

საკუთარ სახელს, რომელიც რაიმე ნიშნის მიხედვით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფს აღნიშნავს, ჯგუფური ანთროპონიმი ეწოდება. მასში შედის ჯგუფური მეტსახელი, ჯგუფური ფსევდონიმი და სხვ.

შერქმეულ სახელს, რომელიც მიემართება ეთნიკურ ერთეულს ან ადამიანთა ჯგუფს რაიმე საქმიანობასთან ან ნიშანთვისებასთან დაკავშირებით, ან კიდევ გვარის განაყოფს, ოჯახს, ეწოდება ჯგუფური მეტსახელი. იგი ვრცელდება ჯგუფის (კოლექტივის) თითოეულ წევრზედაც. ს. მელიქიძის ცნობით, ქართლში „მთელ სოფელს ზოგჯერ „ტეტიებს“ ეძახიან. უფრო მეტიც: სხვადასხვა გვარის ხალხს შეიძლება ერთი შერქმეული გვარი ჰქონდეს“ (მელიქიძე, 1987, გვ. 292). ამგვარი ჯგუფური მეტსახელები, ისევე როგორც საერთოდ მეტსახელები, გარეწოდებაა.

საქართველოს რეგიონებში ჯგუფური მეტსახელები ძირითადად მეტგვარების, შტოგვარებისა და საოჯახო მეტსახელების სახითაა წარმოდგენილი.

ა. მეტგვარი, იგივე შერქმეული გვარი, არის მთელი გვარის მეტსახელი, რომელიც ერქმევა ამა თუ იმ რეგიონში ან სოფელში დამკვიდრებულ მთელ გვარს მისი ძირითადი მოსაქმეობის, განსაკუთრებული ნიშან-თვისებების ან სხვა გარემოებათა (მაგ., ეპონიმის) მიხედვით. მეტგვარი არაოფიციალური გვარია, რომელსაც ქართლურ დიალექტში

უწოდებენ გვარზე მეტს, ხოლო იმერულში – მირქმეულ სახელს (სხვა დიალექტებში – გამოცვლილ გვარს, საგინებელ გვარს და სხვ.). მაშასადამე, მეტგვარი არაოფიციალური გვარია. როგორც ცნობილია, „გვარების ოფიციალურ სანქცირებამდე... თვითონ შერქმეული სახელი ასრულებდა იმ ფუნქციას, რასაც დღეს ნამდვილი გვარი. ყოველი შერქმეული გვარი, რაც დღეს გვხვდება, მეორეულია და მას აკისრია (უმეტეს შემთხვევაში), დაახასიათოს რაღაც ნიშან-თვისებით, სოციალური თუ ეთნოგრაფიული ყოფის საფუძველზე გარკვეული ჯგუფი ადამიანებისა და, ამასთანავე, შეასრულოს მისათითებელი, მარკინტირებელი ფუნქცია“ (მელიქიძე, 1987, გვ. 293). დავასახელებთ მაგალითებს ზემო იმერეთის სინამდვილიდან: ბერიკიბიჭები – იგივე ჭყოიძეები სოფ. ქვებში („ბერიკი ბიჭი ჭვიოდა იმათ ძველს“); ყივილაები – იგივე კვინიკაძეები სოფ. ქვებში („ჩქარი მოლაპარაკე ხალხი ყოფილიყო“); მეწურბლეები – იგივე გაჩიჩილაძეები სოფ. ღორეშაში („წურბლით ვაქრობდენ“); ხოხელაშვილები – იგივე ცხადაძეები სოფ. მეორე სვირში („იმათ ბაბუას ცოდნებია ხეზე ასვლა და ამიტო დაარქვეს ხოხელაშვილები“); ჩლუყები – იგივე შარიქაძეები სოფ. ლელვანში („ლაპარაკი რო არ ევარგება, ჩლუყა“), პატიკები – იგივე შეყილაძეები სოფ. გებრულში („ბაბუას რქმეოდა პატიკა“) და სხვ.

მეტგვარი შეიძლება წარმოდგენილი იყოს მხოლოდ ერთი რიცხვის ფორმითაც, მაგ.: ხუშტარა – იგივე იჩქიტძეები სოფ. ღორეშაში („ხუშტარა იარალია, რომელიც ასწორებს ფიცარს. აქედანაა მათი სახელიც, მართალი, სწორი სიტყვის მთქმელი“); ვარყა – ორჯონიკიძეები სოფ. ღორეშაში (ვარყა თეთრი სოკოა. „ვარყას უძახით ორჯონიკიძეებსა, თეთრი ხალხია“); ქვახარშია – კაპანაძეები სოფ. ღორეშაში („მაგათ დეეკლათ ძროხა და ფილტვი რო აქ, თუ ქვეფ შორის არ მოაქციეს, მალა ამოდის და მანამდი ხარშეს, სანამ არ დადნა ი ქვაი“); მიუხ-მუუხვიეშა – ბუზალაძეები სოფ. ხვაშითში („ჩვენ გვეძახიან „მიუხ-მუუხვიეშას“. სანადიროთ წასულიყვენ და თოფს უთხრა

ი ძველმა: „მიუხვ-მუხვიეშაო“ და გვეცინიენ მერე“).

იმერეთშივე იშვიათი არაა საოჯახო (მხოლოდ ერთი ოჯახის) მეტსახელებიც. მაგ.: სოფ. ჩიხაში ნიკოლოზ იაკობიშვილის ოჯახის მეტსახელია კოთხოჯი და ნაჯახა, სოფ. ლიჩში ვ. ლომიძის ოჯახისა - ქაქუჩელები, ხოლო სოფ. ღორეშაში ონისიმე მუხურაძის ოჯახისა - კვიციკანქა და სხვ. (იხ. ძოწენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974).

მეტგვარი, როგორც ოფიციალური გვარის არაოფიციალური, სასაუბრო ვარიანტი, შეიძლება იმავე ფუძისაგან იყოს ნაწარმოები, რომლისგანაც მომდინარეობს ოფიციალური გვარსახელი. მაგ.: სოფ. ქვემო მაღაროში შინჯიაშვილებს ეწოდებათ შინჯიაანი, ქესელაშვილებს - ქესელაანი, ბაბაკიშვილებს - ბაბაკიანი, ბაიდოშვილებს - ბაიდოანი და სხვ.

ბ. შტოგვარი. ქეგლ-ის განმარტებით, შტო სიტყვის ერთ-ერთი (გადატანითი) მნიშვნელობა ასეთია: „ძირითადი გენეალოგიური ხაზის (გვარში) განაყოფი, ჩამომავლობა“. მაშასადამე, შტო ეთნოგრაფიული ტერმინია და აღნიშნავს გვარის განაყოფს, განშტოებას. აქედან გამომდინარე, გვარის განაყოფის, ე.ი. შტოს, საკუთარ სახელს შეიძლება ეწოდოს შტოგვარი (← შტოს გვარი), რაც უკვე ანთროპონიმული ტერმინია. ეს უდევს საფუძვლად „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ (თბ., 1988, გვ. 128-129) მოცემულ დეფინიციას: „შტოგვარი - არაოფიციალური ჯგუფური ანთროპონიმი. გვარის განაყოფის (განშტოების) საკუთარი სახელი, რომელიც, ჩვეულებრივ, მომდინარეობს ეპონიმის სახელისაგან ან მეტსახელისაგან“.

მეტგვარისადმი მიძღვნილ სტატიასი ს. მელიქიძე აღნიშნავს, რომ დღეს მიღებული ტერმინი შტოგვარი გულისხმობს „რომელიმე გვარის ერთი განაყოფის შერქმეულ სახელს“ (მელიქიძე, 1987, გვ. 292). უ. სახლთხუციშვილისთვისაც შტოგვარი არის შტოს გვარი. ტოპონიმ ნუკრიაზე მსჯელობისას იგი აღნიშნავს, რომ ამ სოფლის სახელს „საფუძვლად უდევს გვარსახელი (შტოგვარი) ნუკრიაშვილი“ (სახლთხუციშვილი,

1997, გვ. 160). ზემოთ წარმოდგენილი ტერმინოლოგიური ექსკურსი საჭირო გახდა იმ გარემოების გამო, რომ გვარის განაყოფის საკუთარ სახელს აღნიშნავენ სხვა ტერმინითაც, როგორცაა „შტო-გვარის სახელი“ (ბ. ჭორბენაძე, მ. კობიაშვილი). ამ შემთხვევაში შტო-გვარი აღნიშნავს „გვარის შტოს, გვარის განაყოფს“ და, ამდენად, ეთნოგრაფიული ტერმინია].

შტოგვარების სისტემა ტრადიციულია საქართველოს ყველა რეგიონისათვის. იგი აუცილებელიცაა, როცა გვარი გამრავლდება, მიაღწევს რამდენიმე ათეულ ოჯახს ერთ სოფელში ან უბანში. ამ შემთხვევაში მხოლოდ ოფიციალური გვარის დასახელება არ არის საკმარისი გენეალოგიური ხაზის მისანიშნებლად. როგორც ცნობილია, ქრისტიანობა კრძალავს ქორწინებას ერთი წინაპრის 8 მოდგმაში. კახეთში ერთი გვარსახელის განაყოფებს შორის გარკვეულ შემთხვევაში, კერძოდ, როცა მათ უკვე თავ-თავისი ზედაშე აქვთ, ქორწინება დასაშვებია.

დავასახელებთ რამდენიმე კუთხის შტოგვარების ნიმუშებს: მთიულეთი. ბურღულების შტოგვარები სოფ. მღეთაში: პოვლიანი, შიუკიანი, ხოსროიანი, ვარდანიანი, ჭაბუკიანი, ჭიჭლიანი, ვაჟიკიანი, ბეჟანიანი, თადუღიანი, აფთიანი, ლეგიანი (მაკალათია, 1930, გვ. 78).

რაჭა. ლობჯანიძეების შტოგვარები ღებში: ხოშიტიანი, ნანუკიანი, ჯავახიანი, ალუკეენი, ზვიაღეენი, თანდიღეენი, ლაშხეენი...

ქიზიყი. გვარ ყანდაშვილის შტოგვარები სოფ. ქვემო მალა-როში: დიანაანი, ეტროღეანი, უთულაანი, ფოთოლაანი, ხატოანი, ფილაანი, წიკაანი, იდრიციანი, ჩაჩოანი, აშტროანი, ნაკუღაანი, სწორეანი, იუველიანი (მჭედლიშვილი, 1998).

სამეგრელო. სიჭინავების შტოგვარები სოფ. ლესიჭინეში: გურიშიათი, მაჭვიტიათი, შაშქიათი, წაკოთი, ძაღლიათი, პაპათი, ბაბკოთი, გაღითი, თამაზეთი. ამ შტოგვარებს აწარმოებს მეგრული თი („სახლი, ოჯახი, გვარი“), რომელიც დაერთვის ეპონიმს – პირსახელს ან მეტსახელს. წარმოქმნილი ჭგუფური ანთროპონიმები იმ უბნებისა თუ მიკროუბნების სახელებად იქ-

ცნენ, სადაც შტოგვართა ეპონიმების შთამომავლები ცხოვრობენ.

იმერეთში კი გვხვდება ასეთი შტოგვარები: კაციეები – შეყილაძეების შტო სოფ. გეზრულში („კაცია მამაჩემის მამა იყო. მისთანა ყოფილიყო, თუ არ გევიდოდა ეკლესიაზე, ღვდელი წირვას ვერ დეიწყებდა. მისი შთამომავალია კაციეები“); კუკური//კუკურები – მალრაძეების შტო სოფ. ლელვანში („ერთ ბუნს მალრაძეებისას ბაბუას ბაბუა ყოლებოდა მორჩილი კაცი და აქედან დაარქვეს კუკურა“. მაშასადამე, კუკური მორჩილი პატარა ტანის კაცს ნიშნავს, ხოლო ბუნი არის განაყოფი, ერთი ბაბუის შთამომავლობა, შტო); ძაღლუაშვილები – ორჯონიკიძეების ერთი შტო სოფ. ღორეშაში („აქაურ ორჯონიკიძეებს პაპუაშვილეთს უძახოდენ, ზევით პაპუნაშვილეთს უძახიან“; ძიძიშვილები – სამხარაძეები სოფ. წყალშაფში („ძიძას გოუზრდია ობლათ დარჩენილი ბიჭი და იმ ფუძისას ძიძიშვილეთს უძახით, ისე სამხარაძეები ქვე არიან“); ხეტერეები – შარიქაძეები სოფ. ლელვანში („ხეპრე კაცი იყო ძველი. ბუნიობით არის მირქმეული“).

ქართული ენის დიალექტებში შტოგვართა საწარმოებლად ძირითადად ორი სახის სუფიქსი გამოიყენება: კრებითობის აღმნიშვნელნი (-ან, -ენ, -თ//თა), და მრ. რიცხვის ფორმის მაწარმოებელნი (-ებ, -ნ). იხ. შტოგვარებზე ვრცელი მსჯელობა ბ. ჯორბენაძის „ონომასტიკურ გულანსა“ და გ. კობიაშვილის სადისერტაციო ნაშრომში.

ნაშრომის ამ ნაწილს დავასრულებთ ა. შანიძის სიტყვებით: „ქართული სახელებისა და გვარების შესახებ შეიძლება მთელი ტომები დაიწეროს და მაინც არ იქნეს ამოწურული მთელი სიღრმე-სიგანით ეს მეტად საინტერესო უბანი ქართული ენისა, სადაც ქართველი ერის ისტორიის ესა თუ ის მხარეა ასახული“.

§ 3. ტოპონიმია და ტოპონიმია

გარესამყაროს დიდი თუ მცირე ობიექტისათვის სახელის დარქმევა ადამიანს აზროვნებისა და მეტყველების განვითარების კვალდაკვალ დასჭირდა. თავდაპირველად საგნის აღმნიშვნელი საზოგადო სახელი საკუთარი სახელის ფუნქციასაც ასრულებდა. განვითარების შემდგომ საფეხურზე დაიწყო საზოგადო (ერთნაირ საგანთა გამაერთიანებელი) და საკუთარი (ერთნაირ სახელთაგან გამომაცალკეებელი) სახელების გამიჯვნა. ამ დროიდან დაწყებული, „საკუთარი და საზოგადო სახელები ვითარდება ენის ევოლუციისთან ერთად, თუმცა კი, ამასთანავე, ამჟღავნებს სხვადასხვა კანონზომიერებას, რომელთა გამოვლენა მხოლოდ დიდძალი მასალის ანალიზის საფუძველზე ხდება შესაძლებელი“ (სუპერანსკაია, 1985, გვ. 4).

ბერძნული სიტყვა ტოპოს ნიშნავს „ადგილს, მიდამოს“ (შდრ. ტოპოგრაფია -- დედამიწის ზედაპირის გაზომვა და გეგმაზე, რუკაზე მისი გამოსახვა). მაშასადამე, ტოპონიმი ადგილის საკუთარი სახელია, ხოლო ადგილი, თავის მხრივ, არის სივრცის ნაწილი დედამიწის ზედაპირზე, მიდამო, განსაზღვრული სივრცე, პუნქტი. მაგრამ დედამიწაზე, გარდა ბუნებრივი ობიექტებისა, ჩვეულებრივ, გვხვდება ხელოვნური (ადამიანის ხელით შექმნილი) ობიექტებიც. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ტერმინ ტოპონიმის სალექსიკონო დეფინიცია შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: ტოპონიმი არის დედამიწაზე არსებული ბუნებრივ-ფიზიკური თუ ხელოვნური ობიექტის საკუთარი სახელი [შდრ., თეორიულ ონომასტიკაში მიღებულია დებულება: „Антропоним – любос имя человека, топоним – имя любого объекта природы“. იხ. Теория..., გვ. 17].

ყველაფერი, რაც დედამიწასთან არის დაკავშირებული, აღინიშნება ისევ და ისევ ბერძნული გეო სიტყვით (შდრ.: დედამიწის ზედაპირის შემსწავლელ მეცნიერებას – გეოგრაფია ეწოდება). აქედან გამომდინარე, ბუნებრივ-გეოგრაფიული ობიექტის საკუთარი (და არა ხელოვნური) სახელი აღინიშნება

ტერმინით გეონიმი (გეოტოპონიმი).

მიუხედავად იმისა, რომ ტოპონიმი „ადგილის სახელი“, საკუთრივ ბუნებრივ-გეოგრაფიული ობიექტის გარდა, ადამიანის ხელით შექმნილი (ხელოვნური) ობიექტის საკუთარ სახელსაც აღნიშნავს, ქართულშიც და ბევრ სხვა ენაშიც, ტრადიციულად, „ტოპონიმის“ სინონიმურ ტერმინად ითვლება „გეოგრაფიული სახელი“, „გეოგრაფიული სახელწოდება“ (მდრ. რუს.: топоним//географическое название// географическое имя; გერმ. Toponym// geographischer Name/ /Geotoponym; ინგლ. toponym//place-name; ფრ. toponyme// nom delieu).

ტოპონიმთა ერთობლიობას ტოპონიმია ეწოდება (მაგ.: საქართველოს ტოპონიმია, კახეთის ტოპონიმია, ანაგის ტოპონიმია), ხოლო ონომასტიკის ქვედარგს, რომელიც შეისწავლის ტოპონიმებს, მათი წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების თეორიულ თუ პრაქტიკულ საკითხებს – ტოპონიმია. აღ. დღონტი ტოპონიმეიკას თვლის „ლექსიკოლოგიის ნაწილად“, ხოლო ა. სუპერანსკაია – „ლექსიკოლოგიის დარგად“. ახლო წარსულში ტოპონიმია და ტოპონიმეიკა სინონიმურ ტერმინებად ითვლებოდა. ამის გამოძახილია ქველ-ისეული განმარტება: „ტოპონიმეიკა (ბერძ.) – რომელიმე ქვეყნის, მხარის გეოგრაფიულ სახელთა ერთობლიობა“ (იხ. აგრეთვე: Словарь иностранных слов, М., 1990; უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბ., 1964). აღნიშნული ტერმინები დაზუსტებული და სწორადაა განმარტებული ქსე-ს მე-10 ტომში წარმოდგენილ სტატიაში „ტოპონიმეიკა“ (ავტ. შ. აფრიდონიძე). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის მეცნიერები, რომლებიც ტერმინ „ტოპონიმეიკას“ იყენებენ „ტოპონიმის“ მნიშვნელობით, ონომასტიკის ქვედარგს, რომელიც ტოპონიმებს შეისწავლის, „ტოპონომასტიკას“ უწოდებენ.

დედამიწის ზედაპირის ერთი ნაწილი ხმელეთს უჭირავს, მეორე – წყალს. ხმელეთსაც და ზღვასაც აქვს ლანდშაფტი და რელიეფი (რელიეფი – დედამიწის ზედაპირის სხვადასხვა უსწორმასწორობანი; ლანდშაფტი – დედამიწის ზედაპირის ნაწილის საერთო ხედი, პეიზაჟი). რელიეფი შეიძლება იყოს დადებითი (მაგ.: მთები, ბორცვები) და უარყოფითი (ღრმულები,

ნაპრალები, კარსტული ორმოები; მიწისქვეშ შეიძლება იყოს მღვიმე, გამოქვაბული, ეხი). ხშირია ჰიდროგრაფიული, ე.ი. წყალთან დაკავშირებული ობიექტები, რომლებიც აგრეთვე საჭიროებენ საკუთარი სახელით აღნიშვნას.

ბუნებრივი ობიექტების (დენოტატების) მიხედვით ტოპონიმთა კლასიფიკაცია ასეა წარმოდგენილი ონომასტიკურ ლიტერატურაში: ჰიდრონიმი, ორონიმი, დრიმონიმი, ფიტონიმი, ოიკონიმი, ქორონიმი, ურბანონიმი, ეკლესიონიმი და სხვ.

ა. ჰიდრონიმი ნებისმიერი ჰიდროგრაფიული (წყლის, წყლიანი) ობიექტის (ბუნებრივისა თუ ხელოვნურის) საკუთარი სახელია. ტერმინისათვის ამოსავალია ბერძნ. სიტყვა ჰიდრო „წყალი“, რაც ჰიდრო ფორმით მრავალი რთული სიტყვის პირველ კომპონენტს წარმოადგენს და აღნიშნავს „წყლისას“, „წყალთან დაკავშირებულს“, მაგ.: ჰიდროგრაფია – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის და აღწერს დედამიწის ზედაპირის წყლებს; ჰიდროლოგია – მეცნიერება, რომელიც შეისწავლის წყლის სივრცეებს, წყლის მიმოქცევას დედამიწის ზედაპირზე; ჰიდროთვითმფრინავი – წყლის თვითმფრინავი (იგულისხმება ისეთი თვითმფრინავი, რომელსაც შეუძლია წყლის ზედაპირზე დაფრენა-აფრენა) და სხვ.

ჰიდრონიმთა წარმოებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ლიტერატურული და დიალექტური (ზოგ შემთხვევაში ძალზე ვიწროლოკალური, ერთ ან რამდენიმე სოფელში გავრცელებული) ჰიდროგრაფიული ნომენები (იშვიათად ჰიდროლოგიურ ტერმინებსაც უწოდებენ), ანუ წყლის (წყლიანი) ობიექტის აღმნიშვნელი საზოგადო სახელები, როგორცაა: წყარო, ტბა, მდინარე, ნოყო, ლენჯყი... სიტყვის სალექსიკონო ერთეულს, რომელიც წარმოადგენს ჰიდრონიმს ან რთული ჰიდრონიმის ერთ-ერთ კომპონენტს, ეწოდება ჰიდროლექსემა, მაგ.: ღრმა დელე შედგება ორი ჰიდროლექსემისაგან (ღრმა, დელე), ხოლო ციხისჯვრის წყალი – სამი ჰიდროლექსემისაგან (ციხის, ჯვრის, წყალი), მაგრამ თავად ბორჯომულა, რომელსაც ერთვის აღნიშნული მდინარე, ერთსიტყვიანი ლექსემაა. ჰიდროლექსემის იმ ნაწილს კი, რომელსაც დაერთვის საფლექსიო თუ სადერივაციო მორფემები, უწოდებენ ჰიდროფლექსემა. იშვიათ შემთხვევაში ენას მოეპოვება ჰიდრონიმის წარმომქმნე-

ლი სპეციფიკური (საგანგებო) ფორმანტი, რომელსაც ჰიდროფორმანტს უწოდებენ. ქართულში ჰიდროფორმანტია — ურა//—ულა, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ერთვის ტოპოფუძეს. მაგ.: ჩარგალი → ჩარგლულა (ფშავში), კაცხი → კაცხურა (იმერეთში), ბრეთი → ბრეთულა (ქართლში)...

ჰიდრონიმთა ერთობლიობას ეწოდება ჰიდრონიმია, ხოლო აპელატივის ან სხვა თანრიგის საკუთარი სახელის გადაქცევას ჰიდრონიმად — ჰიდრონიმიზაცია. ტოპონიმიკის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ჰიდრონიმებს, მათ წარმოშობის, განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს, არის ჰიდრონიმიკა. ჰიდრონიმთა სიას ან ლექსიკონს, ან კიდევ ამა თუ იმ რეგიონის ჰიდრონიმთა ერთობლიობას ჰიდრონიმიკონს უწოდებენ.

ჰიდრონიმიკულ ლიტერატურაში ხშირად შევხვდებით ორ ტერმინს: ჰიდრონიმული, ე. ი. ჰიდრონიმისათვის დამახასიათებელი, ჰიდრონიმთან დაკავშირებული, და ჰიდრონიმიკული — ჰიდრონიმისათვის დამახასიათებელი, ჰიდრონიმიკასთან დაკავშირებული. მაგ.: ჰიდრონიმიკული ატლასი — ატლასი, რომლის რუკებზეც აღნიშნულია ამა თუ იმ რეგიონის ჰიდრონიმთათვის დამახასიათებელი ფაქტები და მოვლენები; ჰიდრონიმიკული ტერმინი — ტერმინი, რომელიც გამოიყენება ჰიდრონიმიკის ცნებებისა და კატეგორიების აღსანიშნავად, როგორცაა: ჰიდრონიმი, ჰიდრონიმია, ჰიდრონიმიკა, ჰიდრონიმიზაცია, ჰიდროლექსემა, ჰიდროფორმანტი, ჰიდრონიმისტი (ჰიდრონიმის მკვლევარი), სუბსტრატული ჰიდრონიმი და სხვ.

ისევე როგორც ტოპონიმაში, ჰიდრონიმაშიც შეიძლება არსებობდეს კალკი, ანუ სხვა ენიდან სრულად ან ნაწილობრივ თარგმნილი საკუთარი სახელი, მაგ.: ბერძნ. პონტოს მელას („შავი ზღვა“), სპარს. ახშაენა („მუქი ზღვა“), თურქ. ყარადენიზ („შავი ზღვა“), რუს. Черное море, ქართ. შავი ზღვა.

ჰიდრონიმთა კლასში გამოიყოფა რამდენიმე კატეგორია სახელსაღებო ობიექტების (დენოტატის) სახეობათა მიხედვით:

ლიმნონიმი ტბის, ტბორის, გუბურის, წყალსაცავის და მისთ. საკუთარი სახელია (ბერძ. ლიმნე „ტბა“), მაგ.: თავფარავანი, ტობავარჩხილი, წუნდის ტბა, პალიასტომი, სამგორის წყალსაცავი (იგივე „თბილისის ზღვა“).

ოკეანონიმი. ამ ტერმინით აღინიშნება ოკეანისა და მისი ნაწილების, მათ შორის ზღვის, ყურის, სრუტის, დინების საკუთარი სახელი. მაგ.: ინდოეთის ოკეანე, ხმელთაშუა ზღვა, ბოსფორი, გოლფსტრიმი... ოკეანონიმში იგულისხმებოდა ოკეანის წყალქვეშა ლანდშაფტის (ღრმულის, ქედის, ნაპრალის, მეჩეჩის, მარჩხობის...) საკუთარი სახელიც, მაგრამ XX ს. ოთხმოციან წლებში ამ სახეობის ჰიდრონიმებისათვის შემოთავაზებულ იქნა ტერმინი ბათიონიმი (ბერძ. ბათოს „სიღრმე“). ონომასტიკაში ზღვისა და მისი ნაწილების საკუთარი სახელების აღმნიშვნელი ტერმინიც გამოიყენება. ესაა პელაგონიმი (ბერძ. პელაგოს „ზღვა“), მაგ.: შავი ზღვა, სინოპის უბე, ბოსფორის სრუტე...

ნებისმიერი მდინარის (დიდისა თუ მცირესი) საკუთარ სახელს აღნიშნავენ ტერმინით პოტამონიმი (ბერძნ. პოტამოს „მდინარე“), მაგ.: მტკვარი, ალაზანი, დიღმისწყალი, შავწყალა... პოტამონიმთა ერთობლიობა, არის პოტამონიმია. შდრ. პოტამოლოგია – ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის მდინარეებს.

ჰიდრონიმის კიდევ ერთი სახეობაა აღნიშნული საგანგებო ტერმინით. ეს არის ჰელონიმი, ანუ ჭაობისა თუ დაჭაობებული ადგილის საკუთარი სახელი (ბერძნ. ჰელოს „ჭაობი“).

ბ. ორონიმი. ბერძნ. ოროს სიტყვის მნიშვნელობაა „მთა“, ხოლო ოროგრაფია არის ფიზიკური გეოგრაფიის ნაწილი, რომელიც შეისწავლის დედამიწის ზედაპირის რელიეფს, ანუ უსწორმასწორობებს. უსწორმასწორობები ძირითადად ორგვარია – დადებითი (მთები, ბორცვები, მალლობები, თუნდაც მცირე შემალლებანი) და უარყოფითი (ღრმულები, ნაპრალები, ორმოები, ხევები). რელიეფში იგულისხმება ვაკე-დაბლობები. მაშასადამე, ორონიმი ნებისმიერი ოროგრაფიული ობიექტის (დედამიწის ზედაპირის დადებითი და უარყოფითი ფორმის)

საკუთარი სახელია, მაგ.: მყინვარწვერი, საგურამოს მთა, თრიალეთის ქედი, თბილისის ქვაბული, ალაზნის ველი (ზოგი მკვლევარი ავიწროებს ტერმინის მნიშვნელობას და ორონიმში მხოლოდ მთებისა და ქედების საკუთარ სახელებს გულისხმობს).

ონომასტიკაში დამკვიდრებული ტერმინთ წარმოების შესაბამისად, ორონიმთა ერთობლიობა იქნება ორონიმია, ხოლო ორონიმთა წარმოქმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებებს შეისწავლის ტოპონიმიკის ნაწილი – ორონიმიკა. ამასთანავე, ორონიმთა სიას ან ლექსიკონს სათანადო ენობრივი და გარეენობრივი განმარტებებით ორონიმიკონს უწოდებენ.

გ. დრიმონიმი. ფიტონიმი. დედამიწის ზედაპირზე არსებულ ბუნებრივ ობიექტთა შორის არის ტყეებიც და ცალკეული ხეებიც. საკუთარი სახელი მათთვისაც არის საჭირო. კერძოდ: ტყის, კორომის, ტევრის საკუთარი სახელი აღინიშნება ტერმინით დრიმონიმი (ბერძნ. დრიმოს „ტყე, ტევრი“), მაგ.: ბუნდარაულების ტყე, ბარდიანი, ყანჩაველი, ყრუ ჩირდილი, ქალბატონის ტყე, ტყემლიანი (ყველა მცხეთის რ-ში).

ცალკეული ხე, რომელიც რაიმე ნიშნით გამოირჩევა ტყეში ან ველზე, თვალსაჩინო ორიენტირია ადამიანთა კოლექტივისათვის. მაგრამ სხვადასხვა პერიოდში და სხვადასხვა ხალხებში ზოგი ჭიშის ხეს ჰქონდა (და ზოგან დღესაც აქვს) არა მარტო საორიენტაციო, არამედ საკულტო დანიშნულებაც. საერთოდ, მცენარეთა კულტი ანიმისტური შეხედულების ერთ-ერთი გამოვლენაა (ადამიანს სჯეროდა, რომ ყველა საგანს აქვს სული). ამ მხრივ გამორჩეული ადგილი უკავია მუხას. მუხის თაყვანისცემა ფართოდ იყო გავრცელებული ალბათ მისი მერქნის განსაკუთრებული თვისებებისა და, იშვიათად, უცნაური ფორმის გამოც. მუხის საკუთარი სახელები ძველი აღთქმის წიგნებშიც გვხვდება. უფლის ნებით ქანაანს მიღწეული აბრამი ხებრონის მახლობლად „მამრეს მუხებთან“ (მამრე პირსახელია) დამკვიდრდა. მამრეს მუხები თანამედროვე ონომასტიკაში ითვლება ანიმისტური ეპოქის ფიტონიმად (შემდგომში აქ ბა-

ზილიკა ააშენეს და უწოდეს აბრაამის მუხა). ძველ აღთქმაში სხვაგანაც გვხვდება მუხის საკუთარი სახელი, მაგალითად ალონ-ბაქუთი „მუხა გლოვისა“ და სხვ. მუხა საკულტო მცენარე იყო ქართველთა წინაპრებისათვისაც და დღესაც, იქ, სადაც ეკლესიის ნაშთებიც კი არაა, ქრისტიანული ღვთისმსახურება მუხის (იშვიათად სხვა ხის) ქვეშ ტარდება. რაჭის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდინარე ხეორის (რიონის მარცხ. შენაკადი) ორ მდგენელს შორის გორაზე არის სალოცავი „ქოლოსი“. იგი მუხის კორომს წარმოადგენს. XIX ს. 80-იან წლებში დღევანდელი მარტვილის რ-ნის სოფ. კიწიაში მღვდელმა მოაქრევეინა მაღალ გორაზე მდგარი ძველთაძველი მუხა და მისი ძირიც კი ამოწვა და ამოთხარა, რადგანაც ახლომახლო სოფლის მცხოვრებნი ამ მუხასთან მოდიოდნენ სალოცავად და მსხვერპლშეწირვისათვის (ამჟამად ამ ადგილს ეწოდება ჭყონ-ჯინჯი „მუხისძირი“. აქ რელიგიურ დღესასწაულებზე დღესაც ამოდიან).

ცალკეული ხის საკუთარ სახელს ფიტონიმი ეწოდება (ბერძნ. ფიტონ „მცენარე“). მსოფლიოში ცნობილია რობინ ჰუდის მუხა (ინგლისში, შერვუდის ტყეში), ჩეხოვის ცაცხვი (ზვენიგოროდში), უპოვართა ხე (იასნაია-პოლიანაში) და სხვ. ფიტონიმები გვხვდება თანამედროვე მხატვრულ ნაწარმოებებშიც (გაეიხსენოთ თუნდაც სამცააცხვი ლ. ქიაჩელის „ტარიელ გოლუაში“).

საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ფიტონიმებში გამოხატულია: 1. მცენარის ჯიში, სახეობა (მთიულეთში: ზმარტლაი, ურძენა; იმერეთში: თელა, ბორავაშლი); 2. კონფიგურაცია, გარეგნული სახე, ზომა, სიმაღლე (მთიულეთში: ოთხტოტაი სხალი; იმერეთში: მუხაკაკვილა, დიდთელა); 3. რაოდენობა, განმარტოებულობა (მთიულეთში: ვერხვები, სხლები; იმერეთში: ორნიგოზა, ცხრამუხა, ობოლი ფიქვი); 4. შინაგანი თვისებები, გემო (მთიულეთში: მჟავანა, მწარია, სხალტკვილი; იმერეთში: შაქარვაშლი, მწარე სხალი, კერკეტა); 5. კუთვნილება (მერებოს ცაცხვი, ღვდლის სხალი, სოსიანთ

პანტები, ხატის ტყემალი და სხვ.). ოიკონიმებად ქცეული -ებ და -ნ სუფიქსიანი ტოპონიმები კარგავენ მრავლობითობის გაგებას, მაგ., მსხლები (სოფლები სამაჩაბლოში), ჭანდრები (სოფელი ქართლში), ნიგავზები (სოფელი რაჭაში) და სხვ.

ფიტონიმიში ჭარბობს ზედაპირული, თვალშისაცემი თვისებებისა და დანიშნულება-კუთვნილების აღნიშვნა. ამასთანავე მაღალი და სქელვარჯიანი ხეების (მუხა, წიფელი, რცხილა) გარდა, საქართველოში საკუთარი სახელით იშვიათად დაბალი ხე-ბუჩქიც აღინიშნება (კვინცხა, ჯონჯოლი და სხვ.).

საკუთარ სახელს (ანთროპონიმს, ტოპონიმს), რომლის ძირეულ მორფემას მცენარის სახელი წარმოადგენს, ფიტოფორულ სახელს უწოდებენ. თავდაპირველად ცალკეული ხეების სახელები იყო და მეტონიმიის გზით ოიკონიმებად იქცნენ: ხემადალი, ხეკორძი, ხელრუ, ჭყონხუმლა (მეგრ. „გამხმარი მუხა“) და სხვ. ესენი ფიტოფორული ოიკონიმებია. საქართველოში იშვიათად ფიტოფორულ პირსახელსაც შევხვდებით, როგორცაა: ია (ქალის სახელი), ენძელა, ვარდო, მიმოზა, ...

ცალკეულ მცენარეთა სახელდების ენობრივი და გარეენობრივი საფუძვლები ერთნაირია ყველა ქართველურ ენაში. განსხვავებებს კი ქმნის დიალექტური ლექსიკა (რაც ასახავს რეგიონისათვის დამახასიათებელ ფლორას) და მორფოლოგია-სინტაქსი (ტერმინ ფიტონიმით აღინიშნება საზოგადო სახელიც (ე.ი. ბოტანიკური ნომენი), როგორცაა: მუხა, წიფელი, რცხილა... ამ მნიშვნელობით უფრო გამართლებულია ტერმინი ფიტონომენი).

საკუთარი სახელები ერქმევათ, გეოგრაფიულ, ეკონომიკურ თუ ისტორიულ ობიექტებსაც. ამ ობიექტების საკუთარი სახელები გარკვეული ტერმინით აღინიშნება, ესენია:

დ. ოიკონიმი; ქორონიმი. ოიკონიმი ნებისმიერი დასახლებული პუნქტის (ქალაქის, სოფლის, აულის) საკუთარი სახელია (ბერძნ. ოიკოს „სამკვიდრებელი, საცხოვრებელი“). მათ შორის: ასტიონიმი - ქალაქის საკუთარი სახელი (მაგ.: ქუთაისი, გორი, გურჯაანი) და კომონიმი - სოფლის საკუთარი სახელი (კოჭორი, ნორიო, მუხაესტატე, მექვენა). სათანადო

ერთობლიობა აღინიშნება ტერმინებით: ოიკონიშია, ასტიონიშია, კომონიშია. ოიკონიშიას შეისწავლის ოიკონიშიკა. ოიკონიშთა სია ან ლექსიკონი იქნება ოიკონიშიკონი.

ტოპონიშთა ერთ-ერთ კლასს ქმნიან ქორონიშები. ტერმინი ქორონიში აღნიშნავს ნებისმიერი გეოგრაფიული, ეკონომიკური, ისტორიული, ადმინისტრაციული რეგიონის, ტერიტორიის, ოლქის, რაიონის საკუთარ სახელს (ბერძნ. ქორა „მზარე, ქვეყანა“). მათ შორის გამოიყოფა:

ადმინისტრაციული ქორონიში – ოფიციალური დოკუმენტაციით შემოსაზღვრული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (სახელმწიფოს, მზარის, ოლქის, რაიონის, საკრებულოს) ოფიციალური სახელწოდება, მაგ.: საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, მცხეთის რაიონი...

საქალაქო ქორონიში – ქალაქის ტერიტორიის, რაიონის, უბნის, კვარტლის, პარკის სახელწოდება (იმავე დროს, ურბანონიშიაშიც შედის), მაგ.: დიდუბე, ვაკის პარკი, ბოტანიკური ბაღი (ეწოდა ციხის ბაღს 1854 წელს. მდებარეობს ნარიყალას ციხესთან) და სხვ.

ბუნებრივ-ლანდშაფტური ქორონიში – ბუნებრივ-გეოგრაფიული ოლქის საკუთარი სახელი, მაგ.: კოლხეთის დაბლობი, დავით-გარეჯის უდაბნო, შირაქის ვაკე, ივრის ზეგანი და სხვ.

ე. ურბანონიში. ქალაქებში არის ასეულობით, ხოლო დაბასოფლებში ათობით ტოპოგრაფიული ობიექტი, როგორცაა: ქუჩა, შესახვევი, გამზირი, მოედანი, პარკი, ბაზარი... მათ მოეპოვებათ საკუთარი სახელები. ამგვარი შიდასაქალაქო (იშვიათად: სადაბო, სასოფლო) ობიექტის საკუთარი სახელისათვის დამკვიდრებულია ტერმინი ურბანონიში (ლათ. ურბანუს „ქალაქური“, „საქალაქო“. შდრ.: ურბანიზაცია – ქალაქების როლის ზრდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში; საწარმოო ძალთა და მცხოვრებთა თავმოყრა მსხვილ ქალაქებში). ურბანონიში შეიძლება იყოს: აგორონიში, ეკლესიონიში, ოიკოდომონიში, საქალაქო ქორონიში, პოდონიში.

აგორონიმი (ბერძნ. აგორა „მოედანი, ბაზარი“) ქალაქის მოედნის, ბაზრის საკუთარი სახელია (მაგ.: თავისუფლების მოედანი, დეზერტირების ბაზარი...), ხოლო ჰოდონიმი (ბერძნ. ჰოდოს „გზა, ქუჩა, მდ. კალაპოტი“) - ქალაქის სახაზო (სიგრძივი) ობიექტისა, კერძოდ, პროსპექტისა, ქუჩისა, შესახვევისა, ჩიხისა, გასასვლელისა, სანაპიროსი (მაგ.: რუსთაველის პროსპექტი, დოლიძის ქუჩა, რკინის შესახვევი, მარჯვენა სანაპირო).

ასევე შეიძლება გამოიყოს: საქალაქო ქორონიმი (იხ. ქორონიმი), საქალაქო ეკლესიონიმი (იხ. ეკლესიონიმი) და ოიკოდომონიმი - შენობის, როგორც ხელოვნების ძეგლის, საკუთარი სახელი (ბერძნ. ოიკოდომე „შენობა, ნაგებობა“), როგორცაა მსოფლიოში ცნობილი: პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი, პიზის კოშკი, ოქროს ტაძარი (ინდოეთი), კაპიტოლიუმი (აშშ კონგრესის რეზიდენცია), პენტაგონი (აშშ თავდაცვის სამინისტროს შენობა და სხვ. თბილისშიც ერქვა და დღესაც ეწოდებათ საკუთარი სახელები, ძველი ისტორიული მნიშვნელობისა ახალ სახლებს მაგ.: 1896 წლის ქ. თბილისის გეგმაზე ბოტანიკური ბაღის მახლობლად დატანილია მუნთუ-ანთ დარბაზი (აქ მუნთუაშვილს ჰქონია გასაქირავებელი საქორწილო დარბაზი); მტკვრის მარჯვ. სანაპიროზე, თათრის მოედნის ჩრდ.-აღმოსავლეთით იდგა ზარაფხანა - ფულის საქრელი და შესანახი სახლი (დაინგრა 1895 წ. აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას). სხვა მაგალითები: თერთმეტსართულიანი (სახლი გმირთა მოედანზე. აშენების მომენტში ყველაზე მაღალი შენობა იყო თბილისში), რუსთაველის თეატრი, მიხეილის საავადმყოფო, ზუბალაშვილების სახლი. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი ოიკოდონიმი იშვიათად გამოიყენება (შიდასაქალაქო და შიდასადაბო ობიექტები ამასთანავე მიკროობიექტებია და ამიტომაც მათს სახელწოდებებს აღნიშნავენ ტერმინ მიკროტოპონიმიტაც).

ვ. ტოპონიმთა ერთ-ერთი სახეობაა დრომონიმი, ანუ ნებისმიერი სამიმოსვლო გზის (სახმელეთო, საზღვაო-სამდინარო, საჰაერო, მიწისქვეშა) საკუთარი სახელი (ბერძნ. დრომოს

ონოპასტიკის შესავალი

„გზა“). მაგ.: სამთიულო (გზა, რომელიც მთიულეთიდან გადადიოდა ქართლში), საქართველოს სამხედრო გზა, ავიახაზი „თბილისი-პარიზი“ (შიდასაქალაქო ქუჩები, გარდა ტრასებისა, აქ არ შემოდის).

ზ. ეკლესიონიმიც ტოპონიმის სახეობაა (ბერძნ. ეკლესია „შეკრება, შეკრების ადგილი; ეკლესია“). იგი აღნიშნავს საკულტო წეს-ჩვეულებათა აღსრულების, რელიგიური თაყვანისცემის ადგილის, კერძოდ ეკლესიის, ნიშის, სახატის, საჯვარის, ცალკე მდგომი საკურთხევის, წმინდა ქვის, სალოცავი ხისა თუ წყაროს საკუთარ სახელს. მაგ.: ანჩისხატი, ბეთანია, შიომღვიმე, განდგეილი (ერქვა სამლოცველოს მთაწმინდაზე), სახატე (ადგილი შავნაბადის მთაზე), კოპალიონთჯვარი (ფშავში), ქოლოსი – მუხათა კორომი ხეორის ორ სათავე მდგენელს შუა (სოფ. ხართვალში) და სხვ.

§ 4. იდეონიმები და პრაგმატონიმები

ადამიანთა მოღვაწეობა ან გონებრივია, ან პრაქტიკული. ამის მიხედვით უკანასკნელი სამი ათწლეულის განმავლობაში საკუთარი სახელები დაიყო იდეონიმებად და პრაგმატონიმებად.

იდეონიმი აღნიშნავს საკუთარ სახელს, რომლის დენტატიც გონებრივი (იდეოლოგიური, მხატვრული, მეცნიერული, სახვითი) მუშაობის, მოღვაწეობის შედეგია (ლათ. იდეა „იდეა“). იდეონიმებში შედის (ჯერჯერობით პირობით) საკუთარ სახელთა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა: არტიონიმი, ბიბლიონიმი, დოკუმენტონიმი, პოეტონიმი, ქრონონიმი, ჰემერონიმი, ჰეორტონიმი (პოდოლსკაია, 1988, გვ. 61).

არტიონიმი – სახვითი ხელოვნების (მხატვრობა, გრაფიკა, პლასტიკა) ნაწარმოების საკუთარი სახელი (ლათ. არტოს „ხელოვნება“), მაგ., თბილისში დადგმული ძეგლების სახელები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, გიორგი სააკაძე, ქართველის დედა და სხვ.

ბიბლიონიმი – ნებისმიერი მხატვრული, რელიგიური, სამეცნიერო, პოლიტიკური და სხვა სახის ნაწარმოების სათაური (ბერძნ. ბიბლან „წიგნი“, მრ. რიცხვში – ბიბლია).

დოკუმენტონიმი – ცალკეული მნიშვნელოვანი დოკუმენტის (ვთქვათ, საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ზავის, ხელშეკრულების...) საკუთარი სახელი.

პოეტონიმი (პოეტური ონიმი) – მხატვრული ნაწარმოების პერსონაჟის სახელი, რომელიც, ნომინაციური (სახელდებით) ფუნქციის გარდა, შეიცავს პერსონაჟის დახასიათებას, აქვს სტილისტიკური და იდეოლოგიური დატვირთვა (ბერძნ. პოეტია „შემოქმედების ხელოვნება“). პოეტონიმი შეიძლება იყოს შემოქმედის მიერ მოგონილიც და რეალურად არსებულიც.

პოეტონიმის ფუნქციით გვხვდება ანთროპონიმიც, ტოპონიმიც, ურბანონიმიც, თეონიმიც, ზოონიმიც და ა. შ. (მათეწოდებათ: პოეტიკური ანთროპონიმი, პოეტიკური ტოპონიმი, პოეტიკური ზოონიმი და ა.შ.). პოეტონიმის კერძო შემთხვევაა ე. წ. „მოლაპარაკე“ საკუთარი სახელი. იგი შემოქმედის მიერაა სპეციალურად შექმნილი დენოტატის დადებითი ან უარყოფითი თვისებების წარმოსაჩენად და, ამდენად, სემანტიკურად გამჭვირვალეა (იხ. მეოთხე თავში: პოეტიკური ონომასტიკა).

ქრონონიმი ისტორიული მნიშვნელობის მქონე დროის მონაკვეთის საკუთარი სახელია (ბერძნ. ქრონოს „დრო, ხანა“), მაგ.: ელინიზმი (რომის იმპერიის ისტორიული ეპოქა – ძვ. წ. IV-I სს.), რენესანსი, იგივე აღორძინება (კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდი XIV – XVI სს. ევროპაში), ოქროს ხანა (ასე უწოდებენ თამარ მეფის პერიოდს), შუა საუკუნეები და სხვ.

ჰემერონიმი – პერიოდული ბექდვითი ორგანოს – გაზეთის, ჟურნალის, საინფორმაციო ბიულეტენის – საკუთარი სახელი (ბერძნ. ჰემერა „დღე, დღე-ღამე“), მაგ.: „კვირის პალიტრა“, „ალია“, „თბილისელები“ და სხვ.

საკუთარ სახელთა (ტოპონიმების, ანთროპონიმების, ეთნონიმების, ზოონიმების...) დიდი ნაწილი, ჩვეულებრივ,

სტიქიურად, ხშირ შემთხვევაში წერა-კითხვის უცოდინარი ხალხის მიერ იქმნება... „მაგრამ არის ენის, კერძოდ, საკუთარ სახელთა ფუნქციონირების ისეთი სფეროებიც, რომელთაც მხოლოდ ინტელიგენცია უძღვება, ან არეგულირებს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ითქმის პრესის შესახებ, რადგანაც სახელმძღვანელო პირი თუ ჯგუფი თავისი ლიტერატურული გამოვნებისა და სპეციალობის წყალობით მეტ-ნაკლებად ახერხებს სახელწოდებაშივე მიაჩინოს თავისი საქმიანობის, მოღვაწეობის პროგრამა და მიზანი“ (ტაბიძე, 1989, გვ. 341).

ჰეორტონიმი (ბერძნ. ჰეორტე „დღესასწაული“), ნებისმიერი საერო თუ რელიგიური დღესასწაულის, ზეიმის, ფესტივალის, ღირსსახსოვარი თარიღის საკუთარი სახელია. მაგ.: აღდგომა, შობა, ახალი წელი, 26 მაისი (საქართველოს დამოუკიდებლობის დღე), 14 აპრილი (ქართული ენის დღე), 1 ივნისი (ბავშვთა დაცვის დღე) და სხვ.

იდენიმებს შეიძლება ჰქონდეთ მრავლობითი რიცხვის ფორმაც, მაგ.: „დათვები“ (ბათუმის რაგბისტთა გუნდი), „ქუჩის ბიჭები“ (საესტრადო ჯგუფი), „ახლები“ ანუ „ახალი მემარჯვენეები“ (პოლიტიკური გაერთიანება) და სხვ.

პრაგმატონიმი. ტონიმიში იგულისხმება არა მარტო ფიზიკურ-გეოგრაფიული, ანუ ბუნებრივი ობიექტის სახელები, არამედ აგრეთვე ადამიანის ხელით შექმნილი ზოგი უძრავი ობიექტის საკუთარი სახელიც. ადამიანი გულხელდაკრეფილი კი არ შეჰყურებდა ბუნების წყალობას, არამედ საუკუნეთა განმავლობაში ქმნიდა და დღესაც ქმნის დასახლებებს, გზებს, ქუჩებს, აშენებს სახლებს, ციხე-დარბაზებს, ხიდებს... რომელთაც აგრეთვე ერქმევათ საკუთარი სახელები.

ბოლო სამი ათეული წლის რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურაში ხშირად გვხვდება ტერმინი პრაგმატონიმი (ბერძნ. პრაგმა „მოქმედება, საგანი, ნივთი“), მაგრამ მისი მნიშვნელობა საბოლოოდ ჯერ კიდევ არ არის დადგენილი და ერთმნიშვნელოვნად მიღებულ-გამოყენებული. 1978 წელს გამოცემული „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის“

მიხედვით, პრაგმატონიმი არის ნომენი (და არა ონიმი), რომელიც შემოთავაზებულია სავაჭრო საქონლის სახეობის, ჯიშის, მარკის აღმნიშვნელ ტერმინად, მაგ.: „სავსე მთვარე“ (ქრიზანთემის ჯიში), „უიგული“ (მსუბუქი ავტომანქანის მარკა), წინანდალი (ღვინის მარკა) და სხვ. (Подольская, 1978, გვ. 113).

ამავე ლექსიკონის 1988 წლის გამოცემაში კი პრაგმატონიმი წარმოდგენილია ისევ და ისევ პირობით ტერმინად, ოღონდ ამჯერად ადამიანის პრაგმატული (პრაქტიკული) მოღვაწეობით შექმნილი ობიექტის საკუთარ სახელად (და არა ნომენად), როგორცაა: ქრემატონიმი (მატერიალური კულტურის საგნის სახელი), პორეიონიმი (ტრანსპორტის სახეობის სახელი), ოიკონიმი (დასახლებული პუნქტის სახელი), ოიკოდომონიმი (შენობის სახელი), ურბანონიმი (შიდასაქალაქო ობიექტის სახელი), დრომონიმი (გზის სახელი), აგროონიმი (დამუშავებული მიწის ნაკვეთის სახელი) და სხვ. (Подольская, 1988: 16, 110).

კოლექტიურ მონოგრაფიაში „Теория и методика топонимических исследований“ (М., 1986, 11) მოცემული განმარტება ძალზე ავიწროებს „პრაგმატონიმის“ ტერმინოლოგიურ მნიშვნელობას: „прагматонимы – обозначение марок машины, механизмов, агрегатов“) და იგი დასახელებულია პორეიონიმისა და ქრემატონიმის გვერდით.

ქრემატონიმი. მატერიალური კულტურა ცნობილია ადამიანის მიერ შექმნილი ან მოპოვებული მრავალი უნიკალური საგნით, როგორცაა: იარაღი, მუსიკალური ინსტრუმენტი, საიუველირო ნაწარმი, ძვირფასი ქვა, ავეჯი, ჭურჭელი. მათაც აქვთ დამკვიდრებული საკუთარი სახელები, რომელნიც აღინიშნებიან ტერმინით ქრემატონიმი (ბერძნ. ქრემა, ქრემატოს „საგანი, ნივთი“). მაგ.: „მეფე-ზარბაზანი“ (ზარბაზანი იწონის 40 ტონას. ჩამოსხმულია XVI ს-ში. დგას მოსკოვის კრემლში), „მონომახის ქუდი“ (ალმასი), „აქლემი“ (თვითნაბადი ოქრო), „აბრაში“ (საბანი), „კატერინა“ (ჩაის ფინჯანი). ტერმინ ქრემატონიმის მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება ქტემატონი-

მი (შდრ.: ქრემატიტიკა - მოძღვრება ფულის ერთეულებსა და უსულს საგნებზე).

ფალერონიმი. **ერგონიმი.** ონიმის კიდევ რამდენიმე სახეობის საკუთარი სახელი აღინიშნება ტერმინით: ფალერონიმი ორდენის, მედლის, სხვადასხვა სახის წარჩინების ნიშნების სახელწოდებაა (მათს ისტორიას შეისწავლის ფალერისტიკა); **ერგონიმი** არის საკუთარი სახელი ადამიანთა საქმიანი გაერთიანებისა, როგორცაა: ორგანიზაცია, კავშირი, კორპორაცია, კომპანია, დაწესებულება, სასწავლებელი, საწარმო, საზოგადოება, წრე და სხვ. (ბერძნ. **ერგონ** „შრომა“, „საქმიანობა“, „მოქმედება“). მაგ.: გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო), საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), საკვები პროდუქტების მწარმოებელი კომპანია „ნიკორა“, სადაზღვევა კომპანია ალდაგი (← ალექსანდრე, დავითი, გიორგი), შპს „თბილისის მეტროპოლიტენი“, ერისიონი, რუსთავი და სხვ. (ზოგ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა **ერგონიმი** და იმ შენობის სახელი, რომელიც დენოტატს უკავია. დაზუსტების მიზნით რუსულ ონომასტიკაში შემოთავაზებულია ქალაქებისა და ქალაქგარეთა შენობების, აგარაკების საკუთარი სახელი აღინიშნოს ტერმინით **ოიკოდომონიმი** (იხ. ზემოთ).

ანემონიმი. ცალკე უნდა განვიხილოთ ონიმის კიდევ ერთი კატეგორია - ანემონიმი. ასე აღინიშნება სტიქიურ უბედურებათა (ქარიშხლების, ცუნამების, ტაიფუნების, ციკლონების, ურაგანების) საკუთარი სახელები (ბერძნ. ანემოს „ქარი“. შდრ. ანემომეტრი - ქარის სისწრაფის საზომი ხელსაწყო). 1953 წლიდან ამინდის საერთაშორისო ბიურომ დაადგინა, ურაგანებისათვის ოფიციალურად მიენიჭებინათ ქალის საკუთარი სახელები, კერძოდ, წლის პირველ ურაგანს უნდა დაერქვას ალისა, ალმა ან აბი, მეორე ურაგანს - ბეტსი ან ბრენდა, მესამეს - კლეო და ა.შ.

§ 5. ზოონიშია და ზოონიშიკა

ზოონიში (ბერძნ. ზოონ „ცხოველი“) ონიშის ერთ-ერთი სახეობაა, კერძოდ, ნებისმიერი ცხოველის (შინაურის, ზოოპარკის ბინადრის, საცდელის, სამსახურის, ცირკის) საკუთარი სახელია. ზოონიშთა ერთობლიობას ზოონიშია ეწოდება, ხოლო ონომასტიკის დარგს, რომელიც ზოონიშებს შეისწავლის – ზოონიშიკა.

როგორ წარმოიქმნება ზოონიში? მოვიყვანთ ერთ ადგილს მოზარდ მაყურებელთა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის – ნიკა ჯანდიერის – მიერ ჟურნალისტიკატვის მიცემული ინტერვიუდან: მე და ჩემი და კუს ტბაზე უპატრონო ძაღლს გადავეყარეთ. როგორც ჩანს, გამოგვევა, დილით ჩვენს კართან ვნახეთ ჩაცუცქული. შევიფარეთ, „ცუქკა“ დავარქვით და უკვე ათი წელია, ჩვენი ოჯახის წევრია (გაზ. „ალია“, 13-15 აპრილი, 2002). სხვა შემთხვევაში შეიძლება ზოონიშის ფუძე პატრონის გვარი ან სახელი იყოს. მწერალ გივი ჯოხაძის მოთხრობა „ლობჯანაში“ ვკითხულობთ: „ლობჯანამ იცოდა, ლობჯანას რომ ეძახდნენ, მაგრამ რატომ, ეს ოქროსფერი ულავისთვის გაურკვეველი იყო. მხოლოდ ხალხმა იცოდა, რომ იგი ვიღაც ლობჯანიძეს ეკუთვნოდა და სხვა სახელი რომ ვერ გამოუძებნეს, ლობჯანა დაარქვეს“. საერთოდ საქართველოს რეგიონებში მრავალი საინტერესო (ენობრივი თუ გარეენობრივი თვალსაზრისით) ზოონიში გვხვდება. მაგალითად სოფ. ზემო ბოდბეში ჩაწერილია ფუტკარა – ძროხა („ყავისფერია და შავი ზოლები აქვს“), სანთელა – თხა („სანთელივით გრძელი და წვრილი რქები აქვს“), ყორანა – ცხენი („ყორანივით შავია და თანაც საშინლად ჭიხვინებს“), ბირკა – ძაღლი („ბავშვებს მინდორში უპოვიათ ბირკიანი ლეკვი და ბირკა შეარქვეს“), კასანდრა – კატა („კობტა და ლამაზი კატაა და კინოსერიალის პერსონაჟის სახელი დაარქვეს“).

სამეცნიერო ლიტერატურაში სპეციალურად არის აღნი-

შნული, რომ ისეთ ცხოველებს, როგორცაა ცხვარი, ღორი და ფრინველი, ჩვეულებრივ, ინდივიდუალური საკუთარი სახელები არ მოეპოვებათ (სუპერანსკაია, 1973, გვ. 179). ქართულ სინამდვილეში ზოგ ამგვარ ცხოველსაც მოუძებნიან გარეგნობისა თუ ხასიათის შესაფერის სახელს. მაგალითად, იმავე ზემო ბოდბეში ჩაწერილია თხის სახელები - ბაკიბუკა, თაფლა, ნაცარა და სხვ., ცხვრისა - ლუსი, ჟანა და სხვ. ქათმისა - ბრაზუნა, კაკანა, მტრედა და სხვ. იხვისა - ბაჭბაჭა, ვიტვიტა და სხვ. ინდაურისა - ირაო, სირაქლემა და სხვ.

ყოველ ენაში მოიპოვება ზოონომენები, ე. ი. ლექსემები, რომლებიც ტრადიციულად აღნიშნავენ ცხოველ-ფრინველს ფერის, ასაკის, სქესისა თუ სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით... ამგვარი სპეციალური საზოგადო სახელები, რომლებიც, ფაქტობრივად, გარკვეული ნიშნით აკონკრეტებენ დენოტატს, ადვილად იქცევიან ზოონიმებად. დავასახელებთ ქართულისათვის დამახასიათებელ რამდენიმე ზოონომენს: საღარი (ცხენი), ლურჯა (სახეღარი), ნიკორა, ლომა (ხარი), ნაცარა (თხა), ბათურა (ძაღლი), ქოჩორა (მამალი) და სხვ. საერთოდ, ზოონიმი შეიძლება იყოს ტრადიციული ამა თუ იმ ხალხისათვის (მაგ., საქართველოში: ლურჯა - ცხენისათვის ან სახედრისათვის, ლამაზო - ძროხისათვის, ნაცარა - თხისათვის, ნიკორა, ლომა - ხარისათვის, ბათურა, ბოთო - ძაღლისათვის, ქოჩორა - მამლისათვის და სხვ.) ან არატრადიციული. ჯიშთან ცხენებს არქმევენ სახელებს, რომელიც შედგენილია „მამისა“ და „დედის“ სახელების მარცვლებისაგან ან ითვალისწინებენ დაბადების თვის მიხედვით“.

ამის გარდა, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან საქართველოშიც გავრცელდა არატრადიციული ზოონიმები, მაგალითად, ჯიშთან ცხენებსა და ძაღლებს, როგორც ეს მიღებულია საერთაშორისო პრაქტიკაში, დაბადებისთანავე არქმევენ ოფიციალურ, სარეგისტრაციო (საპასპორტო) სახელებს, რომლებიც, დადგენილი წესის თანახმად უნდა შედგებოდეს მშობელთა სახელების საწყისი ბგერებისა თუ

მარცვლებსაგან. ამასთანავე, ეს სახელი უნდა ემთხვეოდეს რომელიმე საზოგადო სახელს. ხოლო რაც შეეხება ცხოველის სახელდებას დაბადების თვისა თუ დღის მიხედვით, ეს მეთოდი საქართველოში ტრადიციულია.

ცხოველისა თუ ფრინველის სახეობის მიხედვით მიღებულია ტერმინები: კინონიმი - ძალღის სახელი (ბერძ. კინოს „ძალი“. შდრ. კინოლოგია - მეცნიერება ძაღლებზე, მათ ჭიშებსა და მოვლაზე); ჰიპონიმი - ცხენის საკუთარი სახელი (ბერძ. ჰიპოს „ცხენი“, შდრ.: იპოდრომი - „ცხენთ სარბიელი“; ჰიპოპოტამი - „ზღვის ცხენი“, ბეჰემოთი); ორნითონიმი - ფრინველთა სახელი (ბერძ. ორნითოს „ფრინველი“; შდრ.: ორნითოლოგია - ზოონიმის ნაწილი, რომელიც შეისწავლის ფრინველებს) და სხვ.

ზოონიმთა შორის არაა იშვიათი ანთროპონიმული ფუძე. მაგ., საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გვხვდება: კოლია - ცხენის სახელად, ზოია - ძროხის სახელად, ვასკა - კატის სახელად და სხვ. თანამედროვე ქართულ ზოონიმიაში არაა იშვიათი კინოსერიალების პერსონაჟთა, მსახიობებისა და მომღერლების სახელების დარქმევა ცხოველთათვის, მაგ., ზემო ბოდბეში: ხუანი (კატა), ჩარლი (ძალი), ტომასი (თხა) და სხვ. ამგვარ ზოონიმს ანთროპოზოონიმი ეწოდება, ხოლო ცხოველ-ფრინველის აღმნიშვნელი სახელისაგან წარმოქმნილ ნებისმიერ საკუთარ სახელს (ტოპონიმს, ანთროპონიმს) - ზოოფორული საკუთარი სახელი (ტოპონიმები: საკალმახე, სამერცხლე, ორბის კლდე; ანთროპონიმები: ნუკრი, გელა, ვეფხია და სხვ.). კონკრეტულად, თანამედროვე ონომასტიკაში ზოონიმისაგან წარმოქმნილ ანთროპონიმს ეწოდება ზოოანთროპონიმი, ხოლო ტოპონიმს - ზოოტოპონიმი.

ცხოველთა სახელების გამოყენებას ადამიანთა ძირითად თუ შერქმეულ სახელებად წარმართობის ეტაპზე ჩაეყარა საფუძველი და თავს იჩენს ქრისტიანულ ლიტერატურაშიც. „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ (951 წ.) მირიან აზნაურის მეუღლის სახელი კრავი, ასე აქვს განმარტებული მწერალს: „რამეთუ არს იგი მკევალი ქრისტესა“. ხოლო XI-XVIII სს. იურიდიულ

საბუთებში ადამიანთა სახელებად დასტურდება: ბელი, დათვი, ლომი, ქურციკი, შოშია და სხვ., ხოლო ამ პერიოდის გვართა ფუძეებში გვხვდება გნოლი, ერკემალი, მტრედი, კაჭკაჭი, კვერნა, კოლო, მწყერი, ტურა, ყვავი, ქორი (გვანცელაძე, 2002).

ზოოფორული პირსახელები ძველი დროიდანვე არის ცნობილი და დაკავშირებულია ძველი ხალხების პრიმიტიულ რელიგიურ შეხედულებებთან, როგორცაა: ტოტემიზმი (ცხოველთა და მცენარეთა კულტი), ფეტიშიზმი (უსულო საგნების თაყვანისცემა), ზოოლატრია (ცხოველთა თაყვანისცემა) ტაბუირება. უფრო მოგვიანებით ზოოფორული პირსახელები წარმოიქმნებოდა მეტაფორის (მსგავსების) ნიადაგზე. ამგვარი ზოონთროპონიმები საქართველოს ყველა რეგიონში დასტურდება.

უძველესი დროიდანვე ტოპონიმია და ანთროპონიმია უფრო მეტად იქცევდა მკვლევართა ყურადღებას, ვინემ ონიმიის სხვა კლასები. ფაქტობრივად, ყურადღების გარეშე იყო დარჩენილი ზოონიმია, განსაკუთრებით - კავკასიაში. ცნობილი რუსი ონომატოლოგი ვ. ნიკონოვი 1980 წელს წერდა: „თითქმის არაფერი მოგვეპოვება კავკასიის ზოონიმიაზე“ (Никонова, 1980, გვ. 184). ეს ნათქვამი, უპირველეს ყოვლისა, ქართველურ ზოონიმიას შეეხებოდა. მაგრამ გასული მეოთხედი საუკუნის მანძილზე მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 1987 წელს კრებულ „ონომასტიკაში“ დაბეჭდილ მოკლე ნაშრომს „კოლხურ ზოონიმთა მოტივაციის საკითხისათვის“, რომელსაც ახლდა „კოლხური ზოონიმის მასალები“ (შეიცავს ათას ას ერთეულზე მეტს. მათგან უმეტესს ახლავს ინფორმატორისეული განმარტებანი სახელებების მოტივთან დაკავშირებით).

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ კოლხურ ზოონიმთა ძირითადი ნაწილი წარმოქმნილია რეალური მოტივაციის საფუძველზე, ე. ი. სახელებულია დენოტატის რაიმე ნიშანთვისების მიხედვით, ან გამოხატავს სახელმდებლის მიმართებას დენოტატისადმი, ან კიდევ ასახავს დენოტატთან დაკავშირებულ

რაიმე კონკრეტულ შემთხვევას.

კოლხურ ზოონიმთა რეალური მოტივაცია ორგვარია: ენობრივი და გარეენობრივი. ენობრივი მოტივაცია თავის მხრივ, ან სემანტიკურია (ცხოველის ჭიშის, ფერის, ზნე-ჩვეულების, ასაკის, სქესის... გამომხატველი საზოგადო სახელების, ანუ ზოონომენების, გადაქცევა ზოონიმებად) ან გრამატიკული (აპელატივთა ზოონიმიზაცია აფიქსაციისა და სიტყვათშეერთების გზით).

ზოონიმის წარმოქმნას ბიძგი უნდა მისცეს აღსანიშნის გარეგნობამ (აღწერა ან სხვა საგანთან მიმსგავსება), სახელმდებლის ექსპრესიულმა მიმართებამ აღსანიშნისადმი (გარკვეული სურვილის გამოხატვამ) ან მასთან დაკავშირებულმა რაიმე შემთხვევამ. აქედან გამომდინარე, გარეენობრივი მოტივაციის ფარგლებში გამოიყო 4 სამოტივაციო ჯგუფი: 1. აღწერითი (მაგ.: უჩანა – კამეჩი (მეგრ. „შავანა“), ცარქა – ძროხა (მეგრ. „ცალრქიანი“), კვაკვალა – ძაღლი (მეგრ. „წკავწკავა“) და სხვ.; 2. მეტაფორულნი, მაგ.: ირემა – ძროხა (ირემივით რქაგაშლილი იყო), ერცქემია – თხა (მეგრ. ერცქემი, „არჩვი“), მუნჩქვია – ღორი (მეგრ. მუნჩქვი „მაჩვი“. ღორი მაჩვივით თხრიდა მიწას) და სხვ.; 3. მიმართებითნი, მაგ.: იმრავლია – ძროხა (რათა იმრავლოს), აჩი – ძაღლი (აჩი – „უკბინე“) და სხვ.; თავისებური მოტივაცია ჩანს ქვემოთ მოყვანილ მაგალითშიც: არხოტში ქალებს XX ს. II ნახევარში კარგი მეწველი ძროხებისათვის „მეტისმეტი სიყვარულით“ ქალთა სახელები ჰქონიათ შერქმეული: ფატიმა, მაია, ციცნო, ქალთამზე, თამრო (ხორნაული, 2003, გვ. 344-345); 4. ოკაზიურნი (ბერძნ. ოკაზიო „შემთხვევა“), მაგ.: სორდია – თხა (მეგრ. „სად იყავი“. დაიკარგა და დიდხანს ეძებდნენ), კვირაია – ძროხა (კვირას გაჩინდა), ოლიმპიადა – ძაღლი (ოლიმპიადა – 80-ის გახსნის დღეს დაიბადა), პელე (ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღეს ლ. ბერძენიშვილის ბინის კარებს მიადგა კატის კნუტი. შეიცოდეს, შეიფარეს და პელე უწოდეს) და სხვ.

პირობითი მოტივაცია გულისხმობს ენაში ტრადიციულად

არსებული ზოონიმის ამორჩევას სახელმძღვანელოს სურვილით (ჩვეულებრივ, ასე ხდება ანთროპონიმიაში) და არა ცხოველთან დაკავშირებული რაიმე გარემოების გამო სახელის შერჩევას. განსაკუთრებით გავრცელებულია ევროპაში და არც ჩვენშია იშვიათი, მაგალითად, დას. საქართველოში ცხენს ყოველგვარი მოტივირების გარეშე შეიძლება დაარქვან კოლია.

პირობითი მოტივაცია, მართალია, განსხვავდება სტიქიური მოტივაციისაგან, მაგრამ ერთგვარი მოტივირება აქაც ჩანს: ბათუმის ძაღლსაშენში ლეკვს დაარქვეს პობედა. ამ შემთხვევაში ნომინატორმა გამოხატა თავისი სურვილი, ამ ძაღლს მიეღწია წარმატებებისათვის, მოეპოვებინა გამარჯვება. სხვათა შორის, ძაღლების საერთაშორისო გამოფენაზე „ევრაზია-3“ (რომელიც ჩატარდა მოსკოვში ორიოდე წლის წინ) ეს პობედა ლეკვებს შორის საუკეთესოდ ცნეს, ხოლო თვით ძაღლსაშენმა, რომელიც პობედის გარდა წარმოდგენილი იყო კიდევ სამი ძაღლით (აბასა, ბასმაჩი, გრეტა) გამარჯვება მოიპოვა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ ზოონიმი ორგვარია: მოსახმობი და გამოსარჩევი (შდრ.: მეტსახელიც ორგვარია: ა) რომლითაც მიმართავენ და ბ) რომლითაც ზურგს უკან მოიხსენიებენ).

დასასრულ, ანთროპონიმისა და ზოონიმის ზოგი რამ საერთო აქვთ. მაგ.: 1. ოფიციალური და არაოფიციალური ვარიანტები; 2. სახელდების მოტივაცია, ე. ი. დარქმევის მიზეზი (განსაკუთრებით, მეტსახელებსა და ზოონიმებში); 3. ზოგი ისეთი დიალექტური თუ კილოკავური სიტყვის პოვნიერება, რომელიც ჭერ არ არის ცნობილი დიალექტოლოგიასა თუ ლექსიკოგრაფიაში; 4. ორივე ჭგუფი ქმნის რეგიონულ ონომასტიკურ სისტემებს.

§6. მითონიშია და მითონიშიკა

დედამიწასა და კოსმოსში რეალურად არსებული ობიექტების საკუთარ სახელს რეალიონიში ეწოდება, მაგ.: მცხეთა, ალგეთი, ვახტანგ გორგასალი, ცხენი ბუცეფალი, პლანეტა მარსი, კოსმოსური ხომალდი „შატლი“, თეთრი სახლი და სხვ. რეალური ობიექტების გვერდით საკუთარი სახელები მოეპოვებათ არარსებულ, ე. ი. მოგონილ სულიერ თუ უსულო საგნებს, რომლებიც გვხვდება მითებში, თქმულებებში, ზღაპრებში. ამგვარ საკუთარ სახელს მითონიში (← მითოლოგიური ონიში), შესაბამისად, მითონიშთა ერთობლიობას — მითონიშია ეწოდება, ხოლო მითონიშების შემსწავლელ დარგს მითონიშიკა (ბერძნ. მითოს „მითი, გადმოცემა, თქმულება, ზღაპარი, გამონაგონი, მონაჰორი“). იგულისხმება ძველი ხალხური თქმულებანი ღმერთებსა და გმირებზე, სამყაროს შექმნასა და სიცოცხლის წარმოშობაზე (შდრ. მითოლოგია — მითების შემსწავლელი მეცნიერება). ქართული მითონიშები ქართველთა მითოსური წარმოდგენებიდან არიან ამოზიდულნი. ამას ადასტურებს თუნდაც ამირანის თქმულების პერსონაჟთა სახელები: ამირანი ცისკრის ვარსკვლავია, უსუბი მზეა, ცამცუში მზის ღამეული ორეულია, ბადრი მთვარეა, ამბრი მიწათმოქმედების ღვთაებრივი ძალაა და ა.შ.

მსოფლიო კულტურის საგანძურში საპატრიო ადგილი უჭირავთ როგორც აზიაში (ინდოეთი, ჩინეთი, სპარსეთი, ეგვიპტე, შუამდინარეთი), ისე ევროპაში (საბერძნეთი, რომი) შექმნილ ლეგენდებსა და თქმულებებს. მართალია, მითი, ლეგენდა მონაგონია, წარმოსახვის შედეგია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჰომეროსის პოემებში გადმოცემული მითები და ლეგენდები ემყარება რეალურ მოვლენებს.

მითოლოგია და მითონიშია კაცობრიობის წინაისტორიის კვლევის მნიშვნელოვანი წყაროა. პირველყოფილი ადამიანი, როგორც ეს ზემოთ უკვე აღნიშნულია, თავის თავს

გარესამყაროდან მკვეთრად ვერ გამოყოფდა და, ანიმისტური შეხედულებიდან გამომდინარე, დარწმუნებული იყო, რომ ყველა საგანს, ცოცხალსა თუ არაცოცხალს, ჰქონდა სული (ისევე როგორც ადამიანს) და ამიტომ აღმერთებდა ცხოველს, მცენარეს, ნივთს. რელიგიის შესაბამისი ფორმებიც აქედან აღმოცენდა: ფეტიშიზმი – უსულო საგნების კულტი, ზოოლატრია – ცხოველთა თაყვანისცემა... შემდგომ სული განიხილებოდა როგორც აბსტრაქცია, რომელსაც შეეძლო ადამიანად, ცხოველად ან უსულო საგნად გადაქცევა (ასეთია ჭინი არაბულ ზღაპრებში)... ანიმისტური შეხედულება გადაიზარდა პოლითეიზმში – მრავალმერთიანობაში. პოლითეიზმის ეპოქიდანვე ჩნდება ანთროპონიმები, რომლებიც შეიცავენ ცხოველისა და მცენარის აღმნიშვნელ ძირეულ მორფემებს. უფრო გვიან ადამიანებს სახელებს არქმევდნენ მეტათორიზაციის, კერძოდ, ცხოველებთან მიმსგავსების საფუძველზე. ყოველივე ამის მიხედვით, გამოიყოფა:

მითოანთროპონიმი – მითოლოგიური პირის სახელი, როგორიცაა: ჰერაკლე – ზევსის შვილი, ბერძენთა სახალხო გმირი, რომელმაც ჩაიღინა 120 გმირობა; პრომეთე (ბერძნ. „წინასწარმეტყველი“) – ღმერთებთან მებრძოლი და ადამიანების დამცველი გმირი (ზღრ.: ქართული თქმულების ამირანი); იასონი – არგონავტთა ლაშქრობის ხელმძღვანელი; აიეტტი – კოლხეთის მეფე და მისი ქალიშვილი მედეა – იასონის მეუღლე და სხვ.

მითოზოონიმი მითოლოგიური ცხოველის სახელი, მაგ.: კერბერი (ბერძნ.)//ცერბერი (ლათ.) – სამთავა ძაღლი-ურჩხული, სულეთის ჭიშკრის დარაჯი, რომელიც დაიჭირა და გაკოქა ჰერაკლემ; ამალთეა – თხა, რომელიც ზევსს აწოვებდა ძუძუს... (იხ. მითოლოგიური ლექსიკონი, თბ., 1972).

მითებსა და თქმულებებში იშვიათი არაა მოგონილი, არარსებული ტოპონიმები და ფიტონიმები. მათ, შესაბამისად, უწოდებენ მითოტოპონიმებს და მითოფიტონიმებს, ხოლო კეთილი და ბოროტი სულების სახელებს – დემონონიმებს.

აღმოსავლეთისა და დასავლეთის მითებისა და თქმულებების პერსონაჟთა შორის ძალზე ხშირია ღვთაებათა სახელები, რომელთაც ონომასტიკაში აღნიშნავენ ტერმინით თეონიმი (ბერძნ. თეოს „ღვთაება“), მაგ.: ზევსი - ბერძენთა უზენაესი ღვთაება, პოსეიდონი - ზღვის ღმერთი, ზევსის ძმა; ზუდა (სანსკრიტ. „სხივმოსილი“); - ღმერთად ქცეული ასკეტი, ბუდისტური რელიგიის შემქმნელი ინდოეთში; ელია - ქართული წარმართული ღვთაება. განაგებს წვიმა-სეტყვასა და ქექაქუხილს. ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ შეერწყა ბიბლიური წმინდა ელიას კულტს; აგუნა - მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება (რაქალეჩხუმში ეწოდება ანგურა, ხოლო სამეგრელოში - ჭუჭელია); ანთარი (მეგრ. ეინი ანთარი „ცის ანთარი“) - წვრილფეხა საქონლის მფარველი ღვთაება კოლხეთში (შდრ.: ანტარი - გარეული ცხოველის მფარველი ღვთაება ხევსურეთში).

ზოგადად მითებისა და თქმულებების პერსონაჟებს მითოპერსონიმებს უწოდებენ.

დაბოლოს, დავასახელოთ ქართული მითონიმები: ამირანი, ბადრი, უსუპი, ყამარი, ბაყბაყ-ღვევი, დალი, დარეჯანი, ყურშა („ამირანდარეჯანიანი“), აბესალომი, ეთერი, მურმანი („ეთერიანი“), ასფურცელა, ნაცარქექია, ხუთკუნჭულა, სიზმარა, ციკარა, ცეროდენა, მუქანახევარა (ზღაპრებში) და სხვ.

§ 7. კოსმონიმია და კოსმონიმიკა

კოსმონიმი ონიმის სახეობაა, კერძოდ, კოსმოსური სივრცის ზონების, გალაკტიკების, თანავარსკვლავედთა სახელია (ბერძნ. კოსმოს „სამყარო, ცის თალი“), მაგ.: ანდრომედას ნისლეული, ორიონის თანავარსკვლავედი, დიდი დათვი... კოსმონიმთა ერთობლიობას კოსმონიმი ეწოდება, ხოლო ონომასტიკის ნაწილს, რომელიც კოსმონიმებს შეისწავლის - კოსმონიმიკა. ამასთანავე, ცალკეული ციური სხეულის, მათ შორის ვარსკვლავის, პლანეტის, კომეტის, ასტეროიდის საკუთარი სახელი

აღინიშნება ტერმინით ასტრონომი (ბერძნ. ასტრონ „ვარსკვლავი“. შდრ. ასტრონომია – მეცნიერება ცის სხეულების, ანუ მნათობების, შესახებ), მაგ.: მარსი, მთვარე, ვენერა (ქართ. ცისკარი), ჰალეის კომეტა, პოლარული ვარსკვლავი (ზოგ რუს მკვლევართან გაიგივებულია კოსმონიმი და ასტრონომი, კოსმონიმიკა და ასტრონომიკა).

ნებისმიერ ციურ სხეულს ახასიათებს რელიეფური უსწორმასწორობანი, რაც აღინიშნა ტერმინით ასტროტოპონიმი. მისი სახეობებია: გეონიმი – დედაიშვის ბუნებრივ-ფიზიკური ობიექტის საკუთარი სახელი; ვენუსონიმი (ლათ. ვენუს იგივეა, რაც ბერძნ. ვენერა) – პლანეტა ვენერის ბუნებრივ-ფიზიკური ობიექტის სახელი; მარსიონიმი – მარსის რელიეფის ობიექტის საკუთარი სახელი (ლათ. მარსი – ომის ღმერთი. ტრანსონიმიზაციის წესის მიხედვით, დაერქვა პლანეტას); მერკურიონიმი – (მერკურის რელიეფის საკუთარი სახელი (ლათ. მერკური – იუპიტერის შვილი, ღმერთის ელჩი და მაცნე); სელენონიმი – მთვარის ბუნებრივი ობიექტის საკუთარი სახელი (ბერძნ. სელენე „მთვარე“).

ციურ სხეულთა რელიეფისათვის სახელის მინიჭება ხდება საერთაშორისო შეთანხმებით. მაგალითად, საერთაშორისო ასტრონომიული კავშირის XIV გენერალურმა ასაბლემამ, რომელიც გაიმართა 1970 წელს ინგლისის ქ. ბრაიტონში, მთვარის უკანა მხარის ერთ-ერთ კრატერს მიანიჭა ცნობილი ქართველი ასტროფიზიკოსის, პროფ. მიხეილ ვაშაქიძის სახელი. მაშასადამე, მიხეილ ვაშაქიძე ამ შემთხვევაში სელენონიმია.

§ 8 ეთნონიმია და ეთნონიმიკა

ეთნონიმი ეთნოსის აღმნიშვნელი საზოგადო სახელია (ე. ი. ნომენია) და არა საკუთარი სახელი (ანუ ონიმი), თუმცა კი ლექსიკური სტრუქტურა ისეთივე აქვს, როგორც მრავალ ონომასტიკურ ტერმინს (მეორე კომპონენტია ონიმი „საკუთა-

რი სახელი“). ეთნოსი ეთნიკური ჯგუფის – ერის, ხალხის, ტომის სახელია. სწორედ ტომი ითვლება ეთნოსის (ბერძნ. ეთნოს „ხალხი“) თავდაპირველ ფორმად როგორც ისტორიულად ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-დიალექტური ერთობა (ხალხის ყოფა-ცხოვრებას, ნივთიერ და სულიერი კულტურას შეისწავლის ეთნოგრაფია).

ეთნონიმთა ერთობლიობა შეადგენს ეთნონიმთა, რომელსაც შეისწავლის ეთნონიმთა. კერძოდ, ეთნონიმთა იკვლევს, თუ რომელი ხალხი ცხოვრობდა ამა თუ იმ ტერიტორიაზე, ვის აღნიშნავდა ესა თუ ის ეთნონიმი სხვადასხვა პერიოდში (მაგ.: ბულგარელი ადრე თურქული მოდგმის ტომს აღნიშნავდა, ახლა კი აღნიშნავს სლავური მოდგმისას), რა სახელები ერქვა სხვადასხვა დროს ერთსა და იმავე ხალხს (მაგ.: კოლხი – ლაზი – ეგრი – მეგრელი).

ზოგი მკვლევარი ეთნონიმებს საკუთარ სახელთა რიგში განიხილავდა. ამისი გამოძახილია ქსე-ში (ტ. IV, გვ. 58) მოცემული განმარტება: „ეთნონიმთა შეისწავლის ეთნონიმებს, ანუ ხალხების, ტომების საკუთარ სახელებს“. ტერმინები „ეთნონიმი“, „ეთნონიმთა“, „ეთნონიმური“... ხშირად გვხვდება ონომასტოლოგთა შრომებში და ამიტომაც შეაქვთ ისინი ონომასტიკურ ტერმინთა ლექსიკონებშიც, მით უმეტეს, ონომასტიკის ნაწილს, რომელიც იკვლევს საკუთარ სახელებს ეთნოგრაფიული ასპექტით, ეწოდება ეთნიკური ონომასტიკა (იხ. კრებ. Этническая ономастика, М., 1984). გარდა ამისა, „ეთნონიმი“ შედის მრავალი ონომასტიკური ტერმინის შემადგენლობაში, მაგ.:

ეთნოანთროპონიმი – ეთნონიმისაგან წარმოქმნილი პირსახელი ან მეტსახელი (შდრ. გვარსახელები: აფხაზი, აფხაზავა, ოდიშარია, ლაზიშვილი, კახეთელიძე, სვანიძე, შონია...).

ეთნოტოპონიმი – ეთნონიმისაგან წარმოქმნილი ტოპონიმი, როგორცაა: საქართველო, ჭავჭავთი, ურიათუბანი.

ტოპოეთნონიმი – ტერიტორიის, ქალაქის სახელიდან წა-

რმოქმნილი ხალხის სახელი, მაგ.: ხევი → მოხევე, ლეჩხუმი → ლეჩხუმელი, გურია → გურული, მოსკოვი → მოსკალი (ასე უწოდებდნენ უკრაინელები რუსებს). ამგვარ ტოპონიმებს მეორად ეთნონიმს უწოდებენ. ხოლო რაც შეეხება ეთნონიმებს - ჯავახი, აფხაზი, თუში, ბერძენი, ისინი პირველადი ეთნონიმებია და მათგანაა ნაწარმოები ეთნოტოპონიმები (იხ. ზემოთ). ისიცაა შესაძლებელი, ეთნონიმი და ქვეყნის, მხარის სახელწოდება მომდინარეობდეს ერთი საერთო ძირისაგან, მაგ., იმერი → იმერელი, იმერეთი; ეგური → ეგრი → მეგრელი → სამეგრელო...

სემანტიკურად ეთნონიმის ცნებასთან არის დაკავშირებული ონომასტიკური ცნება გენონიმი. ასე ეწოდება აზიის ზოგი ხალხის, კერძოდ, თურქების, მონღოლების გვაროვნული თემის, მისი შთამომავლობისა და მათი შტოგვარების საკუთარ სახელებს.

ეთნონიმი შეიძლება წარმოადგენდეს თვითწოდებას ან გარეწოდებას: თვითწოდება, ანუ ავტოეთნონიმი, არის ის სახელი, რომელსაც ეთნოსი უწოდებს თავის თავს, მაგ.: ქართველი, აფსუა (გარეწოდება აფხაზი), ჰაი (გარეწოდებანი: ქართ. სომეხი, რუს. армянин) და სხვ. „ავტოეთნონიმის“ მნიშვნელობით სამეცნიერო ლიტერატურაში შეიძლება შეგვხვდეს ტერმინი ენდოგენური ეთნონიმი. ზოგი ხალხის თვითწოდების ამოსავალი მნიშვნელობაა „ხალხი“, „კაცი“, „ადამიანი“. გარეწოდება (იგივე: ეგზოგენური ეთნონიმი, ალოეთნონიმი), არის ის სახელი, რომელიც ამა თუ იმ ეთნოსისათვის სხვა ხალხის მიერ არის დარქმეული, მაგ., ქართველებს სომეხები უწოდებენ ვრაცს, რუსები - გრუზინს, თურქები - გურჯს, გერმანელები - გეორგიენს და სხვ.

არაეთნონიმის (საზოგადო თუ საკუთარი სახელის) ეთნონიმად გადაქცევას (აფიქსაციით ან აფიქსაციის გარეშე) ეთნონიმიზაცია ეწოდება. მორფოლოგიური ეთნონიმიზაციის ნიმუშებია: ხევი → მოხევე, კახი → კახელი, იტალია → იტალიელი და სხვ. ეთნონიმთა სია, თუ ლექსიკონი შეადგენს ეთნო-

ნიმიკონს.

დაბოლოს: თავდაპირველი და ძირეული ეთნიკური ერთეულია ტომი, ხოლო შემდგომი – ტომთა გაერთიანება... სვამენ კითხვას: რამდენად მისაღებია ტერმინი ეთნონიმი ერების, ეროვნებათა, ხალხების აღსანიშნავად? იყო ცდაც, ტომების სახელები აღენიშნათ ტერმინით სუბეთნონიში, ხოლო ხალხებისა და ერების სახელწოდებანი – ტერმინ ეთნონიმით. მაგრამ სხვა ტერმინის უქონლობის გამო ეთნონიმი დარჩა ნებისმიერი ეთნიკური ერთეულის აღმნიშვნელ სახელად.

მართლაც, ონომასტიკას აქვს გარკვეული შეხების წერტილი ზემოთ ჩამოთვლილ სამეცნიერო დარგებთან, ითვალისწინებს მათს მიღწევებს, მაგრამ მისთვის, როგორც ენათმეცნიერების დარგისათვის, ძირითადია ლინგვისტიკის მეთოდები, როგორცაა: აღწერითი, არეალური, ფსიქოლოგიური, ტიპოლოგიური, ისტორიულ-შედარებითი. თვით მათემატიკურ ლინგვისტიკასაც კი ა. რეფორმატსკი მიიჩნევდა მხოლოდ და მხოლოდ მათემატიკური ხერხების გამოყენებად ლინგვისტური კვლევის ობიექტების მიმართ, მაგრამ არა ამ ლინგვისტური ფაქტების გამოვლენის ძირითად საშუალებად. ლინგვისტებიც და მხარეთმცოდნეებიც მიმართავენ გეოგრაფიის, კერძოდ, გეომორფოლოგიის მონაცემებს, მის სამეცნიერო და ტექნიკურ ხერხებს, მაგრამ მათ იყენებენ სხვადასხვაგვარად: გეომორფოლოგებს აინტერესებთ, თუ რა ქანებისაგან შედგება მდინარის ხეობა, არკვევენ, რამდენად გაიზარდა ან შემცირდა წყლის დებიტი, როგორ შეიცვალა ლანდშაფტი და ა.შ. მხარეთმცოდნეს კი აინტერესებს მხოლოდ ის მონაცემები, რაც საჭიროა მისი მხარის ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესასწავლად. ონომატოლოგისათვის კი მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, თუ რომელი სიტყვა როდის, რატომ და როგორ იქცა ამ მხარის ამა თუ იმ გეოგრაფიული ობიექტის საკუთარ სახელად.

კარტოგრაფირებას მრავალი სამეცნიერო დისციპლინა მიმართავს: მეტეოროლოგიაც, ბიოლოგიაც, ეთნოგრაფიაც, არქეოლოგიაც, ლინგვისტური გეოგრაფიაც. რუკაზე საჭირო მასალის განლაგება კვლევის შედეგებს ხდის უფრო ადვილად აღსაქმელსა და თვალსაჩინოს. ყველა შემთხვევაში კარტოგრაფირება მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხერხია იმ მასალის მოსაპოვებლად, რომელსაც ეს მეცნიერებანი შეისწავლიან.

ლექსიკოლოგიაში დიალექტური სიტყვების რუკაზე განაწილება უჩვენებს არა ამ სიტყვის ადგილმდებარეობას, არამედ მისი მომხმარებელი საზოგადოების ბინადრობის ადგილს.

ასევე, ტოპონიმისტთა მიერ რუკაზე გეოგრაფიული სახელების დატანა მიუთითებს იმ გეოგრაფიულ ობიექტებზე, რომელთაც ეს სახელები ეწოდებათ, ხოლო გვარსახელთა და პირსახელთა კარტოგრაფირებით მკვლევარი აფიქსირებს არა მათ ადგილმდებარეობას, არამედ იმ პუნქტებს, სადაც ამ გვარსახელებისა და მეტსახელების მატარებელნი ცხოვრობენ... ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში ონომატოლოგის მიზანი და მეთოდები მხოლოდ და მხოლოდ ლინგვისტურია, ხოლო მასალის კარტოგრაფირება ტექნიკური ხერხია და არა გეოგრაფიული მეთოდების გამოყენება ლინგვისტიკაში. მაშასადამე, ონომასტიკა არ წარმოადგენს ინტერდისციპლინარულ მეცნიერებას, ასკენის რუსი ონომატოლოგი ნ. პოდოლსკაია (Теория..., გვ. 180-184).

§ 2. ონიმური მასალის მოკოვება

ონომასტიკური მასალა ორგვარია – წერილობითი და ზეპირი. წერილობით მასალას წარმოადგენს ისტორიული და ლიტერატურულ-ისტორიული თხზულებანი, მათიანეები, ქრონიკები, სიგელ-გუჯრები, სხვადასხვა სახის საეკლესიო ჩანაწერები, ეპიგრაფიკული ძეგლები, ლაპიდარული წარწერები, სამართლის ძეგლები და სხვ. ქართველობას, როგორც დამწერლობის უძველესი ტრადიციების მქონე ხალხს, მოგვეპოვება მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წერილობითი წყაროები, რომელთა ნაწილი გამოქვეყნებულია და, ამდენად, ხელმისაწვდომია ონომატოლოგებისათვის. მათ შორისაა: ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები (შეკრებილი თ. ჟორდანიას მიერ, ტფ., 1903), ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა (შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გადმოცემული თ. ჟორდანიას მიერ, II, ტფ. 1897) და სხვ. „ქართლის ცხოვრების“ ოთხტომეული (ტექსტები დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, 1955-1973 წწ.), ქართული სამართლის ძეგლები (ტექსტები

გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, II-VIII, თბ., 1965-1985 წწ.), ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I (შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984). ონომასტიკისათვის ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანი მასალებია მოცემული ბერძენ ისტორიკოსთა და გეოგრაფთა შრომებში, აღმოსავლეთის ავტორთა „ისტორიებში“, შუა საუკუნეების უცხოელ მოგზაურთა და მისიონერთა „აღწერებში“, „საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ კრებულებში“, ს. ჭიქიას მიერ გამოცემულ თურქულ წყაროში „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ (I. თურქული ტექსტი, 1947; II. ქართული თარგმანი, 1941; III. გამოკვლევა, 1958). აქვე უნდა აღინიშნოს XI-XVII სს. ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით შედგენილი „პირთა ანოტირებული ლექსიკონი“ (I - 1990 წ.; II - 1993 წ.; III - 2004 წ. სხვა ტომები არაა გამოცემული). მეტად მნიშვნელოვანია ქართული ანთროპონიმიისათვის გურიის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა საოჯახო სიები, რომლებიც შედგენილია XIX ს-ში, ხოლო უკანასკნელ წლებში ქართულ ვარიანტთან ერთად გამოიცა ზ. ჭუმბურიძის ძალისხმევით. ქართული ისტორიოგრაფიის, ენისა და, განსაკუთრებით, ონომასტიკისათვის ფასდაუდებელი მრავალი წერილობითი ძეგლი ხელუხებელი (გამოუცემელი) დევს არქივებისა და მუზეუმების თაროებზე.

ონიმური არეალების დასადგენად, დიალექტურ თავისებურებებთან საკუთარი სახელების დამოკიდებულების გასარკვევად, ახალ-ახალი ლექსიკური ერთეულების გამოსავლენად საუკეთესო საშუალებაა ზეპირ მეტყველებაში შემონახული ონომასტიკური მასალის, განსაკუთრებით, შტოგვარების, მეტსახელების, ზოონიმების, მიკროტოპონიმების ჩაწერა-აღნუსხვა. ამგვარი მასალის შეკრება და საარქივო დამუშავება საშური, რადგანაც მათი მცოდნე ხანდაზმულების რიცხვი სულ უფრო და უფრო მცირდება, მით უმეტეს, აღმ. და დას. საქართველოს მთის რეგიონებში, სადაც ზოგი სოფელი

სრულებით დაცლილია მოსახლეობისაგან და ამიტომაც ქალაქში გადასახლებულ და ჯერ კიდევ ჯანსაღი მეხსიერების მქონე პირთა მოძებნა ხდება საჭირო, რათა მათი მიწა-წყლის ონიმური მასალის ნაწილი მაინც გადაარჩეს.

ქართულ სინამდვილეში პირველი მეცნიერი, რომელმაც საქართველოს ყველა რეგიონის გეოგრაფიული სახელები აღწერს, იყო თავისი დროის დიდი ისტორიკოს-გეოგრაფი და კარტოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი. მისი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ დღემდე რჩება სამაგიდო წიგნად როგორც საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის მკვლევართათვის, ისე ონომატოლოგებისათვის.

XX ს-ში მსოფლიოში აქტუალური გახდა ტოპონიმთა აღწერა და კვლევა. 1923 წელს ინგლისში ჩამოყალიბდა ადგილის სახელთა შემსწავლელი საზოგადოება, რომელმაც შეკრიბა, შეისწავლა და გამოსცა ტოპონიმური მასალები. პირველი, ვინც საბჭოთა კავშირის მასშტაბით ადგილობრივ მცხოვრებთა უშუალოდ გამოკითხვის გზით ადგილის სახელთა აუცილებელი შეკრების აუცილებლობაზე მიუთითებდა, იყო ს. ვესელოვსკი. იგი წერდა: „ადგილობრივი სახელწოდებები დროთა განმავლობაში წაიშლება ხოლმე მოსახლეობის მეხსიერებიდან და საჭიროა ვიჩქაროთ მათი შეკრება, ვინაიდან, 40-50 წელი რომ გაივლის, არ დარჩება ხალხური შემოქმედების ამ ნაყოფის კვალიც კი... განსაკუთრებით სასურველია ექსპედიციების მოწყობა სსრ კავშირის ცალკეულ ხალხთა ტერიტორიაზე, სადაც ადგილობრივ სახელწოდებებს სწრაფად ცვლის ახალი სახელწოდებები“ (С. Б. Веселовский, Топонимика на службе у истории: "Исторические записки", 1945, кн. 17, гл. 29).

პირველი ქართველი მეცნიერი, რომელმაც XX ს. 50-60-იან წლებში რამდენიმე რეგიონის დეტალური ტოპონიმური აღწერა განახორციელა, იყო ისტორიკოსი იური სიხარულიძე. მისი პირველი წარმატებული ცდაა „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, აჭარის ასსრ“ (წ. I, ბათუმი, 1958).

ამ წიგნში ტოპონიმები წარმოდგენილია სოფლების მიხედვით და ახლავს შენიშვნები და საძიებელი. შესავალ ნაწილში მკვლევარი აღნიშნავს: „გეოგრაფიულ სახელწოდებათა შეკრების საქმეს რომ დროულად უნდა მიხედვა, ეს უდავოა, ამას მოითხოვს არა მარტო ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დაკარგვა-გაქრობის საშიშროება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თვით ტოპონიმიკური კვლევა-ძიებისა და ისტორიული მეცნიერების განვითარების ინტერესები. სამწუხაროდ, დღემდე ტოპონიმიკურად საქართველოს არც ერთი კუთხე არ არის აღწერილი და შესწავლილი. ცალკეულ სახელწოდებათა შესახებ არსებული გამოკვლევები საქმეს ვერ შევლის. მთავარია, პირველ რიგში საფუძვლიანად იქნას აღწერილი ადგილთა სახელწოდებებით მდიდარი ჩვენი ქვეყანა და შემდეგ დაუყოვნებლივ გამოიცეს ეს მასალები, რათა საშუალება მიეცეს სათანადო დარგების სპეციალისტებს, გაეცნონ მას და სათანადოდაც გაანალიზონ იგი“.

ი. სიხარულიძის ლექსიკონზე თითქმის 20 წლით ადრე დაიბეჭდა შ. ჩიქოვანის „ტოპონიმიკური ლექსიკონი“, რომელშიც შესულია ლეჩხუმის მიკროტოპონიმური მასალა (თსუ შრომები, ტ. IX, 1939). საქართველოს სხვადასხვა რეგიონის საინტერესო ტოპონიმური მასალაა თავმოყრილი ალ. ღლონტის „ტოპონიმიკური ძიებანის“ წიგნებში (I-XI, თბ., 1971-1998).

საქართველოს მთელი ტერიტორიის სრული ტოპონიმური აღწერის, მოპოვებული მასალის გაანალიზებისა და სათანადო ლექსიკონებისა თუ მონოგრაფიების გამოცემის მიზნით 1969 წელს თსუ ახალი ქართული ენის კათედრასთან პროფ. ფ. ერთელიშვილის ინიციატივითა და კათედრის გამგის, პროფ. შ. ძიძიგურის აქტიური მხარდაჭერით გაიხსნა ტოპონიმიკური კვლევის რესპუბლიკური ცენტრი - ტოპონიმიკის ლაბორატორია. მასალის ჩაწერა მიმდინარეობდა სპეციალურად შედგენილი ინსტრუქციისა და კითხვარის მიხედვით (იხ. დანართი). ამ ლაბორატორიას მოგვიანებით (1992 წ.) ეწოდა

ონომასტიკის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია, რამდენადაც მიზნად დაისახა ონიმიის სხვა კატეგორიების (ანთროპონიმთა, ზოონიმთა...) მასალების შეკრება და შესწავლა. უკვე გამოცემულია საქართველოს ტოპონიმიის მასალების სამი წიგნი და რამდენიმე რეგიონის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ლექსიკონი.

§ 3. მეთოდოლოგია

მეთოდი ბერძნული სიტყვაა (methodos „გამოკვლევა“) და აღნიშნავს: 1. ბუნების მოვლენათა კვლევის ხერხს, შესასწავლი საგნისადმი გარკვეულ მიდგომას, ჭეშმარიტების დადგენის გეგმაზომიერ გზას; 2. მოქმედების ხერხს, გზას, საშუალებას (ქეგლ, ქსე). ლინგვისტური ენციკლოპედიური ლექსიკონი განმარტავს: მეთოდი არის კვლევის ამოსავალი პუნქტი და პირობა. შესაბამისად, მეთოდოლოგია განიმარტება როგორც: 1. მოძღვრება მეცნიერული კვლევის მეთოდების შესახებ; 2. ერთობლიობა კვლევის მეთოდებისა, ხერხებისა, რომელთაც ამა თუ იმ მეცნიერებაში იყენებენ.

მეთოდოლოგია ფართო მნიშვნელობით არის თეორია ყოველგვარი მოქმედების წესებსა და გზებზე. ენათმეცნიერებაში იგი წარმოადგენს მოძღვრებას ენობრივი მოვლენების მეცნიერული კვლევის პრინციპებზე და განსაზღვრავს მიდგომას ენათმეცნიერების ობიექტის მიმართ, ურთიერთდამოკიდებულებას სუბიექტსა და კვლევის ობიექტს შორის, მეცნიერული ცოდნის აგების ხერხებს, ლინგვისტური კვლევის საერთო ორიენტაციასა და ხასიათს. მეთოდოლოგიის მჭიდრო კავშირი ლინგვისტურ თეორიებთან გარკვეულწილად განაპირობებს კვლევის სამეცნიერო შედეგებს (Λ"С, გვ. 299-300).

მართალია, ონომასტიკა ლინგვისტიკის განსაკუთრებული, სპეციფიკური დარგია, მაგრამ მას, ზოგი მკვლევრის მტკიცებით, თავისი სპეციფიკური (ონომასტიკური) მეთოდი არც მოეპოვება. იგი თავისი საკვლევო ობიექტის ანალიზისათვის იყენებს ზოგად

ენათმეცნიერულ თეორიებსა და მეთოდებს, ოღონდ მეტ-ნაკლები სიხშირითა და ინტენსიურობით. მკვლევრები განსაკუთრებით გამოყოფენ ონომასტიკაში აქტიურად გამოყენებულ ლინგვისტური კვლევის ოთხ ძირითად მეთოდს. ესენია: დესკრიფციული (აღწერითი), ისტორიულ-შედარებითი, ტიპოლოგიური-შედარებითი და არეალური. ონომასტიკის მიერ გამოყენებული ზოგი მეთოდი ზოგადფილოლოგიურია. ასეთია, მაგალითად: ტექსტოლოგიური ანალიზი (რომელსაც მიმართავენ ლინგვისტიკაც, ლიტერატურათმცოდნეობაც და წყაროთმცოდნეობაც), აგრეთვე მოპოვებული მასალის გაწყობა ანბანის რიგზე და მიკროკონტექსტის შესწავლა. ონომასტიკაში გამოიყენება კარტოგრაფიული მეთოდიც, რომელიც გეოგრაფიის, ტოპოგრაფიისა და გეოდეზიის ერთ-ერთი მთავარი მეთოდია. მან ფართო გამოყენება პოვა დიალექტოლოგიასა და ტოპონიმიკაშიც. სტრატეგრაფიული ანალიზის მეთოდი ჩაისახა გეოლოგიაში, შემდეგ იქცა მის ნაწილად, სტრატეგრაფიად. სტრატეგრაფიულ მეთოდს იყენებს არქეოლოგია მატერიალურ-კულტურული ფენების შედარებითი ქრონოლოგიის დასადგენად და ონომასტიკაც – ენობრივ-ტოპონიმური (განსაკუთრებით, პიდრონიმული) სუბსტრატის შესასწავლად. რაც შეეხება მონათესავე სიტყვების გამოვლენასა და სახელთა ბრუნვის ფორმის რეკონსტრუქციას, იგი ზოგადენათმეცნიერული ხერხია.

ონომასტიკური მეთოდოლოგია ერთგვარად სპეციფიკურია და ეს სპეციფიკურობა გამოწვეულია თვით ონომასტიკის, როგორც ენათმეცნიერების განსაკუთრებული დარგის, კვლევის საგნის სპეციფიკითა და მიზნით. ონომასტიკის კვლევის საგანი კი არის ონიმია – ენის ლექსიკური ქვესისტემა.

ონიმური სისტემა, რა თქმა უნდა, ძირითადად ენის ლექსიკურ სისტემას ემყარება, მაგრამ მოეპოვება თავისებურებებიც, რაც ძირითადად თავს იჩენს ნასესხები საკუთარი სახელების ადაპტაციაში, აგრეთვე ფონეტიკაში, ორთოგრაფიაში, მორფოლოგიაში და სიტყვაწარმოებაში.

შეხედულებანი ონომასტიკური კვლევა-ძიების მეთოდებსა

და ხერხებზე არაერთგვაროვანია. განსხვავებული მოსაზრებებია შემოთავაზებული XX ს. 70-80-იანი წლების რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ნ. პოდოლსკაია „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის“ პირველ გამოცემაში (Москва, 1978) ტერმინს „ონომასტიკური მეთოდი“ ასე განმარტავს: „საკუთარ სახელთა კვლევის ხერხი ან საშუალება“ და ჩამოთვლის მეთოდებს: არეალური, აღწერიითი, ეტიმოლოგიური, ისტორიული, კარტოგრაფიული, სინქრონიული ქრილის, სტატისტიკური, სტრატეგრაფიული, ტიპოლოგიური, ფორმანტული და ფუძეთა კვლევისა. შევნიშნავთ, რომ ეს მეთოდები ქართულადაც არის განმარტებული ჩვენ მიერ შედგენილ „ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებით ლექსიკონში“ (თსუ გამომცემლობა, თბ., 1988). მაგრამ ნ. პოდოლსკაიას ლექსიკონის მეორე გამოცემაში, რაც ზუსტად ათი წლის შემდეგ განხორციელდა, ონომასტიკური მეთოდი განმარტებულია როგორც „ონიმურ მოვლენათა შეიქცნებისა და კვლევის ხერხი“ და ჩამოთვლილია მეთოდები: არეალური, აღწერიითი (დესკრიფციული), გენეტიკური, ეტიმოლოგიური, კარტოგრაფიული, „მცირე ტიპების“, რეკონსტრუქციის, სტრატეგრაფიული, სტრუქტურული, ტიპოლოგიური, ფორმანტული.

როგორც შედარებიდან ჩანს, მეთოდთა ჩამონათვალიდან ათი წლის შემდეგ ავტორმა ამოიღო ისტორიული მეთოდი, ფუძეთა კვლევის მეთოდი, სინქრონიული ქრილის მეთოდი, სტატისტიკური მეთოდი, ხოლო შეიტანა: გენეტიკური მეთოდი, „მცირე ტიპების“ მეთოდი, რეკონსტრუქციის მეთოდი, სტრუქტურული მეთოდი.

ამ ათწლიანი პერიოდის (1978-1989 წწ.) შუალედში (1983 წ.) დაბეჭდილი ვ. ბონდალეტოვის „რუსულ ონომასტიკაში“ ჩამოთვლილი და განმარტებულია ონიმური მასალის კვლევის მეთოდები: არეალური, აღწერიითი, ისტორიული, ლინგვა-ფსიქოლოგიური, სემიოტიკური, სტატისტიკური, სტილისტიკური,

შედარებით-შეპირისპირებითი.

ონომასტიკის დარგში შემაჯამებელი თეორიული გამოკვლევის პრეტენზია აქვს ავტორთა კოლექტივის მიერ რუსულ ენაზე შექმნილ მონოგრაფიას "Теория и методика ономастических исследований" (Москва, "Наука", 1986), რომელიც მიზნად ისახავს ონიმური ლექსიკის წარმოქმნისა და ფუნქციონირების სპეციფიკის გამოვლენას და სათანადო ანალიზის მეთოდებისა და ხერხების განსაზღვრას.

სპეციალურ ონომასტიკურ მეთოდებად შეიძლება ჩაითვალოს: ა. ონომასტიკონში წარმართული და ქრისტიანული საკუთარი სახელების გამიჯვნა-დადგენა (მაგრამ ეს უნდა ხდებოდეს ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით); ბ. ანთროპონიმთა გამოყოფა ანთროპო-ტოპონიმების მიხედვით; გ. ოიკონიმთა სინქრონიული შესწავლა, რისთვისაც გამოიყენება ფონომორფული და მორფოსემანტიკური ანალიზი. ამ შემთხვევაში მინიმალური სტრუქტურული ერთეული ოიკონიმისათვის არის ოიკომორფი, ჰიდრონიმისათვის - ჰიდრომორფი და ა. შ. ისინი გამოიყოფა ისეთი ფორმალური კრიტერიუმით, როგორცაა ბგერათა დისტრიბუცია ენაში. მორფი შეიძლება იყოს ძირეული და სუფიქსური (ამ საკითხების კვლევა შეიძლება სტრუქტურული მეთოდით).

ონომასტიკაში გასათვალისწინებელი და ერთმანეთისაგან გასამიჯნავია კვლევის სამი პარამეტრი: მეთოდი, მიმართულება, ასპექტი. მიმართულება იძლევა პასუხს კითხვაზე: „რა მიზნით?“, ასპექტი - კითხვაზე: „რომელ პლანში? რა თვალსაზრისით?“, ხოლო მეთოდი (ხერხი) - კითხვაზე: „რა საშუალებით?“

ამის შესაბამისად, თანამედროვე ონომასტიკური ლიტერატურის კვალდაკვალ, ჩვენც ონომასტიკური კვლევის უმთავრეს მეთოდებს, მიმართულებებს და ასპექტებს განვიხილავთ სამ პარაგრაფში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ონომასტიკური ოლოგისთვის ერთნაირად აუცილებელი მეთოდები, მიმართულებანი და ასპექტები არც არსებობს. ყველაფერი შეპირობებულად ცოდნის დონით, ერუდიციით, მ. შ. ნებით.

**§ 4. ონომასტიკური კვლევის
მეთოდები და ხერხები**

ონომასტიკა, ისევე როგორც მეცნიერების ნებისმიერი სხვა დარგი, მიზნად ისახავს შეუცნობლის შეცნობას, უცნობის აღმოჩენას. ონომასტიკა დამოუკიდებელი, ავტონომიური მეცნიერებაა. იგი არ არის დამხმარე, გამოყენებითი დისციპლინა, რომელიც „ემსახურება“ ისტორიულ, გეოგრაფიულ და სხვა მეცნიერებებს.

ონომასტიკურ გამოკვლევებში მთავარია ონიმური მოვლენებისა და პროცესების აღწერა. საკუთარი სახელი ენობრივი ერთეულია და, აქედან გამომდინარე, იგი ენათმეცნიერული კვლევის საშუალებებით შეისწავლება.

ა. სახელთა კლასიფიკაცია

როგორც არისტოტელე აღნიშნავდა, მეცნიერება იწყება განსხვავებათა და იგივეობათა დადგენით. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი სამეცნიერო დარგის უპირველესი საზრუნავია საკვლევი ობიექტის ამორჩევა, შემოსაზღვრა და კლასიფიცირება, რაც სხვადასხვა პრინციპზეა დამყარებული მეცნიერების განვითარების დონისა და მკვლევრის თვალსაზრისის მიხედვით. მაგრამ ონომასტიკური კვლევის ობიექტი იმდენად რთულია, რომ შეუძლებელი ხდება სათანადო მასალის ერთიანი და ამომწურავი კლასიფიცირება.

საკვლევი მასალა და კვლევის მიზანი ყოველთვის ინდივიდუალურია, მაშასადამე, ინდივიდუალურია მასალის დამუშავების გზებიც და სამეცნიერო თუ ტექნიკური ხერხების გამოყენებაც (Теория.. გვ. 198).

ქვემოთ წარმოდგენილია ონომასტიკაში მეტ-ნაკლები აქტიურობით გამოყენებული მეთოდები. მაგრამ კვლევა საერთოდ საკვლევი მასალის მოპოვებით და მოწესრიგებით იწყება.

აქედან გამომდინარე, აქტუალური ხდება შეკრებილი ონიმური მასალის ენობრივი ატრიბუციის მეთოდი.

ბ. ენობრივი ატრიბუცია

სხვადასხვა ეპოქაში შექმნილი საკუთარი სახელების ერთსა და იმავე დროში და ერთსა და იმავე ტერიტორიაზე, უფრო მეტიც, ერთი ონიმური სისტემის შიგნით არსებობა წარმოადგენს ერთ-ერთ ონომასტიკურ უნივერსალიას. ამიტომაც შეკრებილი ონიმური მასალის ანალიზის დაწყებამდე აუცილებელია სახელთა ენობრივი ატრიბუცია, ანუ ენობრივი მიკუთვნებულობის დადგენა. ეს გარდაუვალი პირობაა ონომასტიკური კვლევისა, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მეთოდებს იყენებს მკვლევარი და რომელ ენათმეცნიერულ სკოლას ეკუთვნის იგი. იმ ენისა თუ ენების დადგენა, რომელთაც კონტაქტი ჰქონდათ საკვლევი ენის ონიმიასთან, საჭიროებს მრავალგვარი წყაროების გამოწვლილვით შესწავლას. შეკრებილი ონიმური მასალა შესაძლებელია უცნობ, აწ გამჭრალ ენას ეკუთვნოდეს. ენის ფონოლოგიური, მორფოლოგიური, ლექსიკური სისტემების ცოდნა აუცილებელია ონიმური მასალის წარმატებული კვალიფიკაციისათვის. მიდგომა ონიმიისადმი, როგორც ლექსიკის სპეციალურ ფენისადმი, სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარი იყო. ჭერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში იყო ცდა, გაეაზრებინათ ლოგიკურ-ლინგვისტური საფუძველი საზოგადო და საკუთარი სახელების ერთმანეთისაგან გასამიჯნავად. მეორე მხრივ, ჩვენს დროშიც კი ბევრ სერიოზულ გამოკვლევაში უგულვებელყოფილია ონიმიის სპეციფიკურობა, კერძოდ, მისი ასემანტურობა (ლექსიკური შინაარსისაგან დაკლილობა), ხოლო მრავალ სერიოზულ ლექსიკოლოგიურ შრომაში საკუთარი სახელები საერთოდ ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

ამგვარად, ამა თუ იმ ენის ონიმური მასალის ანალიზის დაწყებამდე აუცილებელია იმ ენების შესწავლა, რომელთაც

სავარაუდოდ, შეეძლოთ მონაწილეობის მიღება საკუთარი სახელების წარმოქმნაში. თუკი ეს ონიმური მასალა რომელიმე თანამედროვე ენიდანაა შეთვისებული, საჭიროა მასთან დაკავშირებული ლექსიკის, თუნდაც სხვადასხვა სოციალური ფენისათვის დამახასიათებელი სახელების წესის ცოდნა. ეს ხელს უწყობს ონიმური სისტემის ჩამოყალიბების გარკვევას. ამა თუ იმ ენის ონიმთა ეროვნული სპეციფიკა შესაძლებელია დავადგინოთ სხვადასხვა ხალხის ანთროპონიმულ სისტემასთან შედარების გზით.

ბ. ტექსტოლოგიური ანალიზი

მკვლევარი, უპირველეს ყოვლისა, დარწმუნებული უნდა იყოს წერილობითი ტექსტის საიმედოობასა და უტყუარობაში. განსაკუთრებით მრავლადაა საკუთარი სახელები სხვადასხვა სახის დავთრებში, საადგილმამულო და საკომლოსულადობრივი აღწერის წიგნებში, სიგელ-გუჯრებში, გეოგრაფიულ რუკებზე, ე. წ. სამიჯნო წიგნებში, აგრეთვე საისტორიო თხზულებებში, მოგზაურთა ჩანაწერებში, სამართლის ძეგლებში, საეკლესიო ჩანაწერებში, ტოპონიმთა სიებში, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დაყოფის ცნობარებში, სულის მოსახსენებელ თუ საგადასახადო წიგნებში და სხვ. მასალის ხასიათის მიხედვით წერილობითი ტექსტები შეიძლება იყოს მთლიანად ან ნაწილობრივ ტოპონიმური, ანთროპონიმული, ზოონიმური, მითონიმური, კოსმონიმური და სხვ.

წერილობითი წყაროების ტექსტოლოგიური ანალიზი, თავის მხრივ მოითხოვს გარკვეული ტიპის ტექსტების შერჩევას, მათს აღწერას, საკუთარი სახელების გამოყოფას, მთელი მასალის დოკუმენტირებასა და ქრონოლოგიზებას. გარდა ამისა, ონომასტოლოგი თვითონ ადგენს სხვადასხვა ონომასტიკონებს - ტოპონიმთა სიებსა და ლექსიკონებს, პირსახელების, გვარსახელების, მეტსახელების, ზოონიმების ცნობარებს, რომელთაც, სასურველია, დაერთოს განმარტებანი. ამასთანავე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ტექსტი მრავალი საუკუნის წინათ-

აა შექმნილი, საჭირო ხდება პალეოგრაფიული ანალიზის ჩატარება, რაც საკუთარ სახელთა ქრონოლოგიზაციის საშუალებას იძლევა.

ტექსტოლოგიური ანალიზი გულისხმობს ნომინაციური ერთეულების ზუსტად დაყოფას საკუთარ და არასაკუთარ სახელებად, განსაკუთრებით იმ ენებში (მათ შორის ქართულშიც), რომლებშიც არ არსებობს საკუთარი სახელების მთავრული ასოებით დაწყების ტრადიცია - მით უმეტეს, როცა ტექსტი დაწერილია უხარვეზოდ, სიტყვების ერთმანეთზე გადაბმით. გარკვეული სიძნელე იქმნება მაშინაც, როცა ლექსიკური ერთეული თავისი დანიშნულებით შეიძლება იყოს საზოგადო ან საკუთარი. ასეთ შემთხვევაში ბევრი რამაა დანოკიდებული კონტექსტურ ანალიზზე, მკვლევრის ინტუიციაზე.

დ. მასალის ინვენტარიზაცია

ყოველგვარი კვლევა იწყება საკვლევი მასალის ინვენტარიზაციით, რაც გულისხმობს ონიმთა აღწერა-აღნუსხვასა და ონიმური ველებისა თუ მიკროველების მიხედვით განაწილებას. ხოლო ეროვნული ონიმიის სხვადასხვა კლასების თავისებურებების, სპეციფიკურობისა თუ უნივერსალების გარკვევა საჭიროებს სხვა ენების შესაბამის მასალასთან შეპირისპირებას. როგორც ცნობილია, სპეციფიკურობა შეპირობებულია ექსტრალინგვისტური ფაქტორებით. ეს განსაკუთრებით შეეხება ტოპონიმის, რომელიც არეალურია იმ თვალსაზრისით, რომ ასახავს ამა თუ იმ არეალის გეოგრაფიულ თავისებურებებს. მაგალითად, მთიან რეგიონში განსაკუთრებით მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანია ოროგრაფიული ტერმინოლოგია, რაც ორონიმიაშია ასახული, ხოლო ბარში - ჰიდროგრაფიული ტერმინოლოგია, რაც ჰიდრონიმებში პოვებს ასახვას. რაც შეეხება ანთროპონიმის: სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვაგვარია ოფიციალური ანთროპონიმული ფორმულები და სამეტყველო სიტუაციაში პი-

რისადმი საკუთარი სახელით მიმართვის ფორმები, რაც შეპირობებულია ხალხის ისტორიით, კულტურით, რელიგიით. მაგალითად, აღმოსავლეთის სლავებისათვის ოფიციალურ სიტუაციაში, როგორც წესი, აუცილებელია მიმართვა პირსახელითა და მამის სახელით, მაგრამ ეს არ ახასიათებს დასავლეთის სლავებს და სხვა ევროპელ ხალხებს. ქართველთათვის სრულიად უცხოა ცოლის სახელდება ქმრის სახელის მიხედვით, რაც მრავალ სლავურ ენაშია გავრცელებული (პეტრეს ცოლი იქნება პეტრუხა, ივანეს ცოლი - ვანიუხა და ა.შ.), სამაგიეროდ - საქართველოს ზოგ რეგიონში იკრძალება ქმრის მიერ ცოლის, ხოლო ცოლის მიერ ქმრის სახელის წარმოთქმა, ამასთანავე, ქალი ქმარს, მაზლსა თუ მაზლიშვილებს უცვლის სახელს. ამგვარ სახელებს შეიძლება ეუწოდოთ რძლისეული (ან ბიცოლასეული) საკუთარი სახელები.

ონომასტიკაში საკუთარი სახელების საწყისი კლასიფიკაცია ემყარება სამყაროს (მსოფლიო სივრცის) დანაწევრებას დედამიწისეულ, დედამიწის ირგვლივ მდებარე და კოსმოსურ, აგრეთვე რეალურად არსებულ თუ ჰიპოთეზურ ობიექტებად. აქედან გამომდინარე, ონომასტიკაში გავრცელებული ტერმინი **ონიმური სივრცე** გულისხმობს, რომ ამა თუ იმ ენაში დადასტურებული საკუთარი სახელები არსებობს არა ქაოსურად, არამედ ნაწილდებიან გარკვეულ ტერიტორიაზე სახელდებულ ობიექტებთან ერთად. ამიტომაცაა, რომ თითოეული საკუთარი სახელი ცნობილია მხოლოდ იმ ენობრივ კოლექტივში, რომელიც მას მოიხმარს. ენათა კონტაქტების ზონაში ერთი და იგივე სახელი, გარკვეული მოდიფიკაციით, გამოიყენება ინტერფერენციაში მონაწილე ყველა ენაში, ხოლო ერთსა და იმავე ობიექტებს შეიძლება სხვადასხვა სახელები ჰქონდეთ.

ონომასტიკაში საკუთარ სახელთა კლასიფიკაცია ხდება სახელდებულ ობიექტთა ტიპების მიხედვით, ენობრივი მიკუთვნებულობის მიხედვით, ამოსავალ ფუძეთა მიხედვით, ფორმანტების მიხედვით, ისევე როგორც ტიპოლოგიური,

ქრონოლოგიური, გენეტიკური ნიშან-თვისებების მიხედვით.

შეკრებილი მასალის კლასიფიკაცია ონომასტიკური კვლევის აუცილებელი საწყისი ეტაპია, თუმცა ზოგ შემთხვევაში იგი შეიძლება თვითმიზანიც კი იყოს. ამასთანავე, აღნიშნავენ, რომ საკვლევი ობიექტის კომპლექსურობის გამო შეუძლებელია ისეთი ონიმური კლასიფიკაციის შემუშავება, განსაკუთრებით, ტოპონიმიაში, რომელიც იქნებოდა ამომწურავი და გამორიცხავდა „ნარჩენებსა“ და ურთიერთგადაკვეთას. ყოველივე აქედან გამომდინარე ონიმური კლასიფიკაციის პრინციპების ძიება ჭერ კიდევ არ არის დასრულებული (იხ.: A. B. Суперанская, Общая теория имени собственного, М., 1973, გვ. 138-213; В. И. Болотов, К вопросу о значении имен собственных: Восточнославянская ономастика, М., 1972).

მ. სტრატობრაფიული ანალიზი

სტრატობრაფია გეოგრაფიის ნაწილია. იგი შეისწავლის ქანების დაშრევებისა და დედამიწის ქერქის ფენების (ლათ. stratum „ფენა“, „შრე“) წარმოქმნის პროცესებს. ონომასტიკური სტრატობრაფია კი ონომასტიკის ნაწილია და გულისხმობს ამა თუ იმ რეგიონის ონიმთა ქრონოლოგიურ და ენობრივ დაშრევება-განაწილებას. ამ მიზნით გამოიყენება სტრატობრაფიული ანალიზი — ონიმური მოვლენებისა და პროცესების ქრონოლოგიური თანამიმდევრობის შესწავლა სხვადასხვა სინქრონიული შრეების შეპირისპირების გზით. განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება ეს ხერხი სუბსტრატისა და სუპერსტრატის გამოსავლენად. კერძო შემთხვევა: ტოპონიმიკური სტრატობრაფია.

სტრატობრაფიული ანალიზის ხერხი შედეგიანია იმ ენებში, რომელთაც წერილობითი წყაროები ძველი დროიდანვე მოეპოვებათ და მაშინაც თითოეული ონიმური ფორმის ქრონოლოგია შეიძლება იყოს არა ზედმიწევნით ზუსტი, არამედ მხოლოდ შეფარდებითი, რადგანაც მოსალოდნელია, რომ საკუთარი სახელი, მშობლიური თუ ნასესხები, წერილობით დაფიქსირებამდე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი ზეპირ

მეტყველებაში. სტრატეგრაფიული ანალიზის ხერხს ზოგი ონომატოლოგი მეთოდსაც უწოდებს.

3. გენეტიკური ანალიზი

გენეტიკა (ბერძნ. *genetikos* „წარმოშობასთან დაკავშირებული“) ბიოლოგიაში აქტიურად გამოყენებული სიტყვაა და აღნიშნავს ბიოლოგიური მეცნიერების ნაწილს, რომელიც შეისწავლის ორგანიზმების მემკვიდრეობასა და ცვალებადობას. ონომასტიკაში გენეტიკური ანალიზი გამოავლენს საერთო ამოსავალი ფუძის მქონე სახელებსა და მათს ვარიანტებს (არქეტიპის გამოვლენის გზით). ეს კი ხდება კანონზომიერ ბგერათშესატყვისობათა და შესაძლებელ ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებით. სხვადასხვა ენის საკუთარ სახელთა შეპირისპირებითი ანალიზით დადგინდა, რომ ბერძნ. იოსეფ//იოსიფ, სომხ. ჰოვსეფ, თურქ. იუსეფ, რუს. იოსიფ, ინგლ. ჯოზეფ, ფრანგ. ჟოზეფ, პორტ. ჟუზე, ყაზახ. ჟუსუპ, იტალ. ჯუზეპე, ესპ. ხოზე და ქართ. იოსები (ძვ. ქართულში: იოსეფ) მომდინარეობს ძველი ებრაული სიტყვისაგან იოსებ („გამრავლება, მატება“), რომელიც საკუთარ სახელად გვხვდება ძველი აღთქმის წიგნებშივე (იოსებ ერქვა ბიბლიური იაკობის ვაჟიშვილს), ხოლო ქართულში გავრცელებული სოსო, სოსია, სოსოია, სოსიკა, ოსიკო და სხვ. ამ საკუთარი სახელის კნინობით-სააღერსო ფორმებია.

გენეტიკური ანალიზის გამოყენებით საკუთარ სახელთა ჰომოგენურობის (წარმომავლობით ერთგვარობის) დადგენა თავისთავად გულისხმობს დიფერენცირებულ ანალიზსაც, ანუ ჰეტეროგენური (შემადგენლობით სხვადასხვანაირი, ე. ი. გენეტიკურად ერთმანეთთან დაუკავშირებელი) საკუთარი სახელების გამიჯვნასაც.

4. ეტიმოლოგიური ანალიზი

ეტიმოლოგია, ზოგადად, არის აზრი ეტიმონის (ბერძნ.

etymon „სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობა“) შესახებ. ძველ სასკოლო გრამატიკებში ეს ტერმინი აღნიშნავდა ფონეტიკასა და მორფოლოგიას ერთად, თანამედროვე ენათმეცნიერებაში კი გამოიყენება ორი მნიშვნელობით: 1. სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა; 2. ისტორიული ლექსიკოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის სიტყვების თავდაპირველ მნიშვნელობასა და ამ მნიშვნელობის შემდგომ განვითარებას, რაც, თავის მხრივ, ენობრივი სისტემისა და მისი ისტორიული განვითარების ცოდნას ემყარება. ამ გზით დადგინდა, რომ ქართული ნახშირი და მისი კანონზომიერი მეგრულ-ლაზური შესატყვისი ნოშქერ-ი ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია სვანურ შიხ-ძირთან, რომლის სემანტიკაც „წვას“ გამოხატავს.

ონომასტიკაში ეტიმოლოგიური ანალიზის მიზანია საკუთარი სახელის ან სახელთა ჯგუფის აპელატიური თუ ონიმური საყრდენი ფუძისა და მისი მნიშვნელობის გამოვლენა. წყალტუბო (ქალაქი ქვემო იმერეთში) ზანური სუბსტრატია და ნიშნავს „წყალთბილს“. ეს მარტივი ეტიმოლოგიაა, მაგრამ ტოპონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი აქ მთავრდება. რაც შეეხება აპელატივებს „წყალი“, „ტუბო“, მათი წარმომავლობის გარკვევა ონომასტიკაში არ ევალდება.

როგორც ბუნდოვანი, ისე გამკვირვალე აპელატივის გამოვლენა, ტოპონიმური თუ ანთროპონიმური ერთეულის მორფემული ანალიზი და გამოვლენილი მორფემების გავრცელების ქრონოლოგიური და გეოგრაფიული სივრცის დადგენა ონომასტიკური ეტიმოლოგიის საბოლოო მიზანია. ამით განსხვავდება ონომასტიკური ეტიმოლოგია ლექსიკური ეტიმოლოგიისაგან, რომლის მიზანია სიტყვის ძირის კვლევა.

მაშასადამე, ონიმის ეტიმოლოგიური ანალიზი იმით განსხვავდება საზოგადო სახელის ეტიმოლოგიური ანალიზისაგან, რომ საკუთარი სახელისათვის საკმარისია იმ აპელატივისა თუ პირვანდელი საკუთარი სახელის გამოვლენა, რომელ-

ონომასტიკის შესავალი

იც დევს ონიმის ფუძეში.

თ. ონიმური არეალების გამოვლენა

ონიმურ არეალთა გამოვლენა ონომასტიკური კვლევის ერთ-ერთი გავრცელებული ხერხია. იგი მიზნად ისახავს ამა თუ იმ განმეორებადი ონიმური ელემენტის გავრცელების ტერიტორიული ზონის გამოვლენა-დადგენას საკუთარ სახელთა თუ მისი ცალკეული კომპონენტების (ფუძე, აფიქსები) შედარების გზით, რაც, ჩვეულებრივ, საჭიროებს მათს კარტოგრაფირებას, სათანადო რუკის შედგენას. საქართველოს ოიკონიმთა განმეორებადი ფუძეებისა და ფორმანტების გავრცელების არეალები დადგენილია შ. აფრიდონიძისა და ფ. მაკალათიას მიერ (იხ. აფრიდონიძე, მაკალათია, 1980). ონიმური მასალის კვლევას არეალური მეთოდით არეალური ონომასტიკა ეწოდება.

ი. ფორმანტული ანალიზი

ტოპონიმთა კვლევისას ფართოდაა გამოყენებული განმეორებად თავკიდურ და ბოლოკიდურ ელემენტთა გამოყოფა და ონიმური რიგის გამოვლენა საკუთარ სახელებში. სწორედ ესაა ფორმანტული ანალიზი. იგი განსაკუთრებით გამოიყენება გაუმჭვირვალე ტოპონიმებში. მაგ., ფშავის ტოპონიმთა ფორმანტული ანალიზის საფუძველზე გამოიყო -გა, -ლო, -რა, -დო, -შა, -შო, -ხი დაბოლოებანი (მაკალათია, 1971), ხოლო მესხეთის ტოპონიმიაში გამოვლინდა ჰიპოთეზური სუფიქსი -ძია (ბერიძე, 1977).

ფორმანტული ანალიზი მჭიდროდაა დაკავშირებული ისეთ პრაქტიკულ საქმიანობასთან, როგორცაა საკუთარ სახელთა ინვერსიული ლექსიკონის შედგენა. თუმცა ზოგ ენას ფორმანტები საერთოდ არ მოეპოვება (კერძოდ თურქულ ენებს,

რომელთაც ახასიათებთ იზაფეტური კონსტრუქციები).

კ. ონომასტიკური კარტოგრაფიკა

ონიმური კარტოგრაფირება გულისხმობს: ა. არსებული გეოგრაფიული, ბოტანიკური და სხვ. რუკების გამოყენებას ტოპონიმიკური კვლევის წყაროდ; ბ. სპეციალური ონომასტიკური რუკების (ტოპონიმიკურის, ანთროპონიმიკურის...) შედგენას სათანადო ონიმურ მოვლენათა „გეოგრაფიის“ შესასწავლად და მათი განაწილება-გავრცელების კანონზომიერებათა დასადგენად. ონიმური რუკები მნიშვნელოვანი წყაროა ისტორიული ლექსიკოლოგიისა და დიალექტოლოგიისათვის. გეოგრაფიული რუკა წარმოადგენს იმ არეს, სადაც განლაგებულია ონიმური ფაქტები. ენათმეცნიერული ნარკვევის — „ქართული ოიკონიმიები“ (შ. აფრიდონიძე, ფ. მაკალათია) ახლავს დანართი „რუკები '1-16“, სადაც კარტოგრაფირებულია ოიკონიმთა ფუძეები და აფიქსები.

ლ. სტატისტიკური ანალიზი

სტატისტიკური ანალიზი გულისხმობს ონიმური ფაქტებისა და მოვლენების რაოდენობრივ აღნუსხვას მისი ამჟამინდელი მდგომარეობისა და განვითარების ტენდენციების შესასწავლად. ონიმური მოვლენებისა და ფაქტების პროცენტული შეფარდებითობის, მათი სიხშირისა და რარიტეტულობის (იშვიათობის, გამონაკლისობის) დადგენა სტატისტიკური ანალიზის აუცილებელი საწყისი ეტაპია. სხვადასხვა ონიმური ტიპებისა და მოდელების (ფუძეების) დიაქრონიული შედარება გვეხმარება, თვალი გავადევნოთ ონიმური სისტემის ევოლუციურ განვითარებას.

მ. ფუძეთა ანალიზი

ფუძეები, მართალია, გამოვლინდება სტრუქტურული ანალიზის გზით. მაგრამ მათს საგანგებო შესწავლას პირდაპირი კავშირი აქვს ონიმური ლექსიკის სემასიოლოგიური ასპექტით

კვლევასთან, განსაკუთრებით, ფუძეთა სინონიმისა და ლექსიკური ერთეულის განმეორებული (მეორეული) გამოყენების შემთხვევაში. ფუძის გამოყოფა და ონიმური მოდელის გამოვლენა ხდება გარკვეული ჯგუფის საკუთარ სახელებში ფუძეთა იდენტურობის საფუძველზე. ამ გზითაა გამოვლენილი ქართულ ტოპონიმიაში გავრცელებული ერთ-ერთი ფუძე ტბ//ტაბ (ჯორბენაძე, 1975).

ნ. საკუთარი სახელის დათარიღება

ონომასტიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთი საინტერესო სფეროა საკუთარი სახელის (ტოპონიმისა თუ ანთროპონიმის) წარმოქმნის შედარებითი თუ აბსოლუტური დროის დადგენა, წერილობითს ძეგლებში მათი პირველი მოხსენიების გამოვლენა, მათი მიკუთვნება გარკვეული ეპოქის ონიმური ფენისა თუ რიგისათვის ფონეტიკური, მორფოლოგიური და ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად.

ონომასტიკურ ლიტერატურაში დასახელებულია ონომასტიკური კვლევის სხვა მეთოდები და ხერხები, როგორცაა სიტყვაწარმოებითი ანალიზი, ვარიანტთა კვლევა, საკუთარი სახელის რეკონსტრუქცია, ონიმური უნივერსალების გამოვლენა და სხვ. (იხ. დაწვრილებით: Тсория и методика ономастических исследований, М., 1986, გვ. 198-214; Н. В. Подольская, Словар русской ономастической терминологии, М., 1988).

§ 5. ონომასტიკური კვლევის მიმართულებანი

საკუთარი სახელების მრავლმხრივი ინფორმაციულობის გამო ონომასტიკური კვლევის მიმართულებებიც მრავალგვარია. გამოიყოფა ხუთი მიმართულება: თეორიული ონომასტიკა, აღწერითი ონომასტიკა, ისტორიული ონომასტიკა, გამოყენებითი ონომასტიკა და პოეტიკური ონომასტიკა. თითოეული ეს მიმართულება იყენებს საკუთარ (თავ-თავის)

მეთოდებსა და ხერხებს და შეიძლება წარმოდგენილი იყოს რამდენიმე ასპექტით. მაგალითად, ტოპონიმიკური ასპექტი გამოიყენება აღწერით ონომასტიკაშიც, ისტორიულ ონომასტიკაშიც და პოეტიკურ ონომასტიკაშიც.

თეორიული ონომასტიკა შეისწავლის ონიმური სისტემების განვითარებისა და ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებებს. ეს მიმართულება არის სხვა ონომასტიკური მიმართულებების მარჯანიზებული და გეზის მიმცემი, მაგრამ იგი, თავის მხრივ, ამ სხვა, კერძო ონომასტიკურ მიმართულებათა გარეშე არ არსებობს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისთვის აღწერითი ონომასტიკა, რაც ქმნის ობიექტურ ფუნდამენტს ონომასტიკური გამოკვლევებისათვის.

თეორიული ონომასტიკა გამოავლენს როგორც ონიმურ უნივერსალიებს, ისე კონკრეტული ენის ონიმურ ნიშანთვისებებს, რომლებიც გამოაცალკეებენ საკუთარ სახელებს, ერთი მხრივ, საზოგადო, ხოლო მეორე მხრივ, სპეციალური ლექსიკისაგან და, ამასთანავე, არკვევს საკუთარი სახელის კავშირს სახელდებულ ობიექტსა და ცნებასთან. ამ მიზნით კი კვლევა ხორციელდება ლოგიკურ-ლინგვისტური (სემასიოლოგიური, ტიპოლოგიური, ტერმინოლოგიური) ასპექტით.

თეორიული ონომასტიკა წარმოადგენს ბაზას, რომელიც განსაზღვრავს მკვლევრის კონცეფციას, მის მიერ შესაბამისი ტერმინების შერჩევას, მასალის ლოგიკური დაჯგუფებადაყოფის საფუძვლებს, კლასიფიკაციის პრინციპებს და სხვ.

საკუთარი სახელის ზოგადი თეორია უფრო და უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება. იგი, ერთი მხრივ, ეფუძნება კერძო ონომასტიკურ გამოკვლევებს, მეორე მხრივ კი, წარმოადგენს საფუძველთა საფუძველს ყოველგვარი სხვა ონომასტიკური გამოკვლევებისათვის.

აღწერითი ონომასტიკა. ონომასტიკურ კვლევაში ცენტრალური ადგილი უჭირავს გარკვეული ტერიტორიის, ენის, დიალექტის, კილოკავის, სოციოლექტისა თუ იდიოლექტის ონიმური მდგომარეობის აღწერას გარკვეული ისტორიული

პერიოდისათვის. ონიმური მდგომარეობა კი შეიძლება წარმოდგენილი იყოს სტატიკაში ან დინამიკაში.

სტატიკური აღწერა, ჩვეულებრივ, გამოავლენს ონიმურ სისტემებსა და მათს მექანიზმებს, ხოლო ისტორიული აღწერა — ამ მექანიზმების განვითარებას, სახელთა წარმოშობის ისტორიას, შორეული წარსულის რეალიებს ონიმური მონაცემების მიხედვით. ონიმური ვითარების აღწერა ხდება საზოგადო ლექსიკის სინქრონიული აღწერის პარალელურად. ამასთანავე, ონიმური მდგომარეობის აღწერა შეეხება მხოლოდ სიტყვათა გარკვეულ ფენას, საკუთარ სახელებს, ან მის რომელიმე კლასს — ანთროპონიმის, ტოპონიმის და ა.შ. ამგვარი აღწერა შემოიფარგლება ონიმური ერთეულების გამოვლენით, მათი იერარქიის დადგენითა და მათი ფუნქციების განსაზღვრით.

საკუთარი სახელი სერიოზული გარდაქმნებისა და ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგია. პროპრიალური (ონიმური) ლექსიკის სინქრონიული მდგომარეობის აღწერა ნიშნავს არა მხოლოდ სათანადო სიების, ჩამონათვალის, ცნობარების შედგენას, არამედ, ამასთან ერთად, ზოგი წინა ეტაპის ჩვენებასაც. მაშასადამე, აღწერითი ონომასტიკა მიზნად ისახავს შესასწავლი რეგიონის, სოციუმის, წერილობითი ძეგლის ონიმურ მოვლენათა თანამიმდევრულ აღწერას სინქრონიულ კრილში. ამ მიზნის შესაბამისად, აღწერითი ონომასტიკა შეიძლება იყოს გლობალური ან არეალური. მაგალითად, სხვადასხვა ხალხებში იდენტური კალენდარული სახელების ფორმათა შესადაარებლად გლობალური მიდგომაა საჭირო, მაგრამ, ვთქვათ, საქართველოს ამა თუ იმ მხარის ანთროპონიმისა თუ ტოპონიმის ლინგვისტური ანალიზისათვის რეგიონული. საერთოდ, გავრცელებულობის მიხედვით ტოპონიმთა ხუთ ჯგუფს გამოყოფენ: 1. გლობალურნი (მთელ მსოფლიოში ცნობილნი); 2. ინტერნაციონალურნი ანუ რეგიონთშორისნი (რამდენიმე მეზობელ ხალხსა თუ ენაში გავრცელებულნი); 3. ნაციონალურნი (ამა თუ ენაზე მოლაპა-

რაკეთათვის ცნობილნი); 4. კონტაქტურნი (ორ მეზობელ ენაში გავრცელებულნი); 5. ლოკალურნი (ადგილობრივნი, ე. ი. მხოლოდ ერთ ენაში და ერთ ტერიტორიაზე გავრცელებულნი).

რეგიონული ონომასტიკური კვლევისას გამოვლინდება მასალა ონიმური არელების დასადგენად და ნაირგვარი ონიმური ტიპების საკვლევად. შეისწავლება ამა თუ იმ კლასის ყველა საკუთარი სახელი, რომელიც კი გამოიყენებოდა და გამოიყენება ამ შემოსაზღვრულ ტერიტორიაზე. მაშასადამე, რეგიონული კვლევის აუცილებელი წინაპირობაა ძველი წერილობითი წყაროების მონაცემების მოპოვება, რათა ერთმანეთს შეუდარდეს სხვადასხვა დროის ონიმური შრეები. იქ, სადაც წერილობითი ტრადიცია არ არსებობს, რეგიონული ონომასტიკური კვლევა წარმართება დიალექტური ონიმური ქვესისტემების (კილოკავის ან თქმის ფარგლებში) შესწავლით.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეგიონული კვლევა ტოპონიმიკაში. დიდი თუ მცირე რეგიონის (ოლქის, რაიონის) ტოპონიმიის სრული და საფუძვლიანი ანალიზის გარეშე ვერ ვივარაუდებთ, რა უნდა ვეძიოთ მიმდებარე ტერიტორიაზე. თუკი დეტალურად არ იქნება შესწავლილი სხვადასხვა კატეგორიის ტოპონიმთა ურთიერთკავშირი, ვერ დადგინდება ამა თუ იმ ტოპონიმის წარმომავლობა და ვერ დადასტურდება მისი არსებობა ენასა და მეტყველებაში, ვერ გაირკვევა ოფიციალური და დიალექტური ფორმების განმასხვავებელი ნიშნები.

ონიმური მდგომარეობის აღწერა არის საწყისი ეტაპი, რომლის გარეშეც, საერთოდ, შეუძლებელია რაიმე სახის ონომასტიკური კვლევა, ონიმური სისტემის გამოვლენა, ონომასტიკური კონცეფციებისა და ჰიპოთეზების ჩამოყალიბება, პირსახელთა სარეკომენდაციო სიებისა და ტოპონიმთა ორთოგრაფიული ლექსიკონის შედგენა...

აღწერით ონომასტიკაში ფართოდაა დანერგილი მასალის ენობრივი ატრიბუცია (ჩვეულებრივ, ყოველ ენაში მოიპოვება სხვაენოვანი ანთროპონიმული ფენა), სტრატეგრაფიული ანა-

ლიზი, გენეტიკური ანალიზი, სტრუქტურული და სიტყვაწარმოებითი ანალიზი, ფუძეთა და ფორმანტთა ანალიზი, ვარიანტთა ანალიზი... აღწერა შეიძლება შეეხებოდეს სინქრონიულ ან ისტორიულ ონიმიას, დიალექტურ ან პოეტიკურ (ლიტერატურულ) ონიმიას და სხვ.

ისტორიული ონომასტიკა აღწერს წარსული ეპოქების ონომასტიკურ მოვლენებს, გამოავლენს ისტორიის მანძილზე გამქრალ სახელებსა და ონიმურ სისტემებს, რაც, თავის მხრივ, აღადგენს უძველეს ვითარებას... ამასთანავე, ისტორიულ ონომასტიკას მხოლოდ ირიბი დამოკიდებულება აქვს კვლევის ისტორიულ ასპექტთან.

ისტორიულ ონომასტიკაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება აღწერით ონომასტიკაში გამოყენებულ ყველა მეთოდს, განსაკუთრებით კი - მასალის დამუშავების ისეთ ხერხებს, როგორიცაა ტექსტოლოგიური და პალეოგრაფიული ანალიზი. ისტორიული ონომასტიკის არსებითი კომპონენტი სწორედ წარსული ეპოქების ონიმური ვითარების აღწერაა.

გამოყენებითი ონომასტიკა არის ონომასტიკური კვლევის განსაკუთრებული მიმართულება, შეპირობებული ყოველდღიური მოთხოვნილებით. ამ სფეროში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გეოგრაფიულ სახელწოდებათა ფორმების დადგენას ატლასებსა და ცნობარებში ჩასართავად. იგულისხმება უცხოენოვანი ტოპონიმებისა თუ სახელ-გვარების ერთიანი დაწერილობის მოგვარება და ოპტიმალური რეკომენდაციების შემუშავება.

გამოყენებითი ონომასტიკა მკვიდროდაა დაკავშირებული სახელთა დარქმევის პრაქტიკასა და ცოცხალ მეტყველებაში მათს ფუნქციონირებასთან. თანამედროვე ეპოქაში გამოყენებითი ონომასტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზრუნავია საზოგადოებაში პირის იდენტიფიკაცია. მოქალაქეთა მოწმობების გასაცემად, ახალშობილთა სახელდებისათვის, უცხოელთა რეგისტრაციისათვის აუცილებელია სპეციალური სარეკომენდაციო ცნობარების მომზადება და გამოცემა. ასევე

მეტად მნიშვნელოვანია საკუთარ სახელთა სწორი, ერთიანი წარმოთქმისა და მახვილის დადგენა რადიოსა თუ ტელევიზიონისათვის, თეატრისა თუ კინემატოგრაფიისათვის, აგრეთვე საკუთარ სახელთა ერთიანი ორთოგრაფიისა და ბრუნვათა ფორმების დადგენა ნაციონალური სალიტერატურო ენისათვის, მამისახელობისა და სადაურობის სახელთა ნორმატიული მოდელების, აგრეთვე გეოგრაფიულ სახელთაგან ზედსართავების წარმოების წესების შემუშავება. გამოყენებითს ონომასტიკაში გამოიყენება ონომასტიკური კვლევის მრავალი ხერხი: ცალკეულ სახელთა ენობრივი ატრიბუცია (თუკი დგას მათი ორთოგრაფიისა და ტრანსკრიფცია-ტრანსლიტერაციის საკითხები), ტექსტოლოგიური ანალიზი (თუკი წყდება სახელთა თარგმნისა და სესხების საკითხი), სახელთა კლასიფიკაცია (თუკი წყდება სხვადასხვა ტიპის სახელთა გამოყენების საკითხები), აღსადგენი ფორმების რეკონსტრუქცია (თუკი სახელი ლექსიკონში უნდა შევიდეს) და სტრუქტურული ანალიზი (მრავალი პრაქტიკული მიზნისათვის), ვარიანტთა ანალიზი და სახელთა სიხშირის აღრიცხვა (რათა ახალშობილთა მშობლებს ხელთ ჰქონდეთ მონაცემები იმის შესახებ, რომელი პირსახელია ხშირი და რომელი — იშვიათი).

გამოყენებითი ონომასტიკის ასევე მნიშვნელოვანი ამოცანაა გეოგრაფიულ წყაროებში დადასტურებული ტოპონიმების იდენტიფიკაცია. ობიექტებისათვის სახელების გადარქმევასთან დაკავშირებით საჭირო ხდება ძველი და ახალი სახელწოდებების ცნობარების გამოცემა.

პოეტიკური ონომასტიკა შეისწავლის პოეტიკურ ონიმებს, ანუ იმ საკუთარ სახელებს, რომლებიც გვხვდება მხატვრულ ნაწარმოებებში. ამგვარ საკუთარ სახელებს, ნომინაციურის გარდა, აქვს დახასიათებითი, სტილისტიკური და იდეოლოგიური ფუნქციები. იგი შეიძლება იყოს ავტორის მოგონილი (იშვიათად), რეალურად არსებული (უმეტესად) ან ორივე ერთად. პოეტიკური ონიმი (პოეტონიმი) შესაძლოა წარმოადგენდეს პოეტიკურ ანთროპონიმს, პოეტიკურ ტოპო-

ნიმს, პოეტიკურ ზოონიმს და ა.შ.

პოეტონიმის ერთ-ერთი სახეობაა ე.წ. „მოლაპარაკე“ („მეტყველი“) სახელი, ანუ სახელი-დახასიათება. ასე ეწოდება სემანტიკურად გამჭვირვალე საკუთარ სახელს, რომელსაც ავტორი სპეციალურად ქმნის სახელსადები ობიექტის დასახასიათებლად. „მოლაპარაკე“ გვარების ნიმუშებად საკმარისია წარმოვადგინოთ ე. ნინოშვილის მოთხრობათა პერსონაჟები: დროიძე, მკლავაძე, მცირიშვილი, მუნჯაძე, უიშვილი, ძალაძე, ჭამიაშვილი და სხვ.

პოეტიკური საკუთარი სახელების განსხვავებას რეალურად არსებული სახელებისაგან ქმნის სიხშირე და მიკროკონტექსტები, რომლებშიც ისინი გვხვდება. მხატვრული ნაწარმოების ონიმია რეალურად არსებულის გამეორებას კი არ წარმოადგენს, არამედ მის პროექციას, რომელმაც გაიარა მწერლის ლიტერატურულ ქურაში. ამიტომაც პოეტიკური ონიმიის შესწავლა იწყება ნაწარმოების ავტორის მსოფლმხედველობისა და მსოფლადქმის შესწავლით, რაც ლიტერატურათმცოდნის კომპეტენციაა, მაგრამ ონიმიის შესწავლა უკვე ონომატოლოგის ამოცანაა.

ლიტერატურული ონიმი რეალურ ონიმთან შედარებით მეორეულია, როგორც ავტორის სუბიექტური ასახვა, შეპირობებული მწერლის პიროვნებითა და შემოქმედებითი მოტივებით, ეპოქითა და სოციალური გარემოთი. იგი მხატვრული შემოქმედების აქტია, მაშინ როცა რეალური ონიმი ენობრივ ფაქტს წარმოადგენს. მხატვრულ ნაწარმოებში მთავარი სახელი მისივე სათაურია, რომელიც, როგორც წესი, გამოხატავს ნაწარმოების არსს და ემსახურება ნაწარმოების შინაარსის გახსნას. არც თუ იშვიათად ავტორი ნაწარმოებში თვითონვე იძლევა მის მიერ შექმნილი საკუთარი სახელის ახსნა-განმარტებას, რაც თავისებურ პრაქტიკულ ხერხად აღიქმება. მწერლის მიერ შექმნილი პირსახელი შეიძლება ხალხშიც გავრცელდეს და გამოყენებულ იქნეს სახელდებისათვის (ქართველთა შორის ქალის სახელი ლამარა გავრცელდა გრიგოლ რობაქიძის

პიესის მიხედვით, ხოლო შორენა, რომელიც ბორენას შეცდომითი წაკითხვის შედეგად წარმოიქმნა, გავრცელდა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ გამოქვეყნების შემდეგ).

პოეტონიმები ხშირად გვხვდება ზღაპრებში, თქმულებებში, ლეგენდებში. თავდაპირველად ზღაპარს პერსონაჟისა და მოქმედების ადგილის დასასახელებლად საკუთარი სახელი არ სჭირდებოდა. მოქმედება ძირითადად ხდებოდა არა კონკრეტულ ადგილას, არამედ ირეალურ სივრცეში, რომლის ტოპოგორამულები ასეთია: „ცხრა მთას იქით“, „თეთრი მთა“, „შავი ზღვა“, „წყლის პირი“, „ტყე“, „ქვესკნელი“, „ერთი სოფელი“ და სხვ. რაც შეეხება პერსონიმებს, ისინი ზღაპრების ერთ ნაწილში ტაბუირებულია, ანონიმურია და ძალზე ზოგადია, მაგ.: „ერთი მეთევზე“, „მონადირე“, „გაუცინარი ხელმწიფე“, „უმცროსი ძმა“, „საწყალი კაცი“, „ბოროტი დედინაცვალი“ და სხვ. მაშასადამე, ზღაპარი თავდაპირველად არ საჭიროებდა პერსონიმებს, შემდგომში კი ეპითეტურის წარმოშობის შერქმეული სახელები იქცნენ პერსონაჟების საკუთარ სახელებად: ხუთკუნჭულა, მუჭანახევარა, ნაცარქეჩია, სიზმარა, ცეროდენა, ასფურცელა, გორიგლეჯია, ცაჭვრეტია, არაკაცი, ფეხდოლაბა, ყურმახვილა... ონომასტიკონით მდიდარია ქართული ხალხური ეპოსები, როგორიცაა „ამირანიანი“, „ეთერიანი“, „ტარიელიანი“, „როსტომიანი“ და სხვ. (დლონტი, 1975, გვ. 71-84).

ხერხები, რომლებიც გამოიყენება ცალკეულ ონომასტიკურ

მიმართულებებში, მეტად მრავალფეროვანია.

§ 6. ონომასტიკური კვლევის ასპექტები

მეცნიერებაში ასპექტი ეწოდება მკვლევრის ისეთ მიზანმიმართულ მოქმედებას, რომლითაც განიხილება შესასწავლი საგნისა თუ მოვლენის გარკვეული მხარე. ონომასტიკაში კი ასპექტი მიზნად ისახავს, გაარკვიოს, რა სიბრტყეზე და რა თვალსაზრისით ხდება ონიმური მასალის კვლევა. ლათინური სიტყვა *aspectus* („შეხედულება, სახე“) ქართულში განმარტებულია როგორც თვალსაზრისი (იხ. ქეგლ, ტ. I).

კვლევის ასპექტი, ისევე როგორც მიმართულება, მრავალნაირია. ამასთანავე, თითოეული ასპექტისათვის დამახასიათებელია თავისებური ხერხები და მეთოდები. რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ ონიმური მასალის კვლევის შემდეგ ასპექტებს: ლექსიკოლოგიური, ლექსიკოგრაფიული, ლოგიკური, ფსიქოლოგიური, სემასიოლოგიური, ტერმინოლოგიური, სოციოლოგიური, ისტორიული, გეოგრაფიული, კულტუროლოგიური.

ლექსიკოლოგიური ასპექტი მიზნად ისახავს: ონიმური მასალის აღწერა-ინვენტარიზაციას ენის ლექსიკაში, საკუთარი სახელების ადგილის ჩვენებას კონკრეტული ენის სისტემაში, საკუთარი სახელების გენეტიკურ ანალიზსა და აპელატივებთან მათი მიმართების გამოვლენას. საერთოდ, ენის ლექსიკური ფონდის აღწერაში აუცილებლად უნდა ჩაერთოს საკუთარი სახელებიც.

ლექსიკოგრაფიული ასპექტი ონომასტიკაში მიზნად ისახავს საკუთარ სახელთა ლექსიკოგრაფირებას, სხვადასხვა ტიპის ონიმური ლექსიკონების შედგენას. მაგრამ იმისათვის, რომ ამგვარი ლექსიკონი სასარგებლო და მაღალხარისხოვანი იყოს, საჭიროა ონიმური მასალის სათანადოდ დამუშავება, ანუ იმ მონაცემების სრულყოფილად წარმოდგენა, რომლებიც უნდა

ახლდეს თითოეულ საკუთარ სახელს.

ლოგიკური ასპექტი გამოავლენს საკუთარი სახელისა და ცნების ურთიერთკავშირს იმ მიზნით, რომ დადგინდეს საკუთარი სახელის ენობრივი სტატუსი და ცალკეული სიტყვის უნარი, იქცეს საკუთარ სახელად.

სემასიოლოგიური ასპექტი გამოიყენება იმ ლექსიკური ჯგუფების გამოსავლენად, რომლებიც მაქსიმალურად არის შესაფერისი და ხელსაყრელი მეორეული ნომინაციისათვის ტოპონიმიაში, ანთროპონიმიაში, კოსმონიმიაში და საკუთარ სახელთა სხვა კატეგორიებში.

სემასიოლოგია, როგორც მოძღვრება საკუთარი და საზოგადო სახელების ნომინაციის შესახებ, შეისწავლის ენობრივი კატეგორიების კავშირს აზროვნების კატეგორიებსა და სახელსაღებ რეალიებთან. საკუთარ სახელთა დიდი ნაწილი მეორეული ნომინაციისაა და, ამდენად, შესაძლებელია მათში თავდაპირველი ონიმური სემანტიკის მოძიება. სემასიოლოგია ადგენს, რომელ მოდელსა და ფუძეებს ეძლევა უპირატესობა სხვადასხვა კატეგორიის ობიექტებისათვის სახელების დასარქმევად.

ტერმინოლოგიური ასპექტი. როგორც ცნობილია, ტერმინი არის სიტყვა, რომელიც ზუსტად გადმოსცემს მეცნიერების სხვადასხვა დარგის, ხელოვნების, ტექნიკის, წარმოების გარკვეულ ცნებას (ლათ. terminus „საზღვარი“). ხოლო ცნება, ანუ ლოგიკურად გაფორმებული ზოგადი აზრი საგანსა თუ მოვლენაზე, შემეცნების ფორმაა, ობიექტური სინამდვილის შეცნობის საშუალებაა. თითოეულ მეცნიერებას მოეპოვება თავისი დარგის ტერმინოლოგია. ამავე დროს, გვხვდება მეცნიერებათშორისი (რამდენიმე მეცნიერების საზიარო) ტერმინებიც.

ონომასტიკა ენათმეცნიერების ნაწილია და, აქედან გამომდინარე, მისი კვლევა-ძიების მეთოდებიც და ძირითადი ტერმინოლოგიაც ენათმეცნიერულია, მაგრამ მას საკუთარი, მხოლოდ ამ დარგისათვის დამახასიათებელი ტერმინებიც მოეპოვება. ონომასტიკური ტერმინოლოგია ძირითადად XX

საუკუნეში ჩამოყალიბდა, მაგრამ ეს პროცესი ჯერაც არ დამთავრებულა, ჯერ ისევ გრძელდება ონომასტიკური ცნებებისა და შესაბამისი ტერმინების დაზუსტება-დიფერენციაცია. რამდენიმე მაგალითი: 1965 წელს ცნობილი რუსი ტოპონიმისტი ვ. ნიკონოვი აღნიშნავდა: ტოპონიმი ადგილის სახელია, ჰიდრონიმი - მდინარისა, ანთროპონიმი - ადამიანისა... დასახლებული პუნქტის სახელის აღმნიშვნელი ტერმინი კი არ მოგვეპოვებაო. მაგრამ რამდენიმე წელიწადში ასეთი ტერმინი გამოჩნდა და დამკვიდრდა ონომასტიკაში. ესაა ოიკონიმი - „ნებისმიერი დასახლების საკუთარი სახელი“; ნ. პოდოლსკაიას „რუსული ონომასტიკური ტერმინოლოგიის ლექსიკონის“ პირველ (1978 წ.) გამოცემაში ცნებისათვის „პლანეტისა და მთვარის ოებიექტის სახელწოდება“ არსებული ტერმინის - ასტროტოპონიმის - ნაცვლად შემოთავაზებული „პლანეტონიმი“ არ გავრცელდა და არცაა შეტანილი აღნიშნული ლექსიკონის მეორე (1986 წ.) გამოცემაში. კიდევ ერთი მაგალითი: ზემოთ აღნიშნული ლექსიკონის ორსავე გამოცემაში ასტრონიმი და კოსმონიმი განმარტებულია როგორც სხვადასხვა ტერმინები: ასტრონიმი - ცალკეული ციური სხეულის (ვარსკვლავის, პლანეტის, კომეტის, ასტეროიდის) სახელი; კოსმონიმი - კოსმოსური სივრცის ზონების, გალაქტიკების, თანავარსკვლავედის საკუთარი სახელი. მაგრამ თანამედროვე რუსულ ონომასტიკურ ლიტერატურაში ეს ორი ტერმინი ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ყველა ონიმური თუ ონომასტიკური საგნისა თუ მოვლენის გამომხატველი ზუსტი ტერმინი ჯერ კიდევ არ მოგვეპოვება. მაგალითად: ტერმინი მიკროტოპონიმი შეიცავს შინაგან წინააღმდეგობას, რადგანაც მაკრო „დიდი“ და მიკრო „მცირე“ მიემართება მხოლოდ სახელსადებ ობიექტს და არა სიტყვას (ტოპონიმი სიტყვაა), თუმცა, მიუხედავად ამისა, აღნიშნული ტერმინი, უფრო ზუსტი ტერმინის უქონლობის გამო, მაინც არის სამეცნიერო მიმოქცევაში. ონომასტიკურ ტერმინთა ლე-

ქსიკონში შეაქვთ ეთნონიმი, რომელიც შეიცავს ტერმინს ონიმი, ანუ საკუთარი სახელი. მაგრამ მკვლევართა ნაწილის აზრით, ერის, ხალხის, ტომის აღმნიშვნელი სიტყვები არ ითვლება საკუთარ სახელებად: ისინი ნომენები და ნომენკლატურაში უნდა განიხილებოდეს. მეცნიერებაში აუცილებელია აღმნიშვნელთა დაზუსტება-გამიჯვნა იმის მიხედვით, იგი ცნებას მიემართება თუ საკვლევ ობიექტს. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტერმინთან, ხოლო მეორე შემთხვევაში – ნომენტან. ტერმინთა ერთობლიობა შეადგენს ტერმინოლოგიას ნომენტა ერთობლიობა – ნომენკლატურას. ონომასტიკურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც უნდა იყოს გამიჯნული, ტერმინები, ერთი მხრივ, ონიმი, როგორც საკუთარი სახელი (ონიმია – ონიმთა ერთობლიობა) და, მეორე მხრივ, ონომასტიკა, როგორც ონიმთა (ონიმური სისტემის) შემსწავლელი მეცნიერება. მათგან წარმოქმნილი ტერმინები ასეთი სტრუქტურისაა: ონიმი „საკუთარი სახელი“ → ონიმური – „ონიმთან, როგორც ონომასტიკის კვლევის ობიექტთან, დაკავშირებული“. მაგალითად, ონიმური სისტემა (ანუ საკუთარ სახელთა სისტემა), ონიმური პროცესი (საკუთარ სახელებში მიმდინარე პროცესი); ონომასტიკა – „ონიმთა შემსწავლელი მეცნიერება“ → ონომასტიკური „ონომასტიკასთან, როგორც მეცნიერების დარგთან, დაკავშირებული“, მაგალითად: ონომასტიკური კვლევა, ანუ კვლევა ონომასტიკის დარგში; ონომასტიკური ტერმინი „ონომასტიკის, როგორც მეცნიერების დარგის, ტერმინი“, როგორცაა: ონიმი „საკუთარი სახელი“, ონიმიზაცია – აპელატივის გადასვლა საკუთარ სახელთა რიგში და სხვ. ონომასტიკის თეორია სწორედ ონომასტიკურ ტერმინოლოგიას ემყარება.

ტიპოლოგიური ასპექტი. ენათმეცნიერებაში ტიპოლოგია არის ენათმეცნიერული კვლევის სფერო, რომელიც მიზნად ისახავს, დაადგინოს მსგავსებები (იზომორფიზმები) და განსხვავებანი (ალომორფიზმები) ენათა სტრუქტურასა და სემანტიკაში. თ. შარაძენიძის განმარტებით, ტიპოლოგიური კვლე-

ვა საფუძვლად უდევს ე.წ ენობრივი უნივერსალიების, ანუ ენათა სტრუქტურასა და სემანტიკაში საერთო, ზოგადი კანონზომიერებების ძიებას. ამისთვის საჭიროა თანაფარდი სტრუქტურების თანამიმდევრული და შეძლებისდაგვარად ამომწურავი სინქრონიული ანალიზი.

ტიპოლოგიურ ასპექტი ნ. პოდოლსკაიას ლექსიკონში ტიპოლოგიურ მეთოდად არის მიჩნეული და განმარტებულია, როგორც სხვადასხვა ენების მსგავს ონიმურ მოვლენათა განსაზღვრა და შეპირისპირება მათი მეცნიერული კლასიფიკაციის მიზნით, ონიმური ტიპების გამოვლენა.

ტიპოლოგიური კვლევა მნიშვნელოვანია ონომასტიკაში (თეორიულშიც, ისტორიულშიც, გამოყენებითშიც...), სადაც იგი ემყარება გარკვეულ ეპოქასა და კულტურაში ხალხთა ფსიქოლოგიურ ერთობას, რის შედეგადაც სხვადასხვაენოვანი ხალხით დასახლებულ ტერიტორიაზე გარკვეულ პირობებში შეიძლება შეიქმნას ერთგვაროვანი (ანალოგიური სტრუქტურისა და სემანტიკის) საკუთარი სახელები – ტოპონიმები, ანთროპონიმები და სხვ.

ონომასტიკური ტიპოლოგია, უპირველეს ყოვლისა, შეისწავლის ერთი ან რამდენიმე ენის, ანდა სხვადასხვა ონიმური ველის საკუთარი სახელების მსგავს (ერთნაირ, იდენტურ) ლინგვისტურ და ექსტრალინგვისტურ კატეგორიებს, გამოავლენს უნივერსალურ (ზოგადონომასტიკურ) ფაქტებსა და მოვლენებს, როგორცაა: საკუთარი სახელის ადგილი ონიმურ სისტემაში, საკუთარი სახელისა და დენოტატის ურთიერთკავშირი, ნომინაციის მოტივები, ონიმიზაცია და ტრანსონიმიზაცია, სტრუქტურული და სემანტიკური მოდელების მსგავსება ბუნებრივი თუ ხელოვნური სახელდებისას, საკუთარ სახელთა კლასიფიკაცია და სხვ. მაგალითად, ტიპოლოგიურია ონიმთა უაფიქსო ან აფიქსიანი წარმოება (ე. ი. ონიმიზაცია), ანთროპონიმთაგან ტოპონიმების (ე. ი. ანთროპოტოპონიმთა) წარმოქმნა, ტოპონიმთა მეტონიმი და სხვ. საერთოდ, ტიპოლოგია საკუთრივ ონიმურ მასალაში არსებობს, ოღონდ იგი მკვ-

ლევარმა უნდა გამოავლინოს.

თანაფარდი ონიმური მოვლენები აღმოჩნდება როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენების ტოპონიმიაშიც, ან-თროპონიმიაშიც... სხვადასხვა ხალხის ანთროპონიმიაში მსგავსება-განსხვავება ძირითადად შეპირობებულია გარეენობრივი ფაქტორებით, როგორიცაა: ისტორიული მოვლენები, კულტურული თუ რელიგიური პარალელები. პოლიტიკურ-ენობრივი ზეწოლაც იწვევს ტიპოლოგიურ მსგავსებას. მაგალითად, რუსული ენის გავლენით საბჭოთა კავშირის ყველა ხალხი გადავიდა ოფიციალური სახელდების ერთიან, უნიფიცირებულ სამწევროვან ანთროპონიმულ ფორმულაზე, რაც უმეტესწილად თავსმოხვეული ენობრივი მოვლენა იყო. ონიმური მასალის ტიპოლოგიური კვლევის შედეგებით დაინტერესებულია არა მხოლოდ ონომასტიკა, არამედ აგრეთვე ლინგვოგეოგრაფია, არეალური ლინგვისტიკა, დიალექტოლოგია, ენობრივი კონტაქტებისა და ხალხთა მიგრაცია-განსახლების ისტორია და სხვ.

საერთოდ, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური კვლევა, რომელსაც წამყვანი ადგილი უკავია თანამედროვე ენათმეცნიერებაში, მიზნად ისახავს, შექმნას ენათმეცნიერების ზოგადი თეორია, გამოავლინოს ენობრივი ფენომენის დედაარსი, გამოაააშკარაოს ის საერთო და განმასხვავებელი, რაც ახასიათებს მსოფლიოს ყველა ხალხსა და ენას ან მათს უმეტესობას.

ფსიქოლოგიური ასპექტი გამოავლენს ნომინატორის (სახელის დამრკმევის) მსოფლხედვას, მისი აზრების მსვლელობისა და მსჯელობის თანამიმდევრობას. სხვადასხვა ეპოქებისა და ხალხების საკუთარ სახელთა ანალიზის საფუძველზე შეისწავლება ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ შეხედულებათა, გემოვნებათა და ა. შ. ისტორიული მონაცვლეობა.

სახელსადები ობიექტებისადმი ფსიქოლოგიურ-სოციალური თვალსაზრისით განსხვავებული მიდგომის ნიმუშად ხშირად

ასახელებენ კანადის ორ ადრინდელ რუკას, რომლებშიც ერთი და იმავე ობიექტის სახელდების მოტივაცია განსხვავებულია: ვაქრის მიერ შედგენილ რუკაზე შემოთავაზებული სახელწოდებები ასახავენ პრაქტიკულ ორიენტაციას, გამოხატავენ ზღვის უბეების ვარგისიანობას ეკიპაჟის გადმოსვლისა და გემთა დგომისათვის, შეიცავენ ობიექტების დახასიათებას ბუნებრივი რესურსების მიხედვით. მაგრამ მისიონერის მიერ შედგენილ რუკაზე იმავე ობიექტებს სახელები დარქმეული აქვთ ინგლისის მეფეთა პატივსაცემად ან საეკლესიო დღესასწაულების მიხედვით (და არ შეიცავენ ობიექტის დახასიათებას რაიმე ნიშნით).

სოციოლოგიური ასპექტი. როგორც ცნობილია, სოციოლოგია არის მოძღვრება საზოგადოების შესახებ. იგი დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა XIX ს. სამოციან წლებში. დამუშავებულია სოციოლოგიური კვლევის მეთოდოლოგიაც, რომლის საფუძველზეც XX ს. ოციან წლებში ჩამოყალიბდა ენომეცნიერების დარგი სოციოლინგვისტიკა. იგი შეისწავლის ურთიერთმიმართებას ენასა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს შორის, იკვლევს ენათა სოციალურ დიფერენციაციას (სოციალური დიალექტების წარმოშობას), ორენოვნობის (ინტერფერენციის, სესხების, ინოვაციების გავრცელების დინამიკის) საკითხებს, წყვეტს ენობრივი პოლიტიკისა და დაგეგმვის ამოცანებს.

სოციოლინგვისტიკა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ენის საკომუნიკაციო ფუნქციას, მის როლს საზოგადოების განვითარებაში, ენობრივი პოლიტიკის სწორად წარმართვაში. საქართველოში XX ს.-ში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ქართული ენის ნორმატიული საკითხების მოწესრიგებას, მის ფუნქციონირებასა და განვითარებას, აქტიურად საქმიანობდა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია.

შესასწავლი ობიექტისადმი გარკვეული სოციოლოგიური მიდგომა ახასიათებს ონომასტიკასაც. ონომასტიკური

კვლევის სოციოლოგიური ასპექტი გულისხმობს იმ ონომასტიკური მოვლენების კვლევას, რომლებშიც აისახა საზოგადოების სოციალური, ისტორიული და კულტუროლოგიური თავისებურებანი, მოდის გავლენა, სტანდარტიზაცია და სხვა ექსტრალინგვისტური ფაქტები. ონიმიაში, კერძოდ, ანთროპონიმიაში, სოციალურობა ვლინდება:

- ზოგი სახელის ტრადიციულობით ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფში (შ. აფრიდონიძე, ქ. გოდერძიშვილი.);
- ცალკეული სახელების საზოგადოებრივ შეფასებაში.
- ამა თუ იმ საზოგადოებისათვის სასურველი თუ არასასურველი საკუთარი სახელების არსებობაში;
- ცნობილი პიროვნების სახელის გავლენით ამ სახელის ინოვიდუალურ და საზოგადოებრივ შეფასებაში;
- ზოგი პერსონიმის დეონიმიზაციაში და ადამიანის დადებითი თუ უარყოფითი თვისებების გამომხატველ საზოგადო სახელებად მის გადაქცევაში.

ზოგ სოციალურ ჯგუფს ახასიათებს საკუთარი სახელების სხვადასხვაგვარი საზოგადოებრივი შეფასება სხვადასხვა ეპოქაში, ან სულაც (შეგნებულად თუ შეუგნებლად) უპირატესობის მინიჭება ამა თუ იმ პირსახელისათვის. ონომასტიკური კვლევის სოციოლოგიური ასპექტი სწორედ სახელებისადმი ამგვარი მიდგომის შესწავლას გულისხმობს.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ზოგი პერსონიმიც იღებს სოციალურ დატვირთვას: ლუარსაბ თათქარიძე უსაქმურობასა და მცონარობას განასახიერებს, ჯაყო კი - ძალადობასა და უზნეობას. ამიტომაც XX საუკუნის საქართველოში ლურსაბსა და ჯაყოს აღარ არქმევდნენ, თუმცა მეტსახელებში ხშირად შეგვხვდება. სოციალურობა ჩანს ე. წ. მოდური სახელების დარქმევის ფაქტშიც.

ქართულ სინამდვილეში ცნობილია შემთხვევები, როცა ესა თუ ის სახელი უპირატესად ერთ რომელიმე კლასში, ვთქვათ, თავადაზნაურობში ან გლეხთა შორის იყო გავრცელებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს საკუთარი სახელის კლასობრივ ხასიათს.

საკუთარ სახელთა სოციალურობა განპირობებულია საერთოდ თვითონ ენის სოციალური ბუნებით: იგი ადამიანთა საზოგადოების გარეშე არ არსებობს და საკუთარი სახელიც მჭიდროდაა დაკავშირებული როგორც სახელსადებ ობიექტთან, ისე საზოგადოების კულტურულ-ფსიქოლოგიურ ყოფასთან (საკუთარ სახელთა სოციალურ დატვირთულობაზე იხ. აფრიდონიძე, 1988).

ისტორიული ასპექტი. ონომასტიკაში ისტორიული ასპექტი გულსხმობს იმ ისტორიული ეპოქის ანალიზს, რომლის ფონზეც ხდება ონიმური სისტემების ჩამოყალიბება და ფორმირება. ამავე დროს, გასათვალისწინებელია მოვლენათა ისტორიული თანამიმდევრობა და ცალკეულ სახელთა ასპარეზზე გამოჩენა. ამგვარი მიდგომა იმპლიციტურად თან სდევს ყოველგვარ ონომასტიკურ გამოკვლევას, რადგანაც სხვადასხვა წყაროებიდან ამოკრებილი მასალის ქრონოლოგიზაცია და ისტორიული ატრიბუცია აუცილებელია ცალკეული სახელებისა თუ მთელი ონიმური ფენისათვის. ისტორიული ასპექტის მომარჯვება მნიშვნელოვანია როგორც მასალის სტრატეგრაფიული ანალიზისათვის, ისე ისტორიულ ონომასტიკაშიც. ონიმთა კვლევის ისტორიული ასპექტი მჭიდროდაა დაკავშირებული ენათმეცნიერებაში ფართოდ გავრცელებულ ისტორიულ-შედარებით მეთოდთანაც.

გეოგრაფიული ასპექტი. გეოგრაფიული გარემო, როგორც ცნობილია, გარკვეულ გავლენას ახდენს კაცობრიობის კულტურულ განვითარებაზე. მრავალი საკუთარი სახელი შეიცავს ლექსემებს, რომლებიც ასე თუ ისე დაკავშირებულია ბუნებრივ პირობებთან. გეოგრაფიული ასპექტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არეალურ ონომასტიკურ გამოკვლევებში, სხვადასხვა სახის კარტოგრაფირებაში, თუმცა ამ შემთხვევაში რუკაზე აისახება არა გეოგრაფიული გარემო, არამედ ლინგვისტური მონაცემები.

კულტუროლოგიური ასპექტი. კულტურა (ლათ. cultura „დამუშავება, მოვლა, განათლება, განვითარება“) არის განსა-

ზღვრულ ეპოქაში საზოგადოების მიღწევათა ერთობლიობა მეცნიერებასა და ხელოვნებაში, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობაში, ადათ-წესებსა და ზნე-ჩვეულებებში, აგრეთვე ტექნიკასა და ყოფა-ცხოვრებაში. კულტურა მოიცავს ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს — მატერიალურს, სოციალურს, პოლიტიკურს, სულიერს. საკუთარი სახელიც კულტურის ნაწილია. იგი გარკვეული ეპოქისა და კულტურის ანაბეჭდია. ეს განაპირობებს კულტუროლოგიური ასპექტის საჭიროებას ონომასტიკაში. ისეც ხდება, რომ ერთი საკუთარი სახელის ანალიზის შედეგად შეიძლება გამოიკვეთოს, თუ როდის, რატომ და ვის (ან რას) დაერქვა იგი.

ისტორიულ-კულტურული ასპექტით ონიმთა კვლევა გულისხმობს იმ ნაციონალურ-კულტურული გარემოს კომპლექსურ შესწავლას, რომლის ფონზეც წარმოიქმნება ცალკეული სახელები თუ მთელი ონიმური სისტემები... კულტურის პროგრესზე განსაკუთრებით რეაგირებს ენის ლექსიკური შედგენილობა, რომელიც ახალ-ახალი ენობრივი ერთეულებით მდიდრდება.

მატერიალური და სულიერი კულტურის, იდეოლოგიის სიახლენი, ბუნებრივია, აისახება საკუთარ სახელებშიც. მაგალითად, გასული საუკუნის 20-30-იან წლებში საბჭოთა კავშირში დაიწყეს ისეთ პირსახელთა დარქმევა, როგორიცაა ტრაქტორი, ოქტიაბრინა, კალხოზა და სხვ., ხოლო სოფლებს, კოლმეურნეობებს, ქუჩებს ერქმეოდა „პობედა“, „გამარჯვება“, „წინსვლა“, „შრომა“ და ა. შ.

საკუთარი სახელები ენობრივი ერთეულებია, ხოლო ენა საზოგადოებისა და კულტურის ნაწილია. აქედან გამომდინარე, საკუთარი სახელიც საზოგადოებრივ ცხოვრებასა და კულტურასთან კავშირში უნდა შეისწავლებოდეს. საზოგადოების კულტურის ისტორიით არის შეპირობებული მოთხოვნილებანი საკუთარ სახელთა ფორმისა და ტიპის მიმართ, აგრეთვე იმ

ლექსემებისა და მორფემების შედგენილობა, რომლებსაც შეიცავს საკუთარი სახელები, აგრეთვე, საკუთარ სახელთა და მათი მოდელების ცვალებადობა.

§ 7. ეტიმოლოგია

ა. ეტიმოლოგია ზოგადად.

სამეცნიერო ეტიმოლოგია.

ეტიმოლოგია არის ენათმეცნიერების დარგი, რომელიც იკვლევს სიტყვის წარმომავლობას: შედგენილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას, მის კავშირს მონათესავე ან სხვა ენის სიტყვებთან (შუა საუკუნეებში ეტიმოლოგია აღნიშნავდა სასკოლო გრამატიკის ნაწილს, რომელიც შეიცავდა ფონეტიკასა და მორფოლოგიას). არნ. ჩიქობავას განმარტებით, „სიტყვის ეტიმოლოგიის გარკვევა პირვანდელი მნიშვნელობის გათვალისწინებაა, იმ წარმოდგენის ამოფესვაა, რომელიც სიტყვაშია ჩამარხული და რომელიც ცხადყოფს, რატომ დაერქვა ეს სიტყვა ამ ობიექტურ მონაცემს. პირვანდელი მნიშვნელობა, ისევე როგორც საერთოდ მნიშვნელობა, სიტყვის ფუძეშია: ეტიმოლოგია, მაშასადამე, სიტყვის ფუძეში უნდა ვეძიოთ“ (ჩიქობავა, 1937, გვ. 48).

ტერმინი ეტიმოლოგია წარმოქმნილია ორი ბერძნული სიტყვის – *etymon* („ქეშმარიტება, სიტყვის ძირითადი მნიშვნელობა“) და *logos* („მოდღვრება, სწავლება“) შეერთებით. მაშასადამე, ეტიმონი ენათმეცნიერებაში აღნიშნავს მკვლევრის მიერ დადგენილ ძირეულ (ამოსავალ) მორფემას, რომლისგანაც წარმოიქმნა ესა თუ ის თანამედროვე სიტყვა ან საკუთარი სახელი.

ტერმინი „ეტიმოლოგია“ პირველად ცნობილმა სტოიკოსმა ქრისიპემ (ძვ. წ. III ს.) გამოიყენა. როგორც ცნობილია, სტოიციზმმა გარკვეულ წარმატებას მიაღწია ენათმეცნიერების სფეროში, კერძოდ, საგნისა და მისი სახელის ურთიერთკავშირის გარკვევის საკითხში. ეს ურთიერთკავშირი კი უნდა გაიხსნას

ეტიმოლოგიური ანალიზით. სტოიკური ფილოსოფიის მიხედვით, სახელი „ბუნებითა“ (ე.ი. ბუნებისაგან მოცემული) და, ამდენად, იგი არის ჭეშმარიტი, ინდივიდუალური, ერთადერთი. საკუთარი სახელები, როგორც სრულად თავისთავადი კლასი, სწორედ ქრისიპემ გამოყო (საერთოდ კი ბერძენი სწავლულები იყენებდნენ ტერმინად „სახელს“, როგორც განუყოფელ კატეგორიას და დიდ განსხვავებას ვერ ხედავდნენ საზოგადო თუ საკუთარ სახელებს შორის).

ონომასტიკაში ტერმინი ეტიმოლოგია ზოგადად აღნიშნავს ონიმის წარმომავლობას, კონკრეტულად კი: 1. საკუთარი სახელის თავდაპირველ (ონიმამდელ) მნიშვნელობას (ე.ი. მოვლენას, ობიექტურ მონაცემს); 2. საკუთარი სახელის წარმომავლობის, შედგენილობისა და სემანტიკის (ონიმამდელი მნიშვნელობის) კვლევას, ეტიმოლოგიზებას (ეტიმოლოგიზაციას, ე. ი. კვლევის პროცესს).

ონიმის ეტიმოლოგია განსხვავდება აპელატივის ეტიმოლოგიისაგან. საზოგადო სახელის „ეტიმოლოგიური ანალიზი მიზნად ისახავს, მონათესავე ენათა ფაქტებზე დაყრდნობით ახსნას სიტყვათა ისტორია მათი უძველესი ფორმებისა და მნიშვნელობათა ჩათვლით. ამგვარ ეტიმოლოგიურ ძიებებში დიდი ადგილი ეთმობა სიტყვის უძველესი ფონეტიკური და მორფოლოგიური აღნაგობის დახასიათებასა და სიტყვის მნიშვნელობის პირველსაწყისი მოტივირების ვარაუდს“ (კოდუხოვი, 1982, გვ. 353). ონიმის ეტიმოლოგიზებისას კი საკმარისია მისი ამოსავალი ლექსემის (საზოგადო თუ საკუთარი სახელის) ფორმისა და მნიშვნელობის (შეძლებისდაგვარად - ისტორიისაც) დადგენა, რისთვისაც საჭიროა, ისტორიულ-კულტურულ რეალიებთან კავშირისა და სათანადო ენობრივ სისტემაში ფუნქციონირების გათვალისწინება. მაგალითად, დილმელა შვილი ეპონიმური გვარია. მისთვის ამოსავალია პიროვნული სახელი (თუ მეტსახელი) დილმელა (აქ მთავრდება გვარის ეტიმოლოგია. თუკი კონკრეტულად მივუთითებთ ეპონიმს, ამით მისი ისტორიაც დადგინდება); თავის მხრივ, დილმე-

ლა წარმომავლობის სახელია, გასუბსტანტივებული და საკუთარ სახელად ქცეული - ა სუფიქსის საშუალებით. ამოსავალია გეოგრაფიული სახელწოდება დილომი. როგორც ჩანს, ეპონიმი ამ სოფლიდან იყო (ამით მთავრდება დიდმელას ეტიმოლოგია); შემდგომი საფეხური თვით ტოპონიმის წარმომავლობას დადგენაა. სავარაუდოა, ამოსავალი იყოს შესიტყვება დიდი მღვიმე (შდრ. დიდი ღუბე → დიდღუბე, შიონღვიმე → შიონი). აპელატივ მღვიმის წარმომავლობის დადგენა კი ონომასტიკოსათვის აუცილებელი არ არის. ამ თვალსაზრისით ონომასტიკური ეტიმოლოგია უფრო ახლოს სწორედ სიტყვაწარმოებითს ანალიზთან დგას. „სიტყვაწარმოებითი ანალიზი ეყრდნობა ერთი (თანამედროვე) ენის ფაქტს და განსაზღვრავს სიტყვაწარმოებითს (მოტივაციის შემქმნელ) ფუძეს, სიტყვაწარმოებითს აფიქსებს, სიტყვაწარმოებითს მოდელს, სიტყვაწარმოებითს მნიშვნელობას, ადგენს სიტყვაწარმოებითი მოდელისა და სიტყვაწარმოებითი ტიპის პროდუქტიულობა-არაპროდუქტიულობას“ (კოდუხოვი, 1982, გვ. 353).

საუკუნეთა განმავლობაში ონიმის ისტორიაში დგება მომენტი, როცა აპელატივის (ამოსავალი ფუძის) მნიშვნელობა სრულებით ქრება ფონეტიკური გარდაქმნებისა თუ ლექსიკური ფონდიდან მისი ამოვარდნის გამო. ასეთ შემთხვევაში იწყებენ მის (ამოსავალი ფუძის) ძიებას, რასაც ეტიმოლოგია ეწოდება (შდრ. არქეოლოგები ეძებენ დაკარგულ ქალაქს, რომლისგანაც მხოლოდ სახელია დარჩენილი. ამას არქეოლოგია ეწოდება).

ცნობილი რუსი ონომასტოლოგი ა. სუპერანაკია ალნიშნავს, რომ, მართალია, ეტიმოლოგია არის მოძღვრება სიტყვის ქვეშეშეპარტ მნიშვნელობაზე, მაგრამ ონომასტიკურ კვლევაძიებას იგი მაინცდამაინც ვერ მიესადაგება, რადგანაც საკუთარი სახელის (ტოპონიმის, ანთროპონიმის...) წარმომქმნელი და დღეს გაუჩინარებული ლექსიკური ერთეულის გამოკლება ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ეტიმოლოგიას.

ონიმის ეტიმოლოგია განსხვავდება აპელატივის ეტიმოლოგიისაგან, რადგანაც ისინი სხვადასხვა იარუსის სიტყვებია:

ენათმეცნიერისათვის ეტიმოლოგია არის იმ ფუძის დადგენა, რომლისგანაც სიტყვა წარმოიქმნა. საამისოდ კი აუცილებელია მონათესავე ენათა მონაცემების გათვალისწინება. სწორედ ამ გზით დადგინდა, რომ ქართ. ძაღლ-ი, მეგრ.-ლაზ. ჯოდორ-ი და სვან. ჟად//ჟედ (ყველა სიტყვის მნიშვნელობაა „ძაღლი“) წარმოადგენს ფონეტიკურ-სემანტიკურ შესატყვისობებს და მათთვის ამოსავალია საერთოქართველური ფუძე ძაღლ „ძაღლი“; ასევე: ქართ. კაც-ი „კაცი; ქმარი“, მეგრ.-ლაზ. კოჩ-ი „კაცი, ქმარი“ და სვ. ჭაშ- „ქმარი“ საერთოქართველური ფუძეენისეული კაც „ქმარი“ ფუძის რეფლექსებია... მაგრამ შეუძლებელია ონიმთა ანალიზი აპელატივთა ანალიზისათვის გამოყენებული მეთოდებით: საკუთარი სახელის ეტიმოლოგიისათვის საკმარისია მისი ამოსავალი ფუძის დადგენა, მაგრამ ამგვარი კვლევა, როგორც უკვე აღინიშნა, იმდენად ეტიმოლოგია კი არ არის, რამდენადაც სიტყვაწარმოებითი ანალიზი ფონოლოგიისა და მორფოლოგიის, აგრეთვე ისტორიული რეალიების გათვალისწინებით.

ამასთანავე, ეტიმოლოგია უმეტეს შემთხვევაში ჰიპოთეზაა, მაგრამ არაიშვიათად შეიძლება მტკიცება, რომ ესა თუ ის განმარტება ამოსავალი ფუძისა ერთადერთი და აბსოლუტურია. ეს ეხება აპელატივისაც და საკუთარ სახელსაც. ეტიმოლოგიას დამაჯერებლობას ჰმატებს, როცა ორი დიდი მკვლევარი ერთი და იმავე ტოპონიმის წარმომავლობის კვლევისას ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთსა და იმავე შედეგს მიიღებს. ერთაწმინდა სოფელია ქართლში (თეძმის ხეობაში). ამ ოიკონიმის ეტიმონი, ანუ ამოსავალი თავდაპირველი ფორმა, არის „ესტატე წმინდა“. ეს დასკვნა ეკუთვნით ისტორიკოს ს. ჯანაშიასა და ენათმეცნიერ აკ. შანიძეს. ორივე მკვლევარი ეყრდნობა ისტორიულად დადასტურებულ ფორმა „ერთაწმინდას“. ს. ჯანაშიას მტკიცებით: ესტატე-წმინდა → ესთა-წმინდა → ერთა-წმინდა. აკ. შანიძე კი დეტალურად მიუთითებს ეტიმონში მომხდარ ფონეტიკურ ცვლილებებზე: ევსტათი (ძვ. ქართულში) → ესტათი (გ-ს დაკარგვით) → ესტათე (ე ბოლოკიდურიან სახელთა

ანალოგიით) → ესტატე (ასიმილაციით) → ესტატე (დისიმილაციით) → ესტა (ტე ბოლოკიდური კომპლექსის მოკვეცი) → ერთა (შდრ.: სთუელი → რთველი, სძალი → რძალი... მაშასადამე, ს. ჯანაშიასთან ევსტათი//ევსტატი ფუძის ცვლილება გამაგრებულია დოკუმენტალურად, ხოლო აკ. შანიძესთან – ფონეტიკურად (ქართულისათვის ისტორიულად დამახასიათებელი ბგერათცვლილებებით). კ. დანელია და ზ. სარჯველაძე ერთაწმინდის შანიძისეულ ახსნას მეცნიერული ეტიმოლოგიის კლასიკურ, საქრესტომათიო ნიმუშად მიიჩნევენ. გ. ბურჭულაძე კი ამ ერთობლივ ეტიმოლოგიასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „აქაა ის ბედნიერი შემთხვევა, როცა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ორივე დიდი მეცნიერი ერთსა და იმავე ეტიმოლოგიამდე მივიდა“ (ბურჭულაძე, 2002). მაგრამ არც ისაა იშვიათი, როცა ორი დიდი ენათმეცნიერი ერთი და იმავე ტოპონიმის განსხვავებულ ეტიმოლოგიას გვთავაზობს: რაჭა საქართველოს ერთ-ერთი კუთხის სახელია, აკ. შანიძის განმარტებით, იგი მომდინარეობს სვანური ფორმისაგან რატშა „რატისა“, ხოლო გ. ახვლედიანის ვარაუდით – სვანური სიტყვისაგან რაჭე „კურდღელი“. რომელია ჭეშმარიტი?

მრავალგვარი, ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული წარმართული ხანის ქალაქის – მცხეთის (ქართლის უძველესი დედაქალაქის) – სახელწოდების წარმომავლობასთან დაკავშირებით. ლეონტი მროველის ლეგენდით, ქართველთა ეთნარქის – ქართლოსის – მემკვიდრე მცხეთოსმა ააშენა ქალაქი მტკვრისა და არაგვის შესართავთან და „უწოდა სახელი თვისი მცხეთა“. პლატონ იოსელიანის თვალსაზრისით, ტოპონიმი მცხეთა მომდინარეობს სატომო სახელისგან მესხი//მესხები, რომლებიც ქართლში საცხოვრებლად ადრეულ საუკუნეებში გადმოსულან. ნ. მარიც მცხეთას თვლიდა მესხების საცხოვრებელ ადგილად. აკ. შანიძის მორფოლოგიური ანალიზის თანახმად, ეთნონიმისეულ მცხ-ელემენტს დართვია -ეთ-ა რთული სუფიქსი, რომელშიც -ეთ კომპლექსი გეოგრაფიულ სახელთა, ხოლო -ა ხმოვანი

კინობითობის მაწარმოებელი სუფიქსია.

ტოპონიმ მცხეთის დაკავშირება სატომო სახელ მესხ-//მესხებთან, როგორც ქეშმარიტი დებულება, გაიზიარეს სხვა გამოჩენილმა მკვლევრებმა: ივ. ჯავახიშვილმა, გ. ახვლედიანმა, ს. კაკაბაძემ, არნ. ჩიქობავამ, გ. მელიქიშვილმა, ს. ყაუხჩიშვილმა, ა. აფაქიძემ, თ. მიქელაძემ, ალ. ღლონტმა და სხვ. ამ მოსაზრებას ამაგრებს ზ. ჭუმბურიძე: „სახელწოდება მცხეთა პირველად ნახსენებია ძველი ბერძენი მეცნიერის პტოლემეს „გეოგრაფიაში“ (II ს.), ოღონდ პტოლემე ამ სიტყვას გადმოგვცემს მესტლეთა ფორმით. მესლეთა. მეცნიერთა აზრით, აქ ჩვენ გვაქვს დამახინჯებით გადმოცემული მცხეთის სახელწოდების უფრო ძველი ფორმა მესხეთა. ამ ფორმის შეკუმშვით უნდა მიგვეღო მსხეთა, აქედან კი – მცხეთა“ ... მესხ-ისაგან არის წარმოქმნილი აგრეთვე სახელწოდება სამცხე ← სა-მესხ-ე (ჭუმბურიძე, 1987, გვ. 474-475).

ყოველივე ამ, თითქოს შეუვალი, მტკიცებულებების არსებობის მიუხედავად, იმ საფუძველზე, რომ -ეთა ქართულში არც ერთ სხვა შემთხვევაში ეთნონიმთაგან არ აწარმოებს ადგილის სახელებს, გ. ბედოშვილი გამოთქვამს სხვა ვარაუდს: მკცე ძველ ქართულში ნიშნავდა „ჭალარას, თმაგათეთრებულს, ასაკოვანს“, ხოლო გადატანით – „უფროსს, ბრძენს“, და რადგან მცხეთა სამეფო ქალაქი იყო, შესაძლებელია – მამასახლისისაც. აქედან გამომდინარე, მკვლევარი ასკვნის: მ-კც-ე//მ-ხც-ე სიტყვისაგან -თა სუფიქსის დართვით წარმოქმნილა (როგორც ჩანს, ქრისტიანობამდე IV-III სს.) ადგილის სახელი მცხეთა, რაც ნიშნავს „მკცეთა სამყოფი ქალაქი“, „მკცეთა საბრძანისი“, „საუფროსო სამთავრო ქალაქი“. ფონეტიკური პროცესის შედეგად (მეტათეზისი) მხცეთა → მცხეთა (იხ. ბედოშვილი, 2002, გვ. 269-276).

რა თქმა უნდა, საკუთარი სახელის ფუნქციონირებას ხელს არ უშლის ის გარემოება, რომ „ხანდაზმულობის“ გამო მისი აპელატივი შეიძლება სულაც დაკარგული ან ისე დაკონსერვებული იყოს, რომ მისი მნიშვნელობის დადგენა

საგანგებო კვლევა-ძიებას საჭიროებდეს. საკუთარი სახელიც სიტყვაა, ისევე როგორც აპელატივი, ოღონდ სხვა რანგისა: იგი კონკრეტულ საგანს მიემართება და არა ცნებას.

მაშინაც კი, როცა აპელატივი ცოცხალია, საკუთარი სახელი მის მიმართ ოპოზიციური სიტყვაა. ისინი ომონიმებს ქმნიან. აპელატივის მნიშვნელობის გაუჩინარება შედეგია საკუთარ სახელთა საერთო ტენდენციისა, გაემიჯნონ აპელატიურ ლექსიკას და, ონიმური კანონზომიერების შესაბამისად, განვითარდნენ როგორც ოდენ საკუთარი სახელი.

საკუთარი სახელის ფუძე შეიძლება იყოს საზოგადო სახელიც და საკუთარი სახელიც, ამასთანავე - მარტივიც, წარმოქმნილიც, რთულიც. ონომატოლოგის მიზანიც სწორედ მათი გამოვლენაა და არა სიღრმისეული ანალიზი - ძირის დადგენა, მით უმეტეს, თუკი აპელატივი ნასესხები სიტყვაა. მაგალითად, ერთ დროს თბილისის მიმდებარე სოფლების, ამჟამად კი ქალაქის ცენტრალური უბნების - ისნისა და ავლაბრის - სახელწოდებათა წარმომავლობის დადგენა იმის გარკვევით მთავრდება, რომ ისანი არაბულად „ციხეს“ ნიშნავს, ხოლო არაბულ-სპარსული ავლაბარი. - „სასახლის მიდამოს“ (ს. ჯანაშია) ან „გარეთუბანს“ (თ. ბერაძე). ასევე: სეიდაბადი (თავდაპირველი ტფილისი, დღევანდელი ხარფუხი) სპარსულია და ნიშნავს „სეიდების დასახლებას“. სეიდები მაჰმადიანთა ერთ-ერთი ტომის სახელია. ვარაუდობენ, რომ ამ ტომის ჩამოსახლება თბილისის მახლობლად XVII ს. შუა წლებში უნდა მომხდარიყო (იხ. ბერაძე, თბ., 1977, გვ. 69-87). ყოველივე აქედან გამომდინარე, ონიმური ეტიმოლოგია სინამდვილეში სიტყვაწარმოებითი ანალიზია, მაგრამ ტრადიციის ძალით და პირობითად მასაც ეტიმოლოგიას ვუწოდებთ.

ონომასტიკაში ეტიმოლოგია ხშირ შემთხვევაში მთავრდება ისტორიულ წყაროებში დადასტურებული ფორმის აღმოჩენით. სოფლის სახელწოდება მეჭვრისხევის წარმომავლობა თითქოს გამკვირვალეა და ნიშნავს „მეჭვარის ხევს“. მაგრამ მეჭვრისხევი მდებარეობს მეჭულდის ნაპირას და, როგორც აკ. შანიძე აღნიშნავს,

სოფლის თავდაპირველი სახელი უნდა ყოფილიყო მეჯვდისხევი (← მეჯუდისხევი), რაც კიდევაც დამოწმებულია ისტორიულ წყაროებში, ხოლო მეჯვრისხევი გადააზრების შედეგია.

ეტიმოლოგიური გამჭვირვალობის დაკარგვას, საკუთარი სახელის მიერ ამოსავალ ფუძესთან (აპელატივთან) შინაარსობრივი კაკშირის გაწყვეტას დეეტიმოლოგიზაცია ეწოდება, მაგრამ აპელატივის დაკარგვა, მისი მნიშვნელობის გაქრობა ოდნავადაც არ არღვევს ონიმის ონიმურ ფუნქციას. „ასაკოვანი“ ონიმების, მაგალითად, ანთროპონიმებისა თუ თეონიმების ფუძეებში შეიძლება კონსერვირებული და, მაშასადამე, შემონახული იყოს უნიკალური ლექსიკური ერთეულები. მაგრამ საკუთარი სახელის ეტიმოლოგიური ანალიზი არ შეიძლება განხორციილდეს იმ კრიტერიუმებით, რომელთაც ვიყენებთ საზოგადო სახელის ეტიმოლოგიისას: საზოგადო სახელის უძველესი ძირების აღდგენა-რეკონსტრუქცია, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, საჭიროებს ფონეტიკურ კანონზომიერებათა და მონათესავე ენათა ჩვენებების გათვალისწინებას. მაგრამ ეს მეთოდი საკუთარი სახელების მიმართ შედეგს არ გამოიღებს ორი გარემოების გამო: 1. ონიმად ქცეული ლექსემა იშვიათად ექვემდებარება ფონეტიკურ გარდაქმნებს. მაგ., ძველი ქართული სიტყვა ტფილი შუა საუკუნეებში უკვე შეიცვალა მისი ფონეტიკური ვარიანტით თბილი. მაგრამ დედაქალაქის სახელწოდება ტფილისმა XX საუკუნემდე მოაღწია და მხოლოდ 1936 წელს შეეცვალა სახელი მთავრობის სპეციალური დადგენილებით; 2. ადამიანი მიდრეკილია, თუნდაც უცხოენოვან საკუთარ სახელში ეძებოს მისაღები და გასაგები და ამ მიზნით ხშირად მიმართავს გადააზრებასაც, ანუ მის დაკავშირებას ნაცნობ სიტყვასთან (სიტყვებთან), რასაც ზოგ შემთხვევაში საფუძვლად უდევს ორი თუ სამი იდენტური ბგერის პოვნიერება. გადააზრებას მივყავართ ცრუ ან ხალხურ ეტიმოლოგიამდე.

ბ. ცრუ ეტიმოლოგია

სამეცნიერო შრომებში იშვიათი არაა ძირძველი თუ

ნასესხები საკუთარი სახელის წარმომავლობის არასწორი განმარტება, რაც შეპირობებულია ამოსავალი ფუძის სემანტიკის, სტრუქტურისა და ფონეტიკის მცდარი ინტერპრეტაციით. სწორედ ამას ეწოდება ცრუ ეტიმოლოგია.

ყოველი მკვლევარი ონიმურ მასალას აღიქვამს თავისი ინტელექტუალური დონის, თანამედროვე და უძველესი ენების ცოდნის ხარისხის მიხედვით და იმის მიხედვითაც, თუ როგორი რეალიების დანახვა სურს საანალიზო მასალაში. ისევე, როგორც ენობრივ კოლექტივს, ზოგ შემთხვევაში მკვლევარსაც ახასიათებს ტენდენცია, რომელიც ახლოს დგას ე.წ. ხალხურ ეტიმოლოგიასთან. თეიმურაზ ბაგრატიონი ტოპონიმ ავლაბარში გამოყოფდა ზმნურ ფუძეს „ავლა, ასვლა“ და განმარტავდა: „ავლაბარი ქართული სახელი არის... ავლა ნიშნავს ძირის ადგილიდან მალლა ასვლას. ბარი ნიშნავს მდაბალს ვაკესა და ტფილს ადგილს“. საგულისხმოა, რომ თეიმურაზ ბატონიშვილის ზემოთ აღნიშნული მოსაზრების „გაცოცხლებას“ და მის სარწმუნოდ მიჩნევას ზოგიერთი ჩვენი სპეციალისტი დღესაც მიმართავს. ტოპონიმის ასევე მცდარი ეტიმოლოგია ეკუთვნის კ. ჰანსაც, რომელმაც ავლაბარი გაიაზრა როგორც „ავი, ცუდი გარეუბანი“. სინამდვილეში ავლაბარი ნიშნავს „სასახლის უბანს“ ან „გარეთა უბანს“ (ბედოშვილი, 2002, გვ. 26).

საერთოდ, ყოველგვარი ეტიმოლოგია უნდა „ჩდებოდეს“ ენობრივ სისტემაში. ქართველურ ენათა ტოპონიმიაში ვერ ვიპოვით კომპოზიტურ სახელწოდებას, რომლის მეორე კომპონენტიც რიცხვით სახელს წარმოადგენდეს. თუნდაც აქედან გამომდინარე, საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ ლანჩხუთისათვის (ლანჩხუთი ქალაქია გურიაში) ამოსავალია მეგრული ლანჯი ხუთი „კოიტი ხუთი“. სამეცნიერო ლიტერატურაში ლანჩხუთთან დაკავშირებით მოსაზრებები გამოთქმული აქვთ ნ. მარს, ივ. ჭავჭავაძის, ს. ჭანაშიას, აკ. შანიძის, მაგრამ საბოლოოდ სარწმუნო და მისაღები ჩანს ზ. ქუმბურაძის განმარტება, რომ ლანჩხუთი „სა-ძროხ-ე“ ზანური წარმოშობის სახელია. ამ თვალსაზრისს გ. ბედოშვილი აზუსტებს: ლანჩხუთი

ალბათ საძოვარ ადგილს ნიშნავს და არა პირუტყვის სადგომს, გომურს, ბოსელს (ბედოშვილი, 2002, გვ. 215).

ცრუ ეტიმოლოგიას, ჩვეულებრივ, იწვევს საკუთარი სახელის არასწორი სეგმენტაცია, ფუძისეული თუ საწარმოქმნო მორფემების არასწორად გამოყოფა, გარეენობრივი რეალიების გაუთვალისწინებლობა. „გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტებაში“ (თბ., 1965) დასავლეთ საქართველოს ადგილთა სახელები – მუხურა, მუხური, მუხურჩა – დაკავშირებულია მუხა სიტყვასთან. სინამდვილეში მუხური ცოცხალი ლექსიკური ერთეულია იმერულში, გურულში, ლეჩხუმურში, მეგრულში. კერძოდ, მეგრულში მუხური ნიშნავს უბანს, კუთხეს, მიუწვდომელ ადგილს. აქედან გამომდინარე, მუხურჩა ← მუხურჩა არის „შავი (ბნელი) ადგილი“. ადგილობრივი (რეგიონული) ლექსიკურ-ონიმური ვითარების გაუთვალისწინებლობის შედეგია ოიკონიმ ლეკუხონა-ში (გალის რ-ნი) ლე-პრეფიქსის გამოყოფა. სინამდვილეში აღნიშნული სახელწოდება წარმოქმნილია კრებითობის რთული -ონ-ა სუფიქსით, რომელიც დართვია მცენარის სახელ ლეკუხას (ლეკუხა „ხეჭრელი“).

ტოპონიმის ამოსავალი ფუძის სემანტიკის არასწორად განსაზღვრის შედეგია, როცა ეგრისის ქედზე მდებარე საძოვრის სახელი ორულაფუ განმარტებულია როგორც საძილე, რადგანაც მეგრულში ლექსემა რული აღნიშნავს „ძილს“. საქმე ისაა, რომ აღნიშნული გეოგრაფიული სახელწოდებისათვის ამოსავალია არა მეგრული რული „ძილი“, არამედ რულა „რბენა“. აქედან გამომდინარე სამეგრელოში ფართო მინდვრებს არაიშვიათად ეწოდება ორულუ, ან ორულაფუ „სარბენი“, „სამარულო ადგილი“.

ცრუ ეტიმოლოგიის მიზეზი ხშირად ხდება არაკომპეტენტურობა და იმ რეგიონისა და ენის უცოდინარობა, რომლის ონიმურ მასალასაც განიხილავენ. დ. ყანდაშვილის „საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებათა განმარტებაში“ (თბ., 2000) ვკითხულობთ: „ჯაპანა - ლანჩხუთის რ-ში. „ჯაპა-ჯუპი -

მრავალჯერ დიდი ტყეცების ხმა“ (ქლ)“. ქლ გულისხმობს ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონს, მაგრამ მასში „ჯაპა-ჯუპი“ არ ჩანს, ხოლო ჯა ჯა-ჯუ ჯი მართლაც არის განმარტებული როგორც „მრავალჯერ დიდი ტაკების (და არა ტყეცების - პ. ც.) ხმა“, რაც აღნიშნული ტოპონიმის აპელატიურ მნიშვნელობასთან არაფერ შუაშია. სინამდვილეში ჯაპანა მეგრული ტოპონიმური სუბსტრატია გურიიში და ნიშნავს „თუთნარს“ (მეგრ. ჯაპი „თუთა“). ამავე ლექსიკონში ოჩხამური (დაბა ქობულეთის რ-ში) დაკავშირებულია ოჩხ (ს.-ს. ორბელიანი: „ოჩხი - თევზთ საბუნაგო“) სიტყვასთან. მაშინ რას წარმოადგენს სახელწოდების დარჩენილი ნაწილი „ამური“?! საქმე ისაა, რომ ოჩხამური აგრეთვე მეგრული სუბსტრატია, წარმოქმნილი ო-ურ პრეფიქს-სუფიქსით. ტოპონიმისათვის ამოსავალია მეგრ.-ლაზ. შხამა//ჩხამა, რაც ერთგვარი მწარე ბალახის სახელია (სამეც-ნიერო ლიტერატურაში ცნობილია ოჩხამურის სხვაგვარი განმარტებაც). კიდევ ორი ზეგალითი: დ. ყანდაშვილი ნუკრიანს (სოფელი სიღნაღის რ-ნში) ასე განმარტავს: „სახელწოდება ნაწარმოებია ნუკრიდან. ისინი ძველად ბევრი იყო“. მაგრამ ქართული ტოპონიმური სისტემა არ იცნობს სხვა შემთხვევას, როცა კრებითობის სუფიქსი -ან დაერთვის ცხოველის სახელს. სინამდვილეში ნუკრიანი ნიშნავს „ნუკრიას შთამომავლებს“ და ეს ჯგუფური ანთროპონიმი ტრანსონიმიზაციის გზით გადაქცეულა დასახლებული პუნქტის სახელად. იგივე ავტორი მესტიის რ-ნის სოფლების - ლახამისა და ლახამულას - სახელწოდებების წარმომავლობას აკავშირებს ბერძნულ სიტყვა ლახანასთან, რაც, ქეგლ-ის განმარტებით, ბერძნულიდანაა ნასესხები და ნიშნავს „თავშეხვეულ კომპოსტოს“. დ. ყანდაშვილს ზ. ჭუმბურიძის „დედაენა ქართულში“ რომ ჩაეხედა, წაიკითხავდა: სვანურად ხამ „ღორს“ ნიშნავს, ხოლო ლახამ, ლახამულა - „საღორეს“ (აღსანიშნავია, რომ დ. ყანდაშვილი თავის ნაცოდვილარს უწოდებს „საშვილიშვილო წიგნს“ და საგანგებოდ აღნიშნავს: „ეძღვნება მომავალ თაობას“?!).

ქართველურ საკუთარ სახელთა წარმომავლობის კვლევი-

სას დასანანი შეცდომა მოსდით უცხოელ ქართველოლოგებსაც, რომელნიც ქართულ ენას ძალიან კარგად ფლობენ, მაგრამ ნაკლებად არიან გაცნობილნი ლოკალურ ენობრივ სიტუაციას. დავასახელებთ რამდენიმე მაგალითს: როგორც ცნობილია, უბანი ხშირად გვხვდება სოფლებისა და უბნების სახელწოდებებში. ამასთანავე ბ – მ მონაცვლეობის შედეგად დასტურდება უბანი → უმანი, მაგ. აბასთუმანი ← აბაზთუმანი. ყოველივე ამაზე დაყრდნობით და მითითებით, ცნობილი ევროპელი ქართველოლოგი ასკვნის, რომ „გლისო-მანი ← მგლისუმანი, მაჩვისომანო ← მაჩვისუმანი... სინამდვილეში უმანო, ისევე როგორც ომანო, ქართული ენის დასავლურ დიალექტებში აღნიშნავს სოროს, ხვრელს მიწაში; ასევე: ასკილიანი მართლაც ასკილ-ლექსემისაგან მომდინარეობს, მაგრამ ტოპონიმ ასკილაური-სათვის ამოსავალია მეტსახელი ასკილა (ასკილაური იგივეა, რაც ასკილას ნაქონი მიწა); იგივე მკვლევარი ზმნურფუძიან ტოპონიმებად თვლის დაკეცილებსა და საკეციას. სინამდვილეში საკეცია ისეთი ადგილია, სადაც კეცის ქვა მოიპოვება.

ცრუ ეტიმოლოგია ხშირ შემთხვევაში შედეგია ტენდენციური, წინასწარაკვიატებული სქემით მოქმედებისა. აფხაზ მკვლევართა ერთი ნაწილი ცდილობს, დაასაბუთოს თეზა, რომ აფხაზები წარმოადგენდნენ სამურზაყანოს აბორიგენ მოსახლეობას. საამისოდ კი მიმართავენ ამ რეგიონის ძირძველი ქართველური ტოპონიმების წარმომავლობის თავისებურ ახსნას, კერძოდ, თვლიან, რომ ფოქვეში (სოფელი ოჩამჩირის რაიონში, აფხ. ვარიანტი: ფაქუაშ) ლუმურიში (ზემო ლუმურიშისა და ქვემო ლუმურიშის საერთო სახელწოდება გალის რაიონში. აფხ. ვარიანტი: ლუმრიშ) და სხვ. წარმოქმნილია ადიღურ-ჩერქეზული – შ სუფიქსით (ამოსავალ ფუძეთა სემანტიკას არც განიხილავენ). მართალია, ონომასტიკაში ცნობილია განმეორებად დაბოლოებათა ოდენ ანალიტიკური გზით გამოყოფისა და მისი სადერივაციო მორფემად მიჩნევის მეთოდი, მაგრამ ეს მეთოდი ეფექტური არ არის, რადგანაც ტოპონიმის

ეტიმოლოგიისათვის გადამწყვეტი მაინც ეტიმონის დადგენაა. სინამდვილეში ზემოთ დასახელებული ოიკონიმები წარმოქმნილია სამეგრელო-სვანეთის ტოპონიმურ სისტემაში ფართოდ გავრცელებული -(ი)შ სუფიქსის მეშვეობით. იგი ერთ შემთხვევაში დართვია სვანურ ფუძე ღუმირ-ს („ნაძვი“), ხოლო მეორე შემთხვევაში – მეგრულ ფუძე ფოქვა-ს („წღვინე, გამოქვაბული“). გასათვალისწინებელია ფონეტიკურ-ფონოლოგიური ფაქტორიც: ღუმირიშ და ფაქუაშ ფორმაუცვლელად შემოვიდოდა მეგრულში. აფხაზური ენა კი კოლხურ ტოპონიმებს „ღუმურიშსა“ და „ფოქვეშს“ მისთვის დამახასიათებელი ფონეტიკური შესაძლებლობების გამო, მხოლოდ ღუმირიშ და ფაქუაშ ფორმით შეითვისებდა (თ. გვანცელაძე, პ. ცხადაია).

მაშასადამე, ღუმურიში და ფოქვეში გრამატიკულადაც, ლექსიკურადაც და ეტიმოლოგიურადაც (მოტივირების თვალსაზრისით) კოლხურ ტოპონიმურ სისტემას განეკუთვნება და ძირძველ აფხაზურ ტოპონიმებად მათი მიჩნევა, რბილად რომ ითქვას, ჭეშმარიტების წინაშე თვალის დახუჭვაა.

გ. ხალხური ეტიმოლოგია

ფერდინანდ დე სოსიურის „ზოგადი ენათმეცნიერების კურსის“ VII თავი „ხალხური ეტიმოლოგია“ (სოსიური, 2002, გვ. 181-183) ასე იწყება: „ზოგჯერ სიტყვებს, რომელთა ფორმა და შინაარსიც ჩვენთვის ნაკლებად გასაგებია, ვამახინჯებთ და ეს დეფორმაცია ენაში ფეხს იკიდებს“. ცოტა ჭკვემთ კი იგივე დებულება ასეა გადმოცემული: „მცდელონას, დაახლოებით მაინც ახსნან გაუგებარი სიტყვა და რალაც ნაცნობს დაუკავშირონ იგი... ხალხური ეტიმოლოგია დაარქვეს“. ამავე თავში კიდევ ერთხელ არის განმარტებული, რომ ხალხური ეტიმოლოგიისათვის „დამახასიათებელია უცნობი ფორმების ახსნა ნაცნობის საშუალებით“ და დასახელებულია არა ერთი და ორი ნასესხები თუ ძირძველი ლექსიკური ერთეული, ამგვარი დეფორმაციის გზით რომ დამკვიდრდა ფრანგულ და გერმანულ ენებში. დასამახსოვრებელია სოსიურის ფრაზა: „ხალხური ეტიმოლოგია პა-

თოლოგიური მოვლენაა ენაში“.

ონომასტიკაში ხალხური ეტიმოლოგია ეწოდება მნიშვნელობაგაუჩინარებული (დეეტიმოლოგიზებული) საკუთარი სახელის თავისებურ ახსნა-განმარტებას, რაც ემყარება ბგერათა მხოლოდ შემთხვევით მსგავსებას და არ ითვალისწინებს ფონეტიკურ გადასვლათა კანონზომიერებებს, მორფოლოგიურ სტრუქტურას, ისტორიულ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-კულტურულსა თუ რელიგიურ რეალიებს. ამ მოვლენას გადააზრებასაც უწოდებენ. მისი საფუძველი ისაა, რომ დროთა განმავლობაში საკუთარი სახელი, კერძოდ, ტოპონიმი, კარგავს სემანტიკურ გამჭვირვალობას და ადამიანი, რომელიც მიდრეკილია უცნობი ნაცნობად, გაუგებარი გასაგებად აქციოს, ეძებს ანალოგს მისთვის ნაცნობ და ახლობელ ლექსიკურ მოვლენებთან. რამდენიმე ცნობილი მაგალითი გავიხსენოთ: ვარძია ← აქ ვარ ძია, სამტრედია ← სამი მტრედია, ჭიათურა ← ჭიაა თუ რა? და სხვ. მრავალ ამგვარ ხალხურ ეტიმოლოგიას იპოვის მკითხველი ვახუშტი ბატონიშვილის საისტორიო-საგეოგრაფიო შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“.

ხალხურმა ეტიმოლოგიამ შეიძლება გამოიწვიოს ტოპონიმის სრული გადააზრება და მისი ფორმის შეცვლა, დეფორმირება. ამგვარი შეცვლილი ფორმა ზოგ შემთხვევაში სოფლის (სხვაობიექტისაც) ოფიციალურ, დაკანონებულ სახელწოდებადაც შეიძლება შეგვხვდეს. ორიოდ მაგალითი: ერთაწმინდა სოფელია კასპის რაიონში. მისი თავდაპირველი ფორმა ყოფილა ესტა-ტეწმინდა; ტილიანა მდინარეა ხაშურის რ-ნში (სურამულის მარცხ. შენაკადი), ხოლო ტილიანი – ცხინვალის რ-ნში (აღმოსავლეთის ფრონის მარცხ. შენაკადი). თავდაპირველი ფორმა იქნებოდა მტილიანა, მტილიანი. გადააზრების მიზეზია მტილ (ძვ. ქართულში: „ბოსტანი“) სიტყვის მნიშვნელობის გაბუნდოვანება.

ამა თუ იმ ტოპონიმთან დაკავშირებით (ტოპონიმთა ლექსიკონში, ტოპონიმის კვლევისას და სხვ.) აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი მასთან დაკავშირებული ყოველგვარი გადმოცემა, მათ შორის ხალხში გავრცელებული მცდარი ახსნა-განმარტებაც, მაგრამ როგორც ხალხური (და არა მეცნიერული) ეტიმოლოგია.

შენიშვნები:

გვ. 37. ონიმური სახელდების მოტივებსა და პრინციპებთან დაკავშირებით, სასურველია, გავეცნოთ ტერმინ ეტიმოლოგიას. ეტიმოლოგია (ლათ. *aetio* „მიზეზი“) არის მედიცინის ნაწილი, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ ავადმყოფობის მიზეზებსა და პირობებს. ონომასტიკაში კი ამ ტერმინით აღინიშნება: 1. ონიმური ნომინაციის (საკუთარი სახელის წარმოშობის) უშუალო მიზეზი; 2. საკუთარი სახელის წარმოშობისა და ევოლუციის ისტორიული, სოციალური და გეოგრაფიული პირობების შესწავლა.

ეტიმოლოგია ექსტრალინგვისტური სფეროა. ამით იგი განსხვავდება ეტიმოლოგიისაგან, რომლის მთავარი მიზანია ამოსავალი სიტყვის (სიტყვების) ფორმისა და მნიშვნელობის დადგენა. რთულშემადგენლიანი (და, იშვიათად, მარტივი და წარმოქმნილი) ტოპონიმების მნიშვნელობა, წარმომავლობა შეიძლება ვერ გაარკვიოს ამოსავალი ფუძეებისა და მათ შორის არსებული მორფოლოგიურ-სინტაქსური კავშირის დადგენამ. ტოპონიმ „პეტრეს წყაროს“ ეტიმოლოგია ენობრივად გამჭვირვალეა, მაგრამ გაურკვეველია ეტიმოლოგია, სახელდების კონკრეტული მოტივი. შესაძლებელია რამდენიმე მიზეზი: ა. წყარო ამოდიოდა პეტრეს ეზოში (ტოპონიმი გამოხატავს პოსესიურობას); ბ. წყარო მდებარეობდა პეტრეს ეზოს ან დროებითი საზაფხულო სადგომის მახლობლად (ტოპონიმი გამოხატავს სივრცითს მიმართებას); გ. პეტრეს ამ წყაროსთან რაღაც შეემთხვა; დ. პეტრემ ამ წყაროს ქვითკირის კედელი ამოუშენა; ე. წყარო პეტრემ აღმოაჩინა; ვ. ობიექტს ეს სახელი დაერქვა პეტრეს ხსოვნის უკვდავსაყოფად. თუ რომელია ამ მიზეზთაგან საფუძველი წყაროს სახელდებისა, ამას იკვლევს ეტიმოლოგია. ეტიმოლოგია სულ სხვა რამეა.

გვ. 55. ლექსემა ნუკრის ბრუნების პარადიგმა სხვდასხვანაირია იმის მიხედვით, იგი საზოგადო სახელია თუ

ანთროპონიმი. კერძოდ, საკუთარ სახელად ქცეულ აპელატივში სახელობითი ბრუნვის ნიშანი ფუძესაა შეზრდილი. შდრ.: „ნუკრიმ (პირსახელი) ბავშვები სასეირნოდ წაიყვანა. გზაზე მათ ნუკრიმა (საზოგადო სახელი) გადაურბინა“; „ნუკრის (მიც. ბრუნვა) მისამართი ჩავაწერინე“, მაგრამ: „ნუკრს (მიც. ბრუნვა) ლამაზი თვალები აქვს“... (იხ. :სახელობითი ბრუნვის — ნიშნის ფუძესთან შეხორცების სხვა მაგალითები: აფრიდონიძე, 2003, გვ. 20).

გვ. 126. როგორც თითქმის ყველაფერში, აქაც არის გამონაკლისი: არსებობს უგვაროთა ქვეყანაც. ესაა ისლანდიის რესპუბლიკა კუნძულ ისლანდიაზე. ქვეყნის კანონში, რომელიც 1925 წლის 27 ივნისს არის მიღებული, ჩაწერილია: “ჩვენს ქვეყანაში არავინ არ უნდა დაირქვას გვარი“. თუმცა ეს ხელს არ უშლის ისლანდიელს, იცოდეს თავისი წინაპრების 27-ვე თაობა. ცხადია, გვარის მაგივრობას ეწევა მამიშვილობის აღნიშვნა, რასაც ანთროპონიმულ ფორმულაში მეორე ადგილი უკავია: ჰუნარ ბენედიქტსონი (ცნობილი მწერალია) ნიშნავს “ჰუნარ ბენედიქტეს ძეს“, თუმცა არის გამონაკლისიც: მწერალ ჰალდოურ ლაქსნესისათვის ლაქსნესი გვარია. საქმე ისაა, რომ ოჯახებს, რომელთაც წინა საუკუნეებიდან ჰქონდათ გადმოყოლილი გვარსახელი, დართეს მისი ტარების უფლება.

პირითადი ლიტერატურა

თოფჩიშვილი რ., როდის წარმოიქმნა ქართული გვარსახელები, თბ., 1997.

თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წიგნი I, თბ., 2005.

შაისურაძე ი., ქართული გვარსახელები (სემანტიკა, სტრუქტურა, ეტიმოლოგია), თბ., 1979.

დღონტი ალ., ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1971

ჭუმბურიძე ზ., დედაენა ქართული, თბ., 1987.

ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? პირველი გამოცემა – 1966 წ. მეხუთე გამოცემა – 2003 წ.

ხორნაული გ., ქართული გვარების წარმოშობის შესახებ, თბ., 2000.

ხორნაული გ., ქართული ონომასტიკა, თბ., 2004.

ჯორბენაძე ბ., ონომასტიკური გულანი, თბ., 1993.

Бондалетов В. Д., Русская ономастика, М., 1983.

Морозова М. Н., Имена собственные русского языка (географические названия). Учебное пособие, М., 1977.

Никонов В. А., Введение в топонимику, М., 1965.

Никонов В. А., Имя и общество, М., 1974

Подольская Р. В., Словарь русской ономастической терминологии, М., 1988.

Суперанская А. В., Общая теория имени собственного, М., 1973.

Суперанская А. В., Что такое топонимика? М., 1985.

Теория и методика ономастических исследований, М., 1986.

Heinz Fahrnich, Georgische Toponymie, Iena, 1998.

დამხმარებ და სარეკომენდაციო ლიტერატურა

აბაშია რ., კავკასიის უძველეს ეთნოტოპონიმთა წარმოშობის ისტორიიდან: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

აბესაძე ნ., პირის (ადამიანის) სახელთა ბრუნება ძველ და ახალ ქართულში (თეზისები): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. I, ვ. თოფურჩიას რედაქციით, თბ. 1956.

აბულაძე ე., დიალექტური გარემო და ანთროპონიმია: XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.

ალაფიძე მ., ლეჩხუმური ტოპონიმური სახელწოდებანი: ა. წულუკიძის სახელობის კპი შრომები, 1958.

ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, ტ. I, თბ., 1966; ტ. II, თბ., 1986.

ანდრონიკაშვილი მ., ირანული ტოპონიმიკური ელემენტები ზოგიერთ ქართულ დიალექტში: ონომასტიკა, I, 1987.

არაბული ავთ., კოპალა თეონიმის წარმომავლობისა და პირვანდელი შინაარსისათვის: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

არაბული ავთ., ქართულ ეთნიკურ ტერმინთა წარმოების ზოგადი თავისებურება: ქუთაისური საუბრები, X, ქუთაისი, 2003.

არდოტელი ნ., ხევსურული გვარების წარმომავლობისათვის: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

არონია ი., რთული ტოპონიმები კოლხურში: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

ასრათოვი ა., საინგილოს პიდრონიმთა ლოკალიზაციისათვის: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998

ასრათოვი-ომარაშვილი ა., ნარევი და სხვაენოვანი ლექსიკური ფენა ინგილოურ ტოპონიმიში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., ურბონიმი და მისი ევოლუცია: ქსკს, IV, თბ., 1981.

აფრიდონიძე შ., ანთროპონიმთა ქართული ეროვნული ფორმები: ქსკს, IV, თბ., 1981.

აფრიდონიძე შ., ურბონიმი და მისი ევოლუცია, ქსკს, IV, თბ., 1981.

აფრიდონიძე შ., ზანური ანთროპონიმიის ზოგიერთი საკითხისათვის (კვლავ ჭაკობია, ჟორდანია ტიპის გვარების შესახებ): ონომასტიკა, I, თბ., 1987.

აფრიდონიძე შ., მიმართვის ფორმათა სტრუქტურისა და ფუნქციისათვის ახალ ქართულში. დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2003.

აფრიდონიძე შ., საკუთარი სახელების გადმოღებისათვის მხატვრულ თარგმანში (ლ. ტოლსტოის “Казакн” –ის თარგმანის მიხედვით): ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., როული ტოპონიმების კომპონენტთა შეხამების უნარისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1977, № 3.

აფრიდონიძე შ., „თუნდა წაბლიანს დავარქმევ...“ ჟურნ. „ბალავერი“, 2-3, 1988.

აფრიდონიძე შ., მაკალათია ფ., ქართული ოიკონიმები: ტოპონიმიკა, II, თბ., 1980.

ახალია ფ., ადამიანთა რქმევის სახელების ბრუნება მეგრულში: XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.

ახალია ფ., საკუთარი სახელი მსაზღვრელად ქართულსა და მეგრულში: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები,

თბ., 2002.

ახვლედიანი ნ., რამდენიმე ზანური სუბსტრატული ტოპონიმისათვის აქარულში: არნოდ ჩიქობავას საკითხავები, IX, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1995.

ახუაშვილი ი., ქართული გვარ-სახელები. მასალები ქართული გვარების ისტორიისათვის, I, თბ., 1994; II - თბ., 1999; III - თბ., 2003.

ბაბუხაძეა მ., ანთროპონიმთა ეტიმოლოგიზება დიალექტური დისპერსიის მიხედვით (პატრონიმ კომერციის ეტიმოლოგიისათვის): XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.

ბაბუხაძეა მ., „ხურც“ ანთროპონიმის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისური საუბრები, VII, ქუთაისი, 2000.

ბაკურაძე დ., რწმენა-წარმოდგენებით მოტივირებული ტოპონიმები ოკრიბაში: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ. 2000.

ბაკურაძე დ., მეტაფორული მიკროტოპონიმები ოკრიბაში: „ქართველური ონომასტიკა“, II, თბ., 2004.

ბაკურაძე დ., ფუტკარაძე ტ., ტოპონიმთა კლასიფიკაცია მოტივაციის მიხედვით (ოკრიბის მასალები): ქუთაისური საუბრები, III, ქუთაისი, 1996.

ბარამიძე მ., ტაოს ქართული ტოპონიმია: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

ბარდაველიძე გ., ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსახელიანობის კონცეფცია): მიმოხილველი, I, თბ., 1949.

ბეგაშვილი შ., ზემო ბოდბის ონომასტიკური მასალა: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ბედოშვილი გ., ერწო-თიანეთის ტოპონიმია, თბ., 1980.

ბედოშვილი გ., ანთროპონიმული დაკვირვებანი, II ეტიმოლოგიური ძიებანი: თბ., 1989; III - იქვე, 1991; IV - იქვე, 1997.

ბედოშვილი გ., ქართული და კავკასიური (ვეინახურ-ოსური) ონომასტიკის ზოგი საკითხი: არნოდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

ბედოშვილი გ., პირის სადაურობის მაჩვენებელი ზოგი ქართული გვარის შესახებ: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

ბედოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, I, თბ., 2002.

ბენდელიანი ც., ტოპონიმ ხონის ეტიმოლოგიისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.

ბერაძე თ., ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977.

ბერიძე შ., ტოპონიმ „ვარძის“ ეტიმოლოგიისათვის: „მაცნე“, ვნისა

და ლიტერატურის სერია, ' 2, 1977.

ბერიძე მ., სამცხე-ჯავახეთის ზოგიერთი ტოპონიმის ლოკალიზაცი-
ისათვის ვახუშტის „აღწერის“ მიხედვით: ტოპონიმოცია, II, თბ., 1980.

ბერიძე მ., ჯავახეთი (ტოპონიმოცურ ანალიზი), თბ., 1992.

ბერიძე მ., ტერმინი „ტბა“ მესხეთის ტოპონიმიაში: ტოპონიმოცური
კრებული, თბ., 1993.

ბერიძე მ., „მტკვარი“ - ჰიდროგრაფიული ტერმინი: ონომასტიკური
კრებული, თბ., 1994.

ბერიძე მ., ჯავახეთის „ახალქალაქი“: ქართველური ონომასტიკა, II,
თბ., 2004.

ბერიძე მ., მებაღეობა, თევზები, სახელები, ახალციხე, 2005.

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები (მასალები სა-
ქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის), თბ., 1990.

ბერძნული და რომაული საკუთარი სახელების ორთოგრაფიული ლე-
ქსიკონი. შეადგინა კონა გიგინეიშვილმა, თბ., 1985.

ბეჭირიშვილი ი., ასი აქარული გვარსახელი, ბათუმი, 1996.

ბექასრიშვილი ი., აქარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, ბათუმი,
2001.

ბულაბოვსკი ლ. ა., ენათმეცნიერების შესავალი, ნ. II, თბ., 1955.

ბურჭულაძე გ., ა. შანიძისა და ს. ჭანაშვიას ერთი ეტიმოლოგიური ძიების
თაობაზე: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის
მასალები, თბ., 2003.

ბურჭულაძე რ., ეგვიპტური იეროგლიფიკა და „აბხაზი“ -ს და
„კავკასი“ -ს ეტიმოლოგია: საისტორიო შტუდიები, III, 2002.

ბურჭულაძე რ., ორი „იბერია“: კულტურის ისტორიისა და თეორიის
საკითხები, XII, ებრაული კრებული, 2002.

ბურჭულაძე რ., ძველი ეგვიპტური ტოპონიმის კვალი ისტორიული
საქართველოს ტერიტორიაზე: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

გაბელაია ი., სოფელ ძველი აბაშის გვარსახელენი (ეთნოისტორიული
შესწავლის ცდა): ქართველური მემკვიდრეობა, II, თბ., 1998.

გაბესკირია შ., ქართველთა თვითსახელის, საქართველოსა და მისი
დედაქალაქების ძველი სახელწოდებისათვის: ქუთაისური საუბრები, X, 2003.

გაგულაშვილი ი., ქართული გვარები (ძირითადი ლექსიკური ფონდი).
საკუთარი სახელები (ებრაულ სახელთა მცირე ლექსიკონი), ქუთაისი, 1993.

გამყრელიძე თ., ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან:
ლიტერატურა და ხელოვნება, №4, 1991.

გამყრელიძე თ., კოცაძე ზ., შადური ი., შენგელია ი. ნ., თეორიული
ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2003.

გეგეშიძე მ., ქართლის სამეურნეო ტოპონიმებიდან: თსუ შრომები, ტ.
37, 1949.

ონომასტიკის შესავალი

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ახსნა-განმარტება (მოკლე სიტყვარ-
ცნობარი), თბ., 1965.

გვანცელაძე თ., სპეციფიკურ აფხაზურ ფონემათა ქართულად
გადმოცემის (ტრანსლიტერაციის) საკითხისათვის: ქსკს, IX, 1989.

გვანცელაძე თ., ქართველური სუბსტრატის საკითხისათვის აფხაზურ
ენაში საკულტო ლექსიკის მიხედვით: ქუთაისური საუბრები, III, 1996.

გვანცელაძე თ., აფხაზეთის ისტორიოგრაფიის ლინგვისტური
საფუძვლები. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 1997.

გვანცელაძე თ., ქართველური სუბსტრატული ტოპონიმები აფხაზეთში
(სოხუმი, გაგრა, ტყვარჩელი): არტანუჯი, 2000, № 10.

გვანცელაძე გ., ცხოველთა სახელებისაგან მომდინარე ანთროპონიმები
ძველქართული საბუთების მიხედვით: XXII რესპუბლიკური დიალექტო-
ლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის
ნარკვევები, თბ., 1983.

გვენეტაძე ლ., ტოპონიმთა ოდენსუფიქსური წარმოება ოკრიბის
ტოპონიმის მიხედვით: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

გიგინეიშვილი ივ., მოსაგვარებელი საკითხები ადამიანის სახელთა
ბრუნებისას: თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პი-
რველი კრებული, თბ., 1970.

გიგინეიშვილი ივ., უცხოურ პირთა და გეოგრაფიული სახელების ქა-
რთულად გადმოცემისათვის, ქსკს, I, თბ., 1972.

გოგინაიშვილი თ., როგორ გაჩნდა ტოპონიმი კორეა გურიაში: ქართ-
ველური ონომასტიკა, I, 1998.

გოდერძიშვილი ი., ეპითეტიანი მეტსახელები ქალაქ სიღნაღში: ქა-
რთველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

გოდერძიშვილი ქ., პერსონაჟის სოციალური, საზოგადოებრივი და
პიროვნული დამსახურების ასახვა ანთროპონიმით: ონომასტიკური
კრებული, თბ., 1994.

გოდერძიშვილი ქ., საკუთრივ ანთროპონიმი და მეტსახელი: ონომას-
ტიკური ძიებანი, I, ახალციხე, 1995.

გოდერძიშვილი ქ., სუფიქსი და ონიმის სუბიექტურ-ემოციური
ელფერი (-ა, -იკ, -იკა): ქართველურ ენათა სტრუქტურა, VII, 1998.

გოდერძიშვილი ქ., -ია, -იე სუფიქსთა ჰიპოკორისტიკული
დისტრიბუცია ანთროპონიმებში: ქართველური ონომასტიკა, I, 1998.

გოდერძიშვილი ქ., უკვეცელ-უკუმშველ ანთროპონიმთა
კუმშვაკვეცადობის საკითხისათვის: ენათმეცნიერების საკითხები, II, თბ.,
2003.

გოდერძიშვილი ქ., -ო სუფიქსის კვალიფიკაციისათვის

ანთროპონიმები: ქართველურ ენათა სტრუქტურა, VIII, თბ., 2003.

გრიგოლია გ., ვგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები, თბ., 1999.

გუდავა ტ., კინოზომის სუფიქსები მეგრულ გვარის სახელებში: ენათმეცნიერების ინსტიტუტი, XXVIII სამეცნიერო სესია, 1972 წლის 15-17 ნოემბერი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1972.

გულუა ნ., გარეგნობით მოტივირებული ქათმის საკუთარი სახელები მეგრულში: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.

გურგენიძე რ., ჭიქია მ., თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში, თბ., 1994.

გურიის თავადთა და აზნაურთა ოჯახები (ფოტოტიპიური გამოცემა ზ. კუმბურიძისა და ქ. ჩხატარაიშვილის რედაქციით), თბ., 1993.

დარსაველიძე ნ., შენიშვნები „ამირანდარეჯანიანის“ საკუთარი სახელების შესახებ: კრ. თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969.

დიასამიძე გ., იმერხევის ტოპონიმიდან: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

დონდუა ვ., „ლიბარიტეთისა“ და ანალოგიური გვარსახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. იხ მისივე: საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1967.

დოჩანაშვილი ელ., პირთა, გეოგრაფიული და ეთნიკური სახელები ოთხთავის ქართულ თარგმანებში: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 3, 1968.

ერთელიშვილი ფ., ტოპონიმთა აღწერა-შესწავლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998

ზარდალიშვილი გ., თბილისისა და მისი მიდამოების ტოპონიმია, თბ., 1978.

ზურაბიშვილი თ., ტოპონიმიკის შესწავლისათვის: ჟესს, II, თბ., 1961.

ზუხბაია ვ., ქართული გვარ-სახელები და ტოპონიმები აფხაზეთში, თბ., 2000.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, პირველი კრებული, თბ., 1970.

თოდრია თ., ქიზიყის ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხები: საქართველოს გეოგრაფიის კრებული, VII, თბ., 1989.

თოთაძე ა., აფხაზეთის მოსახლეობა - ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.

თოფურია ვ., გეოგრაფიულ სახელთა - თა სუფიქსისათვის ქართულში: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.

თოფურია ვ., ერთი ჰიპოთეტური ფორმის რეალურობისათვის ზანუ-

ონომასტიკის შესავალი

რი ენის არეალიდან (სამცხის ტოპონიმიიდან): „მაცნე“, № 6, 1968.

თოფურია გ., ტოპონიმ „ონტოფოს“ ეტიმოლოგიისათვის: არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, IX, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1998.

თოფურია გ., ტოპონიმ „ტაბაწყურის“ ეტიმოლოგიისათვის: ქართ-ველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

თოფჩიშვილი რ., ლეჩხუმური გვარსახელები, თბ., 1993.

თოფჩიშვილი რ., მოხეური გვარსახელები, თბ., 1998.

თოფჩიშვილი რ., ქართული გვარსახელების ისტორიიდან, წ. I. მთის რეგიონების გვართა ეთნოისტორიული შესწავლის ცდა, თბ., 2003.

თოფჩიშვილი რ., ეთნოისტორიული ეტიუდები, წ. I, თბ., 2005.

ივანელაშვილი ნ., საგარეჯოს რაიონის პილრონიშია: თსპუ ქართული ენის კათედრა, შრომები, 5, 2000.

ითონიშვილი ვ., ხევის ტოპონიმიკა, თბ., 1976.

ითონიშვილი ვ., ჭვრის უღელტეხილის სახელწოდების წარმომავლობის შესახებ: ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, IV, თბ., 2002.

ილურიძე მ., „გვარები“ და „ბუდობები“ სოფელ მარტყოფში, თბ., 1998.

იმერეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები. ფოტოტიპური გამოცემა ზ. ჭუმბურიძის რედაქციით, თბ., 1999.

იმნაიშვილი ი., საკუთარ სახელთა ბრუნება ოშკური ხელნაწერის მეფეთა წიგნებში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1956.

ინგოროყვა ბ., თხზულებათა კრებული, ტ. I, თბ., 1963.

იოანე ბაგრატიონი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997.

კაკიტაძე კ., ტოპონიმთა ერთი ჯგუფის სტრუქტურისათვის: ონომასტიკური ძიებანი, ახალციხე, 1995.

კალაძე ც., სახელ-მამისახელობითი მიმართვის შესახებ ქართულში: ქსკს, წ. მეექვსე, თბ., 1984.

კაჭარავა გ., ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების აგებულებისათვის ქართველურ ენებში: პუშკინის სახელობის თსპი შრომები, ტ. 15, 1960.

კახიძე მ., მაქაბლის ხეობის სამეურნეო ყოფა ტოპონიმიკის შუქზე: „მაცნე“, № 1, 1966.

კემულარია მ., გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოების ზოგიერთი თავისებურების შესახებ (ბოლნისის რაიონის ს. აკაურთის ტოპონიმიის მიხედვით): ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა რესპუბლიკური კონფერენციის მასალები, თბ., 1980.

კემულარია მ., თურქულ-აზერბაიჯანულენოვანი ელემენტები ქვემო ქართლის ქართული სოფლების ტოპონიმიში: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

კემულარია მ., ბილინგვიზმის დანაშრევი იმერხევისა და ქვემო ქართლის ტოპონიმიში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

კვარაცხელია ბ., კვარაცხელიების საგვარეულოს ისტორიიდან: საისტორიო ძიებანი, ტ. IV, წელიწდეული, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2001.

კვარაცხელია დ., ანთროპონიმთა წარმოების ზოგი საკითხი წალენჯიხის რაიონის ლაკადისპირეთის მიკროტოპონიმიში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

კვიციანი თ., ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985.

კიკნაძე ზ., საკრალური ტოპონიმი: ონომასტიკა, თბ., 1987.

კიკნაძე ი., შავი ზღვის ერთი სახელწოდებისათვის: ონომასტიკური კრებული, თბ., 1994.

კიკნაძე ი., გეოგრაფიული სახელწოდება მწერლის შემოქმედებაში (მასალა ეკ. გაბაშვილის ლექსიკონისათვის): ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

კილანავა ბ., „ღიზაგუძუბას“ გაგებისათვის: ტოპონიმიკა, I, თბ., 1976.

კობიაშვილი მ., შტო-გვარის აღმნიშვნელი სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში. სადისერტაციო მაცნე ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1998.

კოდუხოვი ვ., ზოგადი ენათმეცნიერება, თბ., 1982.

კოშორიძე ე., ორი ტოპონიმის განმარტებისათვის (შილიანი, წითლობი): ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

კოშორიძე ე., ტოპონიმთა შესწავლისათვის მხატვრულ ნაწარმოებში: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

კოშორიძე ე., მეტსახელთა მოტივაციისა და წარმოების შესახებ გარეკახურში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

კუზინაბაშვილი ვ., ზოგიერთი უცხოური წარმოების ტოპონიმის შესახებ: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

ლემონჯავა ნ., ერთი ტოპონიმის წარმოშობისათვის: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტისა და თსუ ფილიალების V სამეცნიერო სესია, 2002 წ. 26 აპრილი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

ლექავა ლ., -ეთ და -ის აფიქსებიან ტოპონიმთაგან სადაურობის სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: ქსკს, II, თბ., 1979.

ლომაშვილი ნ., მეტსახელები ანაგაში: თსუ სიღნაღის ფილიალის შრომები, IV, თბ., 2003.

ლომთათიძე ქ., ნათესაობის ზოგი სახელის წარმოებისა და ენინობითობის -ია სუფიქსის საკითხი ქართულში: იკე, XXVI, თბ., 1987.

ლომთათიძე ქ., წერილობით წყაროებში არსებული ძალბუზის ზოგი

ონომასტიკის შესავალი

კავკასიური სახელწოდების შესახებ: არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

ლომთათიძე ქ., დაღმძგას ეტიმოლოგიისათვის: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, ახალციხე, 1999.

ლომთაძე ე., მეგრულ გვარსახელთა ისტორიის ერთი ფურცელი: ქუთაისური საუბრები. III, 1996.

ლომოური ნ., ძველი აფხაზეთის ეთნოკულტურული ისტორიიდან, თბ., 1998.

ლორთქიფანიძე მ., ძველი თბილისის ისტორიული გეოგრაფიიდან: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954.

მაისურაძე ი., ქართული გვარსახელები (სალექსიკონო, ბიბლიოგრაფიული მასალები), თბ., 1981.

მაკალათია ს., ხევსურეთი, თბ., 1935.

მაკალათია ფ., უცნობი სტრუქტურისა და სემანტიკის მქონე ტოპონიმები: „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1971.

მაკალათია ფ., ტოპონიმთა აგებულებისა და მართლწერის ზოგი საკითხი: ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, №3, 1974.

მაკალათია ფ., ფშავის ტოპონიმია: ტოპონიმია, I, თბ., 1976.

მაკალათია ფ., -ა სუფიქსის მასშტანტივებელ-მატოპონიმებელი ფუნქციისათვის ქართულში: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

მაკალათია ფ., განმსგავსება (ონომასტიკური აბლაუტი): ტოპონიმოკური კრებული, თბ., 1993.

მაკალათია ფ., მრავალსახელიანობის სისტემა ხევსურულში: ონომასტიკური ძიებანი, ახალციხე, 1995.

მარგიანი ქ., დაღ-სვანეთის ტოპონიმია: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

მარგიანი ქ., სვანეთის წერილობითი ძეგლების რამდენიმე გვარის ეტიმოლოგიისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმოკიისათვის, I. გამოსაცემად მოამზადეს ზ. ალექსიძემ და შ. ბურჯანაძემ, თბ., 1964.

მალრაძე ვ., რეგიონული ტოპონიმის წარმოების საკითხები (კასპის რაიონის მასალაზე): ონომასტიკა, I, თბ., 1987.

მალრაძე ვ., ქართული გვარსახელებისაგან ნაწარმოები ოიკონიმები: იკე, XXXIII, თბ., 1995.

მალრაძე ვ., ქართული გვარების წარმოქმნის ერთი თავისებურება: გორგი როგავას (საიუბილეო კრებული), თბ., 1997.

მალრაძე ვ., გვარსახელებიდან ნაწარმოები ოიკონიმები: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

მგელიძე ნ., ტოპონიმისა და საკუთარი სახელის - გოდერძის -

მნიშვნელობისათვის: XX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2000.

მგელაძე ნ., ქართული გვარი: სოციალური ფუნქცია, წარმოშობა და გავრცელების ეთნოლინგვისტური არეალი: ქართველური მემკვიდრეობა, VI, ქუთაისი, 2002.

მგელიაშვილი თ., ზოგიერთი გეოლოგიურ-მინერალოგიური ტერმინი ტაბონიმებში: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

მელიქიძე ნ., პერსონიმი მიხეილ ჭავჭავაძის მოთხრობებში: თსუ ახალციხის ფილიალის რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები, V, ახალციხე, 1999.

მელიქიძე ნ., პერსონაჟთა მეტსახელები მიხეილ ჭავჭავაძის თხზულებებში: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1999.

მელიქიძე ს., სინონიმია ბორჯომის ხეობის ტაბონიმიაში: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

მელიქიძე ს., მეტგვარი და მისი წარმოება ბორჯომის ხეობის ქართულში: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

მემიშიში თ., ლაზეთის ჰიდრონიმია: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.

მემიშიში თ., მცენარეთა სახელებისაგან წარმოქმნილი ტაბონიმები ლაზურში: პრაფ. გიორგი როგავას 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1996.

მეტრეველი ელ., მასალები იერუსალიმის ქართველთა კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს.), თბ., 1962.

მიბჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.

მითოლოგიური ლექსიკონი. შეადგინა ნოდარ გაფრინდაშვილმა, თბ., 1972.

მიქაუტაძე მ., საკუთარ და საზოგადო სახელთა ბრუნების გათანაბრების ტენდენციისათვის (ოშკური ხელნაწერის მოსეს ხუთწიგნულის მიხედვით): ქუთაისური საუბრები, III, ქუთაისი, 1996.

მიქაძე გ., ფსევდონიმების ლექსიკონი, თბ., 1984.

მიქიაშვილი თ., სოკის რაიონის ქართული მიკროტაბონიმისათვის: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

მიქიაშვილი თ., აფხაზეთის ტაბონიმის ისტორიიდან (1941-1952 წწ., 1953-1967 წწ.): ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000.

მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977; II, თბ., 1980.

მჭიდლიშვილი მ., შტოგვარები სოფ. ქვემო მალაროში: ქართველური

ონომასტიკის უსაზღვრო

ონომასტიკა, I, თბ., 1998.

ნანობაშვილი გ., გვარებად დასახლებისათვის ქიზიყში: საისტორიო მოამბე, VII, თბ., 1971.

ნარაკიძე ც., ლაზური საგვარეულო სახელების გენეზისის პრობლემისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000.

ნატროშვილი თ., გვარები და შტოგვარები სოფ. ქვემო მაღაროში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ნებეჩერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნიკოლაიშვილი ე., საკუთარი სახელი მსახლერელად ძველ ქართულში (თეზისები): სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1956.

ნიკოლაიშვილი ე., გარეჯის ეტიმოლოგიისათვის: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2003, № 6.

ნინიძე დ., მუხრანბატონები, თბ., 1997.

ნინიძე დ., „გუარნი მეფეთა ბაგრატიონთა“ - გოჩაშვილნი, თბ., 1998.

ოთინაშვილი ზ., წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ლიახვის ხეობის ანთროპონიმებისა და ტოპონიმების შესწავლისათვის: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ოთინაშვილი ნ., ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2000.

ოთინაშვილი ნ., გვარების წარმოქმნა-წარმოება „ქსნის ხეობის სტატისტიკურ აღწერაში“: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ონიანი ჯ., სვანური გვარის ეთნოლინგვისტური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, 1979.

ონომასტიკა, I, თბ. 1987.

ონომასტიკური კრებული, თბ., 1994.

ონომასტიკური ძიებანი, I, ახალციხე, 1998

ოქროპირიძე ნ., მეტაფორული ტოპონიმების ერთი სახეობისათვის: ლიახვი, თბ., 1979.

პირთა ანტირებული ლექსიკონი (XI-XVII სს ქართული ისტორიული საბუთების მიხედვით), I- 1991; II- 1993; III - 2004.

რიჩვაძე მ., საკუთარი სახელი საშუალ ქართულში (სულთა მატრიანებისა და სიგელ-გუჯრების მიხედვით). ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის ავტორეფერატი, თბ., 2005.

როგავა გ., ზოგი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის: აღ. წულუყიძის სახ. ქსპი შრომები, XIII, ქუთაისი, 1955.

როგავა გ., ზოგი გეოგრაფიული სახელწოდების (ოჩამჩირე, ტყაურუ) შედგენილობისათვის: თსუ შრომები, ტ. 99, ფილოლოგიურ მეცნიერებათა სერია, 1960.

როგავა ჯ., მეუნარგიათა გვარის წარმოშობის შესახებ: ჟურნ. „ის-

ტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში“, 2, 1970.

ჩჩეულიშვილი ქ., ქსნის საერისთაოს ორი ტაონიშის ლოკალიზაციისათვის: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1999.

სარსევეანიძე ქ., ქართული გვარების წარმოქმნის ზოგი საკითხი (დმანისის რაიონის მასალის მიხედვით): XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1999.

სარსევეანიძე ქ., პირთა სადაურობის – ელ სუფიქსიანი ტაონიშების შესახებ: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2001.

სარსევეანიძე ქ., კარლ ჰანის ტაონიშიკური ძიებანი: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

სარჯველაძე ზ., ანთროპონიშთა იშვიათი ფორმები ძველ ქართულში: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

სარჯველაძე ზ., ძველი ქართული წერილობითი წყაროების მნიშვნელობა ქართველური ანთროპონიშისა და ტაონიშის შესწავლისათვის: „მაცნე“ (ენისა და ლიტერატურის სერია), № 3, 1982.

საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993.

საქართველოს სსრ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1987.

საქართველოს სსრ ტაონიშია (მასალები), ტ. I, ზემო იმერეთი, თბ., 1987.

საქართველოს ტაონიშია (მასალები) ტ. II. ა. ქართლის ჰიდრონიშია; ბ. ქვემო იმერეთის ჰიდრონიშია; გ. ზემო სამეგრელოს ჰიდრონიშია, თბ., 1999.

საქართველოს ტაონიშია (მასალები), ტ. III, ქვემო იმერეთი, თბ., 2004.

საღლიანი მ., საკულტო და ანთროპონიშულ ცნებათა აღმნიშვნელი ტაონიშები სეანურ ენაში (ბალსქვემოური დიალექტის მონაცემთა მიხედვით): XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1956.

სახლთხუციშვილი კ., გვარსახელების ფორმები მეტსახელებად: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

სახლთხუციშვილი უ., მარტყოფის ტაონიშის ისტორიისათვის: ტაონიშიკა, I, თბ., 1976.

სახლთხუციშვილი უ., ადგილის დედა ანუ რას მოგვითხრობენ ტაონიშები, თბ., 1997.

სახლთხუციშვილი უ., ქალთა მეტსახელების წარმომავლობისათვის გარეკახურში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ონომასტიკის შესავალი

სილაგაძე ა., თოთაძე ა., გვარ-სახელები საქართველოში, თბ., 1997.
სიხარულიძე ი., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, I, ბათუმი, 1958.

სიხარულიძე ი., ქანეთი, ბათუმი, 1977.

სიხარულიძე ფ., საგვარეულოთა ისტორიისათვის: „ხერთვისი“ — სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, I, 2005.

სოსელია ო., ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან (სათავადოები), I, თბ., 1973; II — თბ., 1981; III — თბ., 1990.

სოსიური ფ., ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბ., 2002.

სულამინძე ლ., კომპლექსთა ბილაბიალურ ხშულებად შერწყმის შედეგად მიღებული გვარსახელების შესახებ: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

ტაბიძე შ., ქტემატონიმებისა და პრაგმატონიმების შესახებ ქართულში: ქსკს, წ. მერვე, თბ., 1988.

ტაბიძე შ., ქართული ჟურნალ-გაზეთების სახელდების მოტივაციისა და სტრუქტურის საკითხები: ქსკს, წ. მეცხრე, თბ., 1989.

ტაბიძე შ., საკუთარ სახელთა ერთი ჯგუფის კუმშვა-კვეცის საკითხისათვის: არნოლდ ჩიქობავას საკითხავეები, IX, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1998.

ტბეთის სულთა მატთანე. თ. ვნუქიძის გამოცემა, თბ., 1977.

ტოპონიმია, I, თბ., 1976; II — 1980.

ტოპონიმეური კრებული, თბ., 1993.

ტულუში ა., კვლავ ზუგდიდის ეტიმოლოგიისათვის: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ტულუში ა., ერთი მეგრული ტოპონიმის წაკითხვისათვის თურქულ წყაროებში (მცირე შენიშვნა): კრ. „ენგური“, 1998, № 1-2, ზუგდიდი.

უთურგაიძე თ., ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბ., 1966.

უთურგაიძე თ., სახელობითი ბრუნვის - ი სუფიქსის შეხორცებისათვის აღამიანთა სახელებში: იკე, XXIV, 1985.

უთურგაიძე თ., მორფოლოგიურ პროცესთა სპეციფიკურობისათვის ტოპონიმებში: ქუთაისური საუბრები, III, 1996.

ფარეულიძე რ., პანკისის ხეობის ქისტური ტოპონიმია: ტოპონიმია, II, თბ., 1980.

ფადავა შ., -უმ// -ომ სუფიქსის ფუნქციისა და ზოგიერთი ტოპონიმის ეტიმოლოგიის საკითხისათვის: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.

ფეიქრიშვილი შ., ტოპონიმთა ხალხური მოტივაციისათვის (ხონის რაიონის მთიანი სოფლების მასალის ანალიზი): ქართველური მემკვიდრეობა,

II, ქუთაისი, 1998.

ფეიქრიშვილი მ., კინჩისა და გორდის ტოპონიმთა ისტორიისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი, 2000.

ფენრიხი ჰ., სარჯველაძე ზ., ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000.

ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ფუტკარაძე ტ., ლოკალური, ბრუნვების შესახებ გეოგრაფიულ სახელებში (ზემოაქარულის მიხედვით): ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

ფუტკარაძე ტ., ქართველის აღმნიშვნელი ძველი და ახალი სახელები (კოლხები, კორაქსები, კოლები): ქართველოლოგიური კრებული, II, თბ., 2003.

ფუტკარაძე ტ., მარგვეთი: „ლიხიდან ვიდრე ზღუადმდე“ თუ „ლიხიდან ვიდრე ზღურადმდე ვგრისისა“: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ქალდანი მ., ლეჩხუმის გეოგრაფიულ სახელთა -იშ// -შ სუფიქსის საკითხისათვის: ქესს, III, 1963.

ქალდანი მ., -ელ// -ავ სუფიქსთა საკითხისათვის ქართველურ გვარსახელებში: იკე, XXII, 1980.

ქალდანი მ., სვანური საკუთარი სახელების სემანტიკა და სტრუქტურა (სულთა მატინანის მასალათა მიხედვით): ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ქალდანი მ., წარმომავლობის -არ სუფიქსისათვის ქართველურ ენებში: ქესს, ტ. V, 1981.

ქამადაძე მ., პრეფიქს-სუფიქსური წარმოება ზემო აპარის ტოპონიმიში: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ქამადაძე მ., აპარაში გავრცელებული გვარსახელების წარმოებისათვის: არნოდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

ქართველური ონომასტიკა, I - 1998; II - 2004.

ქართლ-კახეთის თავადები და აზნაურები. ფოტოტიპიური გამოცემა ზურაბ ქუმბურჩიძის რედაქციით, თბ., 2005.

ქართული გვარსახელები რაქაში. XIX საუკუნის 40-იანი წლები (ტრზარაი). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კეზევაძემ, ქუთაისი, 2002.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, I-VIII, 1950-1964.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, I-11, თბ., 1975-1987.

ქობალია მ., სამეგრელოს სათავადაზნაუროსაგვარეულობი: კრ. „სამეგრელო“ (არქეოლოგიის, ენათმეცნიერების, ისტორიის, ხელოვნებათმცოდნეობისა და ეთნოლოგიის ნარკვევები“.

ონომასტიკის შესავალი

თბილისი-ზუგდიდი, 1999.

ქურდიანი მ., ქ. კარ-ის (ყარის) სახელწოდებისათვის: ბესარიონ ჭორბენაძის საზოგადოების II სამეცნიერო კონფერენცია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1998.

ქუქიშვილი მ., ქართული გვარსახელები „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაეთრის მიხედვით“: ქუთაისური საუბრები, III, 1996.

ღლონტი ალ., ონომასტიკის სპეციალური კურსის შემოღებისათვის: საქართველოს სსრ უმაღლესი სასწავლებლების ქართული ენის კათედრათა VIII რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია. მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, ქუთაისი, 1970.

ღლონტი ალ., ხალხური პროზის ენისა და სტილის საკითხები, თბ., 1975.

ღლონტი ალ., ტოპონიმიკური ძიებანი, I-XI, თბ., 1971 - 1998.

ღლონტი ალ., ქართველური საკუთარი სახელები (ანთროპონიმთა ლექსიკონი), თბ., 1980.

ღლონტი ალ., კნინობით-მოფერებითი ელემენტები ქართველურ ანთროპონიმიში: აღმოსავლური ფილოლოგია, V, თბ., 1983.

ყაუხჩიშვილი ს., ბერძნული მამაკაცთა სახელების გადმოცემისათვის ქართულში: სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, წ. 1. ვ. თოფურიას რედაქციით, თბ., 1956.

შავიანიძე დ., ოკრიბული გვარსახელები, ქუთაისი, 2002.

შალვაშვილი ლ., ქიზიყის ეტიმოლოგიისათვის: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

შანიძე ა., თეოფორული სახელები ქართველურ ენებში: „მაცნე“, №2, 1967.

შანიძე ა., ავრ-ი სუფიქსიანი ქალის სახელები ძველ ქართულში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI, 1968.

შანიძე ა., ორმაგი გვარის ბრუნებისათვის: ქსკ, I, თბ., 1972.

შანიძე ა., ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ევ კილოს კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელებში. იხ. მისივე: თხზულებანი, II, 1981.

შანიძე მ., ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს, თბ., 1969.

შენგელია ვ., მთიანი სამგრელოს ერთი ტოპონიმის შესახებ: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2003.

შონია ა., გვარები მეტყველებენ..., თბ., 1997.

ჩანტლაძე ი., ქართველოლოგიური ძიებანი, თბ., 1998.

ჩანტლაძე-ბაქრაძე გ., მუხა და მასთან დაკავშირებული ზოგიერთი ტოპონიმი ბასკურ ეთნოლინგვისტურ სივრცეში (შესაბამისი ქართული მასალის გათვალისწინებით): ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ჩიქობავა არნ., -ონ სუფიქსი მეგრულში: ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე, ტ. VI, ტფ., 1926.

ჩიქობავა არნ., სიტყვა „ზოგი“ -ს ეტიმოლოგიისათვის: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937.

ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება: ქველ, I, 1950.

ჩიქობავა არნ., ტოპონიმიკურ ტერმინთა ორგვარი წარმოების ისტორიული ურთიერთობისათვის: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VIII სამეცნიერო სესია 1964 წლის 25-29 ივნისს, თეზისები.

ჩიქობავა არნ., ადგილის სახელთა წარმოების ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა ქართულში: იკე, XIX, 1974.

ჩიქოვანი ი., თავადი ქვეკვაძეები, თბ., 2002.

ჩიქოვანი მ., ტოპონიმიკური ლექსიკონი, თსუ შრომები, IX, 1939.

ჩიქოვანი მ., ტოპონიმიკურ სახელთა წარმოება ლეჩხუმური მასალების მიხედვით: პუშკინის სახ. თსპი შრომები, ტ. VII, 1949.

ჩუხუა მ., ზოგიერთი ანთროპონიმის წარმომავლობისათვის ქართველურ დიალექტებში: XXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, 2003.

ჩხაიძეთა საგვარეულო (ავტორ-შემდგენელი ა. სიკინავა), თბ., 2002.

ჩხეიძე თ., ირანული წარმომავლობის საკუთარი სახელები ქართულში: „მაცნე“, ისტორიის..., 1987.

ჩხუბიანიშვილი დ., ზემო მარტყოფის (ფერეიდუნშაპრის) მიკროტოპონიმიის შესწავლისათვის: XXI რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2001.

ცუცხლაძე ნ., შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, ბათუმი, 2000.

ცოცხანიძე გ., თუშეთში გავრცელებული გვარები და სახელები საეკლესიო ჩანაწერების მიხედვით: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ცოცხანიძე გ., თეონიმებისა და ეთნონიმების ურთიერთმიმართებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში: XIX რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესია, ახალციხე, 1999.

ცხადია პ., მთიანი სამეგრელოს ტოპონიმია (ენათმეცნიერული ანალიზი), თბ., 1985.

ცხადია პ., სვანური სუბსტრატის საკითხისათვის მთიანი სამეგრელოს ტოპონიმიაში: საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის „მოამბე“, 122, №1, 1986.

ცხადია პ., ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1988.

ცხადია პ., ძიებანი კოლხეთის ტოპონიმიიდან, I, თბ., 1999.

ცხადია პ., გვარები და გვართა დასახლებანი სამეგრელოში, თბ., 2002.

ცხადია პ., სამურზაყანოს ისტორიული და თანამედროვე ტოპონიმია

ონომასტიკის შესავალი

(ენათმეცნიერული გამოკვლევა), თბ., 2004.

ცხადია პ., ჯოჯუა ვ., რაქის გეოგრაფიული სახელწოდებანი, I, თბ., 2003; II, თბ., 2005.

ცხადია პ., ჯოჯუა ვ., სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, თბ., 2003.

ცხადია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, I (წალენჯიხის რაიონი), თბ., 2004.

ცხადაძე ბ., - ყვა დაბოლოებიან გვარსახელთა და ტოპონიმთა წარმომავლობისათვის: ქუთაისური საუბრები, III, 1996.

ცხადაძე ბ., გვარსახელთა ვადგირიძის წარმომავლობისათვის: არნოდ ჩიქობავას საკითხავები, IX, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1998.

ძნელაძე რ., - ა და -ე სუფიქსების მატოპონიმებელი ფუნქციისათვის გურულში: ტოპონიმური კრებული, თბ., 1993.

ძნელაძე რ., ოროგრაფიული ტერმინოლოგია გურიის ტოპონიმიაში: ონომასტიკური კრებული, თბ., 1994.

ძნელაძე რ., ეკონომიკურ-გეოგრაფიული ტერმინოლოგია გურიის ტოპონიმიაში: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

ძოწენიძე ქ., ზემომერული ლექსიკონი, თბ., 1974.

ჭაბაშვილი მ., ზოგი ტიპის ქართული გვარის რუსული დაწერილობისათვის: ქსკს, X, 1993.

ჭილაშვილი ლ., ტოპონიმური შენიშვნები, თბ., 2001.

ჭინჭარაული ა., ვაჟა-ფშაველას ზოგი პერსონაჟის საკითხისათვის: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ჭინჭარაული ა., ზოგი ქართული გვარსახელის წარმომავლობისათვის: ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 1991.

ჭკადუა ა., შიშვილ-ისა („ლანძილი“) და ფოშდელ-ის („წივანა“) შემცველი ტოპონიმების ისტორია-ეტიმოლოგიისათვის: ტოპონიმია, I, თბ., 1976.

ჭკადუა ა., ტოპონიმურ შესატყვისობათა ძირითადი პრინციპები (ქართველურ ტოპონიმთა მონაცემების მიხედვით): ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ჭოხონელიძე ნ., საკუთარ სახელთა გენეზისისათვის ქართულ ანდაზებში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

ჭრელაშვილი ქ., გვარების წარმოების შესახებ წოვა-თუშურ ენაში: არნოდ ჩიქობავას საკითხავები, XI, თბ., 2000.

ჭუმბურიძე ზ., ეთნონიმური გვარები ქართულში: ქართველური მემკვიდრეობა, II, ქუთაისი, 1998.

ჭუმბურიძე ზ., ქართველ ებრაელთა გვარების სტრუქტურა: საქართველო - ისრაელი, 2600, თბ., 1999.

ჭუმბურიძე ზ., ქართველთა ვად-აზნაურთა გვარები გეორგიევსკის

ტრაქტატის მიხედვით: XXII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეც-
ნიერო სესიის მასალები, თბ., 2002.

ბაზარაძე ნ., გვიანხეთური ხანის აღმოსავლეთ კაპადოციის ანთროპო-
ნომიისათვის: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ბაზარაძე ნ., ქართველების აღმნიშვნელი ერთი სახელწოდების სემან-
ტიკური კოდისათვის: ქართველური მემკვიდრეობა, III, ქუთაისი, 1999.

ბარაძე კ., საქართველოს ძველი ტოპონიმების კვლევის ასპექტები:
ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ბარაძე კ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, თბ., 2003.

ბინთიბიძე ე., „ბერძენ“ ეთნონიმის ინტერპრეტაციისათვის: თსუ
ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, 1987 წ. 28-30 მაისი,
მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

ბმალაძე შ., შტო-გვარის სახელთა წარმოების თავისებურებანი
ქიზიყურში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

ბორაჯა ბ., ოდიშ-აფხაზეთის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორი-
იკა (ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა): საზოგადოებრივ-პოლიტ-
იკური ჟურნალი „ცხუმი“, № 3, სოხუმი, 1991.

ბორნაული გ., მცენარეთა სახელები ტოპონიმებში (მთიულეთ-
გუდამაყრის ტოპონიმის მიხედვით): ტოპონომიკა, I, თბ., 1976.

ბორნაული გ., მთები და სახელები (მთიულეთ-გუდამაყრის ტოპონი-
მიკური მასალები და ძიებანი), თბ., 1983.

ბორნაული გ., კარტოგრაფიული მასალა როგორც წყარო ქართული
ტოპონიმის შესასწავლად: ონომასტიკა, I, თბ., 1987.

ბორნაული გ., შვილისათვის დასარქმევი სახელები, თბ., 2005.

ბუხუნაიშვილი-წიკლაური მ., ამირანის თქმულების მითოსური
ძირების შესწავლისათვის: ლიტერატურული ძიებანი, XXV, თბ., 2004.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორიის შესავალი. წ. I, საქარ-
თველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნო-
ლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

ჯავახიშვილი ივ., ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951.

ჯავახიშვილი ივ., საქართველოს ეკონომიკური ისტორიის ძეგლები,
წ. I, თბ., 1967; წ. II, თბ., 1974.

ჯავახიშვილი ნ., შალიკაშვილები (ფესვები, ტრადიციები,
დღევანდლობა), თბ., 1997.

ჯავახიშვილი ნ., ქართული ფალერისტიკა (ჭილდოთმცოდნეობა), თბ.,
1997.

ჯანაშია ს., თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი. იხ. მისივე: შრომები,
III, თბ., 1959.

ჯიქია შ., თურქული წარმომავლობის ანთროპონიმები ქართულში:
აღმოსავლური ფილოლოგია, 1973.

ონომასტიკის უმსავალი

ჭიქია მ., ზოოფორული, ხარიზმატული და თეოფორული სახელები ქართველურ ანთროპონიმიკაში, 1993.

ჭიქია მ., -ია სუფიქსიანი თხზული ფორმები ქართულ ანთროპონიმიკონში (ქვაფქვიას ტიპისა): ქართველური ონომასტიკა, I, 1998.

ჭიქია ს., გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. III, თბ., 1958.

ჯომიდავა ნ., 3000 მეგრული გვარ-სახელი, 1-2, თბ., 2000.

ჯორბენაძე ბ., ტბ//ტაბ ფუძე ქართულ ტოპონიმებში: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, ტ. 79, № 2, 1975.

ჯორბენაძე ბ., დიალექტებისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური ცვლილებები ქართულ ტოპონიმიკაში: ტოპონიმიკა, I, თბ., 1976.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ჯორბენაძე ბ., საკუთარ სახელთა წარმოებისა და ფუნქციონირების პრინციპები: იკე, წ. XVI, თბ., 1989.

ჯორბენაძე ვ., ანთროპონიმები ოთხთავის ქართულ რედაქციებში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო სესია, 1998 წ. 13-15 მაისი, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები.

ჯოჯუა ვ., ქართული ტოპონიმები ბერძნულ წყაროებში: ტოპონიმიკა, I, თბ., 1976.

ჯოჯუა ვ., გეოგრაფიული ტერმინები და მათი როლი ტოპონიმიკაში: ქართველური ონომასტიკა, I, თბ., 1998.

ჯოჯუა ვ., დემინუტიური ტოპონიმები რაჭულ დიალექტში: ქართველური ონომასტიკა, II, თბ., 2004.

Беленькая В. Д., Очерки англоязычной топонимики, М., 1977.

Бестужев-Лада И. В., Исторические тенденции развития антропонимов: Личные имена в прошлом, настоящем, будущем, М., 1970.

Болотов В. И., К вопросу о значении имён собственных: Восточнославянская ономастика, М. 1972.

Вопросы ономастики. Собственные имена в системе языка, Свердловск, 1980.

Гафуров Алим, Имя и история. Об именах арабов, персов, таджиков и тюрков. Словарь, М., 1987.

Горбаневский М. В., В мире имён и названий, М., 1983.

Жекулин В. С., Историческая география: Предмет и методы, Ленинград, 1982.

Жучкевич В. А., Общая топонимика, Минск, 1980.

Имя нарицательное и собственное, М., 1978.

Изучение географических названий, М., 1966.

Историческая ономастика, М., 1977.

Карпенко А. Ю., Демиинутивное антропонимическое

- словообразование: Вопросы ономастики, Свердловск, 1980.
- Карпенко Ю. А., Название звёздного неба, М., 1981.
- Лингвистический энциклопедический словарь, М. 1990.
- Марр Н., Крещение армян, грузин, абхазов и аланов св. Григорием, ЗВО, XVII, вып. II-III, 1906.
- Матвеев А. К., Методы топонимических исследований, Свердловск, 1986.
- Мгеладзе Д. С., Колесников Н. П., Слова топонимического происхождения (топонимы) в русском языке, Тб., 1956.
- Методы топонимических именовании. Сборник научных трудов, Свердловск, 1983.
- Мурзаев Э. М., Очерки топонимики, М., 1974.
- Мурзаев Э. М., География в названиях, М., 1982.
- Мурысов Р. З., Антропонимы в словообразовательной системе языка: "В. Я.", № 3, 1982.
- Никонов В. А., Задача и методы антропонимики: Личные имена в прошлом, настоящем, будущем, М., 1970.
- Никонов В. А., Заметки по ононимии Киргизии: Ономастика Средней Азии., М., 1974.
- Никонов В. А., Системы личных имён. Вместо введения.об.: Системы личных имён у народов Мира, М., 1989.
- Ономастика, М., 1969.
- Ономастика Востока, м., 1980.
- Ономастика Кавказа, Махачкала, 1976.
- Ономастика Кавказа (межвузовский сборник статей), Орджоникидзе, 1980.
- Ономастика Повольжья, III, Материалы 3 конференций по ономастике, Уфа, 1979
- Ономастика Средней Азии, 2. Фрунзе, 1980.
- Перспективы развития славянской ономастики, М., 1980.
- Попов А.И., Географические названия, М.-Л., 1965.
- Поспелов Е. М., Топонимика и картография, М., 1971.
- Проблемы региональной ономастики. Материалы межвузовской научно-практической конференции, Майкоп, 1998.
- Реформатский А. А., Введение в языкознание, М., 1967.
- Ройзон Л. И., Исаева А. И., Об антропонимических сериях: Вопросы ономастики, I, Свердловск, 1971.
- Симина Г. Я., Фамилия и прозвище: Ономастика, М., 1969.
- Система личных имён у народов мира, М., 1986.

Сталтмане В. Э., Ономастическая лексикография, М., 1989.

Суперанская А. В., Имя и эпоха (к постановке проблемы): Историческая ономастика, М., 1977.

Суперанская А. В., Теоретические основы практической транскрипции, М., 1978.

Суперанская А. В., Сулова А. В., Современные русские фамилии, М., 1981.

Томахин Г. Д., Топонимы как реалии языка и культуры (на материале географических названий США): "В. Я.", № 4, 1984.

Топонимика Востока. Исследования и материалы, М., 1969.

Топонимика и ономастика Северного Кавказа, Пятигорск, 1997.

Успенский Б. А., Из истории русских канонических имён, М., 1969.

Фёдоров Я. А., Историческая этнография Северного Кавказа, М., 1983.

Цулая Г. В., Грузины: Системы личных имён у народов Мира, М., 1989.

Чайко Т. Н., Названия частей тела как источник апеллятивной и ономастической лексики: Вопросы ономастики, 8-9, Свердловск, 1974.

Этническая ономастика, М., 1964.

Этнография имён, М., 1971.

დანართი

ინსტრუქცია ტოპონიმიკური მასალის ჩამწერთათვის*

ტოპონიმი რომელიმე ცალკეული გეოგრაფიული ადგილის სახელია; ადგილთა (გეოგრაფიული) სახელების ერთობლიობას ტოპონიმიას უწოდებენ, ხოლო მეცნიერების სპეციალურ დარგს, რომელიც ტოპონიმიას შეისწავლის – ტოპონიმიკას.

ტოპონიმიის შესწავლას დიდი მეცნიერული და კულტურული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს.

ტოპონიმიკური კვლევა–ძიება სამ ძირითად ეტაპად იყოფა:

1. მასალის აღწერა–შეგროვება,
2. მასალის სისტემატიზაცია,
3. მასალის დამუშავება და კვლევა.

ტოპონიმიის შესწავლის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მასალის აღწერა–შეგროვებას.

ეს ინსტრუქცია შეიცავს მოკლე ახსნა–განმარტებებს იმ პირთათვის, რომლებიც ტოპონიმების აღწერა–შეგროვებას დაისახავენ მიზნად. ამისათვის აუცილებელია წინასწარ კარგად გავეცნოთ ინსტრუქციას.

აღწერას უნდა დაექვემდებაროს თითოეული სიტყვა, რომელიც კი საქართველოს ტერიტორიაზე ამა თუ იმ ადგილის საკუთარ სახელად არის ხმარებული.

ამ თვალსაზრისით უნდა შესწავლილ იქნეს:

I. ზღვა, ყურე, მეჩჩრი... ტბა, ტბორი, გუბე, წყალსაცავი, ჭა (ან წყლის ასაღები სხვა ადგილები)... ჭაობი, ჭანჭრობი...

* შეადგინა ტოპონიმიკის ლაბორატორიის დამაარსებელმა, პროფ. ფ. ერთელიშვილმა 1967 წელს (იხ. მისი: ტოპონიმის აღწერა–შესწავლასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხები: ქართველური ონომასტიკა, 1998, გვ. 40–53). ინსტრუქცია პირველად დაიბეჭდა 1970 წელს 5–ათასიანი ტირაჟით და შემდეგ რამდენიმეჯერ გამოიცა.

მდინარე (სათავე, შუაწელი, შენაკადი, – თუკი სხვადასხვა სახელწოდებები აქვთ), მორევი, ნავმისადგომი, ღელე, ნაკადული, წყარო, რუ, ფშა... ხეობა, ხევი... ჩანჩქერი, წყალ-ვარდნილი... ფონი, რიყე, სანაპირო... სათევზაო ადგილები, თევზსაშენი ადგილები, საბანაო ადგილები, არხები...

II. გორაკი, გორა, ბორცვი, სერი, ზეგანი, მთა, მთის ფერდობები, ქედი, მწვერვალი, მყინვარი, უღელტეხილი, გადასასვლელი, აღმართ–დაღმართი... ხრამი, კლდე, ნაპრალი, უფსკრული, გამოქვაბული, მღვიმე, გვირაბი, მადარო... კუნძული, ნახევარკუნძული... ტყე, ჭალა, კორომი, ჩირგვნარი, ბუჩქნარი, ახო... დაბლობი, მინდორი, ველი... სამოვარი, სახნავ–სათესი. მიწა, ბაღ–ბოსტანი, ვენახი, ზეარი, ადგილ–მამული, საკარმიდამო ნაკვეთი... სათიბი, კალო... ნაკრძალი, სანადირო ადგილები... პლანტაცია...

III. ქალაქი, დაბა, სოფელი... უბანი, პროსპექტი, ქუჩა, შესახვევი, ჩიხი, მოედანი, ბაზარი... ბაღი, პარკი... დროებითი სადგომები (მწყემსებისა, მეველეებისა, მეწისქვილეებისა...)...

IV. უდაბნო... სახნავ–სათესად გამოუყენებელი ველები. სოფლებსა თუ ქალაქებს შორის დაუსახლებელი ადგილები...

V. გზა, შარაგზა, ორღობე, ბილიკი, შუკა, მოსახვევი... რკინიგზა (რკინიგზის სადგური), სამდინარო გზა (პუნქტი), საბაგრო გზა (პუნქტი), ხიდი, ბოგირი...

VI. ძველი თავდაცვითი ნაგებობა, ციხე, ციხე–კოშკი... ტაძარი, ეკლესია, სამლოცველო... ღია ცის ქვეშ მოწყობილი საკულტო დანიშნულების ობიექტი... (საზეიმო) შეკრების ადგილი... სასაფლაო, სამარხი, აკლდამა...

VII. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ტოპონიმების აღნუსხვაზე, რომლებიც ამჟამად დავიწყებას ეძლევა იმის გამო, რომ აღარ არსებობენ ის ობიექტები, რომლებსაც ისინი აღნიშნავდნენ (ნაქალაქარი. ნასოფლარი,

ნავენახარი... ადგილები. სადაც ადრე გადიოდა მდინარე, წყარო , რუ... სადაც ადრე იყო ტყეები... ციხე-კოშკები, სამარხები თუ სხვა ობიექტები არსებობდა). კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობების ჩამოყალიბებას შედეგად მოჰყვა ამ ადგილებში არსებულ კერძო ნაკვეთთა გაერთიანება. საჭიროა ამ ნაკვეთების, აგრეთვე ადრე გამოუყენებელი ადგილების საკუთარ სახელთა ჩაწერა, სადაც მათი აღდგენა შესაძლებელია.

ტოპონიმების აღწერისათვის ძირითადი საორიენტაციო ერთეულები იქნება ამჟამად არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონები (მცხეთის რაიონი, ქარელის რაიონი, საგარეჯოს რაიონი, აბაშის რაიონი, ლენტეხის რაიონი და ა. შ.), ხოლო რაიონების შიგნით – ქალაქები, სოფლები, დაბები, დასახლებული პუნქტები თუ დაუსახლებელი ადგილები. ამ ცალკეული ქალაქების, სოფლების, დაბების, დასახლებული პუნქტებისა თუ დაუსახლებელი ადგილების დეტალური აღწერა საბოლოოდ მოგვეცემს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ტოპონიმების საერთო ნუსხას (მცხეთის რაიონის ტოპონიმია, ქარელის რაიონის ტოპონიმია და ა. შ.). აღწერა ძირითადად წარმოებს რაიონს დაქვემდებარებული ერთეულების (ქალაქის, სოფლის, დაბის, დასახლებული პუნქტებისა თუ დაუსახლებელი ადგილების) მიხედვით. ამიტომ, ბუნებრივია, რომ ამა თუ იმ სოფლის ტოპონიმების აღწერისას აღინუსხება ამ სოფლის ტერიტორიასთან დაკავშირებული ყველა ტოპონიმი, წყაროს სახელი იქნება ის, წყალსაცავისა, მინდვრისა თუ ციხე-კოშკისა...

გარკვეულ ტერიტორიაზე ტოპონიმების ჩაწერა გეგმაზომიერი, თანმიმდევრული და რაც შეიძლება ამომწურავი უნდა იყოს. ტოპონიმების ჩამწერმა წინასწარ უნდა შეარჩიოს ადგილობრივ მცხოვრებთაგან ინფორმატორები (სასურველია უფროსი ასაკისანი), რომელთაც თავიანთი სოფლის (დაბის...) ადგილთა სახელების კარგი

ცოდნა აქვთ; დახმარებისათვის მიმართოს მეველეებს, მეტყვევებს, მწყემსებს, მონადირეებს...

ტოპონიმების ჩაწერა მიზანშეწონილია დაიწყოს სოფლის (დაბის...) ცენტრიდან, წარიმართოს „წრიულად“ ყველა მიმართულებით და დამთავრდეს (აგრეთვე ყველა მიმართულებით) იქ, სადაც იწყება სხვა სოფლის (დაბის) კუთვნილი ან საზიარო ადგილები.

ტოპონიმების ჩამწერი ვალდებულია ადგილზე ნახოს თითოეული პუნქტი, რომელთა სახელების აღნუსხვასაც აწარმოებს ის. თითოეული ტოპონიმი უნდა ჩაწერილ იქნეს გულმოდგინედ, სასკოლო რვეულის ფურცელზე (ან ზუსტად რვეულის ფურცლის ზომის ქაღალდზე), აუცილებლად მელნით და გარკვევით (დაუშვებელია რაიმე სუბიექტური თვალსაზრისით ტოპონიმის „შესწორება-შელამაზება“).

თითოეული ტოპონიმი ჩაიწერება ამ კითხვარის მიხედვით (ნიმუშები ერთვის ინსტრუქციას, იხ. დანართი № 1 და №2).

კითხვარი

I. ადგილის სახელი (აჩვენეთ სახელის ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტებიც, თუ ასეთები არსებობს, აგრეთვე სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა, სახელი სასურველია ჩაიწეროს გარკვეულ კონტექსტში, – წინადადებაში).

II. რისი სახელია (მთისა, მდინარისა, ხევისა, საძოვრისა...).

III. ადრე რა ერქვა (ან რა რქმევია).

IV. ამ ადგილისმოკლე აღწერა (მდებარეობა, რელიეფი, საზღვრები, თავისებურება, რით იქცევეს ყურადღებას...).

V. რატომ დაერქვა (ან დარქმევია) ადგილს ეს სახელი

(როგორია ხალხური თქმულება, გადმოცემა, ეტიმოლოგია).

VI. რომელი სოფლის (ქალაქის, დაბის...) კუთვნილებაა ეს ადგილი (თუ საზიაროა სხვა სოფელთან, აუცილებლად აღნიშნეთ), რომელ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ რაიონში შედის თვით სოფელი (ქალაქი, დაბა...) ამჟამად.

VII. დამატებითი ცნობები და ჩამწერის მო საზრება ნი ამ ტოპონიმთან დაკავშირებით (აქ ჩაიწერება ყველაფერი ის, რაც გაუთვალისწინებელია ინსტრუქციითა და კითხვართ და რისი აღნიშვნა-დამატებაც საჭიროდ მიაჩნია ჩამწერს).

VIII. ვინ ჩაიწერა (გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სად სწავლობს ან მუშაობს, მისამართი).

IX. ვისგან ჩაიწერა (გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, სად სწავლობს ან მუშაობს, მისამართი).

X. როდის ჩაიწერა.

ზოგიერთი განმარტება კითხვართან დაკავშირებით

1. კითხვარის შევსებისას საკითხების გამეორება საჭირო არ არის, პუნქტები შეივსება მხოლოდ პასუხებით.

2. III, V, VII პუნქტები შეივსება მხოლოდ მაშინ, თუ მათზე პასუხები მოგვეპოვება.

3. პუნქტების თანმიმდევრობა ყოველთვის უცვლელი რჩება. პუნქტის რიგითი ნომერი აღინიშნება მაშინაც, როცა დასმულ საკითხებზე პასუხი არ ჩანს. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რიგითი ნომრის მომდევნოდ ტირე დაიწერება.

4. თუ კითხვარის შევსებისას, ამა თუ იმ მიზეზის გამო, რვეულის ფურცლის ერთი გვერდი საკმარისი არ აღმოჩნდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამავე ფურცლის უკანა გვერდი.

5. ამა თუ იმ ტოპონიმს ხშირად მოეპოვება ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები (მაგ., თბილისი // ტფილისი // თფილისი... გლემურდი // გლემურჯი (მარტყოფში), ჭიჭახუნა // ჭაჭახუნა // ჭიჭეხუნა (ჩიბათში)... აუცილებელია ტოპონიმის ყველა სახეობის ჩაწერა კითხვარის პირველ პუნქტში.

6. ხშირად ხდება, რომ ერთი და იგივე სახელი ჰქვია სხვადასხვა ობიექტს: სოფელსა და მთას (მაგ., სურები გურიაში), სოფელსა და რკინიგზის სადგურს (მაგ., შორაპანი იმერეთში და გრაკალი ქართლში), მდინარესა და რკინიგზის სადგურს (მაგ., იორი გარეკახეთში), ხეობას, ღელეს, სოფლის ერთ-ერთ უბანს (მაგ., ტევალი გარეკახეთში) და ა.შ. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა აღინიშნოს (იხ. კითხვარის II პუნქტი), მაგრამ ერთი სახელის მქონე სხვადასხვა ობიექტისათვის მაინც საჭიროა ცალ-ცალკე შეივსოს კითხვარი.

7. ზოგიერთ ადგილს რომ სახელი გადარქმეული აქვს, ეს ამჟამად ოფიციალურად და საყოველთაოდ არის ცნობილი (მაგ., სოფ. დამპალო (მცხეთის რაიონში) ამჟამად ვაზიანად იწოდება, სოფ. ბორჩალო ახლა დაბა მარნეულია (მარნეულის რაიონში), სოფ. ჩევიზლუქს (სოხუმის რაიონში) ოციოდე წელია, რაც ტბეთი ჰქვია და ა. შ.).

მაგრამ ისტორიის მანძილზე ადგილებს სახელები, სხვადასხვა გარემოებათა გამო, აგრეთვე ეცვლებოდათ და გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როცა ამა თუ იმ ადგილის ძველი (ან პარალელურად არსებული სხვა) სახელი მხოლოდ ზოგი ადგილობრივი მკვიდრის მეხსიერებაშია შემორჩენილი. ასეთი სახელების მიკვლევა-გამოვლენა ტოპონიმების ჩამწერთა ერთი ძირითადი ამოცანათაგანია. ძველი ტოპონიმების შესახებ ცნობისათვის კითხვარის III პუნქტია გათვალისწინებული.

8. იმის შესახებ, თუ რატომ დაერქვა (ან დარქმევია) მავან ადგილს ესა თუ ის სახელი, ხალხში შესაძლოა არსებობდეს

სხვადასხვა თქმულება, გადმოცემა; ზოგჯერ ერთმანეთის საწინააღმდეგო და ურთიერთგამომრიცხავიც. საჭიროა ყველა ეს მოარული თქმულება—გადმოცემა ჩაწერილ იქნეს მოკლედ (იხ. კითხვარის V პუნქტი).

9. რადგან ტოპონიმი ადგილის საკუთარი სახელია, მისი მნიშვნელობა, როგორც სიტყვისა, დღეისათვის უმეტესწილად გაუგებარია ან დაჩრდილულია. მაგალითად, გასაგებია – რა მნიშვნელობა აქვთ ან რომელი ფუძისაგან არიან ნაწარმოები ტოპონიმებად გამოყენებული სახელები: იფნისგორა და ხევისჭალა (ახმეტის რაიონში), ველისციხე და შრომა (გურჯაანის რაიონში), ხიდმაღალა და ჭალა (ლანჩხუთის რაიონში) და ა. შ., მაგრამ არ ვიცით, რა მნიშვნელობით იხმარება ან იხმარებოდა სიტყვები, რომლებიც ახლა სოფლების საკუთარ სახელებად არის ქცეული: ჭართალა და არგოხი (ახმეტის რაიონში), ვეჯინი და ჯიშითი (გურჯაანის რაიონში), ჯაპანა და ორშეთი (ლანჩხუთის რაიონში) და ა. შ.

ამათ გვერდით გვხვდება ისეთი ტოპონიმებიც, რომელთა ერთი შემადგენელი ნაწილის მნიშვნელობა ცნობილია, მეორე ნაწილისა კი – არა (მაგ. ამბროლაურის რაიონში გვაქვს სოფლები ზედა თლული და ქვედა თლული. ამ ტოპონიმებში ზედა და ქვედა სიტყვების მნიშვნელობა ცნობილია, დასადგენია რა მნიშვნელობით იხმარება (ან იხმარებოდა) სიტყვა თლული...).

ტოპონიმების ჩამწერთა ერთი ძირითადი მოვალეობათაგანია გულდაგულ გამოიკითხონ, დაადგინონ ტოპონიმებად გამოყენებული სიტყვების უცნობი მნიშვნელობანი და ამის შესახებ ცნობები კითხვარის VII პუნქტში ჩაწერონ (იგულისხმება, რომ ეს ცნობები არ შეიძლება ემყარებოდეს ჩამწერთა სუბიექტურ მოსაზრებებს).

10. მეგრულ-ჭანური და სვანური ტოპონიმების ჩაწერისას (თუ ჩამწერი ფლობს მეგრულ-ჭანურ ენას ან სვანურ ენას) მიზანშეწონილია კითხვარის

VII პუნქტშივე მივცეთ ტოპონიმების თარგმანი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ტოპონიმი ამ თვალსაზრისით „გამჭვირვალეა“ და ადვილად ითარგმნება (მაგალითად, მეგრულად წალენ ნიშნავს „ქვემოს“, „ჯიხა“ – „ციხეს“. აქედან არის წალენჯიხა – ქვემოციხე).

ამგვარადვე უნდა მოვექცეთ არაქართული ეროვნების წარმომადგენელთა (ოსების, სომხების, ბერძნების...) მიერ შერქმეულ ტოპონიმებსაც (მაგალითად, ყორული თურქულად „ნაკრძალს“ ნიშნავს, ახლა ეს სიტყვა საგარეჯოს რაიონში ივრისპირას მდებარე ნაკრძალის საკუთარ სახელად არის ქცეული).

11. თუ ტოპონიმების ჩამწერი, კითხვარის ამა თუ იმ პუნქტთან დაკავშირებით, გამოიყენებს ოფიციალურ წყაროებს (სპეციალურ ნაშრომებს, გამოკვლევებს, რუკებს, საარქივო მასალას...), მათი სრული სახელწოდება (ავტორი, გამოცემის წელი, გვერდი) აგრეთვე კითხვარის VII პუნქტში უნდა აჩვენოს.

ბოლოს ტოპონიმების ჩამწერმა პირმა მთელ აღნუსხულ მასალას (სოფლისას, დაბისას...) ერთად უნდა მოუყაროს თავი, შემოაკრას თავფურცელი, რომელსაც უნდა დაურთოს ასეთი ზოგადი ცნობები: დასახელება ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონისა, რომლის შემადგენლობაში შედის სოფელი (დაბა...), რომელი სოფლის (დაბის...) ტოპონიმებია ჩაწერილი, რამდენი ტოპონიმია ჩაწერილი, რამდენი კომლია სოფელში (დაბაში), რომელი ეროვნების წარმომადგენლებით არის დასახლებული სოფელი (დაბა), ვინ ჩაიწერა, როდის ჩაიწერა (მაგალითად, ზესტაფონის რაიონი, სოფელი არგვეთა, ჩაწერილია (226) ტოპონიმი, ჩაიწერა პავლე გიორგის ძე გეწაძემ 1969 წლის ივლის-აგვისტოს).

დანართი № 1

1. ტურისდელე //კურისდელე //პურისდელე.
2. დელე, უკეთ: ამ დელეზე გადასასვლელი ადგილი.
3. ———
4. ხეობა, რომელიც შემოსაზღვრულია ტყით დაფარული მთებით.
5. უკავშირებენ ტურას (რომელიც ადრე ყოფილა ამ ადგილებში); არ იციან, რას ნიშნავს კურის დელე. პურისდელე ამკარად გადააზრიანების შედეგად არის მიღებული.
6. ს. ჩიბათი (ლანჩხუთის რაიონი).
7. ჩანს, ამოსავალია კურისდელე, რომელიც გადააზრიანების შედეგად, ერთი მხრივ, ტურისდელე—დ იქცა, ხოლო, მეორე მხრივ, პურისდელე—დ. უნდა იყოს კურისდელე, იმიტომ რომ იმ მთას, საიდანაც ეს დელე მოედინება, ეწოდება კორაულისმთა.
8. ბესარიონ არკადის ძე ჯორბენაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი ათარბეგოვის ქ. № 2.
9. პელაგია გიორგის ასული პატარაია, 80 წლისა, პენსიონერი, ს. ჩიბათი (ლანჩხუთის რაიონი).
10. 1968 წლის ივლის—აგვისტო.

დანართი № 2

- I. უშკურტობა // უშქურტობა.
- II. მორევი, წყალტრიალა.
- III. ———
- IV. ეს ტოპონიმი მდ. აბაშის მორევის სახელწოდებაა. ამ მორევთან და მის გაყოლებაზე მდ. აბაშა ყოფს ს. ბანძას და ს. აბედათს. ბანძის ნაპირი

დაბალია და სამოვარ ჭალას წარმოადგენს, აბეთადისა კი — შემადღებულა და ზედ სიმინდის ყანებია. ამ ადგილას მდინარის შედარებით მდორე და წყალმარჩხ დინებას გამოეყოფა უფრო სწრაფი და ღრმა ნაკადი, რომლის ერთ ადგილას წყალი ტრიალებს.

V. —

VI. ეს ერთეული ს. ბანძისა და ს. აბედათის საზიარო კუთვნილებაა.

VII. სიტყვა „უშკურტობაში“ უშკური „ვაშლს“ ნიშნავს მეგრულად, ხოლო ტობა — „ტბას“ (ტობა მეგრულში ნიშნავს „ღრმასაც“). ერთი შეხედვით, ამ სიტყვის მნიშვნელობა უნდა იყოს „ვაშლ-ტბა“, მაგრამ ასეთი ახსნა გაუმართლებელია. უფრო მართებული იქნებოდა „უშკურ //უშკურ“ სიტყვებში ამოგვეცნო ოშკურ ფორმა. ეს სიტყვა ნიშნავს „საშიშს“. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამ ადგილას წყალი ტრიალებს (რასაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ღვარღვაცს“ უწოდებენ) და ზოგჯერ ითრევს კიდეც გამოუცდელ ადამიანს, უნდა ვიფიქროთ, რომ უშკურტობა// უშკურტობა ნიშნავს „საშიშ ტბას“.

VIII. შუქია ტიმოთეს ასული აფრიდონიძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, ლიბკნეხტის შეს. № 4.

IX. ოლია გიორგის ასული ლაბახუა-კეკელია, 78 წლისა, პენსიონერი, ს. ბანძა (გეგეჭკორის რაიონი).

X. 1965 წლის აგვისტო.

ტერმინთა საძიებელი

ა

- აბრევიატურა 66
- აბრევიაცია 66
- აბრევვირებული გვარსახელი 88
- აბრევვირებული პირსახელი 68
- აგნომენი 129
- აგორონიმი 174
- აგრონიმი 78
- ადამტაცია 73
- ადმინისტრაციული ქორონიმი 173
- აეტოეთონიმი 191
- აკრონიმი 67
- ალოეთონიმი 191
- ანაგრამა 151
- ანალოზი (ზოგად:) 193
- ანდრონიმი 117
- ანემონიმი 179
- ანთროპოაგრონიმი 89
- ანთროპოეთონიმი
- ანთროპოზონიმი 182
- ანთროპოიკონიმი 89
- ანთროპოლექსემა 85
- ანთროპონიმი 88
- ანთროპონიმი 88
- ანთროპონიმიზაცია 88
- ანთროპონიმიკა 88
- ანთროპონიმიკონი 89, 94
- ანთროპონიმიკული 95
- ანთროპონიმიკული ანექტა 95
- ანთროპონიმიკური კვლევა 96
- ანთროპონიმიკული ტერმინი 96
- ანთროპონიმის გრამატიკული მნიშვნელობა 103
- ანთროპონიმის სიგნიფიკაციური მნიშვნელობა 103
- ანთროპონიმული 95
- ანთროპონიმული არეალი 96
- ანთროპონიმული ატლასი 96
- ანთროპონიმული კალკი 96
- ანთროპონიმული მოდელი 93

- ანთროპონიმული სისტემა 89
- ანთროპო(ნიმული) ლექსემა 93
- ანთროპონიმული სახელდება 35
- ანთროპო(ნიმული) ფორმულა 90
- ანთროპოტოპონიმი 89
- ანთროპოფორმანტი 94
- ანთროპოფორმულა 85
- ანთროპოფუძე 94
- ანთროპოჰიდრონიმი 89
- აპელატივაცია 88
- აპელატივი 48
- აპელატივიზაცია 88
- აპელატივისმიერი საკუთარი სახელი 49, 54
- აპელატიური ლექსიკა 48, 5:
- აპელატიური მნიშვნელობა 56
- აპელატიური სახელდება 35
- აპოკოპე 110
- აპოტროპეული სახელი 108
- არაკანონიკური სახელი 111
- არაოფიციალური პირსახელი 99
- არეალური (რეგიონული) ონომასტიკა 215
- არტიონიმი 175
- ასპექტი (ონომასტიკაში)
- ასტიონიმი 172
- ასტრონიმი 189, 223
- ასტროტოპონიმი 189, 223
- აუგმენტატივი 102
- აფერეზა (ანთროპონიმიში) 117
- აღწერითი ზოონიმი 184
- აღწერითი ონომასტიკა 214
- ახალი სახელი 112

ბ

- ბათიონიმი 169
- ბიბლიონიმი 178
- ბუნებრივი ნომინაცია (სახელდება) 62

ბუნებრივ-ლანდშაფტური
ქორონიმი 173

ბ
გადაზრება 238
გადაბმული სახელები 115
გადატანა (საკუთარი სახელისა) 80
გამოყენებითი ონომასტიკა 217
განზოგადება (ზოგადად) 193
განმადიდებელი ზედწოდება
(მელიორატივი) 160
გარეენობრივი მოტივაცია 39, 184
გარეწოდება (ეთნონიმიაში) 191
გენეტიკური ანალიზი
(ონომასტიკაში) 209
გენონიმი 191
გეონიმი (გეოტოპონიმი) 189
გეოგრაფიული ასპექტი
(ონომასტიკაში) 229
გეოტოპონიმი 158
გვარი (გვარსახელი) 75, 132, 133
გვარსახელის იდენტიფიკაცია 75
გვაროვნული სახელი 98
გლობალური ონომასტიკა 215
გრადაცია 60
გრამატიკული მნიშვნელობა
(ონიმისა) 103
გრამატიკული მოტივაცია 184

დ
დეანთროპონიმიზაცია 88
დედუქცია (ზოგადად) 193
დექტიმოლოგიზაცია 238
დემინუტივი 100, 102
დემონონიმი 187
დენოტატი 35
დენოტაცია 103
დენოტაციური ანთროპონიმი 95,
103
დენოტაციური (სიგნიფიკაციური)
მნიშვნელობა 103
დიგნიტონიმი (საპატიო
ზედწოდება) 159

დინასტიური პირსახელი 114
დოკუმენტონიმი 176
დრიმონიმი 113, 170
დრომონიმი 167

ე
ეგზოგენური ეთნონიმი 191
ეფონიური (თანაბგერადი)
სახელები 115
ეთნიკური ონომასტიკა 190
ეთნოანთროპონიმი 190
ეთნონიმი 189
ეთნონიმია 190
ეთნონიმიზაცია 191
ეთნონიმიკა 190
ეთნოტოპონიმი 190
ეკლესიონიმი 175
ელიპტირება 53
ენდოგენური ეთნონიმი 191
ენობრივი ატრიბუცია
(ონომასტიკაში) 204
ენობრივი მოტივაცია 184
ეპითეტური მეტსახელი 156
ერგონიმი 179
ეტიმონი 231
ეტიმოლოგია (ზოგადად) 231
ეტიმოლოგია (ონომასტიკაში) 232
ეტიმოლოგიური ანალიზი 209

ვ
ვენუსონიმი 189

ზ
ზედწოდება 159
ზოოანთროპონიმი 182
ზოონიმთა მოტივაცია 184
ზოონიმი 180
ზოონიმია 180
ზოონიმიკა 180
ზოოტოპონიმი 182
ზოოფორული სახელი 183
თ

თანაზგერადი სახელები 115
თანამოსახელე 125
თანასახელიანობა 125
თარგმნა (ონომასტიკაში) 74
თეორიული ონომასტიკა 214
თვითწოდება (ეთნონიმიკაში) 191

ო
იდენტიფიკაცია 33
იდენიმი 175
იმპლიციტური ონიმი 43
ინდიგენური სახელი 113
ინდივიდუალიზაცია 33
ინდივიდუალური ანთროპონიმი
97

ინდუქცია (ზოგადად) 193
იზიციალური აზრეციატურა 67
ინტერნაციონალური ტოპონიმი
ირადიაცია 61
ისტორიული ასპექტი
(ონომასტიკაში) 229
ისტორიული ონომასტიკა 217

პ
კალენდარული სახელი 113
კალკი 75
კალკირება (ონიმიში) 75-76
კანონიკური სახელი 110
კვალიტატივი (კვალიტატიური
პირსახელი) 102
კინონიმი 182
კოგნომენი 129
კომონიმი 172
კომპოზიტი 51
კონვერსია 49
კონოტაცია 34, 103
კონოტაციური ანთროპონიმი 103
კონოტაციური მნიშვნელობა 103
კონტრაქცია 100
კონტრაპირებული პირსახელი 101
კონფირმაციული სახელი 119
კოსმონიმი 188, 223

კოსმონიმი 188
კოსმონიმიკა 188
კულტუროლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 229
კრიპტონიმი 150

ლ
ლექსიკოგრაფიული ასპექტი
(ონომასტიკაში) 221
ლექსიკოლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 221
ლიმნონიმი 168
ლოგიკური ასპექტი
(ონომასტიკაში) 221

მ
მარსონიმი 189
მასალის ინვენტარიზაცია
(ონომასტიკაში) 206
მეთოდი 199
მეთოდოლოგია (ზოგადად) 199
მეთოდოლოგია ონომასტიკაში 200
მელიორატივი (განმადიდებელი
ზედწოდება) 160
მერკურიონიმი 189
მეტაფორიზაცია 54
მეტაფორული ზოონიმი 184
მეტგვარი 160
მეტონიმია 58, 83
მეტსახელი 76, 151
მეცნიერული ეტიმოლოგია 232, 238
მიგრაცია (ტოპონიმიში) 80, 83
მითოანთროპონიმი 187
მითოზოონიმი 187
მითონიმი 120, 186
მითონიმიკა 186
მითონიმიკა 186
მითოპერსონიმი 188
მითოტოპონიმი 187
მითოფიტონიმი 187
მიკროტოპონიმი 223
მიმართებითი ზოონიმი 184

მინიმალური მნიშვნელობა
(ონიმი) 34
„მოლაპარაკე“ („მეტყველი“) ონიმი
123
მოტივი 37
მოტივაცია 37
მოტივირება 37
6
ნათლობის (საეკლესიო) სახელი 118
ნართაული სახელი 152
ნაციონალური ტოპონიმია
ნომენი 29
ნომენკლატურა 29
ნომინაცია 33-37
ნომინატორი (სახელმძღვანელი) 35
ნომინაციის პრინციპი 40
ნომინაციის სიტუაცია 40
ნომინაციური (სახელმძღვანელითი)
ფუნქცია 33
ო
ოიკოდომონიმი 174
ოიკონიმი 172
ოიკონიმია 173
ოკონიმიკა 173
ოკეანონიმი 169
ონიმთა სესხება 72
ონიმი 25, 225
ონიმია 26, 27, 47
ონიმიზაცია 49, 224
ონიმის მინიმალური მნიშვნელობა
35
ონიმური 27
ონიმური ადაპტაცია 73-74
ონიმური არეალის გამოვლენა
(ონომასტიკაში) 211
ონიმური ეტიმოლოგია 232
ონიმური კლასიფიკაცია 85-87
ონიმური ლექსება 47
ონიმური ლექსიკა 46, 48
ონიმური სახელდება 33, 37
ონიმური ნომინაცია 35, 37

ონიმური სივრცე 207
ონიმური სინონიმია 33
ონონა 25
ონომასტიკა 27, 224
ონომასტიკონი 27
ონომასტიკური 27
ონომასტიკური ეტიმოლოგია 210
ონომასტიკური კარტოგრაფირება
212
ონომასტიკური ტიპოლოგია 225
ორნითონიმი 182
ორონიმი 169
ორონიმია 170
ორონიმიკა 170
ორონიმიკონი 170
ორსახელიანობა 125
ოფიციალური პირსახელი 99
პ
პატრონიმი 117
პეიორატივი 102
პელაგონიმი 169
პერსონიმი 114
პირობითი მოტივირება (ონიმიაში)
184
პირობითი (მეორეული) ნომინაცია
43
პირსახელი 99
პლურალიზაცია 50
პოეტიკური ანთროპონიმი 121
პოეტიკური ანთროპონიმი კა 121
პოეტონიმი (პოეტიკური ონიმი)
120, 121, 176
პოეტიკური ონომასტიკა 218
პოლიონიმია (მრავალსახელიანობა)
107
პოტამონიმი 169
პოტამონიმია 162
პრამატონიმი 177
პრაქტიკული ტრანსკრიფცია 73
პრენომენი 128
პროპრიალური 27

რ
რარიტეტული პირსახელი 123
რეალიონიმი 120
რეალური ანთროპონიმი 120
რეალური (პირველადი) მოტივაცია 42

რეალური მოტივირება
(ზოონიმიში) 184
რეგიონული (არეალური)
ონომასტიკა 215
რთულ-შემოკლებული
აბრევიატურა 66

ს
საბერო სახელი 118
საგვარეულოს სახელი 98
საკლესიო (ნათლობის) სახელი 118
საერთო-სახალხო ონიმია
საერო სახელი 118
საკუთარი სახელი 31
საკუთარი სახელის დათარიღება 213

საკუთარი სახელის დანიშნულება 32
სამეცნიერო ეტიმოლოგია 232-238
საოჯახო სახელი 114
საპატიო ზედწოდება
(დიგნიტონიმი) 159

სასქიმო სახელი 119
საქალაქო ქორონიმი 173
საშინაო (საოჯახო) სახელი 112-114
სახალხო ანთროპონიმი 123
სახელდება (ნომინაცია) 33-37
სახელდების მიზეზი 39
სახელდების მოტივი 39
სახელდების საბაზი 39
სახელთა კლასიფიკაცია
(ონომასტიკაში) 203

სელენონიმი 189
სემანტიკური ანთროპონიმიზაცია 50
სემანტიკური მოტივაცია 184

სემანტიკური ონიმიზაცია 49
სემანტიკური ტოპონიმიზაცია 50
სემანტიკურ-მორფოლოგიური
ონიმიზაცია 50
სემანტიკურ-სინტაქსური
ონიმიზაცია 51
სემასიოლოგია 222

სემასიოლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 222
სესხება (ონიმიში) 72
სენხასასელთანობა 125
სენნია ტოპონიმები 61
სიგნიფიკაციური მნიშვნელობა
(ანთროპონიმიში) 103
სინთეზი (ზოგადად) 193
სინკოპე 117

სოციალური ასპექტი (ონიმიში)
სოციოლინგვისტიკა 227
სოციოლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 227
სპეციალური ლექსიკა 28
სპეციფიკური ონიმური აფიქსაცია 69

სტატისტიკური ანალიზი
(ონომასტიკაში) 212
სტიქიური ნომინაცია (ონიმიში) 62

სტრატოგრაფიული ანალიზი
(ონომასტიკაში) 208
სუბენონიმი 184, 192
სუბსტრატი ტოპონიმიში 79
სულის სახელი 101
სუპერსტრატი ტოპონიმიში 79
Singularia tantum 89, 90

ტ
ტაბულირება 66
ტერმინი 28,
ტერმინოლოგია 29
ტერმინოლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 222

ტექსტოლოგიური ანალიზი
(ონომასტიკაში) 205
ტიპოლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 224
ტაპოეთნონიმი 190
ტაპონიმა შემოკლება 69
ტაპონიმი 165
ტაპონიმია 166
ტაპონიმიკა 166
ტაპონიმური სახელდება 35
ტრანსანთროპონიმიზაცია 58
ტპანსკრიფცია (ონიმიაში) 83
ტრანსლიტერაცია (ონიმიაში) 84
ტრანსონიმიზაცია 56
ტრანსტაპონიმიზაცია 58

უ
ურბანონიმი (ურბონიმი) 173

ფ
ფალერონიმი 179
ფიტონიმი 171
ფიტონომენი 172
ფიტოფორული სახელი 172
ფორმანტული ანალიზი
(ონომასტიკაში) 211
ფსევდოანდრონიმი 149
ფსევდოგინიმი 149
ფსევდონიმი 148
ფსიქოლოგიური ასპექტი
(ონომასტიკაში) 226
ფუძეთა ანალიზი (ონომასტიკაში)
212

ქ
ქრონიმი 173
ქრებატონიმი 178
ქრისტიანული სახელი 111
ქრონონიმი 176
ქტემატონიმი 178

შ
შედარება (ზოგადად) 193

შერეული აბრევიატურა 68
შერქმეული სახელი 151
შინაენობრივი მოტივაცია 39
შტოგვარი 162

ც
ცრუ ეტიმოლოგია 238-243

წ
წარმართული პირსახელი 110

ხ
ხალხური ეტიმოლოგია 243-244
ხატის სახელი 109
ხელოვნური ნოძინაცია 62
ხელოვნური საკუთარი სახელი 67
ხშირი პირსახელი 123

ჯ
ჯგუფური ანთროპონიმი 97, 160
ჯგუფური მეტსახელი 160
ჯგუფური ფსევდონიმი 150

კ
ჰაგიოგრაფიული სახელი 111
ჰელონიმი 169
ჰემერონიმი 176
ჰეორტონიმი 177
ჰიდროგრაფიული ნომენი 167
ჰიდროლექსემა 167
ჰიდრონიმი 167
ჰიდრონიმია 168
ჰიდრონიმიზაცია 168
ჰიდრონიმიკა 168
ჰიდრონიმიკონი 168
ჰიდრონიმიკული ატლასი 168
ჰიდრონიმიკული ტერმინი 168
ჰიდროფუძე 167
ჰიდროფორმანტი 167-168
ჰიპოკორისტკიკული პირსახელი 100
ჰიპონიმი 182
ჰოდონიმი 174

შემოკლებანი

ადგ. — ადგილობრივი
 ანთრ. — ანთროპონიმი
 ანტ. — ანტონიმი
 ა. შ. — ასე შემდეგ
 აღმ. — აღმოსავლეთი
 ბერძნ. — ბერძნული
 გერმ. — გერმანული
 გურ. — გურული
 ე. ი. — ესე იგი
 ესპ. — ესპანური
 ე. წ. — ეგრეთ წოდებული
 თბ. — თბილისი
 თურქ. — თურქული
 ინგლ. — ინგლისური
 იტალ. — იტალიური
 იხ. — იხილე
 ლაზ. — ლაზური
 ლათ. — ლათინური
 მაგ. — მაგალითად
 М. — Москва

მდ. — მდინარე
 მეგრ. — მეგრული
 ოს. — ოსური
 პორტ. — პორტუგალიური
 რ-ნი — რაიონი
 რუს. — რუსული
 სანსკ. — სანსკრიტი
 ს. — საუკუნე
 სომხ. — სომხური
 სოფ. — სოფელი
 სპარს. — სპარსული
 სს. — საუკუნეები
 სხვ. — სხვა
 ტოპ. — ტოპონიმი
 ფრანგ. — ფრანგული
 ქ. — ქალაქი
 ყაზახ. — ყაზახური
 შდრ. — შეადარე
 Л. — Ленинград

თსპი — თბილისის სახელმწიფო პედიინსტიტუტი

თსპუ — თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

ენიმიკი — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი

იკე — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

ქპი — ქუთაისის პედიინსტიტუტი

ქსე — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია

ქსკს — ქართული სიტყვის კულტურის საკითხები

ქსძ — ქართული სამართლის ძეგლები

← { წარმოქმნის მიმართულება
 →

←→ ორმხრივი გარდაქმნა

ზინაარსი

წინასიტყვაობა. „ონომასტიკის შესავლის“ საგანი შესავალი	3
§ 1. ონომასტიკური კვლევა-ძიების ისტორიიდან საქართველოში	②
§ 2. ონომასტიკური კვლევა-ძიება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში	③

თავი პირველი

ონომასტიკური ტერმინოლოგია და ონიმური სახელდების ზოგი საკითხი

§ 1. ონიმი, ონიმია, ონომასტიკა	25
§ 2. ტერმინი, ტერმინოლოგია; ნომენი, ნომენკლატურა (ტერმინთა სიზუსტისათვის)	28
§ 3. საკუთარი სახელი და მისი განსხვავება საზოგადო სახელისაგან	31
§ 4. ონიმური სახელდება	33
§ 5. ონიმური სახელდების მოტივი და პრინციპები	37
§ 6. აპელატიური და ონიმური ლექსიკა	44

თავი მეორე

საკუთარ სახელთა წარმოქმნის გზები

§ 1. ონიმიზაცია	49
§ 2. ტრანსონიმიზაცია	56
§ 3. ხელოვნური ნომინაცია	62
ა. სტიქიური და ბუნებრივი ნომინაცია	62
ბ. ტაბუირება	66
გ. აბრევიაცია	66
დ. ტოპონიმთა შემოკლება	69
§ 4. სპეციფიკური ონიმური აფიქსაცია	69
§ 5. უცხოურ საკუთარ სახელთა გადმოღების გზები და საშუალებანი	72
ა. სესხება-ადაპტაცია	72
ბ. თარგმნა, კალკირება	74
გ. მიგრაცია, გადატანა	80
6. ტრანსკრიფცია და ტრანსლიტერაცია	83

თავი მესამე

საკუთარ სახელთა კლასიფიკაცია	
§ 1. ძირითადი საკლასიფიკაციო ნიშნები	85
§ 2. ანთროპონიმია და ანთროპონიმია	
ა. ტერმინოლოგია	87
ბ. პირსახელი	99
გ. გვარსახელი	126
დ. ფსევდონიმი	148
ე. შერქმეული სახელი და მეტსახელი	150
ვ. ზედწოდება	159
ზ. ჯგუფური ანთროპონიმი	160
§ 3. ტოპონიმია და ტოპონიმია	165
ა. პიდრონიმი	167
ბ. ორონიმი	169
გ. დრიმონიმი, ფიტონიმი	170
დ. ოიკონიმი, ქორონიმი	172
ე. ურბანონიმი (აგრორონიმი, ოიკოდომონიმი, საკალაქო ქორონიმი, პოდონიმი)	173
ვ. დრომონიმი	174
ზ. ეკლესიონიმი	175
§ 4. იდეონიმები და პრაგმატონიმები	175
ქრემატონიმი	178
ფალგრონიმი. ერგონიმი	179
ანემონიმი	179
§ 5. ზოონიმია და ზოონიმია	180
§ 6. მითონიმია და მითონიმია	186
§ 7. კოსმონიმია და კოსმონიმია	188
§ 8. ეთნონიმია და ეთნონიმია	189

თავი მეოთხე

ონომასტიკური კვლევის მეთოდოლოგია	
§ 1. საკითხის არსი ზოგადად	193
§ 2. ონიმური მასალის მოპოვება	195
§ 3. მეთოდოლოგია	199
§ 4. საკუთარი სახელების კვლევის მეთოდები და ხერხები	203
ა. სახელთა კლასიფიკაცია	203
ბ. ენობრივი ატრიბუცია	204
გ. ტექსტოლოგიური ანალიზი	205

დ. ონიმური მასალის ინვენტარიზაცია	206
ე. სტრატეგრაფიული ანალიზი	208
ვ. გენეტიკური ანალიზი	208
ზ. ეტიმოლოგიური ანალიზი	209
თ. ონიმური ირეალების გამოვლენა	211
ი. ფორმანტული ანალიზი	211
კ. ონომასტიკური კარტოგრაფირება	212
ლ. სტატისტიკური ანალიზი	212
მ. ფუძეთა ანალიზი	212
ნ. საკუთარი სახელის დათარიღება	213
§ 5. ონომასტიკური კვლევის მიმართულებანი	213
ა. თეორიული ონომასტიკა	214
ბ. აღწერითი ონომასტიკა	214
გ. ისტორიული ონომასტიკა	217
დ. გამოყენებითი ონომასტიკა	217
ე. პოეტიკური ონომასტიკა	218
§ 6. ონომასტიკური კვლევის ასპექტები	221
ლექსიკოლოგიური ასპექტი	221
ლექსიკოგრაფიული ასპექტი	221
ლოგიკური ასპექტი	221
სემასიოლოგიური ასპექტი	222
ტერმინოლოგიური ასპექტი	222
ტიპოლოგიური ასპექტი	224
ფსიქოლოგიური ასპექტი	226
სოციოლოგიური ასპექტი	227
ისტორიული ასპექტი	229
გეოგრაფიული ასპექტი	229
კულტუროლოგიური ასპექტი	229
§ 7. ეტიმოლოგია	
ა. ეტიმოლოგია ზოგადად. სამეცნიერო ეტიმოლოგია	231
ბ. ცრუ ეტიმოლოგია	238
გ. ხალხური ეტიმოლოგია	243
შენიშვნები	247
ლიტერატურა	
დანართი: ინსტრუქცია ტოპონიმიკური მასალის ტერმინთა საძიებელი	268
შემოკლებანი	278
შინაარსი	284
	285

პაატა ცხადაია
ონომასტიკის შესავალი

თბილისი 2005

ПААТА ЦХАДАИА
ВВЕДЕНИЕ В ОНОМАСТИКУ

Тбилиси 2005

ტირაჟი 100

ფასი – სახელშეკრულებო

ტექსტის აკრეფა – დოდო შონია
დაკაბადონება – ტატო ხუხუა